

გზა

148 (233) 25/XI.-1/XII.2004. ფასი 60 ლ

1168
2004

თემა:
**არჩევანი —
და და თუ სოლი?**

**ახტუალური
საკითხი:**
**როგორ უნდა
გამოიყურებოდან
ჭეშმარიტი ქრისტიანი?**



**„გვერდზე მიზის
და მინს მენატრება...“**

**პურდყოფილის აღსარება: „სმერტნიკების“ კამერა, რატომ ეუნიოდათ მიუქასნი
ქურდებს, ხეზე „ტრუსიკიანი“ პატიმარია და სხვა...**



**რის გამო გამოასხადა
არეზიდენტმა
გორენა ხუხუა
ბელაეკრანიდან გვირად**






**სიყვარულის სანახვლოდ
მიტოვებული ქინოკარიკა
და პასუხი კითხვაზე — რატომ
კვდება ლამაზი ქალი ორჯერ?**

იყიდეთ პრესულ,
იკითხეთ მთელი წელი

**უკვე
გამოვიდა!**

*„ყვინლის ჰალოცონის“
გამომცემლობაში
გამოსულ სხვადასხვა
სახის ყვლოებრანი*



მალე იხილავთ!

მართლმადიდებელურ და
ქალთა კანცდრებს



მინიატურები	
ბაუმარჯოს იუბილარ რეპოლუსიას ანუ „ტაში, ბატონავო, ტაში!“	3
ერთი კითხვა	4
ჭკალი მსოფლიო	4-8
პროფესია	
„პარპლიანი ლიას“ ჩასაფრება, „ლაგომიგაული“ მკარცელი და... სხვა ფაქტობრივები	7
საზოგადოება	
ვინ არის შორენა ხუხუა და რატომ გაემთხვარა მისი მისხვილი სააკაშვილმა გმირად?	10
ოჯახი	
მშვიდ კუჩუხე ჯუჯუნა, ხელმარჯვე ღუბა სსირტლაქი დილაობით სიტყვაკუნწია	12
კრიმინალი	
• ჯერ უბრალოდ მოგიღუპის წართმევა, შემდეგ მკვლელობას ბანიშრახს	14
• მოსამართლემ „ღრო მოიგო“ და... ბანსახელის სკაფზე აღმოჩნდა	15
• გურაბ ჟვანიას დაცვის ყოფილ წევრებს საბაჟოში უკანონო ბარიგებაში აღნაგაულებენ	17
ანტიდეპრესანტი	
ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი გორა ღვალის უბის წიგნაკიდან	18
ნამდვილი აგავი	
ქენია ბაბიას უსხოელი სიკე	18
თემა	
მძიმე არჩევანი – დედა თუ ცოლი?	20
აღსარება	
ქურდყოფილის მოგონებები	24
ტესტი	
ერთგული მკითხველი	26
გზავნილები	
„ღვიღაშვილსაც პირდაპირ ვუთხარი – ისეთი ბიჭია, შენთვის ვერ გავიმეტებ-მეთქი...“	27
გარემო	
ბოტანიკური ბაღი და მისი ბინადარნი	30
ჯანმრთელობა	
• მოკვაროთ ტურებს	32
• ალერგია და ბაცივება	33

მძიმე არჩევანი – დედა თუ ცოლი?



...ყველაზე პრობლემური რძალ-დედაბილის ურთიერთობაა. მათ შორის მიმდინარეობს ბრძოლა საყვარელი არსების დასაკუთრებისათვის, რომელიც ერთისთვის ქმარია, მეორისთვის კი – შვილი...

და მაინც, რატომ დგებიან მამაკაცები მძიმე არჩევანის წინაშე – დედა თუ ცოლი?

20

ხელმარჯვე ღუბა სსირტლაქი დილაობით სიტყვაკუნწია

„სხვათა შორის, უნდა ვაღიბრო, რომ მეც ეჭვიანი ვარ. მაგრამ ჩემი ეჭვიანობის მთავარი პრინციპი არაა ყველა წვრილმანზე გამოკიდება – მაგალითად, ფეხი ფეხზე გადადებული რატომ აქვს?.. – არამედ მე ვეჭვიანობ, ასე ვთქვათ, ჩემდამი მის დამოკიდებულებაზე...“



12

„პარპლიანი ლიას“ ჩასაფრება, „ლაგომიგაული“ მკარცელი და... სხვა ფაქტობრივები



„მკერდზე „დედა“ ჰქონდა ამოსვირინგებული. – დედა გიყვარს, შენი დედა-მეთქი!.. – და იმდენი ვურტყი, მეზობლების ჯაფრიც ამოვიყარე. შეშინებულმა, ჩაისველა... პოლიციის განყოფილებაში ჩემზე უთქვამს – ვინ იყო ის გიჟიო!..“

7

რატომ კვდება ლაქაზი ქალი ორჯერ?

„როცა ახალგაზრდა ვიყავი, საკმარისი იყო, ქუჩაში ერთი წუთი გავჩერებულიყავი, რომ 10 მანქანის მძღოლი მაინც შემომთავაზებდა დახმარებას. დღეს კი...“



38

ტაპარი

როგორ უნდა გამოიყურებოდეს
ჩემგან უფრო მსახიობი ბარბენულა? 34

სამუშაო

„ვინც ცინარტყელის ქვეშ გაკვრება,
საქართველოში აღმოჩნდება“ 35

სახე

სიყვარულის სანაცვლოდ
მიტოვებული კინოკარიერა და
პასუხი კითხვაზე – რატომ კვდება
ლაგაში ქალი ორჯერ? 38

რომანი

რუსულან ბერიძე.
მტაცებლის ინსტინქტი (ბაბრქალება) 42

პარსკვლავი

ალიზა კვიციანი –
სოულის 23 წლის კლასიკოსი 46

პროფილი

მომზადების დღიურები

– ჩემი ფედარასია უფლია! –
მითხრა მომზადებამ განგმა
ანუ რატომ ვარჩიე
ტრიალერი ჩხუბს... 49

სპორტული მოზაიკა

49

ავტორი

52

სცენა

„ნაბადი“ – თეატრი, სადაც
მეყვარებული მსახიობებისგან
თავს იხრებს... 57

დადაქალაქი

ვინ გაიღებს მილიონს
ფოლკლორული ცენტრის
ასაღორკინებლად? 58

ჰოროსკოპი

კვირის
(29 ნოემბერი – 5 დეკემბერი)
ასტროლოგიური პროგნოზი 60

სკანდორი

61

იუმორი

62

ტანტი

თამაშობები და სათამაშოები
ალამიანების ხასიათს
განსაზღვრავს 63

კალენდოსკოპი

46

ჩრდილ-ჩრდილი ამბები

64

გარეკანზე: გიორგი შორჭულიანის კოლაჟი
საზოგადოებრივ-პოლიტიკური შურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, სუბსაბსკრიპციით
გაზეთი „კვირის პალიტრის“ დამატება
შურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.
მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
მენეჯერი: მათე კბილაძე
მისამართი: თბილისი, აკურის ქ. №8
ტელ: 33-50-32 email: gza@kvirispalitra.com
შურნალი იბეჭდება გამოცემლობა „ეკოლოში“

„ვინც ცინარტყელის ქვეშ გაკვრება, საქართველოში აღმოჩნდება“




„ასე თუ ისე, დავწერეთ ფერ-
ეიდნის ისტორია, რომელიც აუცი-
ლებლად უნდა იქცეს საქართვე-
ლოს ისტორიის განუყოფელ ნაწ-
ილად. ძალიან გვინდა, ქართველ-
მა მოსწავლეებმა სკოლაში ის-
წავლონ ამ ცრემლიანი 400 წლის
შესახება“.

35


– ჩემი ფედარასია უფლია! – მითხრა მომზადებამ ზანგმა ...

– ბალუ გაგიგონია? – მკითხა
მან.
– ბალუ დათვი როგორ არ
გამიგონია, მაუგლის მეგობარი...
– რა მაუგლი! „ბალუ“ კაზინო-
ბის ქსელია შტაგებში და საკმაოდ
წარმატებული. ამ აპარატურას აგ-
ლანტიკ-სიტიში წაიღებ, კაზინო
„ბალუში“! – ამისხნა კლინგმა.



49

ალიზა კვიციანი სოულის 23 წლის კლასიკოსი



ასხლგამრდა მუსიკალურმა გე-
ნიოსმა თანამედროვე რიტმ-ენ-
ბლუმსა და სოულს სულ სხვა, გან-
საკუთრებული ქლერადობა შესძ-
ინა და კლასიკის დონეზე აიყვანა.
ალიზა კვიციანი „მისი თაობის რობ-
ერტა ფლეკსაც“ კი უწოდებენ.

46

მცაცენტოს ისხინქი

– ამაზე მაშინ უნდა გეფიქრა,
როცა გაას მიჰყვებოდი ცოლად! –
მანც არ დაუთმო მეგობ. – არ გახ-
სოვს, ცაში როგორ დაფრინავდი?..
ჩემი ქმარი ვილაც პიჭონი კი არ არის,
იმედის მომცემი მეცნიერი...
– კარგი, კარგი! – თავი ხელეშში
ჩარგო ანიმ. – ყველაფერი მახსოვს,
მაგრამ დავიღალე, მართლა ძალიან
დავიღალე...
42



გაუმარჯოს იუნილარ რევოლუციას ახე „ცაში, ნაცონენო, ცაში..“



თვალის დახამხამებაში გაირბინა ერთმა წელიწადმა... თითქოს გუშინ იყო, პარლამენტის შენობაში რომ შევცვივლით და ქვა ქვაზე (უფრო სწორად, დეპუტატი სკამზე) არ დავტოვებთ. მერე ყველაფერ ამას „ვარდების რევოლუცია“ ვუწოდებთ და სავერდოვანი გამარჯვებაც ვიზიემით... მაგრამ ის ზეიმი რა ზეიმი, იმასთან შედარებით, რაც 1 წლის იუბილესათვის მომზადდა! ჯერ მარტო პარლამენტის წინ იმოდენა შადრევანი გაკეთდა, რომ ამ ქვეყანაში წყალი თუ ვინმეს გრაფიკით მიეწოდება, ვერც კი წარმოიდგენ. რა თქმა უნდა, აქვე კითხვაც გაჩნდა – ამ შადრევნის ფული საიდანო?... მაგრამ პასუხიც მოხდენილი მოჰყვა – შემოწირულობებით, ბატონო, – და სიაც კი წარმოადგინეს, თუ ვინ რამდენი ლიტრი წყალი შემოსწირა.

ცოტა არ იყოს, ამინდმაც გვიმტყუნა; გვიმტყუნა კი არა, ისეთი წვიმა და გრივალი იყო, ასეთი ამინდი შარშან ამ დროს რომ ყოფილიყო, შესაძლოა, რევოლუციას ჩაიღურის წყალიც კი დაეღია. მიმდის ამის თქმა, მაგრამ ფაქტია, რომ წლიგანდელი წლისთვის დაგეგმილ კონცერტებს, ღონისძიებებს, მიღებებს, გამოფენებსაც გამოუჩნდნენ მოწინააღმდეგეები: რაში ვხარჯავთ ამდენ ფულს?... არაფერი გაკეთებულა და რა გვედღესასწაულებათ!.. მაგრამ ზედმეტი არც კრიტიკა ვარგა, ბატონებო. რას ჰქვია, არ გაკეთებულა! რომელი ერთი წარმატება ჩამოგითვალთ, რაც ამ ერთ წელიწადში მოხდა!..



თვითონ ადამიანია (რა თქმა უნდა – ყველა არა) თავისი ბუნებით უმადური, თორემ, რა აქვს საწუწუნო?... როცა შუქი უწყვეტად მიეწოდება, იმას ტირის – გადასახადს ვერ ვიხდიო... შუქი არა აქვს და – სიბნელეში ვზივარო!.. აა, ახლა ეგრე სადააო, ძმაო?! სინათლეში ჯდომას და ვერგადახდას არ სჯობს, ივლე მშვიდად ბნელში, ვარდების სურნელით გაბრუნებული და შუქის ვალი ხმალივით არ გედოს კისერზე?

გნებავთ, ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა ავიღოთ: ხომ ხედავთ, როგორი პრესტიჟული გახდა სამხედრო სამსახური! ადრე ძალით მიერეკებოდნენ წვეკამდელებს, ახლა კი, დეპუტატი ან მინიმუმ, თავდაცვის მინისტრის ძმა მანც უნდა იყო, რომ სამხედრო ფორმის ჩაცმას ედრისო. რეზერვისტებს ხომ ვიმარაგებთ და ვიმარაგებთ! მართალია, ამით იმ კომბლეს ვგავართ, კომბლეს რომ თლის და ჭერში აწყობს, ცხვრები კი კარგა ხანია, შეუჭამეს, მაგრამ კომბლებით სავეს სხვენი რომ გვექნება, მანც იმედია...

ახლა კრიმინოგენურ ვითარებას და ადამიანის უფლებების დაცვას გადავხედოთ: იფ, რა შედარებაა! გადახალისდა ციხეკოლონიების კონტინგენტი. ადრე თუ მხოლოდ ყაჩაღები და ხულიგნები იხდნენ, ახლა სულ მინისტრები და დეპუტატები

სხედან, რითიც საქართველომ პატიმართა ინტელექტისა და ერუდიციის მიხედვით პირველი ადგილი დაიკავა მსოფლიოში.

საზოგადოებრივ წესრიგს კი საპატრულო პოლიცია იცავს და მერე როგორ! მალე თურმე თითოეულ „მარშრუტკაშიც“ კი იმგზავრებს თითო პატრული, რომ ფაქტზე დაიჭიროს ჯიბგირი. მაგრამ იმ ჯიბგირსაც რომ არ შეემინდეს და თამამად ჩაუყოს ხელი ვინმეს ჯიბეში, პატრულს თურმე ძველი პოლიციელის ფორმა ეცმება...

თვითონ პატრულს კი, უფლება აქვს, ჯერ სიტყვიერი შენიშვნა მისცეს ჯიბგირს, მერე კი ხელბორკილიც დაადოს; ხოლო თუ ჯიბგირი პატრულზე უფრო ძლიერი აღმოჩნდა და ხელში დანაც დაიჭირა, პატრულს უკვე სრული უფლება ექნება, არ დაარღვიოს ადამიანის უფლებები და გადაჯდეს მეთრე „მარშრუტკაში“... ა, სად იყო ასე რევოლუციამდე?..

ფინანსურმა წარმატებებმა ხომ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა: უკვე ახალი 50 და 100-ლარიანი კუპონებიც გამოუშვეთ, რომლებსაც პოლოგრამაც აქვს, მონოგრამაც და მგონი – ფონოგრამაც. მართალია, ეს გაცილებით მეტ ხარჯთან ყოფილა დაკავშირებული და თითო ასლარიანი კუპონის დაბეჭდვა 120 ლარი დამჯდარა, მაგრამ სამაგიეროდ, მათი გაყალბება შეუძლებელია.

რაც შეეხება რევოლუციამდელ პრობლემას – პენსიებს, ესეც მოგვარდა და ახალი წლიდან, 28 ლარი გახდება. მართალია, ეს არა დაფინანსების გაზრდის, არამედ პენსიონერთა რაოდენობის შემცირების ხარჯზე მოხდება, მაგრამ რას იზამ – „ცხოვრება ხომ ბრძოლაა გადარჩენისათვის“!..

ეს ყველაფერი ცოტაა ერთ წელიწადში?... რა თქმა უნდა, ბევრია, მაგრამ კაცს თუ არ გინდა დანახვა, ვერც დაინახავ ჩვენ კი, ვხედავთ და გვაცადეთ, ბატონო, გვაცადეთ!..

P.S. პრეზიდენტს „წარმოებულია საქართველოში“-ს გამოფენაზე ფესხსაცმელი აჩუქეს:

– შეიძლება ითქვას, ჯადოსნური ფესხსაცმელია, ბატონო პრეზიდენტო: თერმორეგულატორი აქვს და ავსტრალიაში გრილია, გრენლანდიაში – თბილი, დასავლეთ ევროპაში – ზომიერი. თანაც უცვეთ ძირზეა...

– ოოო!.. არ ვაპირებდი, მაგრამ როგორც ჩანს, მორიგი ტურნეს მოწყობა მომიწევს მსოფლიოს გარშემო და ქართული ნაწარმით მოგზაურობას უკრაინიდან დავიწყებ...

პროპოკატორი

მანდელა - მთმგმიანი საჯაქტო ნიშანი

აპარტიდის წინააღმდეგ შეუბოვარი მებრძოლის, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ექსპრეზიდენტის ნელსონ მანდელას პოპულარობა აფრიკის ქვეყნებში იმდენად დიდია, რომ მისი სახელის გამოყენება, ბიზნესში წარმატების მიღწევის საფუძვლად ქვეულა. ჰოდა, ვისაც არ ეზარება,



ყველა იყენებს, საკუთარი პროლუქციის, მომსახურებისა თუ აქციის სარეკლამოდ. მაგრამ ეს ძლიერ ადამიანებს ნელსონ მანდელას ფონდს, რომელიც აცხადებს იმის პრეტენზიას, რომ მისი სახელის, როგორც საფირმო საჯარო ნიშნის გამოყენების ექსკლუზიური უფლება ჰქონდეს. უფრო მეტიც - ფონდი აპირებს, დააბატენტოს მანდელას სატომე სახელი - როლინგლად (პოლიტიკოსი სამხრეთ-აფრიკული ტომის - კოსას მკვიდრია) და მისი საცისო ნომერიც კი - 46664.

ეს ნომერი უკვე გამოუყენებია შიღსთან მებრძოლ საზოგადოებრივ ორგანიზაციას, საქველმოქმედო კონცერტის სარეკლამოდ. ერთ-ერთ ფირმას კი, მანდელას პორტრეტით დამშვენებული მონეტები გამოუშვია და თავის სატელეფონო ნომრადაც, 46664 დაურეგისტრირებია.

მანდელას ფონდის მონაცემებით, ექსპრეზიდენტის სახელი სამხრეთ აფრიკაში ამაჟამად მოქმედი 200-მდე კომერციული ორგანიზაციის სახელწოდებაში ფიგურირებს. ფონდის გამოთვლებით, ამის შედეგად, მან უკვე ასიათასობით დოლარი იზარალა. „ჩვენ ყველა მათგანს მივწერეთ და ვთხოვეთ, შეეცვალა საკუთარი სახელწოდება, - აცნობა მედიის მუშაკებს ფონდის აღმასრულებელმა დირექტორმა ტიმ შოლტცმა და დასძინა: - როცა მანდელას სახელს ქუჩას არქმევენ, ამის გამო არანაირი პრეტენზია არ გვიჩნდება. მაგრამ როცა მის სახელს კომერციული მოგების მიზნით იყენებენ, ეს სულ სხვა რამაა...“

„სამომხმარებლო ფასები 12 პროცენტით გაიზარდა“

— მოხდა თუ არა მნიშვნელოვანი გარდატეხა რეგულაციის შემდეგ, ქართულ ეკონომიკაში?

სანდრო თვალჭრელიძე, ეკონომიკური ექსპერტი:

— ვინაიდან საკანონმდებლო დონეზე არაფერი შეცვლილა, რადიკალური გარდატეხის მოლოდინი არც უნდა გვქონოდა. ვერა და ვერ მიიღეს საგადასახადო კოდექსი, იგვიანებს ფინანსური ამნისტია, რაც მეწარმეების შესახებ კანონიც; დაურეგულირებელია ბიზნესმენებსა და ხელისუფლებას შორის ურთიერთობა, რაც მეწარმეებისა და საქმიანი ადამიანების ზედმეტი სიფრთხილის საფუძვლად რჩება. ბიუჯეტის გაზრდა ჩრდილოეთი ეკონომიკის მცირე ნაწილის ლეგალიზაციის ხარჯზე მოხდა და არა ეკონომიკური ზრდის წყალობით. აღსანიშნავია, რომ საბაჟოზე უფრო მეტი გამჭვირვალობა შეინიშნება, რამაც სახ-

ელმწიფო ბიუჯეტის ზრდას შეუწყობ ხელი. მაგრამ თუ დროულად არ დაიწყო ბიზნესსექტორისთვის მისაღები ეკონომიკური პოლიტიკის გატარება, მთავრობა გაზრდილი ბიუჯეტით ვედარ იამყებს, რადგან ბიუჯეტის შევსების დღემდე არსებული რესურსი ამოიწურება. ახალმა ხელისუფლებამ შეძლო კონტრაბანდის ნაწილობრივ შემცირება და ეროვნული ვალუტის ხელოვნურად გამყარება. ეს ერთი მხრივ, პოზიტიური ტენდენციაა, მაგრამ მეორე მხრივ, მძიმე ტვირთად დააწვა ჩვეულებრივ მოქალაქეებს. ჩემი გათვლებით, ამის გამო, სამომხმარებლო ფასები 12 პროცენტით გაიზარდა, ოფიციალური სტატისტიკით კი - მხოლოდ 8 პროცენტს ასახელებენ. ფასების ასეთი ზრდა თუ არ შეჩერდა, არა მხოლოდ დარიბი ფენა - საშუალო შეძლების ადამიანებიც კი მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდებიან.

„კონტრაბანდული ტვირთი უამოვლითი გზებით უამოდის“

— უკანასკნელ პერიოდში ხშირად საუბრობენ იმაზე, რომ შიდა ქართლში კონტრაბანდის შემოდინება არ შეჩერებულა; ბრალდებები ისმის გუბერნატორ მიხეილ ქარელის მისამართითაც...



ირაკლი ოძრუაშვილი, შს მინისტრი:

— უნამუსობაა, მიხეილ ქარელის დადანაშაულება იმაში, თითქოს ის კონტრაბანდშია ჩაბმული; შიდა ქართლის გუბერნატორი საქართველოს ხელისუფლებაში ერთ-ერთი ყველაზე წესიერი და კანონმორჩილი ადამიანია. რაც შეეხება კონტრაბანდული ტვირთის მოძრაობას, არსებობს ტვირ-

თი, რომელიც როკის გვირაბიდან შემოდის და ქართული სოფლების გავლით, ცხინვალისკენ მიემართება. თუ ჩვენ მოგვითხოვენ ამ გზის გადაკეტვას, მზად ვართ, შევასრულოთ. მაგრამ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, თუ ამ ნაბიჯს რა შედეგები შეიძლება მოჰყვას. ეს იქნება ცხინვალის სრული ბლოკადა, რაც მისი მოსახლეობის შიმშილს მოიტანს... მართალია, კონტრაბანდული ტვირთის პატარ-პატარა პარტიები ცხინვალისკენ შემოვლითი გზებით, როგორც თბილისამდე, ასევე საქართველოს სხვადასხვა რეგიონამდე აღწევს, მაგრამ ჩვენ ამ ტვირთის ამოსაღებად, მის შესაჩერებლად სერიოზულ ზომებს ვიღებთ. თვითონ მიხეილ ქარელი ბევრს აკეთებს კონტრაბანდის გადასაკეტად. ეს არის რთული და შრომატევადი პროცესი, სადაც უამრავი ნიუანსის გათვლაა საჭირო, ამიტომ შედეგს თანდათან, ეტაპობრივად მივალწევთ. საჯარო პირებს კი, რომლებიც მხოლოდ პიარის მიზნით ესტუმრებიან ხოლმე ლიახვის ხეობას, არასერიოზული და უსაფუძვლო ბრალდებებისგან თავის შეკავებას ვურჩევდი.

„ნასრონალები“ გარკვეული ნაწილი ჟვანიას გამო პარტიას ტოვებს“

— სახელისუფლებო პარტიაში გაერთიანებაზე ნინო ბურჯანაძემ უარი განაცხადა. პოლიტიკურ წრეებში პარლამენტის თავმჯდომარის გადაწყვეტილებას დემარშის კვალიფიკაციას აძლევენ...

კობა დავითაშვილი, „კონსერვატორების“ ლიდერი:

— ჟვანია-საკაშვილის გუნდების გაერთიანება, ხელისუფლების ყველაზე დიდი შეცდომაა. ეს გადაწყვეტილება არაერთ „ნაციონალს“ აიძულებს, ხელისუფლების რიგები დატოვოს და სხვა პარტიაში გაწევრდეს, რადგან „ნაციონალებს“ ჟვანიას მიმართ ისეთივე დამოკიდებულება აქვთ, როგორც ექსპრეზიდენტ შევარდნაძისადმი ჰქონდათ. სახელისუფლებო პარტიის რღვევის უკვე ოფიციალური დადასტურებაა ბურჯანაძის ნაბიჯი. დღეს უკვე თამაშად შეიძლება ითქვას, რომ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ „მოქცავშირის“ ბედს გაიზიარებს. ძალზე მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ სახელისუფლებო პარტიის ყრილობაზე არც ერთი რაიონული ორგანიზაცია ძველი შემადგენლობით არ წარმდგარა. რაიონებში უკვე სერიოზული რღვევა დაწყებული და ამის მთავარი მიზეზი, ჟვანიას გუნდთან გაერთიანებაა, რომელსაც აქტიურად



აპროტესტებენ. აქ ხელისუფლებამ საკუთარ ხალხს არჩევანის საშუალება არ მისცა — ან ამ გაერთიანების მომხრე იქნებით, ან თქვენს ადგილს ის ადამიანები დაიკავენ, ვინც ამ ერთობას არ შეეწინააღმდეგებო... სწორედ ამის შედეგი იყო, რომ ყრილობის დელეგატთა დიდ უმრავლესობას, ახალი სახეები წარმოადგენდნენ. მათ შორის, შევარდნაძის მხარდამჭერებიც კი შევნიშნეთ... საერთოდ, ისტორიამ გვიჩვენა, რომ სახელისუფლებო პარტიების ჩამოყალიბება უპერსპექტივოა: ისინი სწრაფად იშლებიან. ■

„საკრებულო „ეტალონის“ გამარჯვებულს კომპიუტერით დაასაჩუქრებს“

— როგორც ვიცი, ყველაზე ეროვნული მედიაპროექტის — „ეტალონის“ გამარჯვებულისთვის საკრებულო სპეციალურ პრიზს ამზადებს. რამ განაპირობა თქვენი გადაწყვეტილება?

ზაზა გიგაშვილი, საკრებულოს თავმჯდომარე:

— თბილისის საკრებულოს საპრეზიდენტო უმრავლესობის წევრებმა გადაწყვიტეს, მხარი დაუჭირონ ამ პროექტს, რადგან ჩვენი მომავალი თაობის განათლებისთვის, მისი ცოდნისკენ შემობრუნებისთვის ძალზე მნიშვნელოვანია მსგავსი ინიციატივე-

ბის განხორციელება. წახალისების მიზნით პრიზების გადაცემა და ფულადი ჯილდოების დაწესება მოზარდებისთვის გარკვეული სტიმული იქნება. სწორედ ამიტომ, საკრებულოს საპრეზიდენტო უმრავლესობის წევრები „ეტალონის“ პირველ გამარჯვებულს საკუთარი ხელფასიდან შეძენილ კომპიუტერს გადასცემენ. ჩვენი თანამშრომლობა მომავალშიც გაგრძელდება, რადგან საკრებულო თავის უპირველეს მოვალეობად მიიჩნევს, მომავალი თაობის აღზრდა-განათლებაზე ზრუნვას. ■

კაზინოდან თახეუმის კამსლამდე...

ლუიზიანის შტატში, ერთ-ერთი ნაკადულის ბინადარმა თახეუმმა კამსლის ასაგებად სრულიად ახალი სამშენებლო მასალა — ფულის კუპონები გამოიყენეს. მათ განკარგულებაში სოლიდური თანხა — 75 ათასი დოლარი აღმოჩნდა, რომელიც ქალაქ გრინსპურგის კაზინოდან ბოროტმოქმედებმა გაიტაცეს და დროებით, ნაკადულთან ახლოს გადაამალეს.

პოლიციამ დამნაშავეებთან კავშირში ეჭვმიტანილად ცნო კაზინოს დაცვის სამსახურის 25 წლის თანამშრომელი ქალი. სამართალდამცავთა თქმით, მან უსაფრთხოების კამერები გამოიყვანა მწყობრიდან და ამით მძარცველებს განზრახვა განახორციელებინა.

ბოროტმოქმედებმა შენობიდან ფულით გამოტენილი 3 დიდი პარკი გამოიტანეს და ქალაქიდან 50-ოდე კილომეტრში, ნაკადულთან ახლოს დააგდეს, იმ იმედით, რომ ცოტა ხანში მიაკითხავდნენ, მაგრამ მათ პოლიციელებმა დაასწრეს. ძებნის დაწყებიდან ცოტა ხანში, სამართალდამცავებმა ორ პარკს მიაგნეს, მესამის ძებნისას, თახეუმის მიერ აგებულ კამსლას მიაგნენ და მისი დანგრევისას აღმოაჩინეს, რომ საშენ მასალად ცხოველებს სწორედ მწვანე კუპონები გამოუყენებიათ. ■



ბრეტონული ჰამბურგერი სლის-გულგე ან უფუა

ამერიკული სწრაფი კვების ქსელში – Hardee's – აშშ-ის ისტორიაში ყველაზე კალორიული ჰამბურგერი დაამზადეს. მის „აქტივში“ 100 გრამზე მეტი ცხიმი და 1420 კილოკალორია და ის „მაკდონალდისს“ „ბიგ-მაკსაც“ ყველა მაჩვენებლით სჯავსის. როგორც ამერიკელები ამბობენ, ახალი ჰამბურგერი სიმამლისა და ღორმუცელობის ნამდვილ ძველს წარმოადგენს. ის ფუნთოშისგან, საქონლის ხორცის 2, ბეკონის 4 და ყველის 3 ნაჭრისაგან შედგება; ინგრედიენტებს შორის, კარაქი და მაიონეზიცაა. „მონსტრი-ფიკსურგერი“ – როგორც მას უწოდებენ – 7 დოლარი ღირს. მისი შეკვეთისას, მომხმარებელი ჩვეულებრივ, კიდევ, 2 დოლარად ღირებულ, „ფრის“ წესით შემწვარ კარტოფილსა და გაზინი სასმლის ნახევარლიტრიან ჭიქას



უკვეთს. „ფიკსურგერის დასაგემოვნებლად ორივე ხელი, სოლიდური მადა და მიზანსწრაფვაა საჭირო“, – აღნიშნულია Hardee's-ის რეკლამაში. მაგრამ დიეტოლოგები სერიოზულ შემოთვალს გამოთქვამენ ამ ახალი „ამერიკული ოცნების“ გამო და შეახსენებენ საზოგადოებას, რომ აშშ ისედაც მსოფლიოში პირველ ადგილზეა, ყველაზე მსუქანი ადამიანების რაოდენობით და გასუქების საწინააღმდეგო უამრავი კამპანიისა და გულ-სისხლძარღვთა დაავადებების წინააღმდეგ მიღებული სხვადასხვაგვარი ზომის მიუხედავად, სახიფათო ტენდენციას ვერაფრით უმკლავდებიან. ამავე დროს, ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ ცოტა ხანში, კომპანიას ბევრი მომხმარებელი უჩივლებს სასამართლოში, მისი ჯანმრთელობისთვის მიყენებული ზიანის გამო – ე.ი. იმავე პრეტენზიით, რომელიც არაერთხელ წაუყენებიათ „მაკდონალდისისთვის“.

„პრეზიდენტს სასამართლოში ვუჩივლებ“

— მიხეილ სააკაშვილმა თქვენი სუკის აგენტობაში დაგდოთ ბრალი და განაცხადა — ილია ჭავჭავაძე ცოცხალი რომ იყოს, შარაძეს ცოცხლად დაგლეჯდით... **ბურამ შარაძე**, პარლამენტის ყოფილი წევრი:

— მე რისთვის დამგლეჯდა? იმისთვის, რომ ილიას ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე ორტომეული დაეწერე?.. იმისთვის, რომ ჩემს პოლიტიკურ პარტიას მისი ცნობილი ტრიადა – „ენა, მამული, სარწმუნოება“ ჰქვია?.. თუ იმისთვის დამგლეჯდა, მართლმადიდებლობას რომ ვიცავ და საქართველოში იელოველების გაჭაჭანება არ მინდა?.. სააკაშვილმა ჩემზე და ილია ჭავჭავაძეზე ზიზღით ლაპარაკით, კიდევ ერთხელ მოიჭრა თავი საზოგადოებაში.

მი. რაც შეეხება სუკის აგენტობაზე საუბარს – მე ამ ბრალდებას უყურადღებოდ ვერ დავტოვებ. კონსულტაცია მივიღე ოურისტებისგან, მათ მიჩივს, მოვიპოვო სააკაშვილის გამოსვლის ვიდეო, აუდიო და სტერეოჩანაწერები და მათ საფუძველზე თუ დადასტურდა, რომ პრეზიდენტმა უშუალოდ მე მომიხსენია სუკისა და ცეერ-უს აგენტად, მიხეილ სააკაშვილს ამის გამო პასუხს მოვთხოვ – შევიტან სარჩელს სასამართლოში. პრეზიდენტმა ან დადოს მაგვიდაზე დოკუმენტები იმის შესახებ, რომ მე ვარ აგენტი, ან მთელ საქართველოს ფეხზე დავაყენებ და დავანახებ, სინამდვილეში ვინ არის სუკის და ცეერ-უს აგენტი – მე თუ ბატონი პრეზიდენტი.

„რუსეთს, როგორც წესი, ეგობრობა არ შეუძლია“

— აფხაზეთის პოლიტიკური ლიდერების გამოსვლებში უკვე აშკარად შეინიშნება რუსეთის მიმართ გაღიზიანება. თქვენი აზრით, გახდება თუ არა ეს „უფროს ძმებთან“ აფხაზეთის განხეთქილების მიზეზი?

რამაზ საყვარელიძე, პოლიტოლოგი:

— აფხაზეთმა უკვე დაინახეს, თუ რეალურად რა მიზნები აქვს რუსეთს მათ ტერიტორიასთან მიმართებაში. ბალაფში ღიად აცხადებს, რომ არ შეიძლება, ერს ისე მოექცე, როგორც რუსები ექვევით აფხაზეთს... აფხაზეთში კრემლის მიმართ ასეთი, უარყოფითი განწყობის გაჩენას კონკრეტული მიზეზები ჰქონდა. არა მხოლოდ პოლიტიკოსებმა, არამედ რიგითმა მოქალაქეებმაც დაინახეს, რომ რუსები მათ საკუთარი მიზნებისთვის გამოიყენებენ და შემდეგ, მიატოვებენ, ხოლო თუ დასჭირდათ, თითოეულ აფხაზს ისე გაწირავენ, როგორც ბესლანის ტრაგედიის მსხვერპლთ. მიუხედავად ამისა, აფხაზეთს კრემლთან ურთიერთობის გაწყვეტა მაინც არ შეუძლიათ, რადგან ისინი ევოპოლიტიკური თვალსაზრისით, გამოუვალ მდგომარეობაში იმყოფებიან. მათი დამოუკიდებლობა არც არავინ ცნო და არც არავინ აპირებს, ცნოს; მათ კაპრიზებს მხო-



ლოდ რუსეთი უბამს მხარს. ამიტომ იბულებული არიან, რუსეთთან კონსენსუსის მიღწევა შეძლონ. მაგრამ გულუბრყვილობა იმაზე ფიქრი, რომ მოსკოვთან ხანგრძლივი დროით მეგობრობას შეძლებენ. მსოფლიოში თითზე ჩამოსათვლელია ერები, რომლებიც რუსეთში მეგობარს ხელავენ. რუსეთს, როგორც წესი, მეგობრობა არ შეუძლია. აფხაზეთმა ეს უკვე საკუთარ თავზე გამოსცადა, რასაც მოჰყვა 3 ოქტომბრის არჩევნები და ის დაპირისპირება, რომლის ფინალი შესაძლოა, აფხაზეთისთვის ტრაგიკულიც კი აღმოჩნდეს...

თუ ღმერთმა დაგაჭირვათ პატრულის დახმარება, 022 აკრიბეთ და თუ თქვენს საშველად მომხიბვლელი ქალბატონი მოიჭრა — ნუ შეცბებით, შეგიძლიათ, თავისუფლად მიენდოთ მას. პოლიციელი ქალბატონის ლიზა პარკაშულის „პაზივნი“ (ქართულად — საძახილი) 172-ია, საყვარელი ფილმი სავარაუდოდ, „პოლიციის აკადემია“ უნდა იყოს... „უშიშო, ვითარცა უხორცო“ „პოლიციის პირველი ლედი“ ან პოლიციის სიამაყე, როგორც მას უწოდებენ, ჯერჯერობით, კაპიტანია და ნებისმიერი ჯარისკაცის არ იყოს, გენერლობაზეც ოცნებობს. ამ ქალბატონს სხვებისგან ძალზე საინტერესო მძაფრსიუჟეტური და არცთუ ისე ტყბილი წარსული გამოარჩევს.



„ზარალიანი ლიზა“ ჩასაფრება. „დაბოიმახული“ მძარცველი და... სხვა ფაქტორები

ნანა შიტხელაური

— კაპიტანო პარკაული, იქნებ, გვიამბოთ, რით და საიდან დაიწყო თქვენთვის ის „გაუგებრობა“, რასაც პოლიციელობა ჰქვია.

— თავიდან ვმუშაობდი შინაგან საქმეთა სამინისტროში, კანცელარიის უფროსად, პარალელურად ეკონომიკურზე ვსწავლობდი, შემდეგ — იურიდიულ ფაკულტეტზე ჩავაბარე. მესამე კურსზე ოფიცრობა მივიღე. ამას მოჰყვა რესპუბლიკის საგზაო პოლიციაში სისხლის სამართლის სამძებროს უფროსი ინსპექტორის ადგილი. შემდეგ, ადმინისტრაციული პრაქტიკის უფროსად დაინიშნე. მერე საგზაო პოლიციაში საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების მოკვლევაში, მერე გამომიძიებლად ვმუშაობდი, შემდეგ გადამიყვანეს საბურთალოს პოლიციაში, სადაც 14 წელს ვიმუშავე. მინდა გითხრათ, რომ ყველაფერს დამოუკიდებლად მივაღწიე. ბუნებრივ მატერიალისტი ვარ, რასაც ვაკეთებ, ხარისხიანად ვაკეთებ. რა თანამდებობასაც მთავაზობდნენ, დაუფიქრებლად მივიღიდი და მჯეროდა, რომ შევძლებდი. ყოველთვის ახლის ძიებაში ვიყავი და თავს გამოცდას ვუწყობდი. ბოლოს, როდესაც საგზაო პოლიციის უფროსად ვიბრძოდი დაინიშნა, ქალთა ოცმეთაურობა შემომთავაზა — ე.ი. გავხდი „ოცეოლა“ ა.წ. მისიდან უკვე საპატრულო პოლიციაში ვარ.

— მისაღები გამოცდები თქვენც ჩააბარეთ?

— 2004 წლის მაისის ბოლოს გაუქმდა ქალაქის საგზაო პოლიცია და ავტომატურად კადრების განკარგულებაში გადავიდი. პარალელურად გამოცხადდა მისაღები გამოცდები პოლიციის აკადემიაში. წარმატებით ჩავაბარე ხუთი გამოცდა.

— გამოცდაზე თქვენც ის ხომ არ გკითხეს — რას უზამთ პურის თუ ფუნთუშის ქურდსო?

— იყო მსგავსი კითხვებიც. კომისია უფრო მეტად, გარეგნულ მხარეს, სიმაღლეს, მეტყველების კულტურას და ფიზიკურ მომზადებას აქცევდა ყურადღებას. გავიარე ფსიქოლოგიური ტესტირებაც. გამოცდებზე ისეთი სიმკაცრე იყო, როგორც რუსულ ჯარში. ბევრი ვირბინეთ და მიზანშიც ვისროდი.

— თქვენი აზრით, რა განსვავებია ძველ საგზაო პოლიციასა და ახალ საპატრულო პოლიციას შორის?

— 20 წელი ვიმსახურე იმ სამსახურში. მართალია, ყველაფრის იგნორირება არ იქნება, მაგრამ არც შედარება შეიძლება. კონტინგენტიც გაცილებით ნორმალურია. ადრე თუ პოლიციელობა უნდა დაგეგმავა, ახლა ის საამაყოა. თუმცა, მე მაშინაც ვამაყობდი ჩემი პროფესიით. ხშირად უკითხავთ, არ გიჭირსო? არ მიჭირდა იმიტომ, რომ ძალით არსად არავის წავუყვანივარ. იქ თუ ერთი კონკრეტული საქმე და თანამდებობა გქონდა, აქ ყველაფერი ერთად არის თავმოყრილი, ყველაფერი გეხება.

საჯალალთ სცადისცია

ბრიტანული „დეილი მირორის“ ფურცლებზე გამოქვეყნდა იმ ქვეყნების ნუსხა, რომლებიც 2003 წლის მაჩვენებლების მიხედვით ლიდერობდნენ ჩადენილ მკვლელობათა რაოდენობით. როგორც გაზეთი იტყობინება, პირველ ადგილზე კოლუმბია იმყოფება — ყოველ 100 ათას მოსახლეზე, 63 მკვლელობა. მეორე ადგილზე სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაა (51). ჩვენი ჩრდილოელი მეზობელი ამჯერად, მეხუთე ადგილზე აღმოჩნდა (19) და რუს სამართლისმცოდნეთა აზრით, ეს კარგი მაჩვენებელია, რადგან 2001 წელს ქვეყანა მკვლელობათა რაოდენობით მეორე, ხოლო 2002 წელს — პირველი გახლდათ...

„დეილი მირორის“ პუბლიკაცია მხოლოდ მარტივი სტატისტიკით როდი შემოიფარგლება — მას დანაშაულებათა ეროვნული სპეციფიკაც გამოჰყავს და ასეთ დასკვნებს აკეთებს: შვეციაში ბოროტმოქმედები უმეტესად, შეიარაღებულ მარცვაში არიან დახელოვნებულნი, დანიაში — ქურდობაში; იტალიაში თურმე, მკვლელობათა 13%-ს ქალები სჩადიან; აშშ-ში უმეტესად, ცეცხლსასროლი იარაღით კლავენ ადამიანებს, კანადაში — დანით, რუსეთში კი — სამზარეულო დანით(!)... შარშანდელი წლის მანძილზე, მსოფლიო მასშტაბით სულ 450 მილიონი დანაშაულია რეგისტრირებული... დაბოლოს; ყველაზე მეტი პატიმარი (ყოველ 100 ათას მოსახლეზე — 710 ადამიანი) — აშშ-ს ჰყავს.

მხატვარი ძალი ბიუტლემ მთვლა?..

ტრაგიკული ბედისა და უჩვეულო ბიოგრაფიის მქონე, მექსიკელი მხატვარი ქალის ფრიდა კალოს (მის შესახებ წინათ, ვრცლად მოუთხრობდით ჩვენს მკითხველს) გარდაცვალებიდან 50 წლის შემდეგ, მის სამშობლოში, აშშ-სა და ესპანეთში გამოვიდა მისი დისშვილის იზოლდა პინელის წიგნი — „უძვირფასესი ფრიდა“, რომელშიც სენსაციური ვერსიაა გადმოცემული. აქამდე დამტკიცებულად ითვლებოდა, რომ კალო პნემონიისგან გარდაიცვალა. მაგრამ ახლა, მისი 75 წლის დისშვილი, რომელიც 1954 წლის ივლისამდე, თავის დედასთან ერთ სახლში ცხოვრობდა, მის მკვლელობაში ფრიდას ქმარს, მხატვარ დიეგო რივერას ადანაშაულებს. ის წერს,

რომ ბავშვობაში გადატანილი პოლიომიელიტისა და შემდგომ, ავტოვარიაში მოხვედრის შედეგად, ხერხემლის არეში დარჩენილი ძლიერი ტკივილებისა და გაუტკივარების საშუალებების ჭარბად მოხმარების გამო, უკანასკნელი დღეები ფრიდამ კომპოზიტივ მდგომარეობაში გაატარა. ერთ დღეს, აცრემლებულ დიეგოს უთქვამს: რომ შექმედოს, მოკვლავი და ტანჯვისგან გაავთავისუფლებდიო... წიგნში მოყვანილია აგრეთვე, მხატვრის ნემსის ექსპერტიზის შედეგები, რომლებშიც აღნიშნული იყო, რომ კალოს სისხლში დიდი რაოდენობით მორფინი აღმოაჩინეს, და აგრეთვე, ფრიდას დღიურში გაკეთებული ჩანაწერი, სადაც ის წერს — „არ ვიცი, რას მირევენ საკვებში...“

აუცილებელია აღინიშნოს, რომ იზოლდა პინელო და სხვა ნათესავები დაუფარავად აცხადებენ — რივერას მიმართ ბრალდებების წაყენებისას, არაპირდაპირი სამხილები გვაქვსო. წყვილთან დაახლოებული ბევრი ადამიანი კი ირწმუნება, რომ ფრიდას გარდაცვალების დღეს, ყველასათვის ცნობილ, მათ ლურჯ სახლში დიეგო საერთოდ არ იმყოფებოდა, მხატვარი ქალის სიკვდილს კი, მისმა ღვიძლმა დამ შეუწყო ხელიო. თუმცა, ყველაზე მართებული ვერსია მაინც ისაა, რომ ფრიდა კალომ, რომელიც მთელი ცხოვრების მანძილზე მძიმე სნეულებებით იყო დაავადებული, ბუნებრივი სიკვდილით გარდაიცვალა. იზოლდა პინელო კი, ვერაფრით ხსნის იმას, თუ რატომ მალავდა, მისი თქმით, „ყველაზე დიდ ოჯახურ საიდუმლოს“ ამდენი ხანი და მანცდამანც ახლა რატომ გადაწვევდა, ფარდა აეხადა მისთვის... ბევრს მიაჩნია, რომ ამის მიზეზია, ორიოდე წლის წინ დაწვეული „ფრიდომანია“, რომელსაც დასაბამი მისცა პოლიუელში გადაღებულმა ფილმმა — „ფრიდამ“, სადაც მხატვარი ქალი სელმა ჰაიეკმა განასახიერა.



ფრიდა კალო და დიეგო რივერა

— საქმის ჩანაწერს ან დიდი კაცის სახელის სხენება აღარ ჭრის?

— არა-მეთქი, რომ ვთქვა, მთლად მართალი არ ვიქნები. ყველანი ერთმანეთის ნაცნობ-მეგობრები ვართ. გარკვეულწილად, სულ ცივისისხლიანად და მხოლოდ გონებით მოქმედება არ შეიძლება. ადამიანმა ადამიანს რაღაც უნდა აპატიოს, არა იმიტომ, რომ ვიღაცის ნაცნობია, არამედ ისე, ადამიანურად. მიმაჩნია, რომ კაცმა უნდა იაროს არა სხვისი, არამედ საკუთარი სახელით. ბევრჯერ მიპატიებია, მაგრამ შეცდომაზე კი მიმიითებია.

— ყველაფრის მიუხედავად, მუსორგს აზრი, რომ ფულის გარეშე საპატრულო პოლიციაში მონაწილე შეუძლებელია. თუ ასეა, გამოდის, — სისტემა არ შეცვლილა. სადაც „ტრადიციებს“ არ ღალატობენ.

— ამას მეც მოკვარი ყური, მაგრამ არ მჯერა, თბილისის ჭორების ქალაქია. პატრულებზეც ამბობენ, ქრთამს იღებენო, მაგრამ ეს გამორიცხებულია. შესაძლოა, ეს იმათი გავრცელებული ჭორია, ვინც რამდენჯერმე სცადა პოლიციაში მოწყობა, მაგრამ ხელი მოეცარა.

— ამ 20 წლის მანძილზე, ყველაზე ბედნიერი რომელ პერიოდში იყავით?

— ყოველთვის ბედნიერი ვიყავი, როდესაც ერთი სამსახურიდან მეორეში გადავდიოდი. იმიტომ, რომ დაწინაურებით მივიდიოდი. ახლაც ბედნიერი ვარ.

— ბავშვობიდან გიზიდავდათ თუ არა ექსტრემალური სიტუაციები. რა თამაშებს თამაშობდით — „თოჯინობანას“ თუ „ომობანას“?

— პატარაობიდან, ბიჭების გარემოცვაში ვიზრდებოდი. ოდესღაც მიფიქრია, ვყოფილიყავი ნაზი, ნარნარი და პრეტენზიული, მაგრამ ვერ შევძელი, ყველაფერი „პოდნოსზე“ დაღებული მიმელო... თოჯინებით თამაში არ მიყვარდა, უფრო ბიჭური, თამაშები მიზიდავდა: ფეხბურთის ვთამაშობდი, ჭიდაობაზე დადიოდი, ველოსიპედით დავქროდი, „ომობანა“ და ხეზე ძრომიალი ჩემი სტიქია იყო. შშობლები „ქლაბიჭას“ მეძახდნენ, უბანში შერქმეული, „მარვლიანი ლია“ დღემდე შემომჩრა.

— კაბა მართლა არ მოიძიება თქვენს გარდერობში?

— კაბებს არ ვყვდულობ. მაქვს ერთადერთი საღამოს კაბა, რომელშიც თავს უხერხულად და შებოჭილად ვგრძნობ, დისკომფორტს განვიცდი — დაახლოებით ისე, ფეხსაცმელი რომ გიჭერს...

— როგორ ფიქრობთ — მონონთ თუ არა ქართველ მამაკაცებს ემანსიპირებული ქალები, ისეთ-

ბი, ვინც მათ ყველაფერში უტოლდებიან და ზოგჯერ სჯობნიან კიდევ?

— მსმენია, რომ მამაკაცებს არ მოსწონთ ფემინისტები და უპირატესობას ნაზ, ლამაზ და კარგ მეოჯახე ქალებს ანიჭებენ. ამავე დროს, ფარულად მოსწონთ ძლიერი და არაპრეტენზიული ქალები, ოღონდ ვერ წარმომიდგენია მამაკაცი, რომელსაც სურს, სახლში ჰყავდეს ქათამივით შტერი ქალი, რომელიც მხოლოდ ერთი მიმართულებით იყურება. მე მგონი, კაცს იმ შემთხვევაში არ სურს, გვერდით ძლიერი და ჭკვიანი ქალი ჰყავდეს, როცა ლამობს, მეუღლე მოატყუოს და სადმე გაძვრეს...

— ლია, ამ 3 თვეში სულ რამდენი ოპერაცია გაქვთ ჩატარებული?

— ჩათვალეთ, რომ რამდენი მორიგეობაც მქონია, იმდენი ოპერაცია ჩავატარებია, დღე-ღამეში თუ რამდენიმე არა, ერთი მაინც — აუცილებლად.



ვერ წარმომიდგენია მამაკაცი, რომელსაც სურს, სახლში ჰყავდეს ქათამივით შტერი ქალი...

— ძირითადად, რა საკითხებზე აწუხებენ მოქალაქეები პატრულს?

— აბსოლუტურად ყველაფერზე. იმხელა ნდობა აქვთ ჩვენი, ძალზე პირადული პრობლემების მოგვარებასაც კი გვთხოვენ. ყოფილა შემთხვევა, დაურეკავთ და უთქვამთ — კარი ჩამეკეტა და გამიღეთო... ერთს კანალიზაციის მილი გაუსკდა და პატრულს ითხოვდა... კაცს გაძარცვული ბინა ხვდება, ამის შესახებ წესით რაიონულ პოლიციაში უნდა განაცხადოს, მაგრამ ჩვენ გვიძახებს. ვუხსნით, მაგრამ არა — ჩვენ პატრული გვინდაო, — გაიძახიან...

— როსკიანი რომ ხართ, გეტყობათ, მაგრამ შიშიც ხომ არ გაგჩენიათ?.. იქნებ გაიხსენოთ პრაქტიკიდან ერთი მძაფრსიუფეტიანი შემთხვევა.

— როსკიანი კი არა, საშინლად რისკიანი ვარ. რომელი ერთი გავიხსენო?.. ერთხელ ქურდებმა ძალიან შემაწუხეს. მანქანა კორპუსის წინ მეყვნა და ყოველღამე, საწვავს მპარავდნენ. გადავწყვიტე,

ფაქტზე წამესწრო და ჩავუსაფრდი. ის ღროა, წყალსაც რომ ჩაეძინება – დაახლოებით ოთხის ნახევარი. ქურდებმა საწვავს აკუმულატორიც მიაყოლეს. იმდენად რისკიანი ვარ, იარაღი არ წამიღია თან, მხოლოდ „დუბინკას“ დავავლე ხელი. საქმეს რომ მორჩნენ, თავს დავესხი და „დუბინკა“ ფეხებში შემოვცხე. აკუმულატორთან ერთად გაიქცნენ. ჩემი კორპუსის იქით ტყეა და იქამდე ვღიე, თეთრი შარვლით. ხომ შეეძლოთ, მობრუნებულეყენ და ესროლათ, მაგრამ ვიცოდი, მათ ჩემზე მეტად ეშინოდათ. რომ დაინახეს – ვეწოდი, ნაქურდალი დაადგეს, მაგრამ ბედად, საბურთალოს პოლიციის მორიგე ვგუფმა გამოიარა შემთხვევით: დაუძახე და ორივე ქურდი დავაკავეთ. აღმოჩნდა, რომ ერთი მათგანი სამჯერ, მეორე კი – ოთხჯერ ნასამართლევი ყოფილა. მერე დავფიქრდი – ვის მივდევი, რომ მივდევი-მეთქი!.. ერთ შემთხვევასაც გავიხსენებ. ერთ ღამეს, სახლის ფანჯრიდან შევნიშნე, რომ ბიჭებმა ნაქურდალი საქონელი მეზობლის ღია სარდაფში ჩაზიდეს. ამოვიდნენ, მივხვდი, რომ მანქანის მოსაყვანად წავიდნენ. ავიღე ფარანი და სარდაფში ჩავიღი. ღამის ოთხი საათია. იქ მართლაც, საკმაოდ ძვირად ღირებული, ანტიკვარული ნივთები დამხვდა. თანამშრომელ ბიჭებს დაურეკე, იმაზე კი არ მიფიქრია, რომ შეიძლებოდა, ქურდებს დაეწვროთ მათთვის მოსვლა. საბედნიეროდ, ასე არ მოხდა და დამნაშავეები დააკავეთ. დაზარალებული კი, გერმანიის მოქალაქე აღმოჩნდა, რომელიც 3 წლით ჩამოსულიყო საელჩოში სამუშაოდ. თურმე მისთვის მანქანაც გაუტეხავთ. გერმანელი განყოფილებაში მისულიყო და ჭკუაზე არ იყო აღელვებისგან!..

— **ლია, თქვენთვის აუცილებელია სპორტულ ფორმაში მუდმივად ყოფნა. ვარჯიშს თუ აგრძელებთ?**

— ჩემთვის, დამოუკიდებლად ვვარჯიშობ. არ დარჩენილა სპორტის სახეობა, რომელზეც არ მივლია, სამოსა და ძიუდოს ჩათვლით. ერთადერთზე – ვერტმფრენის მართვაზედა ვოცნებობ!..

— **რა ხასიათზე დგებოდნენ თქვენი შემხედვარე, ოჯახის წევრები და ნათესავები?**

— და-ძმამაც, მშობლებმაც და ყველამ ჩათვალეს, რომ შეურაცხადი ვიყავი და როგორც გიჟი, ჩემს ნებაზე მიმიშვეს, მიხვდნენ – ჩემთან ლაპარაკს აზრი არ ჰქონდა. ახლა პირიქით – ამაყობენ.

— **კაცი თუ გაგიღიხავთ?**

— რა თქმა უნდა, ძალია გამომიყენებია. ფიზიკური ძალის იმედი მაქვს. ამიტომაც არ ვიყენებ იარაღს. დამნაშავეს გამოვდეკნებოვარ, დამიჭერია და დამირტყამს კიდევ. რამდენიმე წლის



მივიღეთ ინფორმაცია, რომ გაგაცხებული იყო სველი ასფალტის ფერი BMW-ს მარკის ავტომანქანას. პარლამენტარი სწორედ ამ ტიპის მანქანით იყო...

წინ, ჩემს ბინაში ქურდი დავიჭირე. პირველ სართულზე ვცხოვრობ. ღამით ტელევიზორს ვუყურებდი და ფარდაზე კაცის ლანდი შევნიშნე. ჩუმად მივეპარე, მაგრამ აივნიდან გადახტა; საყვლოში ვწვიდი და პერანგი შემოვახიე... იმ პერიოდში, ჩემს კორპუსში 4 ბინა გატეხეს. აღწერილობით მივხვდი, რომ ის სწორედ „ის“ იყო და სად გაუშვებდი? მეხვეწებოდა – პერანგი მომეციო, – მე კი, ჩემი ქალობა გამოვიყენე, გავეფარცქვალე და შინ შევიტყუე... მანამდე, შემოსასვლელიდან „ნარუნჩიკები“, „დუბინკა“ და ფორმა საძინებელში შევყარე... „ჭამა“ გოიმმა, და შემოვიდა, მისი ჭკუით, ერთ ჩვეულებრივ, „შორტიკებიან“ ქალთან. როგორც კი საკარბელში ჩაჯდომა დააპირა, დავკვილე – არ გაბედი, დაბლა დავექი-მეთქი!.. მკერდზე „დედა“ ჰქონდა ამოსვირინებელი. – დედა გიყვარს, შენი დედა-მეთქი!.. – და იმდენი ვურტყი, მეზობლების ჯავრიც ამოვიყარე. შემინებულმა, ჩაისველა... პოლიციის განყოფილებაში ჩემზე უთქვამს – ვინ იყო ის გიჟი!..

— **როგორ გრაფიკით მუშაობთ?**

— ვმუშაობ ყოველ მესამე დღეს, 24 საათის განმავლობაში 8-დან 8 საათამდე. მერე მივდივართ, ვრეცხავთ მანქანას და მეორე ცვლას ვაბარებთ.

— **უძილობა ქალის სახის კანზე ცუდად მოქმედებს... ეს არ განაღვლებთ?**

— უძილობა არა მარტო კანზე, არამედ თავის ტვინზე და საერთოდ, ფსიქიკაზეც მოქმედებს. ალბათ ამასაც მიჩვევა უნდა. რომ ვთქვა, ძილის გატეხით ალფრთოვანებული ვარ-მეთქი, მოგატყუებთ, მაგრამ მსუბუქი მაკაიჟის გაკეთებას და თავის წესრიგში მოყვანას ყოველთვის ვახერხებ, ჯინჯილებისა და „ჩინ-მეღლების“ ტარება და საჭესთან ჯდომისას, პირში სიგარეტის გაჩრა კი, პოლიციელის „ჩარჩოებში“ არ ჯდება და უღამაზოცაა.

— **რა იარაღი გაქვთ და თუ გამოგიყენებიათ?**

— „ბერეტა“ და როგორც მონადირეთა კავშირის წევრს – თოფიც. სამსახურში ისრაელის წარმოების ტაბელური იარაღი „იერიხო“ დავკვირეგეს. აკი გითხარით, იარაღი არასოდეს გამომიყენებია – ადამიანისთვის არ მისვრია – მხოლოდ გამაფრთხილებელი გასროლა, ხუტა უფროსივით – პირდაპირ ფეხებში!..

— **ამას წინათ, ნასვამი პარლამენტარი შეიპყარით. როგორც ჩანს, კანონი უკვე ყველასთვის კანონობს...**

— იმ საღამოს მივიღეთ ინფორმაცია, რომ გატაცებული იყო სველი ასფალტის ფერი BMW-ს მარკის ავტომანქანას. პარლამენტარი სწორედ ამ ტიპის მანქანით იყო. ისეთი სისწრაფით ჩავკვიროლა, თითქოს „ბონივით“ მიფრინავდა... წყნეთამდე ვდიეთ და ძლივს ვიპოვეთ. ნასვამი გახლდათ და მართვის მოწმობაც არ აღმოჩნდა. ვუთხარი – ნარკოლოგიურში უნდა წაგიყვანოთ შესამოწმებლად-მეთქი. სხვათა შორის, გაგებით შეხვდა ამ ცნობას... როდესაც ვინმე მანქანით გადაგვყავს, წესით, უკანა სავარძელზე უნდა დასვა. პარლამენტარს მხოლოდ ის შეღავათი გაუწვიეთ, რომ წინ, ჩემ გვერდით დავსვი. მთელი გზა იმას გაიძახოდა, თავი ამერიკაში მგონიაო...

— **თუ ყველაფერს გავითვალისწინებთ, ოჯახის საქმეები არც უნდა გახალისებდეთ და არც გეხერხებოდეთ...**

— როგორ გეკადრებათ! საკუთარ პერსონაზე ლაპარაკი მიჭირს, მაგრამ მიკვირს იმ ცნობილი თუ ნაკლებად ცნობილი ქალბატონების, რომლებსაც ეამყებათ, საოჯახო საქმეების თუ კერძების მომზადების არცოდნა და ჰყავთ დამხმარე ქალები. შემიძლია უგემრიელესი კერძების მომზადება. მაქვს კარგ დიასახლისობაზე პრეტენზია და დამხმარე ქალი კი არა, იქით დავხმარებ სხვას... ამჟამად სახლში იმუღებთი რემონტი მაქვს. ღებვაც მეხერხება და ნებისმიერი ელექტროხელსაწყოს შეკეთებაც. ■



ვინ არის შორენა ხუხუა

და რატომ გამოაცხადა პრემიერენტმა გმირად?

ლელა ჭანკოტაძე

შორენა ხუხუა:

— პედაგოგების ოჯახში დაიბადე და გავიზარდე. ჩემი მშობლები ფილოლოგები არიან. მამაჩემი აკადემიკოსია. მყავს სამი ძმა და ერთი და. მახსოვს, ეროვნული მოძრაობის პერიოდში, ჩვენს ოჯახზე საშინელი ტერორი ხორციელდებოდა. მამა იძულებული გახდა, საქართველოდან გადახვეწილიყო... კარგად მახსოვს ომისა და სიღუპის საშინელი პერიოდი, სკოლაზე ფეხით გავლილი კილომეტრები. მაშინ მივხვდი, რომ ადამიანი ამქვეყნად რაღაც მისიით მოდის, რაღაც უნდა გააკეთოს, რაღაც უნდა შეცვალოს. ყოველთვის მონდობებული და ენთუზიაზმით სავსე გახლდით. მეათე კლასში რესპუბლიკის მასშტაბით ჩატარებულ შემოქმედებით კონკურსში გავიმარჯვე. ამ კონკურსში მონაწილეობა რომ მიმეღო, მამასთან ერთად ფეხით წავედი ჩემი სოფლიდან სენაკში; 21 კილომეტრი გავიარეთ... სამწუხაროდ, ჩემმა ბავშვობამ, სკოლის წლებმა და სტუდენტობამ ქვეყანაში არსებული დაპირისპირებებისა და სამოქალაქო ომის ფონზე გაიარა. პირველი კურსიდანვე ეროვნულ მოძრაობაში ვიყავი ჩაბმული. სტუდენტობისას მუშაობა კერძო სკოლაში პედაგოგად დავიწყე და მას შემდეგ, რამდენჯერმე გამოვიცვალე სამსახური. როცა კლასში შევდიოდი, ყოველთვის ვგრძობდი, რომ რაღაც არ მაკმაყოფილებდა. უფრო მეტი მინდოდა. გაცილებით რთულ საქმეს მინდოდა, შევჭიდებოდი. ამიტომ, როცა მასწავლებელთათვის გამოცხადებული კონკურსის შესახებ გავიგე, გადავწყვიტე მონაწილეობა მიმეღო. შანსი მეძლეოდა, იმ ბავშვებისთვის მესწავლებინა ქართული, რომლებიც ჩვენი ქვეყნის ტერიტორი-

აზე ცხოვრობენ, მაგრამ სახელმწიფო ენა არ იციან.

— კონკურსის პირობების შესახებ გვიამბეთ.

— ეს არის პროექტი — „მომავალი იწყება დღეს“, რომელსაც ქალბატონი ბელა წიფურია ხელმძღვანელობს. პროექტს ახორციელებს განათლების სამინისტრო. კონკურსი გამოცხადდა, არაქართულ სკოლებში ქართული ენისა და ლიტერატურის, ისტორიისა და გეოგრაფიის პედაგოგების ვაკანსიების შესავსებად. ვფიქრობდი, რომ არანაირი შანსი არ მქონდა, ისეთი ძლიერი კონკურენტები მყავდნენ. პირველი ბარერი 240-მა პედაგოგმა გადავლახეთ, მათგან მხოლოდ 33 უნდა შეერჩიათ, ჯერ საბუთების, შემდეგ კი — „მოტივაციის ბარათის“ მიხედვით. ამ ბარათში გაცემული გვექონდა პასუხი კითხვაზე: რატომ მიდიხარ არაქართულ სკოლაში სამუშაოდ? რამდენჯერმე ჩავკითხარე გასაუბრება... ბოლოს აღმოჩნდა, რომ ერთ-ერთი გამარჯვებული მეც ვიყავი. როცა მკითხეს — რას გააკეთებ, კლასში რომ შეხვალ? — ვუპასუხე — არ ვიცი-მეთქი. მართლა არ ვიცოდი, რა უნდა გამეკეთებინა, ჩემი საგნით აზერბაიჯანელი ბავშვები რომ დამეინტერესებინა. გამანაწილეს სადახლოს სკოლაში. სადახლო საქართველოსა და სომხეთის საზღვარზე მდებარეობს. იქ რომ ჩავედი, გავოცდი. ისეთი განცდა მქონდა, თითქოს საქართველოში არ ვიმყოფებოდი. საქართველოში სადახლოს სახით, პატარა აზერბაიჯანი აღმოვაჩინე. ავტობუსიდან ფეხი რომ ჩამოვდგი, ჩემქვენ მომზირალი უამრავი თვალი დავინახე. იქვე ჩაიხანა ყოფილა, სადაც ქალებს არ უშვებენ და მხოლოდ მამაკაცები ისხდნენ. იმ ადგილას ბირჟაც არის. მამაკაცებს საქმი არა აქვთ,

ქალები კი თავდახრილები დღე და ღამე მუშაობენ. ამიტომ პირველად უამრავი კაცი დავინახე. ყველა გაიხუსა. თავდახრილი სკოლისკენ წავედი. სკოლა დაკეტილი აღმოჩნდა. მივხვდი, რომ მას სხვა შესასვლელიც ექნებოდა. ინტუიცია დამეხმარა და შენობის უკანა მხარეს ღია კარი აღმოვაჩინე. ეზოში უამრავი ბავშვი იდგა. გავიღიე და ვთქვი: „გამარჯობათ!“ თუმცა, წინასწარ ვიცოდი, რომ მათ არც ქართული ენა იცოდნენ და არც — რუსული. მე კი აზერბაიჯანულად ერთი სიტყვის წარმოთქმაც არ შემეძლო. ბოლოს ამოვიღე ფურცელი, რომელზეც სკოლის დირექტორის სახელი და გვარი მეწერა. ხმამაღლა წავიკითხე: ზარიად ხანილოვი! მიხვდნენ, რომ დირექტორს ვეძებდი. მოვკიდე ერთ-ერთს ხელი და ამით ვანიშნე, წამიყვანე-მეთქი. ისეთი განცდა მქონდა, თითქოს რობინზონ კრუსო ვიყავი...

— დირექტორი თუ ფლობს ქართულ ენას?

— არა. მთელ სკოლაში მხოლოდ ერთი ქალია, რომელმაც ქართული იცის. ის ქუთაისელია. სადახლოში გათხოვილა. სწორედ ის ასწავლიდა აქამდე ბავშვებს, თვითონაც აზერბაიჯანელია. ქართულად მხოლოდ საუბრობს, წერაკითხვა კი არ იცის. სწორედ მან მითხრა — სადახლოში ქალები შიმშველ მკლავებს არ ვაჩენთო... მას შემდეგ, იქ მოკლესახლოებიანი კაბით აღარ ჩავსულვარ. ვიცვამ ძალიან მოკრძალებულად, ისე, რომ ვინმე არ შეურაცხვეთ ან არ გავადიზიანო... საკმაოდ დიდი სკოლაა. აზერბაიჯანულ ოჯახებს ხომ ბევრი შვილი ჰყავთ. ამიტომ თითოეულ კლასში 35-37 მოსწავლეა და თან, ოთხოთხი კლასია გახსნილი — „ა“, „ბ“, „გ“ და „დ“. კლასში პირველად რომ

შევედი, ძალიან ვნერვიულობდი. ბავშვი გამოვიყვანე და ვკითხე: — „მე მქვია შორენა, შენ?“ ეს კითხვა ათჯერ-ოცჯერ რომ გავუშეორე მიხვდა, რასაც ვკითხებოდი. ეს ფრაზა მან აზერბაიჯანულად გადაითარგმნა. ჩავიწერე და დავიმახსოვრე, რათა სხვა კლასში გამომეყენებინა. თითო სიტყვა რომ დავამახსოვრებინო, საათები მჭირდება.

— გიჯერებენ? გემორჩილებიან და სწავლობენ?

— ძალიან ძორჩილები არიან. იციან, რომ ამას კანონი ავალდებულებს და ამიტომ ცდილობენ, ისწავლონ. ერთმარტინის ვოხიცი მომიტანა და მითხრა — თუ არ დაგემორჩილები, თავში ჩამარტყვი. ჩემს გაცეცხას საზღვარი არ ჰქონდა, სამასწავლებლოში რომ შევედი და იქ უზარმაზარი, ლენინის სურათი დამხვდა. მესამეკლასელების ოთახში კი — შევარდნადის სურათი ეკიდა. იქ ქალები და მამაკაცების სამასწავლებლოები ცალ-ცალკეა. ეს არ ვიცოდი, ამიტომ პირველად მამაკაცების სამასწავლებლოში დავვექეი. ყველანი გაოგნებულები მიყურებდნენ. ვერ მაკადრეს თქმა — აქედან გადიო, — და დასახმარებლად ქალ პედაგოგებს დაუძახეს. სწორედ ქალების სამასწავლებლოს „ამშვენებდა“ ლევან მამალადის სურათი... ჩამოვედი განათლების სამინისტროში და ვთხოვე თანამშრომლებს, ქართული ანბანი და ქართველი მწერლების ფოტოები მოეცათ, რომ სკოლის კედლებზე ჩამომეკიდა. უამრავი პლაკატი მომცეს. ერთ პედაგოგს რომ ვუთხარი: შაჰალად, ჩამოხსენი ლენინი და დაკიდე შოთა რუსთაველი, „პრიკაზია“ მეთქი, სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. ის კაციც შეკრთა და ადგილიდან ვერ დაიძრა. თუ არ შეასრულებდა ჩემს ნათქვამს, მზად ვიყავი, მე თვითონ ჩამომეხია ლენინის პლაკატი, რადგან ვფიქრობ, რომ არაქართულ სკოლებში პირველ რიგში, ფონი უნდა შეიცვალოს. სკოლას ახალი ხელისუფლების მოსვლა უნდა დაეტყოს... იმ პედაგოგმა ხელის კანკალით ჩამოხსნა პლაკატი, მაგრამ ნამდვილი ომი დამჭირდა, ლევან მამალადის სურათის ჩამოსახსნელად. ის ილხამ ალიევის უზარმაზარი პლაკატის გვერდით ეკიდა. პედაგოგი ქალები აყვირდნენ: „პუსტ ბუდეტ“!... როგორც იქნა, დავითანხმე. მის ადგილას, პრეზიდენტის სურათი უნდა ჩამომეკიდა. სამწუხაროდ, არ მქონდა და ვერც ვიშოვე. ბოლოს, ჩემმა მეზობელმა კედლის კალენდარი მომცა, რომელზეც მიხეილ სააკაშვილი იყო გამოსახული. ახლა სადახლოს სკოლაში ილხამ ალიევის გვერდით საქართველოს პრეზიდენტის

სურათიც კიდა. მაგრამ ერთ რამეზე გული მწყდება: ალიევის სურათი ლამისაა, მიუღ კედელს ფარავს, სააკაშვილის ფოტო კი, მასზე ათჯერ პატარა ზომისაა... სადახლოში ვიგრძენი, რომ ჩემი ქვეყნისთვის რაღაცას ვაკეთებ. თურქეთის ტელევიზიამ ფილმიც გადაიღო ჩემ შესახებ. ახლა ქართველი კინემატოგრაფისტებიც აკეთებენ ღოკუ-მენტურ ფილმს, სადაც ასეთი ეპიზოდები იქნება: ჩემი ჩასვლიდან პირველ დღეს, „გამარჯობა“ რომ ვთქვი და ყველა მომამარჯოდა; მეორე კვირის დასაწყისში, „გამარჯობაზე“ მიპასუხეს „სალამ ალელი ქუმი“ მესამე კვირას კი მპასუხობენ: „გამარჯობა!“ ახლა ბირჟაზე რომ გავივლი ხოლმე, იციან, რომ თუ უნდათ, გურჯგოვოს გამოელაპარაკონ, ქართულად უნდა უთხრან რამე. ჩაიხანასთან რომ ჩავივლი, მეძახიან — „გამარჯობა, გოგო!“ „ლამაზი! ლამაზი!“

— როგორი მიღწევები აქვთ ბავშვებს?

თუ ხუთჯერინი დროშა სადახლოდან ჩემი პატივისცემით წამოიღეს, უკან რომ ვბრუნდებოდით, ამის გამო სიამაყის გრძნობას განიცდიდნენ...



— მათ უკვე იციან ფრაზები: „მე ქართველი ვარ“, „ჩემი სამშობლო საქართველოა“, „მე და შენ ერთი ოჯახი ვართ“, „საქართველოს დედაქალაქი თბილისია“ და ა.შ. მინდოდა, ქართული დროშა შეეყვარებინათ, შევიძინე ქაღალდის პატარა, დასაწებებელი დროშები; ხუთიანის ნიშნად ვუბნები: — „ბეშ“ და ვაძლევ ქართულ დროშას. ბავშვები უკვე გაიფლებიან ხუთჯერინი დროშაზე“. „თბილისობის“ წინა დღეებში შეკეთავაზე — დედაქალაქში წავიყვანთ-მეთქი. დამთანხმდნენ. მერე ისიც შევაპარე — თუ თქვენ ქრისტიანულ ეკლესიაში შემოხვალთ, მეც შემოვალ თქვენს მეჩეთში-მეთქი. ამაზეც დამთანხმდნენ. ჩამოხსნეს სკოლის სახურავიდან ხუთჯერინი დროშა, რადგან იცოდნენ, ამით ძალიან გამახარებდნენ და ასე წამოვიდნენ თბილისში... მათი

ჩამოყვანა ცხადია, განათლების სამინისტროსთან იყო შეთანხმებული, მაგრამ თბილისის შემოსასვლელში გზები ჩაკეტილი დაგვხვდა. ჩამოვიყვანე ავტობუსიდან, ვიფიქრე, ფეხით გავატარებ-მეთქი. მივუახლოვდით მეტეხის ეკლესიას. შიგნით არ გვიშვებდნენ. თურმე, პრეზიდენტს ელოდნენ. აყვირდით: ქართველები არა ხართ, ვერ ხედავთ, მუსლიმანები ქრისტიანულ ეკლესიაში შემყავს-მეთქი?! შემიშვეს. პრეზიდენტიც ორ წუთში მოვიდა. ბავშვები აკანკალდნენ... მაგრამ პრეზიდენტმა ჩვენგან შორს გაიარა. არადა, მინდოდა, აზერბაიჯანელი ბავშვები ქართულად მისაღმებოდნენ. გავბედე და დავიყვირე: ბატონო პრეზიდენტო-მეთქი! მაშინვე მობრუნდა. ჩვენკენ წამოვიდა და მკითხა: რაშია საქმე? ვუპასუხე. ყველას ჩამოართვა ხელი. ყველანი გადაკონცა. მაშინ ვიგრძენი, რომ მართალია, სადახლოში ყოველთვის მართო მივდიოდი, მაგრამ ჩემ გვერდით იღვას ჩემი სახელმწიფო და პრეზიდენტი...

ბატონი მიხეილი დიდხანს დარჩა ჩვენთან. ბავშვებთან ერთად სურათები გადაიღო. თბილისიდან რომ წავლდით, ბავშვები აღფრთოვანებული იყვნენ. თუ ხუთჯერინი დროშა სადახლოდან ჩემი პატივისცემით წამოიღეს, უკან რომ ვბრუნდებოდით, ამის გამო სიამაყის გრძნობას განიცდიდნენ... ახლა ამბობენ, რომ კარგად უნდა ისწავლონ, რადგან პრეზიდენტი სააკაშვილი ჩავა მათ სკოლაში და თითოეულის ცოდნას შეამოწმებს. სადახლოს სკოლის მასწავლებლებმაც სწორედ ამ შეხვედრის გამო მაპატიეს ლენინის სურათის ჩამოხსნა. ავტობუსის მძღოლებად კი ქართველები მუშაობენ, რომლებიც მგზავრობის ფულს აღარ მართმევენ მას შემდეგ, რაც გაიგეს, რომ აზერბაიჯანელ ბავშვებს ქართულ ენას ვასწავლი...



— მე პატარა ოჯახი მაქვს, მაგრამ დიდი სოციალური მომცველი. — ამბობს ყველასათვის საყვარელი და მხიარული დუტა სხირტლაძე. ის მეუღლის მიმართ ზედმეტად ყურადღებიანი და ამასთანავე, ექვნიანც არის. სურს, რომ მათი სოციალური მარადიული იყოს. ამიტომაც ხშირად საკუთარ თავს ეკითხება: ნეტავ მარინას ისევ თუ ვუყვარვარ ისე როგორც ადრეო? მაშ, როგორი მეუღლე და მამაა დუტა?.. ამას ჩვენი საუბრიდან შეიტყობთ.

უკა მიწაძე

— დუტა, გაიხსენე შენი პირველი სოციალური...

— სოციალური პირველად საბავშვო ბაღში შეწვია. შემეყვარდა ჩემი თანაჯგუფელი პატარა გოგონა, რომლის ვინაობა აღარც მახსოვს, რადგან მას შემდეგ, არც მინახავს.

— ეთანხმები თუ არა იმ აზრს, რომ „სოციალურსა მალეა უნდა“?

— არა, არ ვეთანხმები. თუ ადამიანი მიყვარს, მიყვარს ყველგან და ყოველთვის.

— გჯერა, ერთი ნახვით შეყვარების?

— რა თქმა უნდა. როდესაც პირველად მარინა დავინახე, — ვიგრძენი, რომ ის ჩემი უნდა გამხდარიყო.

— რა მიგაჩნია მამაკაცის უმოაფრეს ღირსებად?

— ოჯახი და პროფესია.

— გაგვაცანი შენი ოჯახი.

— მე პატარა ოჯახი მაქვს, მაგრამ ის დიდ სოციალურს მოიცავს. მყავს მეუღლე — მარინა ნაკვლიშვილი, პროფესიით მოდელიერი და 3 შვილი: 12 წლის მარიაში, 5 წლის ნინი და 8 თვის ლუკა.

— სად და როდის გაიცანით ერთმანეთი?

— ერთმანეთი „თეატრალურ სარდაფში“ გავიცანით. იმ დროს „სამგროშოან ოპერაზე“ ვმუშაობდით, მე როგორც მსახიობი, ხოლო მარინა კოსტიუმების მხატვარი იყო. მე მისით დანახვისთანავე დაინტერესდი. დავინახე თუ არა, მაშინვე გავიფიქრე — ვაა, ეს რა კარგი გოგოა-მეთქი! — და იმწუთასვე გავიკითხე მის შესახებ...

— როგორ შეყვარებული იყავი?

— ზედმეტად ყურადღებიანი. უფრო მეტიც — მოსაბეზრებელი ყურადღების გამოჩენა ვიცოდი. სხვათა შორის, დღემდე ასეთი ვარ. მარინას თქმისა არ იყოს, „გვერდზე მიზის და მანც მენატრება“... აი,

მშიერ კუჭზე ჭუჭლუნა, ხელმხრევე დუტა სხირტლაძე დილაობით სიცვებუნია

ასეთი სოციალური ვიცი მე!..

— შენი აზრით, რა მოენონა შენში მარინას?

— გეფიცები, მე არ ვიცი, რა მოეწონა ჩემში მარინას. თან, იმ პერიოდში ძალიან ბევრს ვსვამდი. მართლა ვერ გეტყვი, რით მოვხიბლე. სხვათა შორის, მე ის დღემდე ვერ მიხსნის, კონკრეტულად რა მოეწონა ჩემში.

— შენ რით მოგხიბლა მან?

— ამას ვერც მე ვხსნი. მაგრამ ერთი რამ კი ფაქტია — მარინა ერთი ნახვით შემეყვარდა.

— რა სიტყვებით აუხსენი სოციალური?

— უბრალოდ, მე მას ვუთხარი: ცოლი აღარ მყავს და იქნებ, რაიმე მოგვეხერხებინა-მეთქი?..

— გაიხსენე, შენს მომავალ მეუღლეს პირველად საჩუქრად რა მიართვი?

— ყვავილი, სხვას რას ვაჩუქებდი?.. მაშინ ფული არ მქონდა!..

— თუ დაგინეროა მისთვის ლექი?

— კი, როგორ არა?! მე მისთვის არაერთი ლექი მიმიძღვნია და ვიცი, რომ მას დღემდე ყველა შენახული აქვს.

— ჯვარი დანეროლი გაქვთ?

— ჯვარი ანჩისხატში დავიწერეთ, ხოლო შემდეგ ვიწრო წრე — დაახლოებით 15 კაცი შევედით იქვე კაფეში, სადაც თითო ჭიქა შამპანური დავლიეთ; დაგვლოცეს და მალევე დავიშალეთ.

— შენი პროფესიიდან გამომდინარე, ალბათ მარინა ექვნიანობს, არა?

— კი, მარინა ხანდახან ექვნიანობს. იმიტომ, რომ სახლში იშვიათად ვარ.

— შენ თუ ხარ მეუღლის მიმართ ექვნიანი?

— სხვათა შორის, უნდა ვაღიარო, რომ მეც ექვნიანი ვარ. მაგრამ ჩემი ექვნიანობის მთავარი პრინციპი არაა ყველა წვრილმანზე გამოკიდება — მაგალითად, ფეხი ფეხზე გადადებული რატომ აქვს?.. — არამედ მე ვეჭვიანობ, ასე ვთქვათ, ჩემადმი მის დამოკიდებულებაზე: ვაითუ, განელდა ჩვენი სოციალური ან ნეტავ, ისევ ისე თუ ვუყვარვარ-მეთქი? — ვფიქრობ...

— გიყვარს ქალისათვის ყვავილის მირთმევა?

— ძალიან.


— მარინას გამორჩეულად რომელი ყვავილი უყვარს?

— მარინას ისევე, როგორც მე, სულაც



ვერ გეტყვი, რით მოვხიბლე. სხვათა შორის, მე ის დღემდე ვერ მიხსნის, კონკრეტულად რა მოეწონა ჩემში.

ლუკა ამას წინათ სიცილით გამსკლარა, როცა რეკლამაში ჩემი სმია უნია. ნინიკო კი შეგნებულად არ უყურებს



როგატევაა და მის გემოვნებას აბსოლუტურად ვენდობი.

რაიმე ხელობა თუ იცი? მაგალითად, პატარა რემონტი თუ ჩაგიტარებია სახლში?

სახლში ეს არ დამჭირვებია, მაგრამ ჩვენ ხომ თეატრი („სარდაფი“) ავაშენეთ! ჩვენ პროფესიონალთა ბრიგადა ვართ: ჭოლა (წულაძე) მღესავ-შშენებელია, მე კი - ღურგალი. ისე, ჩვენ ამ ხელობით ოჯახებსაც ვარჩენთ. თუ მოხდება სასწაული და თეატრების მოსპობის კანონს მიიღებენ, ჩვენ მეორე პროფესიითაც ვიარსებებთ. წავალთ და რემონტს გავუკეთებთ მათ, ვინც ამ კანონს შემოიღებს...

ბაზარში შენ გინევს სიარული? - რა თქმა უნდა, ოღონდ - მარტო მე.

შვილები შენს შემოქმედებას როგორ აღიქვამენ? უხარიათ, ტელევიზიით რომ განახულობენ? - ლუკა ამას წინათ სიცილით გამსკლარა, როცა რეკლამაში ჩემი ხმა უცნია. ნინიკო კი შეგნებულად არ უყურებს, იმიტომ, რომ მისი აზრით, სწორედ ამის გამო არ ვარ შინ.

კონფლიქტური რომელი უფრო ხარო - შენ თუ მარინა? - რა ვიცი, გააჩნია, დღის რომელი

ნახევარია: დღლა თუ არის, ორივე აუტანლები ვართ, არ დავმალავ, იმიტომ, რომ არც ერთს არ გვიყვარს დილით ადრე გაღვიძება. ამიტომ დილით მოკლედ ვსაუბრობთ, რომ კონფლიქტი არ მოგვივიდეს...

მიგაჩნია თუ არა, რომ ოჯახში გადამწყვეტი სიტყვა მამაკაცს უნდა ეკუთვნოდეს? - მე ფემინიზმის მხარდამჭერი არა ვარ. თუ ქალი თვლის, რომ ქალი და მამაკაცი ოჯახში თანასწორუფლებიანი უნდა იყვნენ, მაშინ ზედმეტ ყურადღებას რატომ მოითხოვს მამაკაცისგან?..

როცა უცნობი სიმპათიური ქალის ყურადღების მიპყრობა გინდა, როგორი ხერხებით ცდილობ ამას? - მე რომ ცოლშვილიანი ვარ... თუ ქალი მომეწონება, კი ვაფიქრებ - რა კარგი ქალია-მეთქი! - მაგრამ მისი ყურადღება რატომ უნდა მივიქციო ზედმეტად? რომ ვითხრა, შევამ და სადმე წაიფიფან-მეთქი, ალბათ ტყუილი იქნება. კახელი ვარ, ხომ იცი (ღიმიება)...

რა ურთიერთობა გაქვს მარინას მშობლებთან, როგორი სიძე ხარ? - სამწუხაროდ, მარინას მშობლები აღარ ჰყავს. მამა ადრე გარდაეცვალა. დედა კი ჩვენი შეუღლებიდან 8 თვეში დაიღუპა. ვფიქრობ, რომ სუპერსიდედრი მყავდა. ჩვენ ბრწყინვალე ურთიერთობა გვქონდა. მე მათ ოჯახში ზესიძედ შესული ვარ და მისგან ჩემდამი პატივისცემის და ყურადღების გარდა, არაფერი მახსოვს. ის ყოველ დილით მე და მარინას ფენოვან ზაჭაპურს გვიცხობდა და ცდილობდა გავენებივრებინეთ, მაგრამ სამწუხაროდ, არ დასცალდა.

შენმა შვილებმა რომ მიონდომონ მსახიობობა, დაეხმარები? - ჩემს შვილებს თუ მოუნდებათ მსახიობობა, ყველანაირად ვეცდები, მათ გვერდით ვიყო. უნდა ვაღიარო, რომ გამიხარდება: რა გქნა, ძალიან მიყვარს ჩემი საქმე.

დუტა, მოდი, გულახდით ლაღ მითხარი - იპოვე შენი მეუღლის სახით ის, ვისზეც ოცნებობდი? - რა თქმა უნდა. ვიპოვე და ამით ბედნიერი ვარ.

დაბოლოს - რას იბატრებდი? - არაფერს, ჯანმრთელობის გარდა. იმიტომ, რომ ზომიერების ფარგლებში, მაქვს აბსოლუტურად ყველაფერი, რაც ადამიანს სჭირდება.

არ უყვარს ვარდი. ის სილამაზეს უბრალოებაში ხედავს. მას ყველაზე მეტად მინდვრის ყვავილების თაიგული უყვარს. ამიტომაც მეც სულ მინდვრის ყვავილებს ურჩები.

დუტა, მაინც როგორ მამად და მეუღლედ მიიჩნევ თავს?

მინდა, ძალიან კარგი ვიყო, მაგრამ გვერდიდან რომ შემომხედო, ძალიან ცუდი ვარ, იმიტომ, რომ ჩემი მოუცლელობის გამო, სახლში სულ არ ვარ. ამიტომ ვცდილობ, რა დროსაც არ უნდა მივიდე შინ, მეუღლესთან ვისაუბრო და მოვუყვე, თუ მთელი დღის განმავლობაში რა გაგაკეთე.

თავისუფალ დროს როგორ ბატრებ?

მე იმდენად მენატრება ჩემი ოჯახი, რომ თავისუფალი დრო, თუნდაც ნახევარი საათი რომ მქონდეს, მაშინვე სახლში მივდივარ.

ოჯახში როგორი ხარ?

გააჩნია, რა შემთხვევაში: თუ შშვირი ვარ, ვჯუჯუკლუნებ, შევვამ თუ არა, მაშინვე ლაღი და თავისუფალი ვხდები...

პირველად, შინ მისვლისთანავე რას ითხოვ ხოლმე?

შშმას ვიძახი და აქედან გამომდინარე, საჭმელს ვითხოვ.

მარინას მომზადებული კერძებიდან, რომელს გამოყოფ?

მე მარინას მომზადებული ყველაფერი მიყვარს. ის არაჩვეულებრივად ამზადებს ნებისმიერ კერძს. მას მართლაც ოქროს... არა - ბაჯადლოს ხელი აქვს!

სახლის მონყოლებაში თუ მონაწილეობდი?

არა. ვინაიდან მარინა მხატვარ-მოდელიერია, სახლის მოწყობა მისი პრე-

სიხბე! 100% ნატუხაღეხი ეოსმეტია "DERMAJETICS"

გთავაზობთ ელიტარულ ქაღნაჭონებს უმოკლეს გზას სილამაზისა და ახალგაზრდობის შესანარჩუნებლად:



დღისა და ღამის კრემებს, ნაოჭების გამასწორებელ მალამოებს სახესა და თვალის იტგვლივ, სახის მოვლის ყოველდღიურ უნიკალურ საშუალებებს, ჭორფლის, ლაქების და გამონაყარის მოცილებას. აქვე ხდება სახის კანის სამფენოვანი წმენდა ორთქლისა და კოვზის გარეშე ფრანგული ნიღაბით. სხეულის პრობლემური ადგილების დაპატარავება და მშობიარობის შემდგომ ღარების გასწორება ანალოგიური მალამოებით.

წყ გაუძვებთ შანსს! შედეგი გარანტირებულია.

893-34-34-59; 94-18-29 (დღე); 61-00-14 (სალამოს) ქ-ნი ლია

ჯერ უბრალოდ მოხილურის ნართევა, შემდეგ მკვლელობას განიზრახეს

22 წლის ავთანდილ ბენაშვილსა და 29 წლის ვეფხია აბულაშვილს უზენაესი სასამართლო მძიმე მუხლებით, მათ შორის, ადამიანის განზრახ, დამამძიმებელ გარემოებებში მკვლელობის მცდელობისთვის ასამართლებს. ორივე განასჯელი სხვადასხვა დანაშაულისთვის წარსულში ნასამართლევი გახლდათ, ამჯერად კი მათ, როგორც პროკურატურა აცხადებს, თბილისში ერთ-ერთი მოქალაქის დაყენება და შემდეგ, მისი მოკვლა განიზრახეს. დაზარალებული, რომელსაც სხეულზე დანით მიყენებული რამდენიმე მძიმე ჭრილობა აღმოაჩნდა, საბედნიეროდ, სიკვდილს გადაურჩა. დღეს იგი უწყომანოდ ადებს ხელს ორივე განასჯელს. ბენაშვილი და აბულაშვილი კი მაინც კატეგორიულად უარყოფენ დანაშაულის ჩადენას და პროკურატურასა და დაზარალებულს ცილისწამებაში ადანაშაულებენ.

დანაშაული 2004 წლის 13 მარტის ღამეს, თბილისში, ალექსანდრე ჭავჭავაძის ქუჩაზე მოხდა, თუმცა, ყველაფერი რუსთაველის გამზირზე მდებარე სამორინე „ფლამინგოს“ წინ დაიწყო. ბრალდების თანახმად, აბულაშვილი და ბენაშვილი სწორედ ამ სამორინეს წინ იდგნენ, როცა შორიასლოს მდგომი, მობილური ტელეფონით მოსაუბრე მოქალაქე – გრიგოლ ბელაშვილი შენიშნეს. აბულაშვილი მისთვის უცნობ ბელაშვილს მიუახლოვდა და ტელეფონი სთხოვა – ერთი წუთით დამარეკვინეო. ამასვე ბელაშვილმა მიუგო – ნომერი მიკარნახე და თვითონ ავიკრებო. მაშინ, აბულაშვილმა არც აცია, არც აცხელა, ბელაშვილს ტელეფონი ხელიდან გამოსტაცა და თავისუფლების მოედნის მიმართულებით გაიქცა. ბენაშვილმაც მასთან ერთად დატოვა იქაურობა, მაგრამ არც ბელაშვილი დაბრუნდა. გაქცეულებს უკან დაედევნა და თან დაიყვირა – გაჩერდით! ტელეფონი დამბრუნეთ, თანამშრომელი ვარ, აი, საბუთიო. აბულაშვილმა და ბენაშვილმა უკან მოიხილეს, მოქალაქის ხელში მართლაც დაინახეს საბუთი და დარწმუნდნენ, რომ ის ნამდვილად სამართალდამცველი ორგანოს თანამშრომელი იყო. შეჩერდნენ, ბელაშვილს ტელეფონი დაუბრუნეს და მშვიდობიანად დასცილდნენ მას. თუმცა, როგორც საბრალდებო დასკვნაშია აღნიშნული, დანაშაულებრივ განზრახვაზე ხელი არ აუღიათ. ბენაშვილმა და აბულაშვილმა, როცა ბელაშვილს ტელეფონი უბრუნებდნენ, მის საბუთში ჩადებული ფული შენიშნეს, დასცილდნენ თუ არა მას, ნანახი თანხის შესახებ ერთმანეთს დაელაპარაკნენ, სიტუაცია აწინ-დაწინეს და უფრო



სერიოზული დანაშაულის ჩადენა ჩაიფიქრეს... მაშინვე უკან მიტრიალდნენ და ბელაშვილს ისევ ადევნენ. ჭავჭავაძის ქუჩაზე მდებარე თათთან მას თავს დაესხნენ. აბულაშვილმა ბელაშვილს უკნიდან ყელზე რაღაც ქსოვილი ჩამოაცვა და წაუჭირა, ბენაშვილმა კი წინასწარ მძრველები დანა გულმკერდის არეში რამდენჯერმე ჩაართვა. მძიმედ დაჭრილი ბელაშვილი მაშინვე ძირს დაეცა. თავდამ-

სხმელებმა მას გახადეს ქუთოუკი, რომელშიც ფული (45 ლარამდე), მობილური ტელეფონი და სამსახურის მოწმობა იყო და შემთხვევის ადგილიდან გაიქცნენ.

მძიმე ჭრილობების მიუხედავად, ბელაშვილმა მაინც მოახერხა ხალხისთვის დახმარება ეთხოვა. იგი საავადმყოფოში მიიყვანეს. ჭრილობები სიცოცხლისთვის საშიფათო – მძიმე ხარისხის აღმოჩნდა, თუმცა, ოპერაციის შედეგად, დაზარალებული სიკვდილს გადაურჩა. სასამართლო პროცესზე მან განსაცხელეს ხელი დაადო და მიყენებული ზიანის ასანზღაურებლად 5.000 ლარის გადახდა მოითხოვა.

ბენაშვილი და აბულაშვილი კი, რომლებიც პოლიციამ დანაშაულის ჩადენიდან მალე დააკავა, ბრალდებებს უარყოფენ. მათი თქმით, ისინი 2004 წლის 13 აპრილის საღამოს საქვიფოლ იმყოფებოდნენ და შემთხვევის ადგილზე ვერანაირად ვერ იქნებოდნენ. აღსანიშნავია, რომ წინასწარი გამოძიებისთვის ორივე მათგანს აღიარებითი ჩვენებები აქვს მიცემული, თუმცა დღეს განსაცხელები აცხადებენ, რომ აღიარება პროკურატურამ მათგან ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზეწოლის შედეგად მოიპოვა. მათი ინტერესების დამცველი ადვოკატები სასამართლო პროცესზე იმ მოწმობის მოყვანას აპირებენ, რომლებიც დაადასტურებენ, რომ შემთხვევის დღეს აბულაშვილი და ბენაშვილი სხვაგან იმყოფებოდნენ საქვიფოლ.

განსაცხელებს პროკურატურის მიერ სამი მუხლი აქვთ წაყენებული – ადამიანის განზრახ, დამამძიმებელ გარემოებებში მკვლელობის მცდელობა, ყჩალობა და პირადობის დამდასტურებელი მოწმობის გატაცება.

ოფიციალური ცნობებით, ბენაშვილი პირველად, 20 წლის ასაკში მცხეთის რაიონულმა სასამართლომ 177-ე მუხლით გაასამართლა და 2 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. ციხიდან ბენაშვილი ვადაზე ადრე გათავისუფლდა. რაც შეეხება აბულაშვილს, პირველად ის 23 წლის ასაკში წარდგა სამსჯავროს წინაშე. სხვადასხვა ნაკლებად მძიმე დანაშაულისთვის ის ვერ თბილისის კრწანისის რაიონულმა სასამართლომ, შემდეგ დიღებუჩქულურეთის რაიონულმა სასამართლომ გაასამართლა. ბოლოს, იარაღის უკანონო შენახვა-ტარებისთვის აბულაშვილს მოაწმინდა-კრწანისის რაიონულმა სასამართლომ 2 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

მოსამართლემ „დრო შოიზო“ და... განსასჯელის საქმეზე კდმორნდა

6 წლის წინ ჩადენილი სიყალბისთვის სამხედრო მოსამართლეს პასუხისგება ელის

სამხედრო სასამართლოს უკვე ყოფილ მოსამართლეს, ამჟამად მოქმედ ადვოკატს, სულ მალე განსასჯელის სტატუსიც მიენიჭება და უზენაეს სასამართლოში სამსჯავროს წინაშე წარდგება. ნიკოლოზ ხუბუა, როგორც სამართალ-დამცავები ამბობენ, ამ მდგომარეობამდე მოსამართლეობის პერიოდში ჩადენილმა „სამსახურებრივმა სიყალბემ“ მიიყვანა. უფრო ზუსტად, მისი კარგა ერთ კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეს შეეწირა.

საქართველოს გენერალური პროკურატურის მიერ შედგენილი საბრალდებო დასკვნის თანახმად, მოსამართლე ხუბუამ თაღლითობის მუხლით აღძრულ სისხლის სამართლის საქმეზე განაჩენი დაწერა, თუმცა ეს განაჩენი თავად მისთვის აღმოჩნდა საბედისწერო...

1996 წელს, სამხედრო პროკურატურამ თავდაცვის სამინისტროს მთავარი შტაბის, დაცვისა და უზრუნველყოფის ოცეულის მეთაურს, ლეიტენანტ თეიმურაზ მაგრაქველიძეს თაღლითობაში დასაბრალბი. კერძოდ, საბრალდებო დასკვნის მიხედვით, მაგრაქველიძემ ერთ-ერთ დეზერტირ ჯარისკაცს ქრთამის სახით თანხა გამოსძალა, რის სანაცვლოდაც, მის შესახებ შესაბამის ორგანოებს ინფორმაცია არ გადასცა. მაგრაქველიძე ბრალს კატეგორიულად უარყოფდა. იგი აცხადებდა, რომ პროკურატურას მის წინააღმდეგ არც ერთი რეალური მტკიცებულება არ გააჩნდა და ასევე დარღვეული იყო პროცესუალური ნორმები.

აღნიშნული საქმე წარმოებაში სამხედრო სასამართლოს იმდროინდელმა მოსამართლემ – ნიკოლოზ ხუბუამ მიიღო. საქმე სწორედ მისი თავმჯდომარეობით უნდა განეხილა სასამართლო კოლეგიას. დანარჩენი ორი მოსამართლე ანუ კოლეგიის წევრები კი,

უნდა ყოფილიყვნენ – გიზო ძაბუნიძე და იოსებ ლევერაშვილი.

დღეს გენერალური პროკურატურა აცხადებს, რომ ხუბუამ ერთპიროვნულად გამოიტანა დადგენილება მაგრაქველიძის სამართალში მიცემის შესახებ და ისე დაწერა განაჩენი, რომ სინამდვილეში ერთი სხდომაც კი არ ჩაუტარებია.

ბრალდების თანახმად, მოსამართლე ხუბუა სხდომის მდივანს, ნ. კაბულაშვილს წინასწარ შეუთანხმდა და მასთან ერთად შემდეგი ყალბი დოკუმენტები შეადგინა: 1. სასამართლოს განმწესრიგებელი სხდომის ოქმი, რომლის მიხედვითაც სხდომა თითქოსდა ჩატარდა სამი მოსამართლის კოლეგიური შემადგენლობითა და პროკურორის – ლ. ლეჟავას მონაწილეობით; 2. სასამართლოს განჩინება სამართალში მიცემის შესახებ, რომელზეც ხუბუამ მოტყუებით მოაწერინა ხელი ზემოთ ხსენებულ ორ მოსამართლეს – ძაბუნიძესა და ლევერაშვილს.

პროკურორის გარდა, წესისა და კანონის თანახმად, საქმის სასამართლო განხილვაში მონაწილეობა უნდა მიეღო სახაზინო წესით მოწვეულ ადვოკატს (თუკი განსასჯელს კერძო ადვოკატი არ ეყოლებოდა აყვანილი), ასევე დაზარალებულს მ. ხორნაულსა და მოწმეებს.

ბრალდების თანახმად, მოსამართლემ და სხდომის მდივანმა ამაზეც „იზრუნეს“. შეადგინეს 1996 წლის პირველი აგვისტოთი დათარიღებული ყალბი სხდომის ოქმი, მიუითეს, თითქოს საქმეში ბრალდებულის უფლებების დამცველი ადვოკატი რ. მადრაძეც მონაწილეობდა, ასევე – მოწმე და დაზარალებული. ყალბად დააფიქსირეს თითოეული მათგანის პოზიცია, გარდა ამისა, მოწმისა და დაზარალებულის სახელით შეადგ-

ინეს ყალბი ხელწერილები, ცრუჩვენებისთვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის თაობაზე გაფრთხილების დასტურად... ერთი სიტყვით, ყველა პროცესუალური მოქმედება გააფორმეს და პოზიციები, მხარეების ნაცვლად, თავად დააფიქსირეს. როგორც ჩანს, საქმე სერიოზულად არ აღიქვეს, მით უმეტეს, რომ მოსამართლე განსასჯელისთვის არც ისე მძიმე სასჯელის შეფარდებას აპირებდა. განაჩენის თანახმად, მაგრაქველ-



იძეს 100 ლარის ოდენობით ჯარიმა განესაზღვრა. თუმცა, მაგრაქველიძე ბრალდებას არ ეთანხმებოდა და მოსამართლეს მის გარეშე გამოტანილი ყალბი გადაწყვეტილება არ აპატია. მან პროკურატურაში იჩივლა.

თეიმურაზ მაგრაქველიძე:

„რამდენიმე წელიწადი დამჭირდა იმისთვის, რომ ამ უსამართლობისთვის პროკურატურას ყურადღება მიექცია და სისხლის სამართლის საქმე აღედგა.

თუმცა, ხელისუფლება რომ არ შეცვლილიყო, დარწმუნებული ვარ, ვერაფერს მივაღწევდი, რადგან მოსამართლე ხუბუას, ისევე, როგორც მაშინდელ სამხედრო პროკურორს საკმარისი გავლენა ჰქონდა საიმისოდ, რომ ეს საქმე სამუდამოდ ტაბუდადებული დარჩენილიყო. მიშველა იმან, რომ ახალი გენერალური პროკურორი — ირაკლი ოქრუაშვილი ამ საქმით დაინტერესდა და შედეგიც სახეზეა — ხუბუას, როგორც იქნა, ბრალი წაუყენეს“.

გენერალური პროკურატურის მიერ ჩატარებული გამოძიების დროს მოწმეებმა და დაზარალებულმა პროცესში მონაწილეობა და მათი სახელით გაკეთებული ხელმოწერები უარყვეს. ოქმებზე დაფიქსირებულ ხელმოწერებზე ექსპერტიზა დაინიშნა. ექსპერტებმა განაცხადეს, რომ ისინი არა დაზარალებულსა და მოწმეებს, არამედ სინამდვილეში მოსამართლე ძაბუნძიეს ეკუთვნოდა.

დაიკითხა სხდომის მდივანიც. მან ყალბი ოქმების შედგენის ფაქტი დაადასტურა და აღნიშნა, რომ მოსამართლის დავალებით მოიქცა ასე. რაც შეეხება ხუბუას, გამოძიების პერიოდში მან ჩადენილი სიყალბე აღიარა და პროკურატურას ჩვენებაც მისცა. მისი ჩვენების თანახმად, ხუბუამ ყველაფერი პირადი მოტივით ჩაიდინა: წარმოებაში

ერთდროულად რამდენიმე საქმე ჰქონდა განსახილველად მიღებული და სურდა, დროული განხილვის სტატისტიკური მაჩვენებლებით მისი საქმიანობის დადებითი სურათი წარმოედგინა. „მოსამართლე I კოლეგიაში 1993-97 წლებში ვმუშაობდი. დროის დიდი მონაკვეთის გასვლის გამო, მაგრატევიდის საქმის განხილვის პროცესი უშუალოდ არ მახსოვს. კოლეგია ძალზე დატვირთული იყო, საპროცესო კანონმდებლობის თანახმად კი, მოსამართლეს უფლება არ ჰქონდა, მის წარმოებაში არსებულ საქმეზე გადაწყვეტილების მიღებამდე სხვა, მეორე საქმის განხილვა დაეწყო. შესაძლებელია, დროის მოგების მიზნით, მაგრატევიდის საქმეზე ერთპიროვნული განაჩენი გამოვიტანე...“

— აღნიშნა ჩვენებაზე ხუბუამ. თუმცა ახლა, მის მიმართ წაყენებული ბრალდების თაობაზე ის კომენტარს არ აკეთებს. „ამ საკითხის გასარკვევად სასამართლო არსებობს და არა ჟურნალ-გაზეთები“, — ასე მოგვიგონო ნიკოლოზ ხუბუამ, როდესაც მას ბრალდების თაობაზე კომენტარი ვთხოვეთ. ეთანხმება თუ არა ამ ეტაპზე პროკურატურის ბრალდებას ხუბუა, ჯერჯერობით უცნობი რჩება. თუმცა ამას სულ მალე, უზენაეს სასამართლოში დანიშნულ საჯარო პროცესზე შევიტყობთ. მის მიმართ წაყ-

ენებული მუხლებიდან ერთი — 2 წლამდე, ხოლო მეორე — 7 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

თიბიშურაზ მახარაძე:

„სინამდვილეში, აქ სტატისტიკური მაჩვენებლები არაფერ შუაშია. უბრალოდ, პროკურატურასა და მოსამართლეს შორის გარიგება შედგა. იმისათვის, რომ ამ უკანონო ბრალისგან გავეთავისუფლებინე, ბინა იძულებით გამაყიდვინეს და 12 ათასი დოლარი გადამხდევინეს. „საქმის გაკეთება“ პროკურატურამ სასამართლოს საშუალებით გადაწყვიტა და წილში მოსამართლეც გაიყვანა. ამიტომაც მაკმარა ხუბუამ მხოლოდ 100 ლარის ჯარიმ. არსებობს ვიდეომასალები, სადაც იმდროინდელი სამხედრო პროკურორი — შევილაძე თავად აღიარებს თანხის განაწილების ფაქტს (თავის დროზე, შევილაძის მიმართაც აღიძრა საქმე, მაგრამ პროკურატურამ ის, საკმარისი მტკიცებულებების არარსებობის მოტივით, მალევე შეწყვიტა). სრულიად უდანაშაულო ადამიანი, მორალურად გამანადგურეს. ახლა იმედი მაქვს, რომ ყველა თავის წილ პასუხს აგებს, უზენაეს სასამართლოში პროცესი სამართლიანად წარიმართება და ჩემი უდანაშაულობა დამტკიცდება, რეპუტაცია, ბოლოს და ბოლოს, აღდგება“.

გუდროფის მკვლელობისთვის უდანაშაულო ადამიანი დასაჯეს — ახსადებს ადვოკატი ფულარა

თბილისის მთაწმინდა-კრწანისის რაიონული სასამართლოს 22 ნოემბრის გადაწყვეტილებით, აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს თანამშრომლის — ფრედ გუდროფის მკვლელობის საქმე დამატებითი გამოძიებისთვის პროკურატურას დაუბრუნდება.

სასამართლომ არ დააკმაყოფილა გუდროფის ოჯახის ადვოკატის — მაიკლ ფულარას სარჩელი, რომლითაც ის გენერალური პროკურატურის დადგენილების გაუქმებასა და საქმის დამატებით გამოძიებაში დაბრუნებას მოითხოვდა.

მკვლელობის ფაქტზე ჩატარებული დამოუკიდებელი გამოძიებით მოპოვებულ მასალებზე დაყრდნობით, ადვოკატი ფულარა აცხადებს, რომ საქართველოს სამართალდამცავმა სტრუქტურებმა საქმე არაობიექტურად და არასრულყოფილად გამოიძიეს და მომხდარი მკვლელობისთვის სრულიად უდანაშაულო პირი დასაჯეს.

შეგახსენებთ, რომ 1993 წლის 8 აგვისტოს, მცხეთის

შესასვლელთან აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს თანამშრომელი — გუდროფი ცეცხლსასროლი იარაღიდან რამდენიმე გასროლით მოკლეს. პროკურატურამ ჩადენილი დანაშაულისთვის ყოფილი გვარდიელი — ანზორ შარმაიძე დააკავა, სასამართლომ კი ის დანაშაუდ ცნო და სასჯელის ზომად 15 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

მეზობელმა მეზობელი საოჯახო დანით მოკლა

წყალტუბოს რაიონის სოფელ ბანოჯაში 22 ნოემბერს მკვლელობა მოხდა — მეზობლებს შორის ურთიერთშელაპარაკება ამ საშინელი დანაშაულით დასრულდა. 46 წლის გიორგი ჩოგოვაძემ ჩხუბისას, მეზობელს — 50 წლის ნუკრი რუხაძეს საოჯახო დანით სხეულზე რამდენიმე სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა. გულმკერდისა და ყელის არეში მძიმედ დაჭრილი რუხაძე რამდენიმე წუთში გარდაიცვალა, გიორგი ჩოგოვაძე კი პოლიციამ დააკავა. როგორც სამართალდამცავები ამბობენ, მან ჩადენილი დანაშაული აღიარა. მათივე ინფორმაციით, აწ გარდაცვლილი რუხაძე წარსულში რამდენჯერმე გახლდათ ნასამართლევი. მომხდარ ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე განზრახ მკვლელობის მუხლით აღიძრა.

ზურაბ ჟვანიას ღაცვის ყოფილ ნაპრებს საბაჟოზე უკანონო გარიგებაში აღნაშაულებენ

2004 წლის 11 ნოემბერს ფინანსურმა პოლიციამ რეგიონალური საბაჟოს — „აღმოსავლეთის“ გამშვები პუნქტის — „ნითელი ხიდის“ ოთხი თანამშრომელი დააკავა. დაკავებულთა შორის, მიხეილ ჩინჩალაძე და სოსო ჭიკაძე ზურაბ ჟვანიას დაცვის ყოფილი წევრები არიან. 2004 წლის მაისიდან მათ საბაჟო ტერმინალზე ინსპექტორებად დაინიშნეს მუშაობა. დღეს კი, მათ აზერბაიჯანიდან საქართველოში 3.400 ლარის ღირებულების კონტრაბანდული ტვირთის, საბაჟო ნესების დარღვევით შემოშვებასა და ტვირთის მფლობელებთან უკანონო გარიგებას ედავებიან.

ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტის ინფორმაციით, ჭიკაძემ, ჩინჩალაძემ და კიდევ ორმა თანამშრომელმა — ზურაბ ჩეკურიძემ და ზეზა შუმანაშვილმა გარიგება დადეს საქართველოს მოქალაქესთან — მამედ მამედოვთან და გამოძიებით დაუდგინეს პირთა, ვინმე მავტუნთან. ამის შედეგად, „გაზელის“ მარკის ავტომანქანით, ტერმინალის გვერდის ავლით საქართველოს ტერიტორიაზე კონტრაბანდული ტვირთი — სხვადასხვა დასახელების პროდუქტი და სამრეწველო საქონელი შემოვიდა.

საბაჟოს ზემოთ ხსენებული თანამშრომლები კატეგორიულად უარყოფენ გარიგებას. უფრო მეტიც, აცხადებენ, რომ მამედოვსა და ვინმე მავტუნს არ იცნობენ და არც „გაზელის“ მარკის ავტომანქანა შეუნიშნავთ საბაჟოს ტერიტორიაზე. მიუხედავად ამისა, ბრალდებულებს გლდან-ნაძალადევის რაიონულმა სასამართლომ 3-თვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა.

მიხეილ ჩინჩალაძე:

„ცვლაში სულ ექვსი კაცი ვიყავით. ცვლის უფროსი, ზეზა შუმანაშვილი იყო. ჩვენს უფლებებში შედიოდა ტვირთების გაკონტროლება, როგორც გამსვლელი, ისე შემომსვლელი და დატვირთული ავტომანქანის აყვანა ტერმინალში. პირადად მე, საქართველო-

დან აზერბაიჯანისკენ გამსვლელ პუნქტთან ვიდექი და იქ გამოწმობდი როგორც ავტობუსებს, ისე მსუბუქ ავტომანქანებს. მამედოვის მანქანა არ შემიმჩნევია და არც მისი რეგისტრაცია ჩამიტარებია. თანაც, არც არავის უთქვამს ჩემთვის, ასეთი მანქანის ტერმინალამდე მიცილების შესახებ!“

ჩინჩალაძის ადვოკატი გიგა კობალაძე საერთოდ ეკვეყემ აყენებს აზერბაიჯანიდან ასეთი ავტომანქანის შემოსვლის ფაქტს. ადვოკატი აცხადებს, რომ ადგილი აქვს პოლიციის მხრიდან პროვოკაციას. მისი თქმით, ამ განცხადების საფუძველს მას გამოძიების მასალებში დაფიქსირებული ურთიერთგამომრიცხავი ფაქტები და ყოვლად დაუსაბუთებელი „მტკიცებულებები“ აძლევს.

გიგა კობალაძე:

„გამოძიების, ისევე, როგორც სასამართლოს ქმედება, აბსოლუტურად უკანონო და ტენდენციურია. გამოძიების მიერ ე.წ. მტკიცებულებები თითქმის ყველა საპროცესო ნორმის დარღვევითაა „მოპოვებული“.

ერთ-ერთ ძირითად მტკიცებულებას, ფარული ვიდეოგადაღება წარმოადგენს. გამოძიების მასალების თანახმად, გადაღების შედეგად დაფიქსირდა კონტრაბანდული ტვირთით დატვირთული „გაზელის“ მარკის ავტომანქანა. აღსანიშნავია, რომ კონტრაბანდული ტვირთის დაფიქსირებას ვიდეოკამერით, იმ პირობებში და იმ დისტანციიდან ვერაფერს ვერ შეძლებდა, რადგან მანქანის საბარგული დაფარული იყო ბრეზენტის ე.წ. ტენტით და ბუნებრივია, მისი შიგთავსის დაფიქსირება შეუძლებელი იყო.

ამას გარდა, იმავე გამოძიების მასალების მიხედვით, ავტომანქანაში აღმოჩნდა 2016 ცალი ტომატის პასტა, 6120 ცალი ანუ 68 ყუთი ჯემიანი ბისკვიტი და 71 ყუთი სამზარეულოს გარნიტურის მაკომპლექტებული ნაწილები... ტვირთის საერთო წონა 4.500 კგ-ს შეადგენს. ჯერ ერთი, ამ მოცულობის საქონელი „გაზელის“ მარკის ავტომანქანაში ვერ დაეტეოდა და მეორეც, ეს ავტომანქანა ამ წონის ტვირთს

ვერ ზიდავს...

უხეში დარღვევა ფიქსირდება დაკითხვისა და დაკავების ოქმებშიც. მაგალითად, მიხეილ ჩინჩალაძის შესახებ გამოძიება წერს, რომ მას დანაშაულის ფაქტზე წაასწრეს; ამის შემდეგ, ის ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტში მიჰყავთ და მოწმის სახით (და არა ეჭვმიტანილის სახით, რადგან დანაშაულის ფაქტზე წაასწრებული პირი ავტომატურად ითვლება ეჭვმიტანილად) ჰკითხავენ. ეჭვმიტანილად დაკითხვის დროს კი, ძალით დააწერინეს, რომ ადვოკატს არ საჭიროებდა, ვიდრე საბოლოო ბრალდებას არ წაუყენებდნენ მას. თუ რატომ უნდა გასჩენოდა ეჭვმიტანილს ასეთი სურვილი, გაუგებარია“...

ჩინჩალაძეს, ისევე, როგორც დანარჩენ პირებს, ბრალად ედებათ საბაჟო წესის დარღვევაში თანამონაწილეობა და სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება. ადვოკატები აცხადებენ, რომ ბრალდებულთა მხრიდან არ არსებობს სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედება. „თუ ვინმემ დანაშაული ჩაიდინა, მიხეილ ჩინჩალაძე მაინც არაფერ შუაშია, რადგან ის საქართველოდან გამსვლელ პუნქტზე იდგა და შემომსვლელ მანქანებთან კავშირი არ ჰქონდა“, — აცხადებს ადვოკატი კობალაძე. შეკითხვაზე — თუკი ბრალდებულები უდანაშაულონი არიან, რატომ გასწირა ისინი ფინანსურმა პოლიციამ? — ადვოკატმა კობალაძემ ასე გვიპასუხა:

„თუ რაშია საქმე და რა დაინტერესებას აქვს ადგილი, ჩემთვის გაუგებარია. ამის შესახებ არაფერი ვიცი და თავად ბრალდებულებიც უარყოფენ რაიმე დაპირისპირებას ან კონფლიქტს ფინანსური პოლიციის თუნდაც ერთ წარმომადგენელთან. თუმცა ნათელია, რომ გამოძიება ტენდენციურად მიმდინარეობს და სრულიად გაუმართლებელი „მტკიცებულებები“ სდებს ბრალს უდანაშაულო ადამიანებს“.

ინფორმაციულ-მედიასფეროში
კოლაჟი

ეორი დღის
უბის წიგნაკვანძო:

1. ჯღაჯანა შხამიანი სოკოა.
2. წილჩაოტი და ჯიბლიბო სინონიმები.
3. საქართველოში იის 26 სახეობა იზრდება.
4. რიონელი ნიკო ნიკოლაძის ფსევდონიმია.
5. მიხაილ ზადორნოვი ლუკაშენკოს ჩიპლინოს ეძახის.
6. მეთოფეთა უფროსს ოსმალეთში თოფანჭიდასი ერქვა.
7. არამისი კარდინალ რიშელიეს წითელ ჰერცოგს ეძახდა.
8. კანადის კუნძულ ნოუფაუნდლენდზე წელიწადის ორი მესამედი ნისლია.
9. ჯაკომო პუჩინი 10 წლის ასაკიდან ეკლესიაში ორგანისტად მსახურობდა.



10. ბანანის სამშობლო საქართველო ინდოეთია. იგი სამყაროს ერთ-ერთი უძველესი მცენარეა.

11. საქართველოში ძველად ვინმესათვის თოფის თხოვნა მეგობრობის ნიშნად ითვლებოდა.

12. კეთილსინდისიერი ადამიანები ცხოვრებაში ზუთვად უფრო მეტ „პოს“ ამბობენ, ვიდრე „არას“.

13. რონალდ რეიგანი კოლეჯის დამთავრების შემდეგ აიოვას შტატში ქალაქ დევენპორტში სპორტულ კომენტატორად მუშაობდა.

14. XVI საუკუნის იტალიურ ლიტერატურაში გავრცელებულ სახუმარო ჟანრის პოეზიას მაკარონულ პოეზიას ეძახდნენ.

15. ნილ არმსტრონგმა მთვარის ზედაპირზე 1969 წლის 21 ივლისს თბილისის დროით 6 საათსა და 19 წუთზე დადგა ფეხი.

16. სასიკვდილოდ განწირულს ინდიელები ხელებს უკრავდნენ და ყელზე სველი ტყავის სარტყელს უკეთებდნენ. ტყავი შრებოდა, ვიწროვდებოდა და ადამიანს გუდავდა.

17. მაკლ ლუგლასმა კეტრინ ზებაჯონსი ფილმ „ზოროს“ პრემიერაზე გაიცინო და იქვე უთხრა, ძალიან დიდი სურვილი მაქვს თქვენი შვილების მამა გავხდეო. აბა, გაბედო, მახალა კეტრინმა და წავიდა. მოგვიანებით, როცა კეტრინი მორიგი ფილმის გადაღებაზე გაემგზავრა, ადგილზე ჩასულს სასტუმროს ნომერი ყვავილებით სავსე დახვდა. ყვავილებთან ერთად იყო წერილი, რომელშიც მაკლი სთხოვდა, — ჩემს წინადადებაზე იფიქრო. ერთი წლის



ჟენია ბენიას უცხოელი სიძე

ინგა ჯაყელი

ჟენია ბებია ერთი ტრადიციულად მოაზროვნე ქართველი ქალბატონია, რომელიც დიდ მნიშვნელობას ანიჭებს სწავლა-განათლებას. მისგან გამუდმებით ესმოდით ჯერ შვილებს, მოგვიანებით კი, შვილიშვილებს: ყოლფერს დავთმობ, მარა უსტაველს ვერ შემოვუშოვ სახლში ვერც სიძეს და ვერც რძალს, ტყულა არ მითხრათ და არ გამაგონოთ მაგფერი ამბავიო!..

ჟენია ბებია ჩემი კლასელის ელენეს „შინოური ბებიაა“ და სიმართლე გითხრათ, ჩემი და ელენეს დღემდე გავრძელებული მეგობრობა მთლიანად მისი დამსახურებაა: რადგან ელენეს დედ-მამა მუშაობდა და თავისუფალი დრო თითქმის არ ჰქონდა, ბავშვების აღზრდა მთლიანად ოჯახის უფროს ქალბატონს გადაულოცა და კარგა ხანს, ბავშვებს იგი ელენეს დედაც კი გვევონა, რადგან სულის აკითხავდა სკოლაში, ექსკურსიებზეც დაჰყვებოდა. დღემდე მიკვირს, რა ძალა და ენერჯია ჰქონდა, რომ შვილიშვილთან ერთად 30 ბავშვის მოვლა-პატრონობასაც ახერხებდა და მასწავლებლებსაც არ აკლებდა ჯეროვან ყურადღებას, კულში დასდევდა თეფშებით და გაიძახოდა: მიირთვიო, შეგერგოთ, გაიხარეთო!..

მაღე ჟენია ბებია მთელი კლასის ბებიად იქცა და არავის უკვირდა მისგან არც მოფერება და არც საყვედური, თან — მარტო ბავშვებს კი არა, ჩვენს მშობლებსაც გამუდმებით შენიშნას აძლევდა და შვილის აღზრდაში დაშვებულ შეცდომებზე მიუთითებდა. არავის სწყინდა, პირიქით — თუ წყნარად იყო მოხუცი, იქით მიაკითხავდნენ და ჩაიცივდებოდნენ ხოლმე — ხომ მშვიდობაა

ჩვენს თავს? რამდენი ხანია, აღარაფერი შემოგივლიათო!..

ჟენია ბებია, ბუნებრივია, განსაკუთრებით ფრიალოსანი ბავშვები ვუყვარდით და ელენესაც იმ ბავშვებთან აახლოებდა, ვისაც მეტი წარმატება ჰქონდა. ამ მხრივ მე სხვებზე მეტად მანებვირებდა და ამის მიზეზი მოგვიანებით გამჟღავნდა: დედაჩემს „წამოაძახა“ ერთმა მშობელმა — შენ რა ხმა გაქვს ამოსაღები, წიგნების მეტი, არაფერი გქონიათ სახლში, თურმე, საწოლზეც მორიგეობით წვებითო!..

არა, ასე ნამდვილად არ იყო ჩვენი საქმე, მაგრამ წიგნი ისე უყვარდა მამაჩემს, აზრადაც არ მოსდიოდა, თუ სხვა რამეც სჭირდებოდა ოჯახს და ამით მოხიბლულ ჟენია ბებიას სწორედ ეს ამბავი გამოუტანია ჩვენი სახლიდან: ნემეტნავი განათლებული ხალხია, იმდენი წიგნი კლუბის ბიბლიოთეკაშიც არ დამითვლია; გონია, ლოგინიც არ უდგათ საძინებელში, ყველგან წიგნებიაო!..

მოკლედ, ჟენია ბებიას მონდომების წყალობით, მე და ელენე განუყრელ მეგობრებად ვიქტეთ და იმდენი ჟნა მოხუცმა, როცა რუსეთის დედაქალაქში მიმავლინეს ასპირანტურაში სასწავლებლად, თუმცა ამის არავითარი სურვილი არ ჰქონდა, მიწა გახეთქა და „თავის გოგოსაც“ უშოვა რეკომენდაციები, რომლის გარეშეც წინათ, მიზნობრივ გავუფებში მოხვედრა ჭირდა... ძალიან იდარდა, თავად რომ ვერ გამოგვეყვა, წასვლის წინ კი დამიმარტოხელა და თავისი გულისტკივილი გამანდო: ამ ამბავს, შენ გარდა, სხვას კი ვერ გოვუმხელ, შენსავით არავინ იცის, ტვინს რომ არ უხეთქავს ნიჭი ჩემს გოგოს, თან პრანჭია ნამეტნავი და მე რომ არ

ვყოფილიყავი ფხიზლად, საბავშვო ბაღ-
იდან აპირებდა გაპარვას და გათხოვე-
ბას; არც იქ მეიშლის თავისას და აბა,
შენ იცი, რავარი ფხიზლად იქნები –
მისი შესაფერი მაინც აარჩევე ვინმე;
თუ პროფესორი და აკადემიკოსი არ
იქნა, ასპირანტურის სტუდენტი მაინც
იყოს, უბრალოდ, უმაღლესდამთავრებუ-
ლი არ გეკადრებათ უკვე თქვენო! –
და ერთი პირობაც წამოაყენა – „რიჟა“
რუსს არ გედევაროს სადმე, შავგვრე-
მანი კაცია მომხიბლავიო!..

მოსკოვში შავგვრემანი კაცი რომ
იშვიათობაა, ეგ ახალი ამბავი არაა, სა-
მაგიეროდ, კავკასიელები იყვნენ ბლო-
მად და რაც მთავარია – ზანგები და
შავტუხა არაბები, რომელთა წრეშიც
თავიდანვე უამრავი თაყვანისმცემელი
გაგვიჩნდა, რუსებს შორის გამორჩეულ
კავკასიელებს... საუცხოო გარეგნობის
მქონე ელენეს ხომ, თაყვანისმცემელთა
რიგები დაუღდა და ბევრიც არ უფიქრია
– აღჭირედი ალი მაჰმუდ სინაზე შეაჩ-
ერა არჩევანი, რომელიც უბრალოდ
შავგვრემანი კი არა, ისეთი შავი იყო –
ის თავისი „მწარე სიშავე“ სილურჯე-
ში გადასდიოდა, კბილები კი ისე თეთ-
რად უქათქათებდა, როცა ღამით გვეს-
ტუმბებოდა, ნათურის ანთება აღარ
გვჭირდებოდა სახლში...

ბევრი ვებრძოლე, მაგრამ არა და არ
დაიშალა ჯიუტმა ელენემ და დეპეშა
აფრინა საქართველოში: გავთხოვი, სახ-
ალწოდ ვაპირებ მეუღლესთან ერთად
ჩამოსვლას და აბა, თქვენ იცით, როგორ
დაგვზვდებითო! – მერე კი, შემეხვეწა –
რამდენიმე დღით ჩამასწარი და ჩემები
ალის სიშავეს შეაგუე, მოსაკლავად რომ
არ გამოიწიონ ჯერ ჩემზე და მერე ზანგ
სიძეზეო!.. განსაკუთრებით აქვია ბებიას
შიში ჰქონდა...

ჩავედი. მივედი ელენეს სახლში და
რომ არ ველოდი, იმდენი ხალხი დამხ-
ვდა, „საოჯახო საბჭოზე“ შეყრილი –
ბობოქრობდნენ და იყო ერთი ამბავი.
განსაკუთრებით ელენეს მამა აქტიურობდა:
მოკვლავ, არ ვაცოცხლებ ოჯახის შე-
მარცხვინელს! საქართველოში დეილია
კაცი, უცხოელს რომ არ გაჰყიდებოდა?!
– და თუმცა პირდაპირ ვერ ბედავდა
თქმას, კუთხეში უჩვეულოდ მიყუჟული
აქვია ბებიასკენ აპარებდა მზერას: დავზო-
ცავთ ყველას, ვინც ჩემი ოჯახის შერ-
ცხვენას ხელი შეუწყობსო!..

მეც, მეტი რა გზა მქონდა და რომ
დამემშვიდებინა ადელეგებული ნათესავ-
ები, მოვხსენი გუდას პირი და ათასგ-
ვარი ტყუილ-მართალი „დავახეთქე“

ალის კარგ ბიჭობაზე, მისი ოჯახის
სიმდიდრესა და მამამისის კეთილ სახ-
ელზე, რომლითაც ის მთელ აღჭირში
სარგებლობდა...

– რიჟა თუ შავგვრემანი?! –
დაიკნავლა აქვია ბებია და... გული
ისე წაუვიდა, ჩემს პასუხს „არ მოუცა-
და“. ან კი რა უნდა მეთქვა?..

მოკლედ, დარჩენილი დღეები საქორ-
წილო სამზადისსა და აქვია ბებია
ჯანმრთელობაზე ზრუნვაში გავიდა,
რომელსაც 240-ს ქვემოთ ვერა და ვერ
დაუღვს წნევა და ვერც ფეხზე დააყენეს:
მზერა მიხედვდა, ყველაფერი შავათ
მეჩვენებო!.. – იძახდა საბრალო.

იმ დღესაც იწვა, ელენე და ალი რომ
ჩამოვიდნენ საქართველოში და პირდა-
პირ საქორწინო სუფრის თავში ამოყვეს
თავი. სიძის სიშავით გაოგნებულ მასპინ-
ძლებს სმა-ჭამის ხასიათიც წაუხდათ...

– ვაი, დაღუპულო ოჯახო! – ამოი-
გმინა ელენეს მამამ და სასწრაფოდ
მოაპირქევა ორლიტრიანი ყანწი: იქნე-
ბა, ღვინომ გაჭირვება ისე შავად აღარ
მომაჩვენოსო...

რომ გაუგია, მოვიდნენო, აქვია ბებია
უკანასკნელი ძაღლები მოიკრიბა, წამოდ-
გა და თავი მოიწესრიგა: წავალ, მიუ-
ლოცავ, სიძის გული ოხერია, დეიმახს-
ოვრებს – არ გოუსარდა ჩემი ბედ-
ნიერებაო! – და შემოძულესო...


გამოვიდა დარბაზში და რომ გაიხე-
და სიძე-პატარძლისაკენ, წაივლო ხელი
გულზე და დაიკვნესა: ხომ ვითხარით,
გლახათ ვარ-მეთქი! – ა, ახლაც დამიბ-
ნელდა თვალებში, სიძეც შავად
მეჩვენებო!.. – და გონი დაკარგა...

როცა დარწმუნდა – არაფერიც არ
ეჩვენებოდა და მისმა განათლებულმა
შვილიშვილმა ძლიერ „შავგვრემანი“ და
„განათლებული“ სიძე შეუყვანა სახლ-
ში, სამუდამოდ შეიძულა წიგნი და ყვე-
ლას იმას უმტკიცებს დღემდე – გოგო
არაა სასტავლებელში გაშვების ღირსი,
აკვირდნენ გათხოვებაზე უნდა უჩინ-
ლო მარტვა!..

ელენეს ქორწილის შემდეგ, 15 წელი
გავიდა უკვე. ჩემი მეგობარი უკვე 5
შვილის დედაა, რომელთაგან 4, მამის
ჯიშზე წავიდა და ისეთი შავები არიან,
აქვია ბებია დღემდე წნევას იზომავს
მათ დანახვაზე – ისე, ყოველი შემთხ-
ვევისთვის – და მხოლოდ ერთს აღი-
არებს შვილთაშვილად – 9 წლის ის-
მაილს, რომელიც დამის ფონზე ჩანს
„რიჟა“, თორემ, ქართულ სინამდვილე-
ში ისიც ემხიანი, შავტუხა ბიჭია...

ინფორმაციულ-შეხვედრებითი
კოლაჟი

ეორა ღვალის
უბის წიგნაკვანძო:



შემდეგ ისინი დაქორწინდნენ.

P.S. ქორწილის წინ ხელის სათხ-
ოფნელად ოფიციალურად მისულმა მაკლამ
კეტრინს სამ მილიონ დოლარად ღირებუ-
ლი ბრილიანტის ბეჭედი აჩუქა.

18. ისეთ ადამიანს რომელსაც ღმერთი
არ სწამდა, სამხრეთ კაროლინის შტატში,
ქალაქ ჩარლსტონში ჩასვლა ეკრძალებო-
და. ამ ქალაქში იმდენი ეკლესია აშენდა,
რომ წმინდა ქალაქი უწოდეს.

19. მოსკოვის საფეხბურთო კლუბ „დი-
ნამოს“ ლეგენდარულ მეკარეს, ლეე იამინს,
თამაშის დროს ყოველ-
თვის შავი ფერის ტრუ-
სი და მაისური ეცვა.
ამის გამო მას შავი ობო-
ბა შეარქვეს.



20. „ფოლკსვაგენის“
ქარხნის მშენებლობის
დაწყებისას ფუნდამენ-
ტში პირველი ქვა აღო-
ლფე პიტლერმა ჩაღო.

21. „რუსეთის მეფე ნიკოლოზ II
საქართველოში ჩაის კულტურის შემოტა-
ნის წინააღმდეგი იყო, ძნელად მოსავლელი
კულტურა და ქართველებისთანა ჯიშმანი
ხალხი მის მოვლაში გასაცოდვადებო“ –
ჰყვებოდა გიგა ლორთქიფანიძე.

22. იტალიის ჩრდილოეთში ვალ დაოს-
ტას ოლქში ზარმაცების პირველი საერთა-
შორისო შეკრება ჩატარდა. ზარმაცები
სასიამოვნო გარემოში მსჯელობდნენ, თუ
რა უნდა, მოიმოქმედოს ადამიანმა, რომელ-
საც არაფრის კეთება არ სურს. შეკრების
ორგანიზატორი ცნობილი იტალიელი
კომიკოსი ჯანი ფონტანი იყო. შეკრებაში
ორი ათასი უსაქმური მონაწილეობდა.

23. „შეუძლებელია ჩემი ფილოსოფი-
ური მოძღვრების გადმოცემა მოკლედ, გასაგე-
ბად და ფრანგულად“ – ამბობდა გეორგ
ჰეგელი.

24. 1904 წლის ოლიმპიადაზე ინგლი-
სის დელოფალმა ალექსანდრამ მართონელთა
ფინიშის ნახვა მოისურვა. ამის გამო ფინი-
შის ხაზი 195 მეტრით გადასწიეს, რათა
იგი სამეფო ლოჯის პირდაპირ აღმოჩე-
ნილიყო.

25. „მუშინი ნამა სლაბასტ, ა დეტი
ნამა რადასტ. ვოტ ადინ რას რასსლაბიშსა,
ა პატომ რადლეშსა ვსიუ ჟიხნ“ – ამბობენ
რუსი ქალები.

ყოველი დღე ოჯახში იწყება და ოჯახშივე მთავრდება. როგორ გამოსვალ დილით სახლიდან და რამდენად მიგჩქარება შინ — ამაზე ბევრად არის დამოკიდებული ადამიანის ადგილი საზოგადოებაში, მისი წარმატება-წარუმატებლობა საქმიანობაში, ყველასთვის საოცნებო, საიმედო ქვერი სწორად, სუსულასავით იშლება და თავზე გვემზობა... რატომ ხდება, რომ საფუძვლიანი ფიქრისა და განსჯის შედეგად შექმნილ ოჯახებში მაინც ტრიალებს „ავიდედამთილის“, „დაუნახავი რძლის“, „ანწლი სიდედრისა“ თუ „დოცლაბია სიძის“ მისამართით ნასროლი სალანძღავი სიტყვების კორიანტელი?..

ყველაზე პრობლემური და დაძაბული მაინც რძალ-დედამთილის ურთიერთობაა. სწორედ მათ შორის მიმდინარეობს ბრძოლა საყვარელი არსების დასაკუთრებისათვის, რომელიც ერთისთვის ქმარია, მეორისთვის კი — შვილი. ამ „ბერმუდის სამკუთხედებში“ კი, სწორედ ეს საყვარელი არსება იჩაგრება ყველაზე მეტად... რატომ დგებიან მამაკაცები მძიმე არჩევანის წინაშე — დედა თუ ცოლი?

ლელა ჭანკოტაძე

ელა, 28 წლის:
 — მე და გიგლას მომავლის გზაზე შშობლები გადაგველობნენ და ნორმალური ცხოვრების საშუალება არ მოგვცეს. დედამთილმა ჩენი სიყვარული გაანადგურა. ამ ქალის გამო, ვინ მოთვლის, ტირილში გათენებულ რამდენ ღამეს ითვლის ჩენი ქორწინება... გიგლა მარტოხელა დედის ერთადერთი შვილია. ერთხელ სამსახურში ტრავმა მიიღო, რის გამოც მარჯვენა თვალი დაკარგა. ეს ოჯახის ყველა წევრისთვის მტკივნეული აღმოჩნდა. მაგრამ ყველამ ვანუგეშეთ და ისიც ბედს შეეგუა. ერთ დღეს გავიგონე, დედამთილმა როგორ უთხრა — შენი ცოლის ნდობა არ შეიძლება, ისეთი დღის შვილია, სამუშაოდ ნუ გაუშვებ, სახლში დასვით. გიგლა ძლიერი, მტკიცე ნებისყოფის ბიჭი იყო, მაგრამ დედამ მაინც მოახდინა მასზე ზეგავლენა. რამდენიმე დღეში მითხრა — მე ხეობარი ვარ, იქნებ, სხვისკენ გაგვექცეს თვალი, ამიტომ ვიბრუნებ, სამსახური მიატოვო... მერე დედა-შვილმა მალაზიაში დაიწყეს მუშაობა. ისინი ღამითაც მუშაობდნენ. მე მარტო დავრჩი. ქმარს იშვიათად ვნახულობდი.



ერთხელ დამინახა, როცა ვტიროდი, გულში ჩამიკრა და მანუგეშა: 2 თვე მოითმინე, დედაჩემი სოფელში წავა და ჩვენ ისევ ერთად ვიქნებით... თურმე, დედამთილი ჩუმად ყურს გვივებდა. ოთახში შემოვარდა და ჩხუბი ატეხა. ცოლის გულისთვის დედას იშორებ, ეგ უსირცხვილო ისეთს რას გიკეთებს, რომ ჩემი თავი შეგაძულაო?... — უყვირა გიგლას და მუშტები დაუშინა, მეორე დილით კი, პროტესტის ნიშნად, სახლიდან „ჩუმად გაიპარა და სოფელში წავიდა. გიგლას ვუთხარი — ახლა თუ წახვალ და ბოდიშს მოუხედი, იცოდე, მომავალში უფრო მეტი უსიამოვნება შეგხვდება-მეთქი. არ დამიჯერა, დედამისს სოფელში ეახლა. თურმე მუხლმოყრილი ევედრებოდა პატიებას... 2-3 კვირის შემდეგ, ჩემმა დედამთილმა გამოაცხადა: სოფელში ელას გარეშე ვეღარ გაჟერდები, ბაღში რომ ვიშუშავებ, მაგან სახლს მიხედოს, იქაურობა საშინლად დაბინძურებულიაო. ეს ჩემთვის ნამდვილი შოკი იყო, ოღონდ მე და გიგლა მარტო არ დავრჩენილიყავით, ყველაფერს კადრულობდა, წნევიანი ქალი ვარ, პატრონი და წყლის მომწოდებელი მჭირდებაო, — ამბობდა. გიგლამაც მომთხოვა — წადი, მიენმარე და ყურადღება მიაქციეო. სოფელში ორი თვე გავატარე. გიგლა მხოლოდ ერთხელ ჩამოვიდა. ამასობაში აღმოვაჩინე, რომ ფეხმძიმედ ვიყავი. ეს ამაზე სადღუმლოდ შევინახე, ასე მხოლოდ იმიტომ მოვიქეცი, რომ გიგლას უყურადღებობით გულნატკენი გახლდით: დედამისს თავს ევლებოდა, მე კი თითქოს ვერც მამჩნევდა. ვუყვარდი, მაგრამ არ უნდოდა, გრძნობები დედის თანდასწრებით გამოეხატა. ამიტომ თითქმის არ მელაპარაკებოდა. ღამით ალერსით მახრჩობდა, დღისით კი, უცხოსავით მიყურებდა... სექტემბერში თბილისში რომ დავბ-

რუნდით, უკვე საშინლად გალიზიანებული ვიყავი და ვცდილობდი, თავი ხელში ამეყვანა, რომ დედამთილისთვის შეურაცხყოფა არ მიმეყენებინა. ის კი თავის მგობრებთან ბედნიერი სახით ამბობდა — კარგი შვილი გავზარდე, თვალეში მიყურებს, ჩემ გარდა, საფიცარი არავინ ჰყავსო... ამას ისიც დაემატა, რომ გიგლამ სუფრასთან დედის სადღევრძელო წარმოთქვა და გამოაცხადა — ცოლს ასჯერ გამოიცვლი, დედა კი — ერთადერთიაო!.. ღამით ბოდიშს მომიხადა. ასაკიანი ქალია; რადგან ჩემგან სიყვარულსა და ყურადღებას ითხოვს, არ ღირს, რომ გული დავწვიტო. მისი ბოდიშს უადგილო აღმოჩნდა. მივხვდი, ქმარს ვკარგავდი. მის მიმართ სიყვარული მინელდებოდა. ერთხელ მთელი სერიოზულობით კითხე — დედაშენს დაბადების დღეზე ოქროს ბეჭედი მართვია, დღეს ჩემი დაბადების დღეა, რა მიყიდე-მეთქი? — ჩემი სიყვარულიო, — მიპასუხა დაბნეულმა. ალბათ, არც გასწენებია, ჩემი დაბადების დღე რომ იყო. ცარიელი სიყვარული საკმარისი აღარ აღმოჩნდა. საქორწინო ბეჭედი საწოლის თავთან დავდე და იმ სახლის კარი უსიტყვოდ გამოვიხურე... შშობლებმა მიმიღეს და მანუგეშეს. არც მათთვის მითქვამს ფენძმძობის შესახებ, რადგან გიგლაზე ისე გაბრაზდნენ, რომ შეიძლებოდა, ჩემთვის ორსულობის ხელოვნურად შეწყვეტა მოეთხოვათ... მაინც მეგონა, რომ გიგლა მომაკითხავდა, მაგრამ შევცდი. დედამისის ნების საწინააღმდეგოდ ვერ წავიდა, გამბედაობა არ ეყო. ან იქნებ, ისე არ ვუყვარდი, რომ ჩემ გამო დედას შეჰკამათებოდა... მუცელი რომ დამეტყო, შშობლებმა განვაში ატეხეს. ბავშვი უმამოდ რატომ უნდა გაიზარდოს, იქნებ, ქმარს შეურიგდე, კიდევ ერთხელ სცადოთ ურთიერთობის მოგვარებაო? კატეგორიუ-

ლი წინააღმდეგი ვიყავი, მაგრამ მამაჩემმა თავისი გაიტანა და გიგლას სამსახურში მიაკითხა. უთხრეს — აქ აღარ მუშაობს, უკვე ორი თვეა, რაც გერმანიაში წავიდაო. მამაჩემი განრისხდა, ოღესმე ამ კარს თუ მოაღებდა, აუცილებლად მოგკლავო, — თქვა... მერე ბავშვი დაიბადა. სულ მალე აღმოჩნდა, რომ მას გულის მანკი ჰქონდა და სანამ 6 თვის გახდებოდა, ოპერაცია უნდა გაგვეკეთებინა. სასოწარკვეთილებაში ჩავვარდი. არ ვიცოდი, რა მექნა, დახმარება ვისთვის მიეთხოვა, რომ შვილის ოპერაციისთვის საჭირო თანხა მეშოვა. ოპერაცია ძალიან ძვირი ღირდა, თანხის ნახევარს სახელმწიფო იხდიდა, ნახევარი კი ჩვენ უნდა გადაგვეხადა. წყენა და ღიღუღილება გვერდზე გადავდე და ღელაბითლან მივედი. მან ბავშვის არსებობის შესახებ იცოდა, თუმცა შვილიშვილის ნახვის სურვილი არ ჰქონდა. ოპერაციის შესახებ რომ ვუთხარი, სამინისტრო აღელდა, ტირილიც კი დაიწყო, დამირდა — გიგლას დაურეკავ და ფულს ვთხოვო... 4 ღლის შემდეგ, კარი გაიღო და გიგლა შემოვიდა. რატომ არ მითხარი, ფეხშიძემდე თუ იყავი? — მკითხა და ჩამეხუტა. მე კი პირში მიგახალე: თუ ოპერაციის ფული არა გაქვს, ვობს, უკან წახვიდე, შენგან სხვა არაფერი მჭირდება-მეთქი!.. ჩემი შვილისთვის უკვდავების წყალსაც მოვიტანო, — მითხრა და სიტყვა შეასრულა კიდევ. ოპერაციამდე წუთით არ მოგვიცლივია. დღე და დამეს ბავშვის საწოლთან ატარებდა. ვუყურებდი და ვერ ვცნობდი. მზად იყო, მთელ სამყაროს დაჰპირისპირებოდა, ოღონდ შვილისთვის რამე ეშველა. დედა მაშინ ახსენებოდა, როცა აცრემლებული, პალატის კარს შემოაღებდა ხოლმე და იკითხავდა — როგორ ხართო?... ვეხვეწებოდი — დაისვენე, სახლში წადი, ერთი დამე მინც დაიძინე თბილ ლოგინში-მეთქი, — ის კი, ცრემლორული იდგა საწოლთან და ერთი სული ჰქონდა, რომელიმე წამლის მოტანა დაეკლებინათ. არანაკლებ იტანჯებოდა ჩემი დედამთილიც — თვალზე ცრემლი არ შემოიბოძა, მაგრამ ვერც ფულით. ვერც ერთსულოვნებით პატარას სიცოცხლე ვერ გადავარჩინეთ. ოპერაციის შემდეგ, მხოლოდ 2 დღე იცოცხლა... დაკრძალვიდან მეორე დღეს, გიგლამ მითხრა: თუ გინდა, სახლში წამოდი; მე სინდისი არ მაძლევს უფლებას, პატიება და შერიგება გთხოვო, იმდენად ბევრი რამ გაწყენინე... დედამთილმაც მოხოვა — იქნებ, უსიამოვნებები დავივიწყოთ და ცხოვრება ერთად გავაგრძელოთ?... მაგრამ დასავიწყებელი არაფერი იყო, გიგლამ ერთი წლის წინ არჩევანი საკუთარი ნებით გააკეთა: მან დედა აირჩია...

ლიანა ანდელუაძე, ფსიქოლოგი:

— რაოდენ პარადოქსულადაც არ უნდა აღერდეს, ამ სამ ადამიანს შორის გამა-

რთულ უსისხლო ბრძოლაში ყველაზე მეტ სიბრალულს დედამთილი იწვევს. შვილის ერთპიროვნულად „ფლობის“ სურვილს ის იმდენად შეუყვარა, რომ თავს ვეღარ აკონტროლებს და ვერ აცნობიერებს, რომ შვილს აუბედურებს. იქნებ, გააცნობიერა კიდევ, მაგრამ საკმაოდ გვიან. რაც შეეხება გიგლას, ვფიქრობ, მის გრძობებში ეჭვის შეტანის საფუძველი ელას არა აქვს. მან ხომ ნამდვილად იბრძოლა სიყვარულისთვის, სანამ შეეძლო და როგორც შეეძლო. ნუ მოვთხოვთ გმირობას დედის-ერთა, დედის ნებურა ბიჭს, რომელსაც ბავშვობიდან ჩაუნერგეს, რომ დედის წინაშე ვალშია. დედამ მისთვის თავი გადადო, არ გათხოვდა, მამინაცვლის ხელში არ ჩააგდო, არ მიატოვა, გაზარდა და არაფერი მოაკლო. გიგლამ ისეთი დარტყმა მიიღო ცხოვრებისგან, სისუსტე იმდენად ძვირად დაუჯდა, რომ ვფიქრობ, ბოლოს და ბოლოს, ნამდვილ მამაკაცად ჩამოყალიბდა... ცხადია, უმანკო ბავშვის სიკვდილი ამ კონფლიქტის მიზეზი არ არის და სასიხარულოა, რომ ამას ელაც აცნობიერებს. ეს განგების ნებად ჩათვალთ... ელას ვურჩევ, დაბრუნდეს ქმრის სახლში, სადაც მას დედის ბიჭი კი არა, ნამდვილი მამაკაცი ელოდება.

ბალონა, 50 წლის:

— ყოველთვის მინდოდა, გოგო მყოლოდა. ეს აუხდენელ ოცნებად დამჩნა. ორი ბიჭი შემეძინა. ვფიქრობდი — რძლებს მოვიყვან და ისინი გამიწვევენ ქალიშვილის მაგივრობას-მეთქი... ადრე დაექვრივდი. თუმცა, შვილებისთვის ობლობა არ მიგრძობინებია. მათთვის არაფერი დამიკლია. მათი გულისთვის ნემსის ყუნწში ვძვრებოდი. სულ ტყუილი ყოფილა დედის შრომა. არც ერთმა შვილმა ღირსადაც არ ჩამოვალა, აზრი კეთისა მომავალი ცოლების შესახებ. უცხო გოგონები მოულოდნელად მომაყენეს კარზე. რა უნდა მექნა?... წყენა გულში ჩავიკალი. ვიფიქრე — თუ გავერდებოდი და არჩევანს არ დაუწუწუნებდი, შვილები ჩემი მადლიერები დარჩებოდნენ. მაგრამ სულ მალე, ერთ-ერთმა რძალმა პრეტენზიები წამოაყენა: დიდ ოჯახში ცხოვრება და ყველასთვის თვალბეჭედი ყურება არ შემიძლიაო. თავის ქმარს გამოუცხადა — მამასთან ვბრუნდები; თუ გინდა, წამომყევი, თუ არა და, ჩვენი ცოლქმრობა დამთავრებულიაო... დედის გულს ცეცხლი მოეღო. მივხვდი, შვილს მიჩაგრავდა კაპასი და თავნება გოგო. იმის გაფიქრებაზეც კი, რომ ჩემს ვაჟს ჩასიძებული კაცის სახელი დაერქმეოდა, გულყრა მეწყებოდა.

— თქვენს შვილს თუ უნდოდა, ცოლის ნებას დაჰყოლოდა? მისთვის აზრი არ გიკითხავთ?

— ნიკასაც თურმე, სიმამრის სახლისკენ

მოუწვედა გული, უნდოდა, ფუფუნებასა და განცხრობაში ეცხოვრა: მისი სიმამრი ძალიან შეძლებული კაცი გახლდათ. წუთითაც არ შემპარვია ეჭვი იმაში, რომ ნიკა ჩემგან არ წავიდა. მაგრამ ერთხელ მითხრა: რა კარგი იქნებოდა, მდიდრულ სახლში მეცხოვრა; ჩემთან სტუმრად რომ მოხვიდოდი, ფეხქვეშ ძვირფას ხალიჩას გაგიფენდო... მისი ნათქვამი ცუდად მენიშნა. თუ დედა ვიყვარს, ახლა გამოჩნდება, ჩემს ამავს სიმამრის სქელ ჯიბეს ნუ ანაცვალავ-მეთქი, — ვუთხარი დაბნეულმა. ცოლმა ნიკა მინც გადაიბირა. ერთმანეთს ჩაჰკიდეს ხელი და ისე წავიდნენ, უკან არც მოუხედავთ. შვილმა მიმატოვა. როგორც კი სახლის კარი გაიხურა, თავ-პირში ხელები დავიშინე. თვალები ისე დავიღურჯე, რომ მეზობლებს ეგონათ, ნაცქი ვიყავი...

— ასე რატომ განიცადეთ?

— მასწავლებელი ქალი, ბაზრის დახლს მიუჯდები და ვაჭრობა დავიწყე. შვილებისთვის ვაჭარვება რომ არ მეგრძობინებინა, წვიმასა და ავღარში უდრტვინველად ვიდექი, ერთხელაც არ დამიწუწუნია. ჩემი ასაკის ქალები ისევ ახალგაზრდულად გამოიყურებიან, მე კი აძლენი ჯაფისგან 70 წლის მოხუცს ვგავარ. რით დამიფასეს შვილებმა ამავი?... რაც ცოლები შერთეს, მას შემდეგ დედა აღარც გახსენებიათ. ნიკა ისე წავიდა, თითქოს სამოთხეში მიქნქარებოდა, მეორე ვაჟს კი, ერთი სული აქვს, საღამოს თავისი ოთახის კარს როდის მიიხურავს, რომ ცოლ-შვილთან მარტო დარჩეს. გათენებამდე მესმის ხოლმე მათი მხიარულების ხმა. მე კი ვზივარ ტელევიზორთან, ან ქმრის სურათს ვესაუბრები. ის რომ მყოლოდა, იქნებ, შვილებს ვერ გაუბედოდა, ასე მომქცეოდნენ...

ქატიონო თავართქილაძე, ფსიქოლოგი:

— წერილში მოთხრობილი ამბავი არ არის ერთეული შემთხვევა. არ არსებობს ოჯახი, სადაც ეს პრობლემა მეტ-ნაკლებად არ აწუხებთ, რაც ჩვენს საზოგადოებაში არსებული მრავალი, ერთმანეთში გადაჯაჭვული ფაქტორის შედეგია. დავიწყოთ თუნდაც, წერილში მითითებული პირველი უკმაყოფილებით: დედას შვილებმა ცოლები უკითხავად, მოულოდნელად „მოაყენეს კარზე“. განა ეს ფაქტი არ ნიშნავს იმას, რომ ოჯახში ყველაფერი წესრიგში არაა და რძლის შემოსვლამდეც სერიოზული პრობლემები არსებობდა?... მით უმეტეს, რომ არც ესაა ერთეული შემთხვევა. დღეს იშვიათი გამონაკლისია, როცა შვილის დაოჯახება მშობლებთან შეთანხმებით ხდება. რატომაა ასე? მოდი, შევეცადოთ აღნიშნული ფაქტის გაანალიზებას. ვფიქრობ, ამით ბევრ კითხვას გაეცემა პასუხი. პედაგოგიურ ფსიქოლოგიაში არ-

სეობს ტერმინი: „ჰიპერმზრუნველობა“ ანუ „ჰიპერპროტექცია“, რაც ნიშნავს შვილისადმი მშობლის იმდენად გადაჭარბებულ მეურვეობას, რომ შვილს პროტესტის განცდა უჩნდება, საკუთარი პიროვნული ხელშეუხებლობის დაცვის მიზნით წინააღმდეგობას უწევს მშობელს, უპირისპირდება მას. მშობელი არ ენდობა შვილს, ფიქრობს, რომ მას დამოუკიდებლად არაფრის გაკეთება არ შეუძლია, მათ შორის – არც შესაფერისი ცოლის არჩევა. თავის მხრივ, შვილიც არ ენდობა მშობელს, ამ შემთხვევაში – დედას. იქნებ, მან წინასწარ იცის, რომ დედა არჩევანს არ მოუწონებს და ამიტომ იტყულებული ხდება, ფაქტის წინაშე ბოლო წუთს დააყენოს იგი, როცა არაფრის შეცვლა აღარ შეიძლება. უთანხმოების მიზეზად, თავისდა უნებურად, ოჯახში ახალშემოსული ადამიანი იქცევა. „ეს რომ შემოვიდა, ცხოვრება მერე აგვერია“, „რძლის მოყვანის შემდეგ, მე და ჩემი შვილი ერთმანეთს ვეღარ ვუგებთ“, „ცოლმა ტვინი გადაუბრუნა“ – ამგვარი ფრაზები ხომ, ყოველი ფენის ნაბიჯზე გვეხმის! მსგავს სიტუაციებში მხოლოდ დედათიღების დადანაშაულება არ იქნებოდა მართებული. რა ემართებათ შვილებს? ისინი ცდილობენ, იყვნენ დამოუკიდებლები, მაგრამ „ჰიპერმზრუნველობაში“ აღზრდილები ამას ვეღარ ახერხებენ. გაჭირვებისთანავე დასახმარებლად მშობლებს მიმართავენ, – ისე, როგორც ამ ოჯახის პირველი რძალი მოიქცა. იგივე გააკეთა ნიკამაც... დღეს საზოგადოება მატერიალური ცენზის მიხედვით გაიყო. ჩვენთვის, თანასწორობას მიჩვეულთათვის ძნელია ამასთან შეგუება, რომ ერთნი ქონებრივი ნიშნით სხვებზე მაღლა დგანან, უპირატესობით სარგებლობენ და ეს ამბავს ოჯახურ კონფლიქტებს. უსიამოვნებების მოსაგვარებლად საუკეთესო საშუალებაა, საკუთარი თავის სხვის ადგილზე წარმოიდგინა. ეს ძნელია, მაგრამ შესაძლებელია, – ისევე, როგორც რძალ-დედათიღის ურთიერთობის მოწესრიგება ძნელი, მაგრამ შესაძლებელი.

მანანა, 48 წლის:

– ერთდღერთი შვილი მყავს – თორნიკე. მეორე იმიტომ არ გავაჩინე, რომ მატერიალურად მყარი ოჯახი არ მქონდა. მერჩია, ერთი ვაჟი მყოლოდა და მისთვის არაფერი მომიკლო, ვიდრე რამდენიმე შვილი სიღუბნეში აღმეზარდა. თორნიკე ისე გავანებებურე, პურის საყიდლადაც არ გამიგზავნიდა. გავიდა წლები. თორნიკე გაიზარდა. ჩემმა მეუღლემ კი მოულოდნელად დიდი ფული იშოვა. ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. შვებით ამოვისუნთქე. ნაცნობ-შეგობრები „დავატრიალე“ და მალე შესაფერისი სარძლოც ვიპოვე. მიხლოდა, რძალი, შეძლებული ოჯახიდან ყოფილიყო: ქონება ქონებას მიემატებოდა და

თორნიკე უზრუნველად იცხოვრებდა. მაგრამ ერთ ავბედით დღეს, ჩემი გეგმები ჩაიშალა. თორნიკე დედაჩემთან სოფელში წავიდა. იქიდან თანასოფლელებთან ერთად დაბრუნდა. მაშინვე სუფრა გავმალე და ახალგაზრდებს ხელგაშლილი შევეგებე. მერე კი, როცა შვილმა მითხრა, რომ ერთ-ერთი სტუმართაგანი უკვე მისი ცოლი იყო, მუხლი მომეკვითა. გონება დავკარგე. „სასწრაფო დახმარების“ გამოძახებაც კი დასჭირდა, ისე ცუდად გავხდი... ჩემი რძალი ჩემზე სოფლიდანაა. მისი მშობლები დღეინადავ მიწას ჩაჰყურებენ და 5 შვილისთვის ლუკმაპურს ძლივს შოულობენ. ელისო ფიზიკურად ნორმალური გოგოა, მაგრამ არანაირი განათლება არა აქვს. ის სოფლური ცხოვრებისთვისაა გაჩენილი და ჩემი შვილის შესაფერისი არ არის. მეგონა, თორნიკე მიხვდებოდა იმას, თუ რა შეცდომა დაუშვა და ამ შეცდომის გამოსწორებას შეეცდებოდა, მაგრამ თითქოს დაბრმავდა. ვერ აჩნევს, რამხელა ზღვარია მასა და ელისოს შორის. ჰოდა, ყველაფერი პირიქით მოხდა: ნალოლიავეები შვილი ლამისა სიმამრსა და სიდედრს მოჯამაგირედ დაუდგეს – ყოველ შაბათ-კვირას სოფელში გარბის და ცოლის ნათესავებს ბაღ-ბოსტანს უთოხნის... რძალს საყვედური ვუთხარი. ქმარს ენა მიუტანა და შვილი ჩემს წინააღმდეგ აამხედრა. თორნიკემ მოლუშულმა შემომხედა და მითხრა – ჩემს ცოლს არასდროს უსაყვედურო, რამე თუ არ მოგეწონება, მე მითხარიო. მას შემდეგ, ელისო ჩემთან ურთიერთობას თავს არიდებს. იმის მაგივრად, რომ თავი მომაცნოს, მთელი დღე ჩემად არის და თითქმის არ მეკონტაქტება. თორნიკესთვის არაფერი მენანება, მაგრამ არ შემიძლია, ამ გაუთლელ ქალს ჩაუვადო ხელში ყველაფერი ის, რასაც ასე სათუთად ვაგროვებდი წლების განმავლობაში... ახლა ელისო ბავშვს ელოდება. მე კი შვილიშვილის დაბადება არ მიხარია. იმ ბავშვის მოფერებას ვერ შევძლებ, რომლის დედამაც შვილი გამიუბედურა... ოქტომბერში დაბადების დღე მქონდა. თორნიკემ მკითხა – დედა, რა გაჩუქო, ყველაზე მეტად რა გავაზარებსო? სახლში, ჩვენ გარდა, არავინ იყო. შვილი აღარ დავზოვე და უთხარი – თუ მეცოდინება, რომ მაგ გოგოს გაყვრები, ყველაზე კარგი საჩუქარი ეგ იქნება, თუნდაც, ეს 10 წლის შემდეგ მოხდეს-მეთქი. – მიყვარს და ასე მგონია, ქვეყანაზე უფრო ლამაზი და კეთილი გოგო არ არსებობსო, – მიპასუხა თორნიკემ. არ დავუთმე და პირში მივახალე: მაშინ არჩევანის გაკეთება მოგიწევს: ან ეგ „არაჩუქებური“ გოგო და ან მე-მეთქი. ჩემმა სიტყვებმა თორნიკე შეაკართო. ფერი დაკარგა... ძალიან შემეცოდა. ალბათ, გრძობს, როგორ შეცდა, მაგრამ ელისო

ეცოდება, თორემ, სიყვარულით ვიცი, რომ აღარ უყვარს. დედის გულს შვილი რას გამოაპარებს!.. მას შემდეგ, თვალს ვერ მისწორებს. დარწმუნებული ვარ, თხოვნას შემისრულებს. მაგრამ რა ვქნა, დედის დამჯერმა ბიჭმა უცხად ხნე რომ შეიცვალოს?.. ხომ შეიძლება, ცოლმა გადაიბიროს?!

ქატიონო თაყაიტილაძე, ფსიქოლოგი:

– წერილის პირველსავე ფრაზებიდან კარგად ჩანს შვილისადმი და საკუთარი თავისადმი ქალბატონი მანანას დამოკიდებულება: ბავშვი ალბათ, დაბადებულიც არ იყო, როცა მან უკვე იცოდა, როგორ გაიზრდებოდა, რომელ სკოლაში ივლიდა, რომელ უმაღლესში ჩააბარებდა, რა პროფესიის ცოლს შეირთავდა, რამდენი შვილი ეყოლებოდა, სად იცხოვრებდა და ა.შ. თუმცა, ეს პრობლემის ერთი მხარეა. ქალბატონმა მანანამ საკუთარ თავზე, საკუთარ ცხოვრებაზეც თქვა უარი იმით, რომ საკუთარი ცხოვრების ერთადერთ აზრად შვილის მეურვეობა აქცია. არ დაფიქრებულა იმაზე, თუ მის შვილს ზედმეტი ფუფუნების ნაცვლად რა უნდოდა. იქნებ, თორნიკეს უნდოდა, ჰყოლოდა და ან ძმა, თვითონ ეზრუნა ვინმეზე?.. იქნებ, პურის საყიდლად წასვლა მისთვის დიდი ბედნიერება, სიხარული იქნებოდა?.. ამით და ბევრი მსგავსი აკრძალვით, მან შვილს რაიმის გაკეთებით გამოწვეული სიამაყის, თავდაჯერებულობის განცდა მოაკლო... თუმცა, მან მაინც შეძლო, დამოუკიდებელი ნაბიჯის გადადგმა და დედის წინააღმდეგ წავიდა, რაც უდავოდ, მის სასახლოდ მტყვევლებს. იმაზე თუ დაფიქრდა ქალბატონი მანანა, რატომ დადის თორნიკე სოფელში? რატომ ბარავს და თოხნის? ის ამით სასარგებლო საქმეს აკეთებს, სხვას ეხმარება, რაც მის ცხოვრებას ავსებს. სახლში ხომ ყველაფრის გაკეთებას არიდებენ!.. მშობელს ვურჩევ, დაფიქრდეს იმაზე, თუ რაზე ბრაზობს. მისი სიბრაზე სიძულვილს ემსგავსება. თუკი შვილისთვის არაფერი ენანება, როგორ შეიძლება, მისთვის ყველაზე ძვირფასი – მისი შვილის გაჩენით გამოწვეული სიხარულის გაზიარება დაენანოს!.. ამ ოჯახში უსიამოვნებების მიზეზი ის არის, რომ დედამ თავისი ცხოვრება შვილის ცხოვრებასთან გააიგივა, შვილი კი, როგორც დამოუკიდებელი პიროვნება, უარყო, რაც ქართველი დედების უმეტესობისთვის არის დამანასათებელი. ალბათ, ძალიან ძნელი იქნება, მაგრამ ქალბატონმა მანანამ უნდა შეცვალოს დამოკიდებულება ოჯახის წევრების მიმართ. უნდა მოახერხოს და თავისი ფუნქცია ახლა შვილიშვილის აღზრდაში დაინახოს, რათა პატარა არსებას ბებიის მზრუნველობით მიღებული სიტყბი განაცდევინოს. ■

სპეციალური წინადადება

განსაკუთრებული ფასები



50%-იანი ფასდაკლება

ქართული წარმოების პროდუქციის

რეკლამირებისას

*„კვირის პალიტრა“
მიესალმება ყველა
ქართველ მენარმეს
და უსურვეს
წარმატებებს!*


ტელ. 33-78-07



ქართული წარმოების
დროებით უნდა სარგებლობდეს

ვავრძელებთ ყოფილ ქურდთან, სპარტაკ ბურდუ-
ლაძესთან საუბარს. დღევანდელ ინტერვიუში შეიტყ-
ობთ, თუ რა გადახდა თავს თბილისის ციხეში,
თბილისის ომის დროს; რა უთხრეს გოგა ხაინდრავამ
და გიორგი ჭანტურიაშვილს, როგორ დახვრიტეს მისი
მეგობარი, თამაზ ბანძელაძე და მსოფლიო ჩემპიონი
ჭიდაობაში თამაზ ნამგალაური; ვისგან და რატომ
ყიდულობდა თოვლს სპარტაკი და მართლაც, რემონ-
ტის გამო გამოუშვეს ციხიდან თუ არა...

სპარტაკ
ბურდულაძე



ქურდურობის

ამაღმასახე

მარი ჯაფარიძე

– ერთხელ, მეგობარმა ამბავი მომი-
ტანა – წნორში უცხოური ავეჯი შემოი-
ტანეს და გარეუბანში, ერთ დიდ საწყობ-
ში აქვთ შენახული. ავეჯს თანამდებო-
ბის პირები ინაწილებდნენ და რაც დარ-
ჩებოდა, მამასისხლად ყიდდნენ. წავეყ-
ვანე რამდენიმე სატვირთო მანქანა და
მივადექი საწყობს. გავეტეხე ბოქლომები
და მთელი ავეჯი დავატვირთვინე მან-
ქანებზე. დილით კი, ცენტრალურ უნივერ-
სიტეტში მივიტანე, სიმბოლური ფასები
დავადებინე და მოსახლეობაზე გავაყიდ-
ვინე... ზამთარი იყო. ისეთ ოჯახში
მოვხვდი სტუმრად, რომელსაც შეშაც
არ ჰქონდა და ბავშვები სიცივისგან
კანკალებდნენ. კინაღამ გავვიფიქრი. იმ
ღამესვე მივადექი ნავთობბაზას და რამ-
დენიმე ტონა „სალიარკა“ წამოვიღე.
ნაწილი ამ ოჯახს მივუტანე, ნაწილი
სხვა გაჭირვებულ ოჯახებს დაუურივე.
ისიც გავიგე, რომ შემის არქონის გამო,
ის სკოლა დაკეტილა, სადაც მე ვსწავ-
ლობდი. იქაც რამდენიმე მანქანა შეშა
მივიტანე.

რამდენიმე დღის შემდეგ, ჩემი ყო-
ფილი მასწავლებელი მოვიდა და მითხრა
– ამაღამ დაგიჭერენ და შინიდან უნდა
წახვიდეო. – შენ რა იცი-მეთქი? –
მილიციის უფროსის ოჯახში მოვხვდი
სტუმრად, მთელი თბილისის მილიცია
აქ არის ჩამოსული და მასპინძელს
სიმთვრალეში წამოსცდა, ამაღამ სპარ-
ტაკი უნდა „ავადლოთ“; ახლა სწორედ
იქიდან მოვდივარ, რომ გამეფრთხილები-
ნეო. მაღლობა გადავუხადე, გავაცილე
და ტელევიზორი ჩავრთე. 90-იანი წლე-
ბი იყო, ზვიად გამსახურდიას პრეზიდენ-
ტობის პერიოდი და მაშინ „მიტინგობა-
ნა“ მოღამი იყო. ტელევიზიით ერთ-

ერთ მიტინგს უჩვენებდნენ და უცებ, ჩემი
სახელი და გვარი გამოაცხადეს – კანონ-
იერი ქურდები უნდა ავლავდეთო!.. და-
კუკუკუკუკუ ჩემს ძმაკაცებს, ვისაც სა-
ფრთხე ელოდა, გაუფრთხილე, მერე სოფელ
ანავის თავმჯდომარეს ახალთახალი
„ნივა“ წავართვი და იარაღსხმულმა,
გურჯაანისკენ ავიღე გეზი. სოფელ ბაკურ-
ციხეში მიმავალი, გზად გადავწყვიდე ასეთ
ამბავს – ერთი მანქანა „მირბის“, სამი
უკან მისდევს და თან ერთმანეთს ესერი-
ან. მღვეარი ჩემი ძმაკაცი იყო. შემნიშნა
და ხელით მანიშნა, მოგვეყოლო. ვისაც
მისდევდნენ, ის კაცი „ცეზავიკი“ და
ფულიანი „მასტი“ იყო. დავეწვიეთ, აქეთ-
იქიდან ამოუყვინეთ მანქანები და გავან-
ერებინეთ. იარაღიც წავართვით, ფულიც
და გავუშვით. იარაღისა და ფულის
ნაწილი მეც შემიხვდა.

ორ მეგობართან ერთად სოფელ კარდ-
ნახში, სანდო ოჯახს შევაფარეთ თავი.
სამი დღე მშვიდად ვიყავით. მეოთხე
დღეს, დილით, მესმის მეგაფონით იახ-
იან – სპარტაკ, გამოდი, თორემ, ოჯახს
ჩავცხრილავთო. ბიჭებს ვუთხარი – ესენი
მე მეტებენ, ამიტომ თუ ჩავბარდები, თქვენც
გადარჩებით და ოჯახიც, მე გავალ, თქვენ
კი გაიქეცით და იარაღიც თან წაიღეთ-
მეთქი. შემოავზავნეს კაცი, რომელმაც
მითხრა – ალყაში ხარ, გაქცევას ვერ
მოახერხებ, ამიტომ ჯობია, დანებდეო.
დავბარე – სოფლის ცენტრში, მალაზი-
ასთან დამელოდონ და მოვალ-მეთქი.
დამთანხმდნენ. ერთი პისტოლეტი გავირ-
ჭვე ქაშარში და წავედი. იარაღიც ჩავა-
ბარე და მეც ჩავბარდი.

მიმიყვანეს თბილისის ციხეში. სწორედ
იქ გავიცანი გიორგი ჭანტურია და გოგა
ხაინდრავა. ისინი სხვა კორპუსში იხსდნენ
და ჩემს კამერაში ამოვაყვანინე. ერთ

დილით ციხის თანამშრომლები „დავაყ-
ენეთ“, გასაღებები წავართვით, ყველა კა-
მერის კარი გავაღეთ. ციხე გატყდა.
ახლა გარეთ უნდა გავსულიყავით. ციხ-
ის ეზოში პურის მანქანა იდგა. ორი
პატიმარი ჩავლა, დაქოქეს და ჭიშკრის
შენვრევა სცადეს. ერთხელ დავეჯახნენ
– არაფერი გამოუვიდათ... უამრავი პა-
ტიმარი იდგა ეზოში და ელოდა ჭიშკრის
გახსნას... ამასობაში მოვიდა ბრძანება,
რომ პატიმრებისთვის ესროლიათ. მანქანა
მეორედ რომ დაიძრა ჭიშკრისკენ, ორივე
პატიმარი შიგ ჩაცხრილეს და ტყვიების
წვიმა ჩვენკენაც წამოვიდა. მაშინ ბევრი
პატიმარი დაიღუპა. ციხის ეზო სისხ-
ლით შეიღება. ზოგიერთი პატიმარი
შენობის სახურავზე ავიდა და ლეიბებს
ცეცხლი წაუკიდა... მოკვლე, ვერ გამ-
ოვედით. ციხე ჩაწყნარდა. დავიწყეთ
ხელახალი მზადება გასაქცევად. ჭან-
ტურიაშვილს და ხაინდრავამ მითხრეს –
ნურაფერს მოიმოქმედებ, თავი არ დაიღ-
უპო, თვე-ნახევარში დიდი ამბავი ატყდე-
ბაო. მართლაც, თვე-ნახევრის მერე, თბილი-
სის ომი დაიწყო. ორივემ წინასწარ
იცოდა, რომელ დღეს რა მოხდებოდა.
წინააღმდეგე მეტყობდნენ – ხვალ ეს ასე და
ასე იქნებაო, – და მართლაც, ისე მიმ-
დინარეობდა მოვლენები. მერე გოგამ გამ-
აფრთხილა – იცოდე, „მხედრობის“ სიხ-
ლოვეს არ გაეკარო, დრო მოვა, როცა
ყველა „მხედრობის“ სამშობლოს მოლ-
ალატედ გამოაცხადებენ; რომ გათავისუ-
ფლდები, ჩემთან მოდი და მერე ვილა-
პარაკობთ... იმ პერიოდში, ორივეს მშრა-
ლი შიმშილობა ჰქონდა გამოცხადებუ-
ლი. მე ვამბობდი – ჭამეთ, ასე როდემ-
დე გაძლებთ-მეთქი! – მაგრამ ვაჟკა-
ცურად იტანდნენ... ამავე პერიოდში,
„სმერტნიკების“ (სიკვდილიმსჯილები).

– ავტ.) კამერაში იჯდა მსოფლიო ჩემპიონი, მოჭიდავე თამაზ ნამგალაური, რომელსაც დახვრეტა ჰქონდა მისჯილი. მას არასრულწლოვნის გაუპატიურებასა და მკვლელობაში ედებოდა ბრალი. აპონელები ეხვეწებოდნენ, ჩვენს მთავრობას – არ დახვრიტოთ, ეგ კაცი ჩვენ მოგვეცითო... მე მოვასხერხე მასთან კამერაში შესვლა. დამათვალეებინა ფოტოები, რომლებიც საზღვარგარეთ ყოფნისას ჰქონდა გადაღებული. ყველგან ულამაზესი ქალების გარემოცვაში იყო აღბეჭდილი, ზოგი კალთაში ეჯდა, ზოგი – კისერზე ეკიდებოდა...

ერთ საღამოს, კამერაში ექიმი გამოიძახა. ბუნებრივია, მას ციხის თანამშრომლებიც ახლდნენ. ყველას დაერია და მუშტით გათიშა, გასაღები აიღო და „სმერტნიკებს“ კარი გაუღო. მერე დანარჩენი კამერებიც გაკვსენით და პატიმრები გარეთ გამოუშვეთ. ციხე ხელმეორედ გატყდა... დერეფნებში ხელჩართული ბრძოლა მიდის პატიმრებსა და ციხის თანამშრომლებს შორის. ჩემთან მოვიდა ერთი ჩეჩენი პატიმარი და მითხრა – სანამ ესენი აქ ჩხუბობენ, ჩვენ კედელი გავანგრითოთ: ციხის ერთი კედელი „სვაბოლაზე“ გადიოდა. გაანგრის კედელი და პატარა ხვრელით რამდენიმე კაცი უნდა გავსულიყავით. 2-3 პატიმარი გადაძვრა. მერე ერთი მსუქანი კაცი გაიჭვია ხვრელში. ზოგი აქედან აწვება, ზოგი იქიდან ეჭიდება, ეს კაცი ხვნიშის, ველარც შიგნით შემოდის და ველარც გარეთ გადის. კარგა ხანს ვეჯავჯვურეთ. ამასობაში გარეთაც სროლა ატყდა. გასვლას აზრი აღარ ჰქონდა... ისევ ჩაწყნარდა ციხე. ნამგალაური კი, მეორედ დღესვე დახვრიტეს. ჩვენ ვერც კი გავიგეთ. თუმცა, ამ დროს, პარლამენტში სიკვდილით დასჯის გაუქმების საკითხი წყდებოდა და ყველა დახვრეტა შეჩერებული იყო. როცა ვინმეს ხვრეტდნენ, სპეციალურ მოტორებს რთავდნენ ხოლმე, რომ სროლის ხმა დაეფარა და ზევით კამერებში არ გაეგონათ. „სმერტნიკების“ კამერები სარდაფში იყო. დამით ბიჭები ქვევიდან გვეხმებოდნენ ხოლმე, მოგვიკითხავდნენ... თუ ვინმეს გული უგრძობდა, რომ მეორედ დღეს უნდა დახვრიტათ, დაიძახებდა ხოლმე – ვიცი, ხვალ დამხვრეტენ და თქვენი ჭირი წამილიაო...

ერთი მეგობარი მყავდა, ქურდი, თამაზ ბანძელაძე. მას ულამაზესი დედა ჰყავდა... თამაზი „პაბეში“ იყო. დედამისი ცოლად შეირთო მაღალი თანამდებობის პირმა, პოლიციელმა. ქმარმა დაარწმუნა,

რომ თუ შვილის ადგილსამყოფელს გაამხელდა, მხოლოდ 15 წელს მიუსჯიდნენ და თან დაეხმარებოდა, რომ დროზე ადრე გათავისუფლებულიყო. ამ ქალმაც დაიჯერა და ყველაფერი „დაფქვა“, შვილი დააჭერინა. მაგრამ ქმარმა სიტყვა არ შეასრულა და თამაზს დახვრეტა მიუსაჯეს... როცა მასთან კამერაში მისულან, რომ დასახვრეტად წაეყვანათ, ის საკანდან არ გამოსულა – აქ შემოდით, თქვენი დედაო!.. – შეაგინა ჯალათებს. კარიდან ესროლეს და იქვე, საკანში დახვრიტეს. ამ დროს, მე „კრიტში“ მიმიყვანეს და რამდენიმე წუთის შესული ვიყავი კამერაში, რომ რაღაც ხმაური შემომესმა. „ვალჩოვი“ (საკანის კარში დატანებული სათვალთვალთ. – ავტ.) გავინდე და დავინახე, რომ თამაზისთვის ორ თანამშრომელს ფეხებში ჩაველო ხელი და მკვდარს მიათრევდნენ. ამან ჩემზე ისე იმოქმედა, რომ კარგა ხანს ვერ მოვდიოდი გონზე.

კიდევ ერთ მეგობარზე მოვიყვებოთ, მიშკაზე. არასრულწლოვანი იყო, როცა მკვლელობაზე დაიჭირეს. მისი თანამოსაქმენი დახვრიტეს, რადგან ძალზე სასტიკი დანაშაული ჰქონდათ ჩადენილი, მიშკას კი 10 წელი მიუსაჯეს, რადგან არასრულწლოვანი იყო. მე ის ციხეში გავიცანი. ისეთი კეთილშობილი ადამიანი იყო, მიკვირდა – ამან კაცი როგორ მოკლა-მეთქი! – მაგრამ ხანდახან, ისეთი ნაპერწკალი გაუკრთებოდა თვალბში, ეჭვი არ შეგეპარებოდა რომ შენ წინ ნამდვილი მკვლეელი იჯდა. ისეთი მკვლეელი იყო, რომ ქურდებსაც კი ემინოდათ მისი, ზონაში... არასოდეს უთქვამს, ქურდობა მინდაო და ყველას გვიკვირდა, რადგან ვიცოდით, რომ ნამდვილად დიდი სურვილი ჰქონდა, ქურდი გამხდარიყო. არასრულწლოვანთა კოლონიაში რომ მოხვდა, როგორც ხდებოდა ხოლმე, გათიშეს და მკლავზე წითელი „პავიაზა“ შეაბეს. ამის შემდეგ ქურდი ვერ გახდებოდი. არასრულწლოვნებში ამისთვის სპეციალური პატიმრები ჰყავდათ, რომლებიც უკვე 23-25 წლისანი იყვნენ, მაგრამ მაინც „მაღალეტკებში“ იხსდნენ, რადგან იმდენი „ბოზური“ საქციელი ჰქონდათ ჩადენილი, რომ დიდების ზონაში რომ გადაეყვანათ, გააპედერასტებდნენ და „ქათმებში“ გაუშვებდნენ. ჰოდა, ისევ არასრულწლოვნებ-

ში იხსდნენ და იქ იმ საქმეს აკეთებდნენ, რასაც ციხის ადმინისტრაცია ავალბებდა. მიშკამ 10 წელი რომ მოიხადა, „სვაბოლაზე“ გავიდა, 2 კვირაში კი, უკან მიაბრუნეს, ყჩაღობისთვის. მოიყვანეს ზონაში, მაგრამ ადმინისტრაციამ არ მიიღო. ამიტომ ჩასვეს „ბურში“ – ეს არის ციხე ზონაში. იქ კამერაში დახვრედი ძველი „ნაბოზარი“, რომელმაც მიშკას „პავიაზა“ გაუკეთა... მერე გავიგეთ, რომ ეს „მაღლებმა“ გაუჩალიჩეს, რადგან ის კაცი მათაც უჩიოდა ადმინისტრაციაში, მიშკას მოშორებაც უნდოდათ თავიდან და ერთი ხელის მოსხით ორი საქმე გააკეთეს. მიშკამ ეს კაცი იცნო თუ არა, იმ დღესვე „დაბრიადა“... გადაიყვანეს ციხეში. 15 წელი ჰქონდა მისჯილი და შეუცვალეს დახვრეტით.

ეს კაცი რომ მოკლა, მიშკამ მაშინ თქვა – აი, ახლა მინდა ქურდობაო. აქამდე იმით არ ვამბობდი, რომ დაფი-



ამ ქალმაც დაიჯერა და ყველაფერი „დაფქვა“, შვილი დააჭერინა. მაგრამ ქმარმა სიტყვა არ შეასრულა და თამაზს დახვრეტა მიუსაჯეს...

ციხეული მქონდა, – ვიდრე ამ კაცს არ მოკვლავდი, ქურდობაზე ხმას არ ამოვიღებდიო... მისი ქურდად „მონათვლა“ ქურდებს არ უნდოდათ, რადგან იცოდნენ – ნახევარ საქართველოს არაქურდად დატოვებდა. ამ დროს, მეც კონფლიქტი მქონდა ქურდებთან, იცოდნენ, რომ მე და მიშკა ვმძაკვობდით და ორივეს ერთად ვერ მოგვერეოდნენ. მიშკას დახვრეტის განაჩენი გამოუტანეს თუ არა, მამამისს გული გაუსკდა და მოკვდა. ამ დროს გამოჩნდა კაკბეთელი კაცი. ვინმე ალორდ ჯუღაშვილი, რომელიც ქურდი არ იყო, მაგრამ ძალზე დიდი ავტორიტეტი გახლდათ. მიშკა და ალორდა ერთად იხსდნენ სასჯელს და ეს კაცი მიშკას, შვილობილს ეძახდა. ამ პერიოდში ალორდა „სვაბოლაზე“ იყო. შემოვიდა ზონაში და მოინახულა ერთი რუსი ბიჭი,

ერთგული პკითხველი

1. რამდენი ხილია გერმანიის ქალაქ ჰამბურგში?



- ა) 2600;
- ბ) 260;
- გ) 26.

2. რომელ ქვეყანაში ითვლება ცუდი ამინდი, სამსახურში გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზად?



- ა) იაპონიაში;
- ბ) პორტუგალიაში;
- გ) ინგლისში.

3. რას ნიშნავს ფრანგული ზმნისებანი — Patuiller — ნაწარმოები სიტყვა „პატრული“?



- ა) ტალახში სიარულს;
- ბ) ალღოიან მადებარს;
- გ) შეუმჩნეველ ადამიანს.


პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე

რომელიც იმ კამერაში იჯდა, სადაც მიშკამ ის კაცი დაბრიადა. შესთავაზა მას — შენ 13 წელი გაქვს მისჯილი, აიღე ეს მკვლელობა შენს თავზე, ორ წელს დაგიმატებენ, მე კი ფულს გადავინდი და ნახევარ „სროკში“ გამოვიყვანო. მოკლედ, ალორდამ ეს ბიჭი დაითანხმა. მერე წავიდა მოსკოვში, რადგან დახვრეტის მუხლს მხოლოდ მოსკოვი თუ შეცვლიდა. ალორდა რომ მოსკოვში ჩასულა და მისი გვარი გაუგიათ, გაგიჟებულან: კიდევ არიან საქართველოში ჯუღაშვილები?.. მოკლედ, მოსკოვმა დახვრეტა შეუცვალა და მიშკა ისევ ზონაში გადმოიყვანეს. როცა ის „სმერტნიკებში“ იჯდა, ჩვენთან, ზონაში მისი მტერი მოყვანეს. ჩვენ მივწერეთ — ესა და ეს კაცი აქ არის და რა ვუყოთ-თქო? — ჯერ არაფერი, თუ დამხვრიტეს, მერე, როგორც ძმაკაცებმა, თქვენი ვალი მოიხადეთ, თუ არა და, მერე მე მივხედავო. ამ კაცმა რომ გაიგო, მიშკა ზონაში მოიყვანეს, იმ დამხვრეტის მიზანით...

ზონაში მოსვლისთანავე, მიშკამ ჩამოწერა ის დანაშაულები, რომლებიც ჩადენილი ჰქონდა და ქურდებს გაუგზავნა. თან მიაწერა — მეც ქურდი ვარ და ჩემთან ჩამოდიო. მე ვუთხარი — იცოდე, ახლა შენ ჩვენებსა წერ-მეთქი... არ დამიჯერა... მიშკა მოკლეს. მარმარილოს ქვა შევუკვეთე და კახეთში, ეკლესიის ეზოში დავდეგი.

თბილისში, ციხეში ყოფნის დროს, ერთი პერიოდი „რეზბალნიცაზე“ ვიყავი. აკრძალული იყო წამლის შემოტანა და მართლაც, ერთი გრამი წამალიც კი არ შემოდიოდა. იქ იჯდა ერთი მდიდარი ოჯახის შვილი, რომელსაც ერთი გრამი ჰეროინი ძლივმდივობით შემოუგზავნეს. იქ გასაყოფიც არაფერი იყო. მასთან ერთად ოთახში ერთი კაცი იჯდა, რომელიც წამლის გულისთვის უკან არაფერზე დაიხვედა. ბიჭმა ვერაფრით გაარტყა ვენაში და ამ კაცს სთხოვა დახმარება, მკლავი უკულმა ამოუტრიალა; იმანაც, კანი გახვრეტა და მეორე მხრიდან, თვითონ თითში გაიკეთა წამალი... ბიჭი კუთხეში ჩაცუცქდა და „პრიზოდს“ ელოდებო. არავითარი რეაქცია. ეს კაცი კიდევ „განგრეულ“ კაიფშია. ატყდა ერთი ამბავი. ავიდა ქურდებში ეს საქმე. მათ კი ყველა გააფრთხილეს — წამლის ამბავში ამას ნურავინ ენდობოთ, თუ რამე იაღლიში მოხდება, ჩვენთან ნულარ მოხვალთო...

ერთ დღეს, ერთ-ერთი პატიმარი, „ტრუსიკიანი“ აძვრა მალალ ალვის ხეზე და იმუქრებოდა — აქედან უნდა გადმოვხტო. ატყდა ერთი ამბავი, მიელი



ერთ დღეს, ერთ-ერთი პატიმარი, „ტრუსიკიანი“ აძვრა მალალ ალვის ხეზე და იმუქრებოდა — აქედან უნდა გადმოვხტო

სამინისტრო და დეპარტამენტი შეიძრა, ღებანან „დაღლები“ ალვის ხის ქვემოთ და ეხვეწებოდა — ჩამოდიო. ის კიდევ, არ ჩამოდის. ქურდებიც ჩაერივნენ საქმეში, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ... წელან ვისზეც ვიამბებო, საქმეში ის კაცი ჩაერია. „დაღლებს“ უთხრა — 5 გრამი ჰეროინი მომიტანეთ და მე ჩამოვიყვანო. უცებ გააჩინეს წამალი. იმან ერთი „ზახოლი“ იქვე გაიკეთა, ტანისამოსი გაიხადა და ისიც „ტრუსიკიანი“ აძვრა ხეზე. სულ ფეხის თითები დაუკონა, ეხვეწებოდა — ჩამოდი, ასე ნუ იქცევო, — მიფეხრა, მიუალერსა და ორივენი ერთად ჩამოვიდნენ ხიდან... აი, ასეთი ამბებიც ხდებოდა ციხეში..

ერთ ამბავსაც გავიხსენებ. რალაც საქმეზე დამიჭირეს და გურჯაანის მილიციამში მიმიყვანეს. ზამთარი იყო. მოგესენებოთ, პატიმარს ერთი ჭიქა წყალი ერგება, მაგრამ ეს რას გეყოფა!.. იქ ჩაის ვაძულებოთ, იქ ყავას, ჩიფირს, ჰოლა, წყალს არ ვვაძულებდნენ. გადავწყვიტე, მილიციის უფროსს მოვლაპარაკებოდი. დავითანხმე, რომ თოვლი მოეტანა ჩვენთვის. იმანაც, ფულის შოვნის საშუალება დაინახა და დამთანხმდა. ერთ ცელოფანის პარკ თოვლში 10 მანეთის ვიხდიდით, მერე ვაღნობდით და საჭიროებისამებრ ვიყენებდით. არ იყო ეს კაცი მოსაკლავი?... სწორედ მაგაზე ნათქვამი — ზამთარში თოვლს მოგყიდისო... ისე იყო ხალხი მიჩვეული, ჩემს ციხეში ყოფნას, რომ ერთხელ, წინორში მოხუცი ქალი შემხვდა, დამაკვირდა, გარშემო შემოიძარა და გაოცებულმა მკითხა — შენ სპარტაკი ხარო? — ჰომეთქი — მერე, აქ რა გინდაო? — აბა, სად უნდა ვიყო-მეთქი? — ალბათ, ციხე რემონტშიაო... ჩაილაპარაკა და წავიდა. აბა, რას ვეტყვი მოხუცს?... ახლა რომ მახსენდება, მელიძება. მაშინ კი, მართლა გავბრაზდი და კაცი რომ ყოფილიყო, პასუხს მოვთხოვდი...

ბავრი ვისაღე შენთვისო — გამოვიდა ჩათვისო...



„დედაშვილსაც პირდაპირ ვუთხარი — ისეთი ბიჭია, შენთვის ვერ გავიშვებ-მეთქი...“

აღმოჩნდა, რომ იმ მკითხველთა უმრავლესობა, რომელიც მოცემულ თემას შეეხებინა, მართლაც ძალზე მონადინებული ყოფილა, რომ მეგობარი თუ ნათესავი გაეზღინებინა, მაგრამ ბოლოს თვითონ აღმოჩენილა სიყვარულის ბაღში და საქმე მოსაბოდიშებლად გახდომია. ზოგს თუ შეგნებული მეგობარი ჰყავს და იოლად შეეგუა შეყვარებულის „ნართმევას“, ზოგიერთი სამუდამოდ მტრად მოჰკიდებია ახალშექმნილი ოჯახის შეყვარებულ წყვილს და შურისძიების გეგმაც კი დაუსახავს. ჩვენც მადლობის მეტი რა გვეთქმის გულახდილი მესიჯებისთვის? ახლა კი დროა, პირველ რესპონდენტს მოვუხმინოთ.

მარი ჯაშარიძე

„თავისთვის გაიჩაღია...“

„ამ რამდენიმე წლის წინ, ამერიკაში წავიდი სამუშაოდ. ნიუ-იორკში, ძალზე მდიდარ ოჯახში მოვხვდი. შაბათ-კვირას იქ მცხოვრები ქართველები ვიკრიბებოდი ხოლმე და ხან რესტორანში მივიდიოდი, ხან სადღე სხვაგან, გასართობად. თავდაპირველად არც კი ვიცოდი, თუ ასე ხდებოდა. შემდეგ რამდენიმე ქართველი გავიცანი და მათ დამპატიჟეს. საღამოს დათქმულ ადგილზე მივედი. ახალი სახის გამოჩენამ დანარჩენები გაანახლისა. თბილად მიმიღეს, საითაოდ გამეცნენ და რესტორანში წავიდი. ჩვენ შორის ერთი ახალგაზრდა ბიჭი იყო — მათე. სუფრასთან ჩემ გვერდით დაჯდა და ხმაბლად გამოაცხადა — ამ გოგოს მე ვუპატრონებ, ძალიან გთხოვთ, ყველამ თავი შეიკავეთ ზედმეტი ყურადღებისა და კომპლიმენტებისგანო. მშვენიერი დრო გავატარეთ, მაგრამ მე გულში სულ სხვა ბიჭი ჩამივარდა. მას ჩემთვის ყურადღებაც არ მოუქცევია. მეორედ რომ შევხვდით, უფრო მოვიხიბლე ამ ბიჭით. მას ზურა ჰქვია. მერე მოუთმენლად ველოდი ხოლმე შაბათ დღეს, რომ ზურას შევხვედროდი. მათე კი თავს არ მანებებდა, მირეკავდა, ცალკე შეხვედრას მთხოვდა. დასახმარებლად ერთ ნაცნობ გოგოს მივმართე. ის გათხოვილი იყო, ორი შვილი ჰყავდა, მაგრამ მისი ოჯახი საქართველოში ცხოვრობდა. ზურასთან დავაბარე — შეხვედრა მინდა-მეთქი. მიპატიჟება მივიღე. მთელი საღამო ვისეირნეთ მე და ზურამ. გამიმხილა — მომწონდი, მა-

გრამ მე მეგონა, შენ და მათე ერთმანეთს ხვდებოდითო. მეორედაც შევხვდით. ამის შემდეგ შევნიშნე, რომ ჩვენი შუამავალი გოგო გააქტიურდა და აღარ მოსწონდა, მე და ზურა რომ ვხვდებოდით. ვცადე, დავლაპარაკებოდი, მაგრამ იუარა — გეჩვენებო, მითხრა. რამდენიმე ხნის შემდეგ ზურა ჩემ მიმართ გაცივდა, თავს მარიდებდა, აღარც საერთო შეხვედრაზე მოდიოდა. მე განვიცდიდი და ვერ გაბეგო, რა ხდებოდა. აღმოჩნდა, რომ იმ გოგოს „დაუთრევია“ ზურა და მაგრადაც ჩასჭიდებია. დავბოლმე, — არ გააპატიებ-მეთქი, დავუბეგო და აუუსრულე კიდევ დანაპირები. საქართველოში მის ქმარს შევუთვალე — ცოლი გაგიბოზდა და მიხედე-მეთქი. დიდი ამბავი ატყდა. ოჯახი დაინგრა, მაგრამ ეს ოჯახი ხომ უჩემოდაც უკვე დანგრეული იყო? აი, ასე, ვითომ ჩემთვის ცდილობდა ეს ოჯახიანი ქალი და თავისთვის კი მაგრად გაიჩაღია. ხათუნა, 26 წლის“.

ბებია რომ ძალზე საყვარელია, ამას ბებრი ფიცი-მტკიცე არ სჭირდება, მაგრამ თუ ბებო ცუდად გავიხდათ, ძალიან ნუ ინერვიულებთ. იქნებ, მისმა ავადმყოფობამ ბელსაც გწოთ, როგორც ეს ჩვენს რესპონდენტს დამართა:

„ბებოსთვის ვეცადე და ჩემთვის გამომივიდა...“

„ჩემი ბებო გურულია და ხიდისთავში ცხოვრობს. ბაბუა უკვე აღარ მყავს და ბებო მარტო ცხოვრობს სოფელში.

ერთხელ, დაგვირეკეს და გვითხრეს, რომ ბებო ცუდად იყო. ოჯახმა მიმავლინა გურიაში, რომ ავადმყოფისთვის მიმეხედა. ჩავიდი. რაიონიდან ექიმი ჩავიყვანე, მაგრამ ვერაფერი გაუგო. რამდენიმე დღე ვუმკურნალებო, მაგრამ უშედეგოდ. ბებომ შეება ვერ იგრძნო. გადაწყდა, რომ თბილისში უნდა წამომეყვანა. ტაქსის მძღოლებს ჩამოვუარე. ვერც ერთთან ფასზე ვერ მოვრიგდი. ძალზე ძვირს მთხოვდნენ. ბოლოს, ერთი სანდომიანი კაცი მომიახლოვდა და მკითხა — რა გაგჭირვებიაო? — აუხსენი. სულ მიზერულ ფასზე მოვრიგდით და ჯერ შინ წავიდი, რომ ბებო ჩავგვესა მანქანაში, შემდეგ კი თბილისისკენ წამოვედი. გზაში მძღოლმა ყველაფერი დაწვრილებით გამომიკითხა და მითხრა — ჩემი შვილი ექიმა, თბილისში ცხოვრობს, მოდი, ბებო მას მივუყვანოთ, იქნებ, რამე გაუგოსო. თბილისში რომ ჩამოვედი, უკვე ბნელოდა, მაგრამ ნიკო არ მოგვეშვა და თავის შვილთან მიგვიყვანა. დათო ექიმმა ბებო ყურადღებით გასინჯა და გადაწყდა, რომ მეორე დღეს საავადმყოფოში უნდა დაგვეწვინა. ასეც მოვიქცით. დათო თვითონ მკურნალობდა ბებოს, მერე ორი კვირის განმავლობაში შინ, ჩვენთან ყოველდღე აკითხავდა და მის ჯანმრთელობას თვალყურს ადევნებდა. ბოლოს, ნება დავკრითო, რომ ბებო სოფელში წავიყვანა და შემოგვთავაზა — მეც ვაპირებ გურიაში წასვლას, ბარემ ჩემი მანქანით წავიყვანოთო. დათო რომ წავიდა, მამაჩემმა ჩაიბურტყუნა — არა მგონია, ეგ კაცი

ყოველდღე დედაჩემის სანახავად დადიოდესო. გაეწითლდი, რადგან მეც ვგრძნობდი, რომ დათო ჩემ-ჩემად თვალს ჩემკენ აპარებდა ხოლმე, თუმცა, სხვა მხრივ არაფერი უგრძნობინებია. ბებო წინ, დათოს გვერდით გამოვჭიმეთ მანქანაში, უკან კი მე და დედა მოვთავსდით. მთელი გზა ძალზე მხიარულად გავლიეთ. დათოს დავემშვიდობეთ და მეორე დღეს სტუმრად დავპატიეთ. მართლაც, საღამო ხანს მისი მანქანა ჭიშკართან გაჩერდა. თან დედა და მამა ახლდნენ. თურმე, ჩემს სათხოვნელად იყვნენ მოსულები. ეს რომ გავიგე, მზად ვიყავი, მეფერი, — თანახმა ვარ, თანახმა ვარ-მეთქი, მაგრამ თავი შევიკავე. თუმცა, მეორე დღეს შევეუთვალე — სამუდამოდ შენი ვარ-მეთქი. ქორწილიც გადავიხადეთ და ახლა პატარა ლუკაც გვყავს. აი, ასე ვეცადე ბუბოსთვის და ჩემთვის კი გამომივიდა. პატივისცემით, მაკა“.

თურმე ისეც ხდება, რომ ადამიანი შენთვის ცდილობს და სხვისთვის გამოვდის. ასეთ შემთხვევაში დაზარალებული თავად რჩები და არც საჩივრელი გაქვს ვინმეზე და არც სამაგიერო გაქვს გადასახდელი... ჩვენი შემდეგი რესპონდენტი 26 წლის ზალიკო გახლავთ:

„საცოლეს ვეძებდი და დედინაცვალი ვიპოვე...“

„დედა და მამა გაყრილები არიან. დედაჩემი მეორედ გათხოვდა. მე მისი გათხოვების წინააღმდეგი არ ვყოფილვარ, მაგრამ მამინაცვალთან ცხოვრებას მამასთან ყოფნა ვარჩიე და მასთან ერთად ვცხოვრობდი. ერთად ცხოვრებამ ძალზე დაგვანსლოვა და ის ზღვარი წაიშალა, რაც მამა-შვილს შორის უნდა იყოს. ჩვენ უფრო მეგობრები ვართ, ვიდრე შვილი და მშობელი, ხანდახან ორივეს ერთად ქალებიც კი მიგვიყვანია სახლში და მაგარი დროც გვიტარებია. ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, გავიცანი ერთი მშვენიერი გოგონა, მაგრამ ვერც შეხვედრარზე ვითანხმებდი და ვერც ტელეფონით საუბარზე. გადავწყვიტე, მასთან ოჯახში მივსულიყავი და მშობლები გამეცნო, რომ ნახისთან ურთიერთობაზე თანხმობა მიძლეო. ერთ საღამოს, მამა-შვილი ნახის ოჯახს ვეწვიეთ. შინ მხოლოდ დედამისი დავგვხვდა. კარგად მიგვილო ქალბატონმა მანანამ და შემპირდა, რომ კვირაში ორჯერ მომეცემოდა ნახისთან შეხვედრის საშუალება. თავდაპირველად, მართლაც არ დაურღვევია პირობა, მაგრამ ერთ დღესაც ნახიმ მაუწყა, რომ დედამისი ჩემთან აღარ უშვებდა. ისეც შინ მივაკითხე. ამჯერად მარტომ, მაგრამ კონკრეტული პასუხი კითხვაზე — რატომ აღარ უშვებდა პაე-

მანზე ნახის? — ვერ მივიღე. წამოვედი და გადავწყვიტე, ქალი მომეტაცინა. რა თქმა უნდა, პირველ რიგში მამას გაეუშვილე და დახმარებაც ვთხოვე. მან მძიმედ დამიქნია თავი. ცოტა ხნის შემდეგ კი მითხრა — შვილო, არ გამოვა ეგ საქმე, ნახი შენი ცოლი ვერ გახდებაო. ჯერ მისგან ნათქვამი „შვილო“ მოხვდა ყურს უჩვეულოდ, მერე — წინადადების შინაარსი. — რატომ-მეთქი? — იმიტომ, რომ მე და მანანა... აქ კი ავეუთქლი. დავიწყე ყვირილი, ხელების ქნევა და აქეთ-იქით სიარული, მაგრამ მერე დავმშვიდდი და ხელი ჩავიქნე. აი, ასე ვეცადე ჩემთვის და გამომივიდა სხვისთვის. საცოლეს ვეძებდი და მგონი, დედინაცვალი ვიპოვე...“

სიყვარულის დაკარგვა თავისთავად ტრაგედიაა, მაგრამ ერთი და იმავე ადამიანის ორჯერ დაკარგვა, უკვე ბედისწერა, ან სულაც ბედის ირონიაა. გვიამბობს 30 წლის ეკა:

„სიყვარულს ხელი ვერ ვკარი...“

„ბავშვობის მეგობარი მყავს — ბელა. ერთ ეზოში გავიზარდეთ, ორივენი დღემდე გასათხოვრები ვართ და ისევ ვმეგობრობთ. ბელას ბავშვობაში ერთი ბიჭი უყვარდა. რა თქმა უნდა, გოგას მეც ვიცნობდი. გაკვეთილებიდან ერთად ვიპარებოდით ხოლმე, რიონზეც ერთად ვბანაობდით (ქუთაისში ვცხოვრობდით) და ათასი თავგადასავალიც გადაგვხდენია თავს. სკოლა რომ დავაბოლოვებთ, მე და ბელამ თბილისში განვაგრძეთ სწავლა. ბინაც ერთად ვიქირავებთ. გოგა კი ქუთაისში დარჩა. მერე გოგა დაიკარგა, ბელას აღარ ურეკავდა. ორივენი ვნერვიულობდით. შემდეგ შევიტყვეთ, რომ გოგა რუსეთში წასულა. საერთოდ არ შეგვხვდინებია, აგერ უკვე ათი წელი იქნება. მისი ოჯახი ქუთაისიდან სოფელში გადავიდა. მოკლედ, გოგას კვალი დავკარგეთ. ბელა ხშირად ამბობდა ხოლმე: — ეჰ, ისევ მიყვარს, ის უკარგისიო... შარშან, გაზაფხულზე ორივენი ქუთაისში წავედით. რაღაც ეშმაკი შეგვიჩნდა და გადავწყვიტეთ, გოგა მოვკვებინა. კარგა ხანი დავგვჭირდა იმისათვის, რომ გავგვერკვია, გოგას ტელეფონის ნომერი და ისიც, რომ თურმე ის თბილისში, სათავრობო დაცვაში მუშაობდა და ისევ უცოლო იყო. დაბრუნდი თბილისში. ბელას ვეხვეწებოდი, დაურეკე-მეთქი. უარობდა. თუ ჩემი მოძებნა უნდოდა, აქვე ყოფილა და მომძებნიდაო. გადავწყვიტე, მისთვის სიურპრიზი მომეწყო. გოგას დავუძვინჯე, მაგრამ ვინაობა არ გამომხვლია. მიპასუხა. მეც გავუგზავნე მესიჯი და ასე გაგრძელდა კარგა ხნის განმავლობაში.

მერე გოგა შინ დავაპატიე. კარზე რომ დააკაკუნა, ბელას ვთხოვე — გააღე-მეთქი... თქვენ მათი სახეები უნდა გენახათ... გოგამ მოუხშირა ჩვენთან სიარულს, მაგრამ ვგრძნობდი, რომ ჩემი გულისთვის მოდიოდა. მესიჯების წერასაც განაგრძობდა. ბელას ვერ ვუმხელდი, მაგრამ ვგრძნობდი, რომ გოგა უკვე თავდავიწყებით მიყვარდა. ვერ შევძელი, სიყვარულისთვის ხელი მეკრა. ისიც არ მეშვებოდა. მოკლედ, ბელამ დღემდე არ იცის, რა ხდება ჩვენ შორის. არც კი ვიცი, როგორ გავუხშილო, რომ მალე გათხოვებას ვაპირებ და თანაც ვისზე — მის ძველ შეყვარებულზე!.. მართალია, სახელები შეცვალე, მაგრამ ბელა ალბათ ადვილად ამოიცნობს ამ ამბავს. ბელა, გვაპატიე...“

„ისეთი ბიჭი მოვიდა და თან ისეთი მანქანით...“

„ზუსტად ასეთი ამბავი დამემართა. ჩემს დედაშვილს ვიღაც ბიჭს ურეგებდნენ. მთხოვა, წადი და ჯერ შენ ნახეო. როგორ უნდა მენახა? დავურეკე და პირდაპირ ვუთხარი — ნიას დედაშვილი ვარ და შენთან შეხვედრა მინდა-მეთქი. გაუხარდა, კარგო. დავთქვით შეხვედრის ადგილი. ისეთი ბიჭი მოვიდა და თან ისეთი მანქანით, რომ ალფრთოვანებისგან ლამის გული წამივიდა. პირველსავე წუთიდან მე თვითონ დავუწყე შებმა. მხარი ამბა. ის საღამო მშვენივრად გავატარეთ და მეორე დღესაც შევხვდით. ჩემს დედაშვილსაც პირდაპირ ვუთხარი — ისეთი ბიჭია, შენთვის ვერ გავიმეტებ-მეთქი. გაიცინა და ხელი ჩაიქნია. ახლა მე და სოსოს გახურებულ სიყვარულობანა გვაქვს. ჩემს დედაშვილს კი ახლოსაც არ ვაკარებ. რა იცი, რა ხდება? მარი“.

„ოქროსფერთმიანი, ცისფერთვალეა ანგელომი“

„ოცდაათი წლის, ცოლშვილიანი კაცი ვარ. ერთ-ერთ რაიონში საქმეზე ჩავდი და ისეთი ლამაზი გოგო გავიცანი, რომ მზეს უუბნებოდა, შენ ჩადი, მე უნდა ამოვიდეო. დავუწყე დევნა. გამიბოლოდა. იმ რაიონში ჩემი ძველი, ინსტიტუტის მეგობარი ცხოვრობდა და ლამის მას ჩავუხსახლდი. რა თქმა უნდა, გულდაგულ ვმაღავდი, რომ ცოლ-შვილი მყავდა. საქმე იქამდე მივიდა, რომ ამ გოგოს ოჯახმა გაიგო. მამამისი მოვიდა ჩემთან, სალაპარაკოდ. ურცხვად მოვატყუე, ცოლად მინდა-მეთქი. გაიკითხ-გამოიკითხეს და დაადგინეს, რომ ვატყუებდი. გოგონა სასწრაფოდ გადამაღეს და მერე საერ-

თოდ, რუსეთში წაიყვანეს. მანამდე კი ეს გოგო თბილისში უნდა ჩამოსულიყო სასწავლებლად და ნათესავთან უნდა ეცხოვრა. წინასწარ იმ ოჯახის ტელეფონის ნომერიც კი მომცა. რამდენიმე თვე რომ გავიდა, ვიფიქრე, იქნებ ჩამოვიდამეთქი და იმ ნომერზე დავრეკე. ნინო ვიკითხე. — მე მაია ვარ, მისი ნათესავი, შენ ალბათ ალიკა ხარო? — კი-მეთქი. — შენ ნინოს ვეღარ შეხვედები. — შენ? შენ თუ შეხვედები-მეთქი? — უცებ დამთანხმდა. პაემანზე კი ოქროსფერთმიანი, ცისფერთვალა ანგელოზი მოვიდა. მალე ავაწყვეთ ურთიერთობა და უკვე ორი წელია, ვურთიერთობთ. არ უნდოდა, ნინოს ჩემთან ძმაცავდა? ბევრი ვეცადე მისთვის, მაგრამ გამომივიდა მაიასთვის... აი, ასე!”

ახლა კი მოკლე მესიჯებს გავცნობთ:

„მე კი, მათი მაჭანკალი, მალე დამივიწყეს“

„მაგ სიტუაციაში ვარ, სწორედ. ირამ და დათომ იჩხუბეს. ირამ მასთან მესიჯის გაგზავნა მოხოვა. დათომ კი მესიჯობანა გამიბა. ირასთვის ვცდილობდი დათოს დაბრუნებას, ამ ცდა-ცდაში კი შემიყვარდა. ირა, მე ის მიყვარს. ვერ დავითმობ და ვერ დავიბრუნებ. მაპატიე. ა.შ.კ.“

„ო, დაქალი „ემშაკო“, ზომ იცი, დათო შენთვის მინდოდა, მაგრამ იმდენი ვაბი შენთვის, რომ ბოლოს სიყვარული მე ამიხსნა“.

„მე და სერგო ერთად ვსწავლობდით ინსტიტუტში. მაშინ ვიგრძენი, რა იყო სიყვარული. ისე შემიყვარდა, რომ ვერც კი წარმომედგინა უმისოდ თავი, მაგრამ მან ეს არ იცოდა. სერგო მეუბნებოდა, — ვინმე გამირიგო. მეც, სულელმა, ჩვენს მეგობარს დავადგი თვალი და ერთმანეთთან დავახლოვე. ვხედავდი, როგორ კარგად იყვნენ ერთად, მე კი, მათი მაჭანკალი, მალე დამივიწყეს. ეს კაცი ჩემთვის მინდოდა. მეც მალე გავთხოვდი, მაგრამ ჩემი მამულობის ამბავი არ მავიწყდებოდა. მე არ გამიმართლა და ვცხოვრობ მარტო. ის კი ახლა თურჯოლის რაიონის ერთ-ერთი სოფლის გამგებელია. — ვიცი, სერგო, ამ მესიჯს შენც წაიკითხავ, ჩვენი მეგობრებიც და აუცილებლად მიცნობთ. მინდა, გითხრა, ჩემო შავთვალა ანგელოზო, რომ მე შენით ვცოცხლობ. გვიან მითხრეს, რომ თურმე შენც გიყვარდი და ღუმდი. რატომ, საყვარელო? მალე საბერძნეთში მივიღე... ნინო“.

„ლონდრე, მინდოდი ჩემთვის, მინდიხარ ჩემთვის, მენდომები ჩემთვის! შენ სხვისთვის როგორ გავიმეტებდი? არ თქვა ახლა, — გინდა, საკმარისი არ არის,

უნდა გერგებოდესო. იცი, რა გემრიელად შეგივრება?“

„ჩემს დაქალს ძალზე მოსწონდა თავისსავე უბნელი ბიჭი, მაგრამ ვერანაირად ვერ მოახერხა მისი გაცნობა. მოხდა ისე, რომ მისი ტელეფონის ნომერი გაიგო და მე მოხოვა, დამერეკა, რადგან თვითონ რცხვენოდა. მეც დავთანხმდი და დავრეკე. საკმაოდ დიდი ხანიც ვილაპარაკეთ, ჩემით ძალზე დაინტერესდა და მოხოვა, შეხვედროდი. მე ეს აზრი მაინცდამაინც არ მომეწონა და თიკოს ვკითხე, როგორ მოვიქცე-მეთქი? თიკო აღფრთოვანდა, მოხოვა, შეხვდი, ახლოს გაიცანი და მერე მეც გამაცანიო. ჯანდაბან-მეთქი, ვიფიქრე და პაემანზე წავედი. ალბათ უკვე მიხვდით, რომ ერთმანეთი შეგვიყვარდა. ჩემდა საბედნიეროდ, დაქალი არ დამიკარგავს, მან ყველაფერში გამიგო. აი, ასე ვეცადე სხვისთვის და გამომივიდა ჩემთვის“.

„ერთი ბიჭი მიყვარდა. მას კი თურმე შეყვარებული ჰყოლია. სრულიად შემთხვევით, იმ გოგოს დავუშეგობრდი. როცა მათი სიყვარულის ამბავი გავიგე, ლამის გავვიჟღი, მაგრამ მათი დაშორება არც მიფიქრია. პირიქით, ყოველი ჩხუბის მერე მე ვარიგებდი. ერთ საღამოს კი ამ ბიჭმა მე ამიხსნა სიყვარული, მაგრამ მასთან ყოფნას მეგობარი ვარჩიე და დღემდე, ღმერთის მაღლობელი ვარ, რომ სწორი გადაწყვეტილება მივიღე, რადგან ის ბიჭი არაკაცი აღმოჩნდა“.

„ვაიმევე, მარიი, იცი, რა უბედური ვააარ! მიყვარს ბიჭი და მასაც ვუყვარვარ, მაგრამ უარს ვეუბნები, რადგან ჩემს ბიძაშვილსაც შეუყვარდა. თუმცა, ზაქრომ არ იცის — მე სულ სხვადასხვა მიზეზს ვიგონებ და შეხვედრაზე არ ვთანხმდები. თქვენი საშუალებით კი მინდა ვუთხრა, რომ ძალიან მიყვარს და ჩემი „არა“ მართლა არა ნუ ჰგონია“.

„მარმან დასასვენებლად ვიყავი ბებიასთან, სოფელ დვალაში. იქ ერთი გოგო გავიცანი — თამუნა. სულ ერთად ვიყავით. ერთ დღეს ძალზე გახარებული იყო. მითხრა — გავიგე, მაგარი ბიჭი ჩამოდის და უნდა დავითრიოო... თან დახმარება მე მოხოვა. მეც თავი დავუქნიე. როგორც იქნა, დადგა ის დღე და ჩამოვიდა ის ბიჭი. მე ჯერ ნანახიც არ მყავდა. თამუნამ კი გაცნობაც მოასწრო. ჩემთან მოვარდა გაგიჟებული — იცი, რა მაგარი ბიჭიაო? იმ საღამოს მეც გავიცანი. მთელი ღამე წამითაც არ მომიხუჭავს თვალი, სულ დათოზე ვფიქრობდი. თამუნა გადარეული იყო, ძალიან მიყვარსო... მე არაფერი მითქვამს, ჩემი გრძნობების შესახებ. გავიდა რამდენიმე დღე და დათო მე გამომიტყდა სიყვარულში. ჩემზე ბედნიერი არავინ იყო.

თამუნამ რომ გაიგო, გამებუტა. მე სოფელში ვცხოვრობდი, დათო კი თბილისში. ერთად მხოლოდ ერთი თვე ვიყავით. მერე წამოვედი ბებიისგან. ხშირად ველარ ვხვდებოდით ერთმანეთს. დედა მიხვდა, რომ უზომოდ ვიყავი შეყვარებული და ერთხელაც ყველაფერი დაწვრილებით გამომიტხა. აღმოჩნდა, რომ პაპაჩემის ბიძაშვილის შვილი ყოფილა. იმ დღიდან დაიწყო ჩემი ტანჯვა. დღემდე მიყვარს და ვუყვარვარ. ოჯახი მეუბნება — თუ მას ცოლად გაჰყვები, ჩვენთვის მოკლებიო. რა ჩემი ბრალაა? მე თამუნას ვუწყობდი საქმეს და ასე გამოვიდა... მინდა, თამუნამ მაპატიოს და გამიგოს. დათუნას კი ვეტყვი, რომ სიცოცხლეს მირჩენია და არასოდეს დავივიწყებ. ბეელ! — ასე მეძახის დათო“.

„17 წლის ვარ და მყავს დაქალი, ნინი. მას ინსტიტუტში ბიჭი მოსწონდა და სულ მასზე მელაპარაკებოდა. მეც ვეხმარებოდი დაქალს მის „შეშამში“. მალე ლუკას დავუშეგობრდი (ასე ჰქვია იმ ბიჭს). ჩემს დაქალს კი ცხელ-ცხელი ამბები მისდიოდა ჩემგან. მართალია, ლუკამ გაიგო, რომ ჩემი დაქალისთვის ვაწყობდი საქმეს, მაგრამ მას მე შეყვარებებივარ და მითხრა კიდევ. მეც ძალიან მომწონდა, მაგრამ ჩემს თავსაც კი ვერ ვუტყვებოდი. ჩემი მეგობარი მეცოდებოდა. ახლა მე და ლუკა ერთად ვართ და ერთმანეთი უზომოდ გვიყვარს. მინდა, რომ ნინის ვუთხრათ: — მართლა გულით მინდოდა, რომ ლუკას ჰყვარებოდი, მაგრამ გულს ვერ უბრძანებ. ვერც თავს გავუწვი წინააღმდეგობა და ლუკას სიყვარულს სიყვარულითვე ვუპასუხე. მაპატიე, ნინი, გთხოვ! კრისტი“.

„ჩემს ნათესავს ერთი ბიჭი შეუყვარდა, რომელიც დაქალის დაბადების დღეზე გაიცნო. ეს ბიჭი კი იმ დღის მერე ყურადღებას საერთოდ არ აქცევდა. ისე მოხდა, რომ ამ ბიჭმა გაიცნო მისი ბიძაშვილი და შეუყვარდა. მოსეირნე წველი ბევრჯერ გვინახავს მე და ჩემს დაქალს, მაგრამ გოგო თავის ბიძაშვილს ათას სისულელეს უყვებოდა, — თითქოს მათი შეხვედრა ყოველთვის მასზე საუბრით იწყებოდა და მთავრდებოდა. ყველა ვხვდებოდით, რომ იტყუებოდა. ახლა ველოდებით, რა მოხდება...“

დღეს „გზაჯინებს“ ამით ვამთავრებთ. მომდევნო ხუთშაბათის თემდა ვთავაზობთ — როცა ყველაფერი სულერთია. გამოგზავნეთ მესიჯები ტელეფონის ნომერზე 8(77) 45.68.61. ვვამბეთ, რა მოიბოქმედეთ, როცა ყველაფერი სულერთი იყო? გემშვიდობებით მომავალ ხუთშაბათამდე.



ბავშვობაში ბოტანიკურ ბაღში შატალოზე თუ არ ყოფილხართ, მასწავლებელი მაინც წაგიყვანდათ ექსკურსიაზე. თუ ასეც არ მომხდარა და ამ წალკოტში არასოდეს მოხვედრილხართ, რაც შეიძლება მალე წაბრძანდით და ნახეთ, მერე უფრო კარგად იტყვიოთ საქართველოს ბუნების სადღეგრძელოს...

botanikuri baRi da misi binadarni

ლევან ებრაღიძე

მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესი, 368 წლის ბოტანიკური ბაღი წაგვისის, იგივე ლეღვთა ხეში ათობით ჰექტარზეა გაშენებული. ეს ტერიტორია ქართველ მეფეთა სავაგარეულო კუთვნილება იყო. „ციხის ბაღში“ ჯერ კიდევ XVII საუკუნის დასაწყისში ადგილობრივ მცენარეებთან ერთად უცხოურებსაც ზრდიდნენ ანუ ინტროდუქცია ხდებოდა. მას შემდეგ ისტორიული მოვლენები ბაღის განვითარებაზე ადგილობრივად აისახა. ოფიციალური სახელწოდება – „ბოტანიკური ბაღი“, კავკასიის მეფისნაცვლის, გრაფ მიხეილ ვორონცოვის 1845 წლის ბრძანებულებიდან მოდის. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, ეკონომიკურმა კრიზისმა ბაღი გაანაწავა. დაზიანდა ხეებისა და ბუჩქების, ვარდებისა და ბალახოვან-დეკორატიული მცენარეთა კოლექციები. საორანჟერეო მუშაობა მწყობრიდან გამოვიდა. დღეს კი კოლექციების და დირექტორის – ჯიმ შერ კერესლიძის ძალისხმევით ბოტანიკური ბაღი აღორძინების გზას დაადგა.

ბაღს აქვს სამეცნიერო ბიბლიოთეკა, რომლის ფონდში უახლეს ლიტერატურასთან ერთად XIX-XX საუკუნეების უნიკალური გამოცემები შედის. არსებობს ორი ფილიალი – ქუთაისისა და ზუგდიდის ბოტანიკური ბაღები თავიანთი სამეცნიერო განყოფილებებითა და ლაბორატორიებით. ბაღი ადჟურვილია თანამედროვე კომპიუტერული და ვიდეოტექნიკით. ინტერნეტში აქვს საკუთარი ვებ-გვერდი (www.botbag.viam.hepi.edu.ge). ბოტანიკური ბაღი შემდეგ გეოგრაფიულ განყოფილებებს მოიცავს: „კავკასიის ფლორის“, „აღმოსავლეთ საქართველოს“, „დასავლეთ საქართველოს“, „ხმელთაშუა ზღვის ქვეყნების“, „ჩრდილო ამერიკის“, „აღმოსავლეთ აზიის“ და „ევროპის“. ამ განყოფილებებში კი შესაბამისად გადაწვრილებულია 3500-ზე მეტი სახეობის მერქნიანი და ბალახოვანი მცენარე. ტროპიკულ ორანჟერეას

ხელმძღვანელობენ ქალბატონები – ნანა ყუბანიშვილი და ლია ვიტრიაკი. ჩვენი რუბრიკის კონსულტანტობა მეცნიერ მუშაკს ქალბატონ ნანა ყუბანიშვილს ვთხოვეთ. ქალბატონი ნანა სახელმწიფო კანცელარიის დეკორატორ-იკაა. პრეზიდენტის, პრემიერ-მინისტრისა და მთავრობის სხვა წევრთა კაბინეტების „გამწვანებაზე“ სწორედ ის ზრუნავს.

– ჯერ კიდევ სტუდენტობისას, ბოტანიკურ ბაღში, ტროპიკულ ორანჟერეაში მუშად მოვეწყვე. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, აგროტექნიკოსად გადამიყვანეს. მერე – ლაბორანტი, ბოლოს კი მეცნიერი მუშაკი გავხდი. ახლა ვერ წარმომიდგენია სხვაგან მუშაობა. რომ შემომთავაზონ, კაბინეტში გადავიყვანონ და მაღალ ხელფასსაც დაგინიშნავთო, არ დავთანხმდები. მიჩვენებია ამ ორანჟერეაში, ჩემს მცენარეებთან ვიცხოვრო. თითოეული ფოთლის ზრდას ყოველდღიურად ვაკვირდებით. ეს მცენარეები პატარა კალმებით გავასარეთ.

– ბოლო ხანებში განსაკუთრებული პოპულარულობა მოიპოვეს მონსტერამ და ბეგონიამ. რა თვისებებით გამოირჩევიან ეს მცენარეები და როგორ უნდა გავასაროთ?

– ორანჟერეაში და ოთახის პირობებში გაზრდილ მცენარეს ფესვთა სისტემის თავისუფალი განვითარების საშუალება არა აქვს. ამიტომ უნდა შევუქმნათ ბუნებრივი პირობების მსგავსი გარემო: საკმარისი სინათლე, სუფთა ჰაერი და საჭირო ტემპერატურა. მონსტერა დელიციოზა (Monstera deliciosa Liebm) ნიუკასბერთა (არაცეების) ოჯახს ეკუთვნის. გავრცელებულია ბრაზილიისა და ტროპიკული ამერიკის ტყეებში. არსებობს ორასზე მეტი სახეობა. მონსტერა საოცრად ლამაზია მარადმწვანე ხვიარა

ღერობით. ახალგაზრდა მცენარეს მრგვალი, გულისებრი, გრძელყუნწიანი, მთლიანი ფოთლები აქვს, ხოლო მოზრდილს – ღრმად დანაკეთული, მომრგვალო ნაჩვრეტებით შუა ნაწილში. ხვიარა ღეროდან უვითარდება დიდი რაოდენობით საჰაერო თასმისებრი ფესვები, რომლებიც ნიადაგისკენ მიემართებიან და მცენარის განვითარებას უწყობენ ხელს.

– როგორ მრავლდება მონსტერა?

– მონსტერა მრავლდება თესლით და ვეგეტატიურად. ვეგეტატიური გამრავლებისთვის გაზაფხულზე კვირტის ქვეშ მჭრელი დანით ვიღებთ კენწერულ და ღეროსულ კალმებს ისე, რომ კალამზე ორი-სამი კვირტი დარჩეს. კალამი ირგვება კარგად გარეცხილ, მსხვილმარცვ-



მონსტერა

ლიან ქვიშაში 5-10 სანტიმეტრის სიღრმეზე და უხვად ირწყვება. მონსტერას კალმები კარგად ფესვიანდება აგრეთვე წყლიან ჭურჭელში. დაფესვიანებას სჭირდება თვე, თვე-ნახევარი. კალმები უნდა მოვარიდოთ მზის პირდაპირ სხივებს. დაფესვიანებული ნოყიერ, ფხვიერ, ზომიერად ტენიან მიწაში უნდა ჩაირგოს. თუ გვსურს, მცენარე დიდფოთლებიანი გაიზარდოს, საჰაერო ფესვები, რომელთა შეჭრაც არ შეიძლება, საჭიროა მოვათავსოთ მიწაში. ამ ფესვებით მცენარე დამატებით იკვებება, ჰაერიდან იღებს გან-

საზღვრული რაოდენობის სინესტეს. საჭერო ფესვები შეგვიძლია შემოვახვიოთ საყრდენს, რომელზეც შემოხვეულია ხავსი. ხავსი სასურველია, მუდმივად ნოტიო იყოს. საშუალო ზომის მცენარე ორ წელიწადში ერთხელ, გაზაფხულობით უნდა გადავრგოთ.

— რა რაოდენობითაა საჭირო სინათლე?

— მონსტერა ზამთარში, განათებულ ადგილს ითხოვს. სინათლის ნაკლებობის შემთხვევაში, პატარა ფოთლები უვითარდება და ღეროც ივრისება, სიბნელეში კი ზრდას აჩერებს. ვერ იტანს მზის პირდაპირ სხივებს. სასურველია, შევერჩიოთ ნახევრად დაჩრდილული ან გაბნეულად განათებული ადგილი. მცენარეს ანასიათებს სინათლისკენ გადახრა, ამიტომ საჭიროა, მისი დროდადრო შებრუნება, რითაც თავიდან ავაცილებთ მას ცალმხრივ განვითარებას.

— რა ტემპერატურაზე ვითარდება მცენარე?

— ზამთარში ტემპერატურა უნდა იყოს 12 გრადუსზე მეტი. 15-18 გრადუსი საუკეთესოა. მაღალი ტემპერატურის პირობებში საჭიროა, მცენარისათვის წყლის შესხურება.

— რაც შეეხება მორწყვას, რა სიშიროთაა საჭირო?

— ზამთრობით ნიადაგი ოდნავ ნოტიო უნდა იყოს. წლის დანარჩენ დროს რწყვიდან რწყვამდე ნიადაგს შეშრობის საშუალება უნდა მიეცეს. ხშირი რწყვისას დაბალ ტემპერატურაზე წარმოიშობა სოკოები, რაც იწვევს ღეროების ლაბობას. ასეთ შემთხვევაში, მცენარე უნდა გადაირგოს სხვა ქოთანში, გაიზარდოს ტემპერატურა და შემცირდეს რწყვა. როდესაც მცენარე დიდი და მაღალია, წყალი შეიძლება ვერ აღწევდეს ზედა ფოთლებამდე. ამიტომ საჭიროა, საჭერო ფესვები ნიადაგში ღრმად მოვთავსოთ, ან მივამაგრეთ ხავსით დაღარულ ნესტიან საყრდენზე. დროთა განმავლობაში, ქვედა ფოთლები ყვითლდება და სცვივა. თუ ერთბაშად რამდენიმე ფოთლი მოკვდა, მიზეზი არასწორი მოვლაა. თუ ჩამოცვენამდე ფოთოლი მშრალი და ყავისფერია, ამის მიზეზი ჰაერის დიდი ტემპერატურაა. ეს ხდება მაშინ, როდესაც



ბეგონია

მცენარე სითბოს წყაროსთან ძალიან ახლოს დგას. მონსტერას ყვავილი თეთრია, ტაროსებრი, გვირგვინის ფურცელი ტაროზე აფრასავითაა შემოხვეული. ნაყოფი გამოიყენება საკვებად. დარბაზების, დერეფნების და ოფისების გასაფორმებლად ერთ-ერთი საუკეთესოა მონსტერას კულტურა.

ბეგონიის სახეობები და ჯიშები ხასიათდება უხვი ყვავილობით და ორნამენტური ფოთლებით, ამიტომ, შეგვიძლია გამოვიყენოთ ოთახების და სხვადასხვა დანიშნულების შენობების გასალამაზებლად. სასურველია, ფანჯრებზე ჩრდილოეთის მხარეს განლაგდეს. ბეგონია ტროპიკული მცენარეა ბეგონიასებრთა ოჯახიდან. ითვლის 2000 ათასამდე ჰიბრიდულ ფორმას. მათ შორის არიან ძალიან პატარები და ისეთები, რომლებსაც შენობის მიელი კედლის დაფარვა შეუძლიათ. ბევრი მათგანი სპეციალურად არის გამოყვანილი, როგორც ოთახის მცენარე. ისინი იყოფიან სამ ჯგუფად: დეკორატიული-ფოთლოვანი, ლამაზად მოყვავილე და ბუჩქოვანი ბეგონიებად. პირველ ჯგუფს მიეკუთვნება სამეფო ბეგონიის ყველა ჰიბრიდი და ფორმა. მათთვის დამახასიათებელია გასქელებული ფესვურა და ლამაზად მონატული, ორნამენტული, სხვადასხვა ზომისა და ფორმის ფოთლები. ნორმალური ზრდისათვის საჭიროა თბილი ოთახი, ტენიანი ჰაერი და გაბნეული განათება. საჭიროებს გაზაფხულობით ყოველწლიურ გადარგვას გადაშვარი ნაკელის, ნემომპალის და ქვიშის ნარევაში, ზაფხულში უხვად და ზამთარში ზომიერად მორწყვას.

— ბეგონიის გამრავლება როგორ ხდება?

— მრავლდება ვეგეტაციურად და თესლით. ვეგეტაციური გამრავლება ხდება ბუჩქის დაყოფით და ფოთლის კალმით ან მილიანი ფირფიტით. ფირფიტით გამრავლებისას ფოთოლი უნდა დაიხვლიტოს,

ძარღვები დაისეროს, განლაგდეს ნამიან სილაზე და დამაგრდეს ჩხირებით 20-22 გრადუს ტემპერატურაზე. დაფესვიანება ხდება 15-25 დღეში. მცენარე ირგვება 7-10-სანტიმეტრიან ქოთნებში, სადაც მოთავსებულია ერთი წილი ყამირის, ორი წილი ნემომპალის, სამი წილი ტორფისა და ორი წილი ქვიშის ნარევი. ზამთარში უნდა იყოს 12-15 გრადუს ტემპერატურაზე. საჭიროა ზომიერი რწყვა. ჭარბი ტენიანობა ლაბობას იწვევს. ასევე ვერ იტანს ფოთლებზე წყლის შესხურებას. მორწყვა უნდა ხდებოდეს ფესვის ყელიდან მოშორებით. ბოლქვიანი (ტუბერიანი) ბეგონია – begonia tuberosa ლამაზი, მრავალფერიანი, მარტივი ან ბუთხუხაყვავილებიანია. გვხვდება თეთრი, წითელი და გარდამავალი ფერის. მისი ტუბერები გაზაფხულზე ფოთლის, მიწის და ქვიშის ნარევაში პატარა ზომის ქოთნებში ირგვება. ტუბერი მიწაში ნახევრად იფლობა. მორწყვა ხდება ზომიერად. როდესაც ტუბერიდან განვითარდება აღმონაცენი, უნდა გადაირგოს ნოყიერი მიწის ნარევაში: სამი წილი გადაშვარი ნაკელი, ორი წილი ტყის ან კორდის მიწა და ერთი წილი ქვიშა. ზაფხულის განმავლობაში უნდა დაიდგას განათებულ ადგილას. შემოდგომით მორწყვა კლებულობს. ხოლო როდესაც ფოთლები გაყვითლდება, დაჭკნება და ჩამოცვივდება, მორწყვა უნდა შეწყდეს. ბოლქვები უნდა ამოვიღოთ და გაზაფხულამდე მშრალ სილაში შევინახოთ.

— ბეგონების ზრდა-განვითარებისთვის რა ძირითადი პირობებია საჭირო?

— ტემპერატურა საშუალოდ 15-20 გრადუსამდე უნდა შევექმნათ. თუ ფოთლები მშრალი და დაკრუნხულია, მიზეზი ჰაერის მაღალი ტემპერატურაა. მითხროვს სრულ განათებას მზის პირდაპირი სხივების გარეშე. თუმცა, ზამთრობით კარგია, თუ ყოველდღიურად რამდენიმე საათით მზით განათებულ ადგილას გავიტანთ. ფოთლების გაყვითლების მიზეზი ხშირად სინათლის ნაკლებობაა. ყვავილობის პერიოდში უხვად უნდა მოვრწყვათ, ოღონდ მუდმივად სველი არ უნდა იყოს. მითხროვს ჰაერის მაღალ ტენიანობას. ფოთლების წვერობების გაყავისფრება მცირე ტენიანობის გამო ხდება. თუ ფოთლებზე თეთრი ფეკილისებრი ფიფქი წარმოიქმნა, ეს ნაცრით დაავადებას ნიშნავს. ასეთ დროს, დაავადებული ნაწილი უნდა მოვაცილოთ და შევასხუროთ რომელიმე სისტემური ფუნგიციდი, შევამციროთ ჰაერის ტენიანობა, გავზარდოთ ჰაერის ტემპერატურა და გავანიავოთ შენობა. კოკრების ცვენა მშრალი ჰაერის ან ნიადაგის ზედმეტი ტენიანობის ბრალია. ■



მოვუაროთ ტუჩებს

რუბრიკას უძღვება ექიმი
თამარ მამაცაშვილი

რბილი, ნაზი ტუჩები სათბურის მცენარეს ჰგავს: ისინი პრაქტიკულად დაუცველია, რადგან მოკლებულია სანერწყვე ჯირკვლებსა და ბუნებრივ პიგმენტს. მათი ეპიდერმისი (გარეთა შრე) უფრო თხელია, ვიდრე კანის, ამიტომ ტუჩები მტკივნეულად რეაგირებს კლიმატის ყოველგვარ ცვლილებაზე. მაგრამ რადგანაც ტუჩის კანი თავისი აგებულებით ჰგავს ლორწოვანს, იგი რეგენერაციის კარგი უნარით ხასიათდება. ეს იმას ნიშნავს, რომ თუ თქვენ უწყურადღებობით „აწყინებთ“ ტუჩებს, მათგან „პატების“ მიღება არც ისე ძვილია. მაგრამ სამომავლოდ მინც გაითვალისწინეთ ტუჩების მოვლის რამდენიმე მარტივი წესი:

დატენიანება პირის ზონა, სიმშრალის მიხედვით, სახეზე მეორეა იმ ზონის შემდეგ, რომელიც თვალის ირგვლივია. ტუჩის კანს უჭირს ჰიდროლიპიდური მანტიის შენარჩუნება. გარე ფაქტორები — ქარი, სიცივე, მშრალი ჰაერი, კონდიციონერები და ა.შ. კიდევ დამატებით არღვევს და აშრობს მას. ამიტომ ტუჩის კანი დახმარებას საჭიროებს. მნიშვნელოვანია გარეგანი და შინაგანი დატენიანება. წაისვით ტუჩზე NMF (ნატურალური დამატენიანებელი ფაქტორის) ან ტენის შემარჩენების ხელშეწყობი ნივთიერების შემცველი საშუალებები. დღის განმავლობაში კი სვით 4-8 ჭიქა წყალი.

გვიან შემოდგომაზე და ზამთარში, ნუ გამოიყენებთ მღვრად პომადას — მის შემდეგნელობაში შემავალი ცალკეული ნივთიერებები აშრობს ტუჩებს.

ნუ იღოკავთ და ნუ იკვნებთ ტუჩებს. ეს ჩვევა განსაკუთრებულ უსიამოვნებებს მოგიტანთ სიცივეში — გაგიჩნდებათ ნახეთქები, მიკროტრავმები, აგექტრცლებათ კანი. ამ ჩვევის სანაცვლოდ უმჯობესია, წესად გაიხადოთ ჰიგიენური პომადის ან ბალზამის ხმარება. მინ ყოფნისას კი შეგიძლიათ გაიკეთოთ კომპრესები, ჩვეულებრივ ჩაიში დასველებული ბამბის ტამპონებით.

ჩაიტარეთ პილინგი. მკვდარი უჯრედების რეგულარული ჩამოფცქნა ესაჭიროება არა მხოლოდ სახის კანს, არამედ ტუჩებსაც. ამისათვის არსებობს სპეციალური საშუალებები, რომლებიც ცხიმოვანი ბუნებისა და ჩამოხანსაც კი არ საჭიროებს — საკმარისია, მხოლოდ შეიხილოთ. თანაც კანის ჩამოფცქნასთან ერთად, კვებავს კიდევ მას. თუ ასეთი საშუალება არ გაქვთ, შეგიძლიათ, ტუჩების მასაჟი გაიკეთოთ წყლით დასველებული კბილის ჯაგრისით ან ხაოანი პირსახოცით, ამის შემდეგ კი დამარბილებელი საშუალება წაისვით.

ტუჩებს ადამიანის სხეულის საერთო ფართის მცირე ნაწილი უკავია, მაგრამ განსაკუთრებულ მოვლას საჭიროებს. ყურადღების მოკლება მათთვის წლის ნებისმიერ დროსაა სახიფათო, სიცივეში კი — უბრალოდ დანაშაულია.



ბები, რომლებიც ცხიმოვანი ბუნებისა და ჩამოხანსაც კი არ საჭიროებს — საკმარისია, მხოლოდ შეიხილოთ. თანაც კანის ჩამოფცქნასთან ერთად, კვებავს კიდევ მას. თუ ასეთი საშუალება არ გაქვთ, შეგიძლიათ, ტუჩების მასაჟი გაიკეთოთ წყლით დასველებული კბილის ჯაგრისით ან ხაოანი პირსახოცით, ამის შემდეგ კი დამარბილებელი საშუალება წაისვით.

კვებეთ და დაარბილეთ. გლუვ და რბილ ტუჩებზე პომადა უკეთ ისმება. თუმცა ისინი შეულებავად მიშვიდველად გამოიყურება. წესად გაიხადეთ, ქუჩაში გასვლის წინ, ჰიგიენური პომადის, კრემის ან ბალზამის წასმა. თუ ტუჩებს იღებთ, შეარჩიეთ მკვებავი კომპონენტებით მდიდარი პომადა, ანდა ჰიგიენური პომადის შემადგენლობაში (ჯერ ჰიგიენური პომადა უნდა წაისვით და შეიცადოთ 10 წთ). კვირაში 1-2-ჯერ განებვირეთ ტუჩები ნაღების, ცხიმოვანი საჭოს ან თაფლის მკვებავი ნიღბებით. თანაც თაფლი ერთდროულად მკვებავიცაა და პილინგის საშუალებაც.

გამოიყენეთ UV — ფილტრები. ეს პუნქტი მეტისმეტად მნიშვნელოვანია. ტუჩის ნაზი კანი ფოტოდაბერებას უფრო მეტად განიცდის, ვიდრე სახის კანი: მზის გავლენით ტუჩები კარგავს ფერს, მათი კონტურები ნაკლებად მკვეთრი ხდება, ჩნდება წვრილი ნაკვები. ეს უსიამოვნებები თავიდან რომ აიცილოთ, გამოიყენეთ მხოლოდ ის საშუალებები, რომლებიც მზის გამოსხივებისგან დამცავ ფაქტორს შეიცავს.

ტუჩის კანის დაცვა, მთელი წლის განმავლობაში განსაკუთრებულად ესაჭიროება

მათ, ვისაც ხელილიტი (მზის ან ცივი ჰაერის გავლენით განვითარებული, ტუჩის ანთებითი დაავადება) აწუხებს.

სახარებლო კომპონენტები

ტუჩებისთვის განკუთვნილ საშუალებებში (ბალზამებში, კრემებში, პომადებში, ნიღბებში) სასურველია, შედიოდეს სასარგებლო კომპონენტები:

მაკადამიის ზეთი — ახდენს დამარბილებელ მოქმედებას, ხელს უშლის აქტრცვლას.

კაკაოს ზეთი — კვებავს და ტონუსს მატებს.

ალოეს ექსტრაქტი ან ნვენი — ატენიანებს და აქვს ანთების საწინააღმდეგო მოქმედება.

ქაცვის ექსტრაქტი ან ზეთი — აქვს კანის ლეექტების აღმდგენი, შემასორცებელი თვისებები.

● **A — ვიტამინი** — მოქმედებს, როგორც ანტიოქსიდანტი, იცავს ნახეთქების გაჩენისგან.

● **C — ვიტამინი** — ხელს უწყობს კოლაგენის გამომუშავებას, რომელიც კანის დრეკადობას და ჭიმვადობას უზრუნველყოფს.

● **E ვიტამინი** — ხელს უწყობს კანის უჯრედების რეგენერაციას.

● **კოლაგენი** (როგორც წესი, მცენარეული წარმოშობისა) ხელს უწყობს საკუთარი კოლაგენის გამომუშავებას და ეწინააღმდეგება ტუჩის კანის დაბერების პროცესს.

● **ჰიალურონის მჟავა** — ხელს უშლის ტენის დაკარგვას.

● **პეპტიდები** — აძლიერებს კოლაგენისა და ჰიალურონის მჟავის მოქმედებას, ზრდის კანის ელასტიკურობას, ინტენსიურად ატენიანებს და ებრძვის თავისუფალ რადიკალებს.

დედამიწის ფენებში გაყვანილი ხერხედი ნავთობის ამოსაღებად	მარცხი	ხასიათი	იმპერია, რომლის დედაქალაქი იყო კონსტანტინოპოლი	მეფის მემალელებული დასაჯდომი	დათვის ნაშთი	ორგ
ქსეხადი	იიკის	სიქნე	ქეფანსი	მკოპოქეი	სეი	სე
ორმოწყლისათვის	ხის გასახერხები იარაღი	ელასტიკური ესოვილი	მ. ჯავახიშვილის „ჯაყოს ...“	მარმაცი, აუჩქარებელი	„ხანუმა“ ... დარღმანდიანც	ძეგლი: ქვის დაკუთხული, თანდათანობით გაწვრილებულ სვეტი ან ძეგლი — ქვის სვეტი

ალერგია და გასივნება

რით განსხვავდება გაცივებული ალერგიული ადამიანი თავისი ცხვირ-გაჭედული „კოლეგისაგან“, რომელსაც ალერგია არ აწუხებს? იმით, რომ გაცივების პირველი ნიშნების გაჩენისთანავე, სერიოზულად უნდა მიხედოს თავს, რადგან ჩვეულებრივ რესპირატორულ დაავადებას სხვებივით სწრაფად და მარტივად ვერ გაუმკლავდება. თუმცა, არსებობს საშუალებები, რომლებიც მას შედარებით იოლად გამოიყვანს მდგომარეობიდან.

გაორმაგებული პრობლემები

ალერგიულებს გაცივება ცხოვრებას ორმაგად ურთულებს: პოპულარული ძლიერი მოქმედი საშუალებების უმრავლესობა მათთვის უკუნაჩვენებია, ბალახები, ექსტრაქტის ნაყენი და თავლიც – არ შეიძლება, ამიტომ დაავადების დასაწყისშივე დამარცხება საკმაოდ რთულია.

გაცივების ყველა სიმპტომიც გაორმაგებულია. პრობლემას ისიც ართულებს, რომ ანტიალერგიული პრეპარატები, რომლებიც ძილის მომგვრელი მოქმედებით არ გამოირჩევა, ასეთ შემთხვევებში ზოგჯერ არ მოქმედებს. ამიტომ საჭირო ხდება ისეთი წამლების სმა, რომლებიც ძილს ჰგვრის პაციენტს; ეს კი მის მოღუნებას და შრომისუნარიანობის კიდევ უფრო დაქვეითებას იწვევს.

ვთავაზობთ რამდენიმე რჩევას, რომლის გამოყენება შეგიძლიათ მდგომარეობას. ჩამოთვლილი საშუალებებიდან ის შეარჩიეთ, რომელიც თქვენში ალერგიულ რეაქციას არ იწვევს.

ზღვის მარილი. მოამზადეთ ზღვის მარილის თბილი წყალხსნარი (ერთი ჩ/კ ერთ ჭიქა წყალზე) და ჩაიტარეთ ამ ხსნარით ცხვირის ღრუების გამორეცხვა. ზღვის მარილი სურდოსთან თავის დაღწევამდე დაეხმარებათ. გამორეცხვის ხერხი ასეთია: ხელში ჩაიკვებთ ხსნარს, თავი წინ გადახარეთ და ერთ-ერთი ნესტოთი ნელ-ნელა შეისრუტეთ სითხე, შემდეგ თავი საპირისპირო მხარეს გადასწიეთ ისე, რომ ხსნარი მეორე ნესტოდან გადმოიღვაროს.

სითბური პროცედურები: ცხელი მარილიანი ტომრები დაიწყეთ ცხვირის მიმდებარე არეებზე და გაიჩერეთ შეგრძობამდე. პროცედურის შემდეგ, არ შეიძლება სიცივეში გასვლა.

ინჰალაციები. თუ ბალახებზე ალერგია გაქვთ, შეგიძლიათ ინჰალაცია სოლიანი წყლით

(რომელსაც ერთი კოვზი ზეთუნის ზეთი უნდა დამატოთ) გაიკეთოთ. კარგია აგრეთვე ტუტოვანი მინერალური წყლისა და მოხარშული კარტოფილის ორთქლის შესუნთქვა.

მლოვგი. გაცივებისას საუკეთესო საშუალებაა მლოვგან ცხელ წყალში ფეხების ჩაწყობა. გამძრალების შემდეგ თბილი წინდები ახოციეთ.

ხანჯიანი რძე. თუ რძეზე ალერგია არ გაქვთ, ხველებისთვის შეგიძლიათ გამოიყენოთ ხანჯიანი რძე – ერთ ჭიქა რძეში მოხარშეთ ერთი თავი ჭახვი და ნახარში მიიღეთ ძილის წინ.

შემთბარი ლუდი. ნახევარი ჭიქა შემთბარი ლუდი საუკეთესო ამოსხველებელი საშუალებაა.

სუნთქვითი ვარჯიშები. სასუნთქი გზების გასათავისუფლებლად ეფექტანია სპეციალური სუნთქვითი ვარჯიშები: ზერელე ჩასუნთქვა და ღრმა ამოსუნთქვა, ბიძვისბური ამოსუნთქვები (ვარჯიშები რიტმულად უნდა შესრულდეს).

მასაჟი. თუ ბრონქიტი გაგინანგრძლივდათ და გიჭირთ ნახველის ამოღება, მისგან გაგათავისუფლებთ ზურგისა და გულმკერდის მასაჟი.

დაიხსომეთ ხამი ოქროს ნები:

პირველი. ანტიალერგიული პრეპარატების მიღება არ უნდა შეწყვიტოთ, ვიდრე გაცივება სრულდებით არ გაივლის.
მეორე. ავადმყოფობის

პერიოდში უნდა გამოიცხოთ არა მხოლოდ ის ალერგენები, რომლებზეც ალერგია გაქვთ, არამედ ისინიც, რომლებიც პოტენციურად საშიშია:

- მოერიდეთ მატყლისა და ბუმბულის ლოგინს.
- წიგნები და მტვრიანი საგნები დასურულ კარაღებში მოათავსეთ.
- ძლიერი ალერგენია აკვარიუმის თევზების მშრალი საკვები – მოერიდეთ მას.
- უარი თქვით ალერგენული აქტივობის მქონე პროდუქტებზე: თევზზე, კვერცხზე, ბულიონებზე, ხორბლის ფქვილზე, საფუარზე, ბოლოკზე, ღორის ქონზე, ვზოტიკურ ხილზე, ცხარე სანელებლებზე. შოკოლადზე, ციტრუსებზე, დამარილებულ პროდუქტზე.

მესამე. მართლაც, ყველა პრეპარატის მიღება როდი გეკრძალებათ. თუ ანტიბიოტიკებს ან ანტივირუსულ პრეპარატებს ექიმის კონტროლით შეარჩევთ, მკურნალობა უსაფრთხო და შედეგანი იქნება. ექიმმა უნდა გაითვალისწინოს ანტიბიოტიკობული პრეპარატებისა და იმ ანტიბიოტიკობული საშუალებების შეთავსებადობაც, რომელსაც იღებთ.

სტოდენტოლოგიური კლინიკა

ჩიქო-დენტი



1. უმტკივნეულო მკურნალობა მოკლე ვადებში;
2. 100% სტერილიზაცია;
3. დაბალი ფასები;
4. უღატრა თანამედროვე მასალები აშშ-სა და გერმანიიდან;
5. მაღალკვალიფიციური მედ-პერსონალი;
6. უფასო კონსულტაცია;
7. მკურნალობა გარანტიით.

მის: თავეისუფლუბის მოედანი №4ა
(ახალაშენებული სასტუმრო „მარიოტის“ ეზოში)
☎ 98-64-83

გამხსნელი	ლაშქარი, სპა	ბურუსი	წნელის ღობე	ადამიანის აგებულების შემსწავლელი მეცნიერება	ძილისპირული	საკათედრო გამართი თბილისში
მ	ს	ი	ი	მ	კ	ა
დ. კლდიაშვილის „... გასაჭირი“		თურქული ფულის ერთეული	სჯობს ... ვიდრე არასდროს	ნივთიერების უმცირესი ნაწილაკი	ტროპიკული ხილი	ქალაქი რაჭაში

რამეთუ ადამიანი ხატია ღვთისა...

როგორ უნდა გამოიყურებოდეს ქვეშაირიტი ქრისტიანი გარეგნულად?

ინისათვის, რომ ადამიანი გარეგნულადაც მიემსგავსოს ქვეშაირიტი ქრისტიანს, უნდა ატარებდეს სამკერდე ჯვარს, ჰქონდეს ქრისტიანის შესაფერისი ვარცხნილობა და დაიცვას ზომიერება ჩაცმა-დახურვასა თუ კოსმეტიკის გამოყენებაში...

შორენა მერკვილაძე

რატომ უნდა ატაროს ქვეშაირიტიტი ქრისტიანმა სამკერდე ჯვარი?

ჯვარი ქრისტიანობის ერთ-ერთი უმთავრესი სიმბოლოა, ხსნის სიმბოლო, რადგან მაცხოვარმა სწორედ ამ აარადით დაამარცხა კაცობრიობის უმთავრესი მტერი – ეშმაკი და ცოდვის მონობაში მყოფი ადამიანთა მოღვაწე მარადიული სიკვდილისგან გამოიხსნა. როდესაც ადამიანი ატარებს გულსაკიდ ჯვარს, აღასტურებს, რომ აიღარებს და თავიანთ სცემს ჯვარცმულ და მკვდრეთით აღმდგარ მაცხოვარს. ჯვარი არის ნიშანი ქრისტიანობისა. ამასთანავე ჯვარი არის ქრისტიანის იარაღი ბოროტი ძალის – ეშმაკის წინააღმდეგ. „უძლეველი საძლეველი“, რომელიც გვიფარავს და გვიცავს ბოროტი ძალის ზემოქმედებისგან – თუკი, რა თქმა უნდა, რწმენითა და სასოებით ვატარებთ მას. იმ ადამიანებისთვის კი, რომლებიც წარწყმედის გზაზე ღვანან – ე.ი. ღვთისთვის არასათნომყოფელი ცხოვრებით ცხოვრობენ, ჯვარი – სიცოფე ანუ სიგიჟეა. ამის შესახებ მიგვითხრობს წმინდა პავლე მოციქული კორინთელთა მიმართ მიწერილ ეპისტოლეში: „სიტყუაი იგი ჯუარისაი წარწყმედულთა მათთვის სიცოფე არს“.

სამკერდე ჯვარს ქრისტიანი არასოდეს უნდა იხსნიდეს (არც ძილის დროს, არც საბაზანო ოთახში შესვლისას), ჯვარი ნაკურთხი უნდა იყოს ღვთისმსახურის მიერ, რადგან მხოლოდ კურთხევის შემდეგ ხდება იგი ღვთისური მადლის მატარებელი. არა აქვს მნიშვნელობა, თუ რომელი მასალისგანაა დამზადებული სამკერდე ჯვარი – ხის, ძვირფასი ლითონის, ქვისა თუ პლასტმასისგან. ყველა ჯვარი ერთნაირი ძალით გვიცავს და გვიფარავს. მთავარია, ადამიანი ჯვარს სათანადო პატივს მიაგებდეს.

სამკერდე ჯვარი შეიძლება იყოს ჯვარცმის გამოსახულებით ან სადა. თუ ჯვარი გამოსახულებიანია, აუცილებლად უნდა იყოს შესრულებული კანონიკურად, ხატურების წესების დაცვით (მაგალითად, ჯვარზე გამოსახულ მაცხოვარს უნდა ჰქონდეს შარავანდელი, შარავანდელში კი – ჯვარი (ჯვრის ზემო სამი ფერდი) სპეციალური წარწერით; მაცხოვარს გა-

მოსახულებაზე ფეხები ცალ-ცალკე უნდა ჰქონდეს შემსჭვალული. მაგრამ ამ ნიშნების დაცვის შემთხვევაშიც შეიძლება იყოს შეცდომები, ამიტომ ჯვრის გაკეთებისა თუ შეძენის შემთხვევაში, უმჯობესია, ჯვარი კანონიკის მცოდნე ადამიანს ვაჩვენოთ, ან შევიძინოთ ეკლესიაში, ან საეკლესიო მაღაზიაში.

სამკერდე ჯვარი აუცილებლად უნდა ვატაროთ დაფარულად, ტანსაცმლის შიგნით – ეს სიმბოლურად ნიშნავს იმას, რომ ჩვენ ქრისტიანული სარწმუნოება გულში გვაქვს დამარხული.

სამკერდე ჯვართან ერთად, ქრისტიანმა შეიძლება ატაროს მედალიონი მაცხოვრის, ღვთისმშობლის ან წმინდანთა გამოსახულებით, ასევე სხვა ქრისტიანული სამკაული.

მისაღებია თუ არა ქვეშაირიტიტი ქრისტიანისთვის არაქრისტიანული დანიშნულების სამკაულების — მაგალითად, ბეჭდის, სამაჯურის, საათის — ტარება?

ქრისტიანს არ ეკრძალება არაქრისტიანული დანიშნულების სამკაულების ტარება, მაგრამ არ შეიძლება გადაიტვირთოს ზედმეტი სამკაულით – ე.ი. საჭირთა ზომიერების დაცვა.

შეიძლება თუ არა, ქრისტიანმა გამოიყენოს კოსმეტიკა?

ეკლესიური მოძღვრებით, ღვთის მიერ შექმნილ ადამიანს გალაშქრება არ სჭირდება – ე.ი. უმჯობესია, ვიაროთ იმ სახით, როგორითაც დამბრუნებულნი ვართ (ეს განსაკუთრებით მკაცრად მოგვეთხოვება ტაძარში შესვლისას). მაგრამ ადამიანს შესაძლოა, უჭირდეს სულიერად და გარეგნულ სიკოხტავე გარკვეულ ნუგეშს აძლევდეს. აქედან გამომდინარე, ქრისტიანს კოსმეტიკის გამოყენება მკაცრად არ ეკრძალება, მაგრამ კოსმეტიკა უნდა გამოვიყენოთ ზომიერად და გემოვნებით.

როგორი ჩაცმულობა მოეთხოვება ქრისტიანს?

ზომიერების დაცვა ქრისტიანს ჩაცმულობაშიც მოეთხოვება, რადგან ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნიშანია ქრისტიანის ცხოვრებისა, რომელიც ქრისტიანის ყველა ქმედებაში უნდა ვლინდებოდეს. მართალია, მკაცრად არ არის განსაზღვრული, თუ როგორ უნდა იმოსებოდეს ქრის-

ტიანი, მაგრამ ჭეშმარიტად მორწმუნე ადამიანი არ უნდა გამოიჩინოდეს განსაკუთრებით ძვირფასი სამოსით, ასევე არ უნდა ჩაიცვას ზედმეტად გახსნილი და გულამოღებული ტანსაცმელი. უმჯობესია, ადამიანს ეცვას სადად. ქალს მკაცრად ეკრძალება შარვლით და მოკლე კაბით ტაძარში შესვლა.

საკვირაო წირვაზე უნდა ვეცადოთ, შეძლებისდაგვარად განსხვავებულად და სახეიმიდ შევიმოსოთ, რათა გარეგნულადაც გამოვხატოთ შინაგანი სულიერი განწყობა – ე.ი. ჩვენს შინაგან სულიერ სადღესასწაულო განწყობას გარეგნობაც უნდა შეესაბამებოდეს. აქედან გამომდინარე, ქრისტიანს არ ეკრძალება გარეგნობაზე ზრუნვა, რამეთუ ადამიანი ხატია ღვთისა და ამ ხატს მოვლა და შექმობა სჭირდება. მთავარია, რომ ადამიანმა გადაჭარბებული ყურადღება არ მიაქციოს საკუთარ გარეგნობას – ე.ი. არ იფიქროს მხოლოდ იმაზე, თუ რა ჩაიცვას, რომელი კოსმეტიკური საშუალებები გამოიყენოს და ა.შ.

რა უნდა ვიცოდეთ თავსაბურავთან დაკავშირებით?

ძველად, ეკლესიის მიღმა ქალიც და მამაკაციც თავდაბურული დადიოდა. დღეს საზოგადოებაში თავსაბურავის ტარება აღარაა მიღებული, ამიტომ ქალისათვის მანდილით სიარული გარკვეულ უხერხულობასთანაა დაკავშირებული და ქალს არ მოეთხოვება, იაროს თავდაბურულმა, მაგრამ ეკლესიაში შესვლისას, ქალს აუცილებლად უნდა ებუროს მანდილი. რაც შეეხება მამაკაცს (თუ სასულიერო პირი არაა) – ტაძარში უნდა იდგეს ქუდის გარეშე – ამას მოითხოვს ქრისტიანული ტრადიცია. პავლე მოციქული კორინთელთა მიმართ მიწერილ პირველ ეპისტოლეში წერს: „ყოველი მამაკაცი, რომელიც თავდაბურული ლოცულობს ან წინასწარმეტყველებს, თავის თავს არცხვენს; და ყოველი დედაკაცი, რომელიც თავდაუხურავი ლოცულობს, თავის თავს არცხვენს, ვინაიდან ეს იგივეა, ვითომც გადაპარსული იყოს“ (I კორ. II, 4-5). სიმბოლურად ეს ნიშნავს, რომ კაცის თავი არის უფალი ღმერთი, ქალის თავი კი – მამაკაცი.

როგორი ვარცხნილობა შეეფერება ქვეშაირიტიტი ქრისტიანს?

„განა თვით ბუნება არ გვასწავლის, რომ მამაკაცის გრძელითმიანობა სამარცხვინოა მისთვის? მაგრამ დედაკაცის გრძელითმიანობა დიდებაა მისთვის. გრძელი თმა მას საბურველის ნაცვლად აქვს მიცემული“ – ბრძანებს პავლე მოციქული კორინთელთა მიმართ მიწერილ პირველ ეპისტოლეში. აქედან გამომდინარე, ჭეშმარიტად ქრისტიანი ქალი უნდა ატარებდეს ზომიერად გრძელ თმას, მამაკაცი კი შეკვეცილი თმით უნდა დადიოდეს (თუ სასულიერო პირი არ არის).

1654 წელს ცხენზე ამხედრებულმა 16-მა ქართველმა თავი გაწირა დედისამშობლოში დასაბრუნებლად: საქართველოსკენ მომავალ ფერეიდნელ ქართველებს სპარსელთა რიცხვმრავალი რაზმი წამოეწია და ყუმის უდაბნოში სამკედრო-სასიცოცხლო ბრძოლის შედეგად ყველა ქართველი დაიღუპა. მათ შორის იყო 12 წლის ბავშვი, რომელიც მამასთან ერთად სამშობლოში ბრუნდებოდა... ყუმის უდაბნოში გამართული დაცემულ ქართველთ, ზემო მარტყოფში ძეგლი აუგეს. ქვის ლოდზე ამოკვეთილი წარწერა ასე მთავრდება: „შენდობა გვითხარით, უფალო, ისენ ქრისტიანნი...“

ფერეიდნელ ქართველთა ერთმა მცირე ნაწილმა მხოლოდ 3 ასეული წლის შემდეგ — 1972 წელს ჩამოაღწია საქართველოში. ისინი გურჯაანის რაიონში დასახლდნენ. მბსტბნბ ონიკაშვილი მაშინ 10 წლის იყო, ახლა ის საზოგადოება „ფერეიდანის“ თავმჯდომარეა.



„ვინც ცისარტყელის ქვეშ გაქრება, საქართველოში აღმოჩნდება“

ლელა ჭანკოტაძე

— პირველი ქართველი, რომელმაც მოახერხა საქართველომდე მოღწევა, იყო ზემომარტყოფელი იოთამ ონიკაშვილი, რომელიც 1871 წელს ჩამოვიდა და დასახლდა საგარეჯოში. სამწუხაროდ, იგი გაურკვეველ ვითარებაში გარდაიცვალა. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის თანახმად, ყველა ადამიანს აქვს საცხოვრებელი ადგილის არჩევის უფლება. სწორედ ამ კანონის შესაბამისად, ფერეიდნელი ქართველების რამდენიმე ოჯახმა 1967 წელს განცხადება შეიტანა, ირანის საგარეო საქმეთა სამინისტროში, რომელშიც ითხოვდა ისტორიულ სამშობლოში დაბრუნების უფლებას. პარალელურად მათ განცხადება ჰქონდათ შეტანილი საბჭოთა კავშირის საელჩოში. დაიწყო „ბრძოლა“ ირანის მთავრობასა და ამ ხალხს შორის, რომელმაც 5 წელს გასტანა. ეს იყო ტანჯვა-წამების, აბუჩად აგდების წლები. რამდენი რამ გადახდა ფერეიდნელთა 12 ოჯახს, სანამ საქართველოს საზღვრებს მოაღწევდნენ!.. თავიდან ხელისუფლებას განცხადებით 100-მა ოჯახმა მიმართა, მაგრამ საშინელ ზეწოლას ყველამ ვერ გაუძლო და ბევრმა განზრახვაზე ხელი აიღო.

— მაგრამ მათ შორის თქვენ მშობლები არ იყვნენ...

— მე მახსენდება, როგორ გადიოდა მამაჩემი ზამთარში 14 კილომეტრს ფეხით ფერეიდნამდე, რომ გაეგო, რა ბედი ეწია მის თხოვნას და როგორ აბრუნებდნენ უკან — პასუხს ერთ კვირაში გაგცემთო. ასე დაატარებდნენ

მთელი ზამთარი, რომ როგორმე სულიერად გაეტეხათ, მაგრამ ამას ვერ მიადწიეს... 1972 წლის ივნისში მატარებლით ჩამოვედით ჯულფის საზღვრამდე, ირანის მატარებლიდან უნდა გადავმსხდარიყავით საბჭოთა მატარებელში. ამ 12 ოჯახიდან ვერც ერთს ვერ წარმოედგინა, თუ როგორ დაგვხვდებოდა დელსამშობლო — მას ხომ მხოლოდ „ცისარტყელის ზღაპრიდან“ ვიცნობდით: დიდები გვეუბნებოდნენ — ვინც ცისარტყელის ქვეშ გაძვრება, საქართველოში აღმოჩნდებაო. ჩვენც, ბავშვები მთელი დღე დაულაღვად მივბობდით, რომ იმ ცისარტყელამდე მიგვეღწია... მატარებელი ბოლო ბაქანზე რომ გაჩერდა, ყველანი ჩამოვედით. ვხედავთ, დაახლოებით 100 მეტრის მოშორებით დგას მეორე მატარებელი და მასთან უამრავ ხალხს მოუყრია თავი. ჩვენებმა დაუძახეს — ქართველები ხართო? გვიპასუხეს — კი, თქვენიანები ვართ და გელოდებით, აქამდე სად ხართო?! მივუახლოვდით და ერთმანეთს შევერეთ, ატყდა ერთი ხვევნა-კოცნა, ყველა სინარტყელისგან ტიროდა. ეს რაღაც საოცრება იყო. გვიყურებდნენ სპარსელები და მათაც თვალზე ცრემლი მოადგათ.

— სად დაგაბრინავენ?

— კახეთში, გურჯაანის რაიონში ჩავედით. საქართველოში ვარდობის თვე იდგა. მთელი კახეთი აღმოსავლეთისკენ იყურებოდა, ჩვენს ავტობუსს ელოდა. გზები გადაკეტილი იყო, იმდენი ხალხი გამოსულიყო სახლებიდან. ხელში ვარდები ეჭირათ, რომ დაგვინახეს, მათ სინარტყელს საზღვარი არ ჰქონდა. ბავშვებს ხელიდან ხელში გადასცემდნენ. ასეთი ლამაზი საქართველო სიზმარ-

შიც კი არ მენახა... ორი-სამი ოჯახი თითო სოფელში გაგვანაწილეს. შაშიანში, ვაზისუბანში, ახაშენში, ჩუმლაყში, საგარეჯოში ჩავგასახლეს (რამდენიმე წლის შემდეგ, ახალი ნაკადი ჩამოვიდა). მოგვცეს მიწები, საქონელი, საყოფაცხოვრებო საგნები და სხვა. ჩვენი ნახვის მსურველთა ნაკადი საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან მთელი წელი არ წყვებოდა.

— ბავშვებს ქართულ სკოლებში სწავლა არ გაუჭირდათ?

— სპარსული სკოლა საოცარი სიმკაცრით გამოირჩეოდა. ქართველებს სწავლა ძალიან გვიჭირდა, რადგან ოჯახში ქართულად ვლაპარაკობდით, სპარსულ ენას დაწყებით კლასებში კარგად ვერ ვფლობდით. საშინლად გვეპყრობოდნენ. მოსწავლეებს გამეტუბით გვცემდნენ, თუმცა შემდეგ, ცემა სკოლებში აიკრძალა... აქ რომ ჩამოვედით, შემახვედრეს ქართულის მასწავლებელს. ის დღე არასოდეს დამავიწყდება. მასთან სახლში მივედით. თავზე ხელი გადამისვა, გამიღმა და კანფეტები მომცა. გაოცებული დავრჩი. ის პედაგოგი ნანი ბრავგაძე გახლდათ... სკოლას რომ ვამთავრებდით, ქართულის გამოცდაზე თავისუფალი თემა იყო — „ჩემი საყვარელი მასწავლებელი“. ქალბატონ ნანიზე დავწერე. მასთან შეხვედრა ხომ სიკვდილამდე მემახსოვრება!..

— რას ელოდით, ფერეიდნიდან რომ ბრუნდებოდით და რა დაგხვდათ საქართველოში? იმედები ხომ არ გაგიცრუვდათ?

— ცოტა ხნის წინ, ფერეიდნელ ქართველთა 30-კაციანი ღელეგაცია იყო ჩამოსული. თითქმის მთელი საქართვე-



ლო დავათვალთვალეებინეთ. ვიყავით რაჭაშიც, სადაც დიდი სუფრა გაიშალა. ავტობუსის მძღოლი ქურთი იყო. გვიყურა, გვისმინა და ბოლოს, ტირილი დაიწყო — გული მწყდება, რომ ქართველი არა ვარო... ისეთი დიდი სიყვარული გვაძოძრავებს, რომ შეუძლებელია, უფრო მეტი მოითხოვო კაცმა. სწორედ ამ სიყვარულმა გადაგვარჩინა ფერეიდნელი ქართველები. ირანში რომ ვცხოვრობდით, მასხოვს, ზამთარში, როცა გზები ჩაიკეტებოდა, არც რადიო გვქონდა და არც ტელევიზორი, ერთმანეთთან ვიკრიბებოდით. ყველა ჰყვებოდა საქართველოს შესახებ იმას, რაც გადმოცემით იცოდა. ჩვენი ქვეყნის ისტორია ასე, გადმოცემებით შემოვიჩინებთ. საქართველოს გარდა, სხვა სალაპარაკო თემა არ გვქონდა. 3 წიგნი დაიწერა ფერეიდნელი ქართველების შესახებ, სადაც ეს ფაქტებია შესული. არქივებში ვეძებდით რაიმე ინფორმაციას. განსაკუთრებით გამოგვაღდა პიეტრო დელა ვალეს ჩანაწერები. ქართველები სპარსეთის გზას რომ გაუყენეს, ის მიჰყვებოდა და წერდა ყველაფერს მათ შესახებ... ასე თუ ისე, დაწერეთ ფერეიდნის ისტორია, რომელიც აუცილებლად უნდა იქცეს საქართველოს ისტორიის განუყოფელ ნაწილად. ძალიან გვინდა, ქართველმა მოსწავლეებმა სკოლაში ისწავლონ ამ ცრემლიანი 400 წლის შესახებ. ფერეიდანში ბავშვი რომ იბადება, მას მაშინვე ეუბნებიან, რომ ქართველია და მისი სამშობლო საქართველოა. ყველა ქართველმა უნდა იცოდეს ფერეიდნელი ქართველების გმირული წარსული. გმირობის საოცარი მაგალითია ბრძოლა ქერიმხანის წინააღმდეგ, რომელსაც ქართველების განად-

ასე თუ ისე, დაწერეთ ფერეიდნის ისტორია, რომელიც აუცილებლად უნდა იქცეს საქართველოს ისტორიის განუყოფელ ნაწილად...

გურება ჰქონდა მიზნად დასახული. უფროსი თაობა კარგად ხვდებოდა, თუ რაოდენ გაუჭირდებოდათ ქერიმხანთან ბრძოლისას გადარჩენა, მაგრამ ახალგაზრდებს ომი ეწადათ. ბევრი სჯაბაასის შემდეგ გადაწყვიტეს, მიუვალი ციხესიმაგრისთვის შეეფარებინათ თავი. იგი უზარმაზარი კლდოვანი ქარაფებით იყო გარშემორტყმული და ბევრჯერ გადაერჩინა ქართველები, მაგრამ ამჯერად მტერი ურიცხვი იყო. ამიტომ გადაწყვიტეს, ქერიმხანი მოეკლათ. ცნობილი მეთოფე თავაზისვილი და ახალგაზრდა მეომარი რამან ონიკაშვილი ღამით მტრის კარავთან მიიპარნენ. ქერიმხანი ყალიონს აბოლებდა. თავაზისვილს თოფი შეყენებული ჰქონდა, მაგრამ არ გაისროლა. ასე ლაჩრულად, მიპარვით კაცს ზურგში ვერ ვესვრიო. ეს საქციელი ვინმეს სიმხდალედ რომ არ ჩაეთვალა, მან ქერიმხანს თოფი დაუმიზნა და ყალიონი აუფეთქა...

— ბრძოლა როგორ დასრულდა?

— ქერიმხანმა ღამით მიიტანა იერიში ციხესიმაგრეზე. ქართველი მეომრები ქალებსა და ბავშვებს წინ ეფარე-

ვიყავით რაჭაშიც, სადაც დიდი სუფრა გაიშალა. ავტობუსის მძღოლი ქურთი იყო. გვიყურა, გვისმინა და ბოლოს, ტირილი დაიწყო — გული მწყდება, რომ ქართველი არა ვარო...

ბოდნენ, ასე, თან იბრძოდნენ და თან უკან იხევდნენ. მოხუცები, ქალები და ბავშვები ცდილობდნენ, როგორმე მიეღწიათ ჩამოსასვლელ საცალფეხო ბილიკამდე, მაგრამ ისეთი არეულობა იყო, რომ ბილიკს ვეღარ ხედავდნენ და უზარმაზარი კლდიდან ცვიოდნენ... დილით ქართველებმა შემზარავი სურათი იხილეს. ქარაფების ძირი გვაშებს ვერ იტევდა. მხოლოდ რამდენიმე ქალი ჩვილ ბავშვებთან ერთად გადარჩენილი იყო. ისინი ლოდებს შორის დამალულიყვნენ. ქმრებმა ჯერ გულში ჩაიკრეს, შემდეგ კი ისინიც ქარაფიდან გადახტნენ: სიკვდილი არჩიეს ტყვედ ჩავარდნას... მთავარსარდალი უჩა ონიკაშვილი ქერიმხანმა ზარბაზნის ლულაზე გააკრა და ჰკითხა: ბოლო სურვილი რა გაქვსო? რა სურვილი უნდა ჰქონოდა ზარბაზნის ლულაზე გაკრულ ვაჟკაცსო?.. მან სთხოვა — ლულა საქართველოსკენ მიაბრუნეო. ქერიმხანმა შეუსრულა თხოვნა და ზარბაზანმაც იგრიალა... აი, ასე, სისხლითა და ცრემლით იწერებოდა ქართველების ისტორია ირანში და ეს თითოეული ქართველის ისტორიაა. არა აქვს მნიშვნელობა დედამიწის რომელ კუთხეში ცხოვრობს.

— ირანში თუ გამოცემულა ფერეიდნელი ქართველების ისტორია?

— მელქისედეკ რამიშვილმა მთელი თავისი ახალგაზრდობის წლები, ფერეიდნის მხარის განყოფილების გამგედ მუშაობისას, სულ ბიბლიოთეკებში, არქივებში, მუზეუმებში სიარულს მონაწილეობდა, რათა როგორმე ყველა იმ წყაროსთვის მიეკვლია, სადაც კი ქართველის სახელი და გვარი იყო ნახსენები.



შეხვედრისას, მან მაჩვენა ყველა ქართული ნივთი, რომელსაც მთელი ცხოვრების მანძილზე აგროვებდა. ეს სამკაულები ძირითადად ციხის ძირში მიმოფანტული, ნაომარი ქართველი ქალებისა და კაცების სამკაულები და აღჭურვილობა გახლდათ. ირანის მთავრობამ მას უარი ვერ უთხრა, რომ თავის წიგნში ფერეიდნელების ისტორია რეალურად აესაზნა და სპარსულ ენაზე გამოეცა. ეს იყო იქაური ქართველების უდიდესი მიღწევა.

როგორ ცხოვრობენ ფერეიდნელი ქართველები?

ფერეიდანი მთიანი რეგიონია. ისპაანიდან 185 კმ-ით არის დაშორებული. მოსახლეობა ფერეიდანში 30000-ია. იქ ზაფხული და შემოდგომა ძალიან მოკლეა, კლიმატური პირობები ძალიან მკაცრია. მასსოვს, ყველას ბანიანი სახლები ჰქონდა. ზამთარში იმხელა თოვლი მოდიოდა, ერთ დამეში ორჯერ თუ არ გადმოხვეტავდი სახურავიდან, ჩაანგრებოდა. ზამთრობით თოვლის საფარი 2-2,5 მეტრს აღწევს. ზამთარი დაახლოებით 6 თვე გრძელდება. ისპაანთან მისასვლელი გზები ხანგრძლივი პერიოდით იკეტებოდა. იქ ძირითადად მოდის ხორბალი, ქერი, ოსპი, მუხუდო და ბოსტნეული. რაც შეეხება ხეხილს, ხარობს კაკალი, თუთა, ტყემალი, ნუში და ჭერამი. სხვა ხეხილი მძიმე კლიმატური პირობების გამო, დამწიფებას ვერ ასწრებს.

ფერეიდანს ქართველები მარტყოფს ეძახით?

სოფლებს ქართული სახელები ჰქვია. თვითონ ფერეიდანიც ირანში ერთგვარი ავტონომიაა. ხალხს თავისი გვარები აქვს შემონახული, ქართული სახელები ჰქვიათ. ფერეიდანი ისპაანის გუბერნიის უკიდურეს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილს ჰქვია. თავად სპარსელები მას ფერეიდან-შაჰრს ანუ ფერეიდან-ქალაქს ეძახიან. იქ მცხოვრები ქართველებისთვის კი, ფერეიდანს მარტყოფი ჰქვია. ის ზედა და ქვედა მარტყოფად იყოფა. იქვეა სოფლებიც, რომელთა არსებობა საქართველოში არც იციან. ამ სოფლებიდან ერთ-ერთის მკვიდრნი, ძმები არია და შაჰინ ხოს-

როშვილები ფეხით ამოვიდნენ, საქართველოში. აქ ერთი თვე დარჩნენ. კათოლიკოს-პატრიარქსაც შეხვედნენ. ბატონმა პრეზიდენტმა 500 ეგზემპლარი



ფერეიდანში ბავშვი რომ იბადება, მას მამინვე ეუბნებიან, რომ ქართველია და მისი სამშობლო საქართველოა

„დედაენა“ გაატანა და აქედან მანქანით გააცილა... ჩვენი ქართველობა საოცარი რუდუნებით ეკიდება ყველაფერს, რაც რაღაცით საქართველოს უკავშირდება. ქართველები არასდროს ქორწინდებოდნენ სპარსელებზე ან ქურთებზე, არც ქალს ატანდნენ მათ, სისხლი რომ არ არეულიყო. თუ ვინმეს ასეთი განზრახ-

— უწინ 5-ზე ნაკლებშვილიანი ოჯახი იშვიათობა იყო. მასსოვს, ერთ კაცს 13 ვაჟი ჰყავდა. როცა მოხუცდა, მათი სახელები ეშლებოდა. ერთხელ თურმე შვილებს თვალი გადაავლო და თქვა: შავი ქუდი რომ ეხურა, ის რა იქნაო?.. ყველა ოჯახი მრავალშვილიანი იყო. მაშინ ამბულატორიაც კი არ არსებობდა და ვერტმფრენით ჩაჰყავდათ ექიმი ბავშვების ასაცირვლად. ქალები შინ მშობიარობდნენ. ეს ტრადიცია დღემდეა შემონახული — საქართველოს ხელისუფლებას ვთხოვთ — იქნებ იქ, ამბულატორიის გახსნის საკითხის გადაჭრაში დაგვეხმაროს...

P.S. შაჰ-აბასს როცა 300000 ქართველი ირანში გადაუსახლება (1614-17 წლებში), მათ თან დაჰყვებოდა პიეტრო დე ლა ვალე, რომელმაც დეტალურად აღწერა ქართველთა მძიმე გზა. აი, რას წერს ერთგან: „მე შევხვდი შირაქის გზაზე ქართველ პატარა ბიჭს, რომელიც დამკვრელების თანხლებით,

ქართველობა საოცარი რუდუნებით ეკიდება ყველაფერს, რაც რაღაცით საქართველოს უკავშირდება. ქართველები არასდროს ქორწინდებოდნენ სპარსელებზე ან ქურთებზე, არც ქალს ატანდნენ მათ, სისხლი რომ არ არეულიყო

ვა ჰქონდა, ფერეიდნიდან საერთოდ მიდიოდა... ჩემი სოფელი — ჩულურეთი, ფერეიდან-შაჰრიდან 14 კმ-ითაა დაშორებული და ქურთებით დასახლებულ სოფლებს ესაზღვრება. თუ ქართულ ოჯახს შვილი არ უჩნდებოდა, მოჰყავდით ქურთის ქალი. მათ შთამომავალთ ასე ვთქვათ დამატებით სახელს არქმევდნენ: ქურთისა და ქართველის შვილს ასე ახსენებდნენ: „ქურთიანთ“ არისო...

— მრავალშვილიანი ოჯახი ფერეიდანში ბევრია?

„ქართულს“ ცეკვაავდა. ჩვენ რომ დაგვინახა და მიხვდა, ვინც ვიყავით, მობინა ჩემთან, უბეში დამალული ღვთისმშობლის ხატი ამოიღო, გადმოძცა და მითხრა: მე ვერ გავუძელი შიმშილს და სიცივეს, რის გამოც მივიღე მაჰმადიანობა. ამ ხატის ტარების ღირსი მე აღარ ვარ. ვთხოვთ, რომ აიღოთ და სათანადოდ მოუაროთ მას...“ მართალია, ქართველები ძალით ვაამუსლიმანეს, მაგრამ ქართველობა მაინც ვერ წაართვის.



თბილისის ონკოლოგიურ საავადმყოფოში, ქალბატონ დალი თუშიშვილთან სასაუბროდ მისული, უცნობი ქალის შიშითა და ცრემლებით საგსე თვალებს წაგანყდი. ციტოლოგს თავი არც კი აუწვევია, ხელი სავარძლისაკენ გაიშვირა: იქ დაბელოდეთო, — მითხრა და ისევ რაღაცას ჩააშტერდა. მაგრამ სულ ცოტა ხანში, ისევ თავი ასწია. პაციენტს თვალეში ჩახედა და მშვიდად უთხრა — ნუ გეშინიათ, ყველაფერი კარგადაა. თქვენ კეთილთვისებიანი სიმსივნე გაქვთო, — და სახეზე თბილი ღიმილი მოეფინა...

ულამაზესი ქალბატონის ცხოვრება მრავალი საინტერესო ამბითაა აღსავსე. მსახიობი, ჟურნალ-ისტი, მუსიკოსი, ციტოლოგი დალი თუშიშვილი ცნობილ ნიგში — „მშვენიერთა სავანეშიცა“ მოხვედრილი — XIX-XX საუკუნეების გამოჩენილ ქართველ ქალებს შორის...

სიყვარულის სანაცვლოდ მოსოფელი კინოკაჩიყა და პასუხი კითხვაზე ~ ჩატომ კვლევა რამაში ძალი ოჯახი?

ლიპა ქაჩაია

— დავიბადე თბილისში, ვაკეში. რომელ წელს — არ გეტყვით... მამაჩემი — იროლიონ თუშიშვილი ნახევარი საუკუნის მანძილზე, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში მუშაობდა. მის წიგნებზე მრავალი თაობა აღიზარდა. დედა პროფესიით ფარმაცევტი გახლდათ... დავამთავრე 55-ე საშუალო სკოლა, რომელსაც მაშინ „იპოლიტეს გიმნაზიას“ ეძახდნენ. პარალელურად ვსწავლობდი მუსიკალურ სკოლაში, შემდეგ კი — ნიჭიერთა ათწლეულში. მყავს ძმა, რომელსაც ასევე, მრავალმხრივი განათლება აქვს მიღებული (ცნობილი აკადემიკოსი, პროფესორი გივი თუშიშვილი. — ავტ.).

— ჯერ კიდევ სკოლის მონაწილე, გადასადებ მოედანზე მოხვედრილხართ...

— დიას, 13 წლის ვიყავი, როცა ერთ-ერთი რეჟისორი ჩვენს სკოლაში მოვიდა, ფილმისთვის ბავშვების ასარჩევად და მე ამირჩია. ცნობილი რეჟისორი ლეო ესაკია იღებდა „აბესალომ და ეთერს“, სადაც მურმანის 9 დას შორის ერთ-ერთი განვასახიერე. ამის შემდეგ, იყო რამდენიმე ეპიზოდური როლი: გიორგი შენგელაიას „მაცი ხეობაში“, რეზო ჩხეიძის „ღიმილის ბიჭებში“, ვახტანგ ტაბლიაშვილის „დიდოსტატის მარჯვენაში“. 17 წლის ასაკში კი, „დაისში“ მთავარი გმირი — ნანა განვასახიერე (ეკრანიზაცია ფალიაშვილის ოპერისა „დაისი“, რეჟისორი ნიკოლოზ სანიშვილი. — ავტ.). ამ დროს, უკვე ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე ვსწავლობდი.

— ცნობილი მსახიობი თამარ

თუშიშვილი მამიდათქვენი იყო. რა გავლენა მოახდინა მან თქვენს მსახიობურ კარიერაზე?

— თამარი, რუსთაველის თეატრის მსახიობი იყო. მას შვილი არ ჰყავდა და უნდოდა, მე გავეყოლოდი მის კვალს. სანამ ამისათვის რაიმეს იღონებდა, რეჟისორებმა თვითონ მიპოვეს და მისგან დამოუკიდებლად აღმოჩნდი გადასადებ მოედანზე.

— მაგრამ მსახიობობას თავი დაანებეთ. რა იყო ამის მიზეზი?

— ადრეულ ასაკში გავთხოვიდი და მიუხედავად იმისა, რომ ჩემი მომავალი მეუღლე, ნიკოლოზ სანიშვილს ჰპირდებოდა — დალი თავის საქმიანობას გაავრ-

ძელებსო, — კინოკარიერაზე უარი მათქმევინა.

— ამის გამო, ხომ არ გინანიათ, ადრე რომ გათხოვდით?

— არასოდეს. მიმჩნია, რომ ცოლქმარი ერთი პროფესიის უნდა იყოს, რათა ერთმანეთს უკეთ გაუვოს. თუ სხვადასხვა პროფესიის არიან, ხშირ შემთხვევაში, მათი ცხოვრება საკმაოდ რთულია... თუმცა, ერთხელ გული დამწყდა. გორკის კინოსტუდიაში დამტკიცებული ვიყავი მთავარ როლზე, შექსპირის კინოკომედიაში — „აურზაური არაფრის გამო“, მაგრამ მოხდა ასეთი კურიოზული ამბავი: იმ პერიოდში, ჩემი მეუღლე მოსკოვში მუშაობდა. პირობა მომცა: შენს სურათებს მე წავიღებ და პასუხსაც ჩამოგიტანო. ის მართლაც, შეხვედრია რეჟისორს, მიუცია ჩემი სურათები, მაგრამ ჩემთან დარეკვა აუკრძალავს — დალის თქვენთვის არ სცალია და ნუ შეაწუხებთო. მე კი ვვიქრობდი, დამიწუნეს-მეთქი... გავიდა დრო. ერთხელ, ქართული ფილმების რომელიღაც ფესტივალზე, რუსებმა ჩემი სურათები ჩამომიტანეს. მათთან საუბრისას ვთქვი, რომ გული დამწყდა, როცა დამიწუნეს. აღმოჩნდა, რომ როლზე დამტკიცებულიც ვიყავი, მაგრამ თემურს (მეუღლეს. — ავტ.) ჩაუშლია ყველაფერი.

— სად და როგორ გაცნობით მომავალი მეუღლეს?

— კინოფილმ „დაისის“ გადაღება კახეთში მიმდინარეობდა. იმ პერიოდში, ჩემი მომავალი მეუღლე — თემურ ბუაჩიძე, დროებით იმავე რაიონში მუშაობდა ქირურგად. ერთ-



ადრეულ ასაკში გავთხოვიდი... (მეუღლესთან თემურ ბუაჩიძესთან ერთად)

ერთ წვეულებაზე, იგი თამადად მოგვევლინა. იმ საღამოს ერთმანეთი გავიცანით, მაგრამ მაშინ მისთვის დიდი ყურადღება არ მიმიქცევია. მერე, როცა უკვე თბილისში მოვლიოდით, ავტობუსში თემურიც ამოვიდა. მე და დედაჩემს (რომელიც გადაღებებზე კახეთშიც კი გამოიყვანა) ჩანთა ჩაგვაბარა და გვეითხრა – ახლავე დავბრუნდებითო. გავიდა ნახევარი საათი, 40 წუთი, მაგრამ ჩვენი ექიმი არსად ჩანდა. ხალხი შემფოთდა, მძლოლი აყვირდა: უნდა წავიდეთო. ვეუბნები – კაცმა ჩათნა დამიტოვა, თან გამაფრთხილა, – შიგნით პასპორტი და საჭირო საბუთები; თუ წავალთ, ჩანთა თქვენ დაიტოვებთქო, – მაგრამ ყური არავინ დამივლო. თურმე, დასის წვევები: გივი ბერიკაშვილი, ოთარ კობერიძე, ზურაბ ქაფიანიძე, ნანა ყიფიანი საქმის კურსში არიან და სიცილით იხოცებიან. მოკლედ, იძულებული გავხდი, ქირურგის ჩანთა თბილისში წამომეღო.

— მერე რა მოხდა? ჩანთის დაბრუნება გთხოვათ?

— ამ ამბიდან ორი დღე გავიდა და ექიმი შინ გვირეკავს: თუ შეიძლება, ჩანთის წასაღებად მოვალთ. მამაჩემი თხემით ტერფამდე ინტელიგენტი კაცი იყო. სტუმარი მოწინააღმდეგე მძილო, სუფრაც გაიშალა. თემური იმდენად დიპლომატი და ეშმაკი სასიძო აღმოჩნდა, რომ ჩემი მშობლები უძალდო მოხიბლან... იმ საღამომ მშვენივრად ჩაიარა, ქირურგმა თავისი ჩანთა წაიღო და წავიდა, მაგრამ 3 დღის შემდეგ დამირეკა და მითხრა: თქვენნი ჯგუფის წევრები შეიკრიბნენ და შენი მიყვანა დამავალესო. სასტიკი უარი განვუცხადე, მაგრამ დედაჩემმა, ჩემდა გასაკვირად, მითხრა: უხერხულია, უნდა წახვიდეო. თემურმა მომაკითხა და წვეულებაზე მიმიყვანა, სადაც ვერც ერთი ნაცნობი ვერ ვნახე (თურმე, მისი თანაკლასელები, სკოლის დამთავრების რომელიღაც წლისთვის აღნიშნავდნენ). თემურმა დამსწრე საზოგადოებას განუცხადა: გაიცანით, ეს ჩემი საცოლეაო!.. ამის შემდეგ, რამდენიმე თვე ვხვდებოდით ერთმანეთს... წელს 31 ოქტომბერს, ჩვენი ქორწინების 33 წლისთავი აღვნიშნეთ.

— ...და დღეს თქვენს ოჯახზე რას გვეტყვი?

— მყავს ორი ვაჟი – უფროსი (კახა) პროფესიით ინჟინერია, უმცროსი (ოთარი) კი მამამისთან მუშაობს (თემურ ბუაჩიძე, პირველი კლინიკური საავადმყოფოს სისხლძარღვთა მიკროქირურგიის კლინიკის დირექტორია. – ავტ.).

— ლამაზ ქალბატონს, ბევრი თავყვანისმცემელი გვეყოლებოდათ. როგორ ეგუებოდა ამას თქვენი მეუღლე?

— ძალიან ბევრი თავყვანისმცემელი მყავდა: ზოგი – მომაბეზრებელი, ზოგი – თავშეკავებული, მაგრამ არც ერთისთვის უხეშად, ცინიკურად არ მიმიმართავს. თუ ადამიანს უყვარხარ, პატივს გცემს, არ უნდა დაამცირო... ამ ყველაფრის მიუხედავად, მე და ჩემს მეუღლეს, ეჭვიანობის ნიადაგზე არასოდეს გვექონია კონფლიქტი. თუმცა, ამის საბაბი არც



როცა ახალგაზრდა ვიყავი, საკმარისი იყო, ქუჩაში ერთი წუთი გაგჩერებულყავი, რომ 10 მანქანის მძღოლი მაინც შემომთავაზებდა დახმარებას. დღეს კი...

ჰქონია, რადგან 33 წლის მანძილზე არ მახსოვს, რომ შინ მოსულიყო და არ დავხვედროდი. მის გარეშე არსად დავდიოდი.

— თქვენ საკმაოდ დამღვლები და საპასუხისმგებლო საქმიანობას ეწეებით. რამ გადაგანყვეტინათ, ექიმობისთვის მოგაკვიდათ ხელი?

— სამედიცინო ინსტიტუტი რომ დავამთავრე, განაწილებით მოვხვდი რენტგენო-კარდიოლოგიის ინსტიტუტში, უფროს ლაბორანტად. დავიწყე მეცნიერული მუშაობა. 1984 წელს, ლენინგრადის ონკოცენტრში წარჩინებით დავიცავი საკანდიდატო დისერტაცია. უკვე 28 წელია, თბილისის ონკოლოგიის ნაციონალურ ცენტრში ვმუშაობ. საოცარ სამყაროში ყოფნა მიწევს. ციტოლოგია, როგორც დარგი, ბევრისთვის უცნობია. ეს გახლავთ ონკოლოგიის დარგი, რომელსაც ადამიანისათვის განაჩენი გამოაქვს. როცა ადამიანი თავის სხეულზე თუ ორგანიზმში პათოლოგიას შეამჩნევს, პირველად ციტოლოგთან მიდის. მასზეა დამოკიდებული, თუ როგორ წარიმართება პიროვნების შემდგომი ცხოვრება.

ამიტომაც, ამ დარგში მომუშავე ადამიანს, გარდა პროფესიონალიზმისა, სჭირდება ტაქტი, ფსიქოლოგიური ზემოქმედების მოხდენის ცოდნა და მსახიობური ნიჭიც კი, რადგან, შემინებული პაციენტი შენგან განაჩენს ელის. განაჩენი კი, ხშირ შემთხვევაში, მძიმეა...

— როგორც ვიცო, მღერით კიდევ...

— სკოლაში, გოგონებს ჩამოყალიბებული გვექონდა კვარტეტი – „მაქედანა“ – მაყვალა, ქეთინო, დალი და ნანა. მაშინ საკმაოდ ცნობილი ანსამბლი იყო. მოგეხსენებათ, რომ 55-ე საშუალო სკოლა ექსპერიმენტული იყო, სადაც ინგლისური ენა მეორე კლასიდან ისწავლებოდა. კვარტეტის გოგონები ძველქართულ სიმღერებს ინგლისურ ენაზე ვთარგმნიდით და ამით სიახლე შევიტანეთ მაშინდელ ქართულ ესტრადაში... ფორტეპიანოზეც საკმაოდ კარგად ვუკრავ.

— თქვენი გატაცება, საქვსთან ჯდომაა...

— საჭვესთან 19 წლის ასაკიდან ვზივარ. როცა ავტომანქანა „ნივა“ გამოვიდა, პირველი მე ვიყავი, ვისაც ჰყავდა. ხალხი ამით მცნობდა: „ნივაზე“ რომ ზის, ის დალიო?.. ავტონისპექტორებთან ყოველთვის კარგი ურთიერთობა მქონდა და ბევრი კურორიც გადამხდენია მათთან ურთიერთობისას. მახსოვს, ერთხელ წითელ შუქზე გავიარე. მკაცრი სახის ინსპექტორმა გამაჩერა. დაბნეული სახე მივიღე და ვეუბნები: თქვენ რომ დავინახეთ, ისე დავიბენი, წითელი და ყვითელი ერთმანეთში ამერია-მეთქი. სახე გაუბრწყინდა, აღარ იცოდა, რა ექნა... ამის შემდეგ, შემამჩნევდა თუ არა – ესკორტით მაცილებდა ხოლმე.. ახლა წითელი „ოპელ-ვექტრა“ მყავს.

— შუა გზაზე, მანქანა რომ გაგიფუჭდეთ, რას იზამთ?

— ცხოვრების ნახევარი პროფილაქტიკურად მქვს გატარებული. ერთხელ, ერთ ელიტარულ წვეულებაზე მიმიწვიეს. მაცვია თეთრი ჩექმა, ქურქი. ვზივარ თეთრ „ნივაში“ და ღილინ-ღილინით მოვდივარ. უეცრად მანქანა გამიფუჭდა. ვერაფრით შევაკეთე. ბოლოს, მოხდა ისე, რომ ამ ელიტარულ წვეულებაზე, სასაცილო მდგომარეობაში გამოვცხადდი – დავიქირავე ამწე და ჩემი „ნივა“ „ბუქსირით“ მიაბრძანეს დანიშნულების ადგილას... როცა ახალგაზრდა ვიყავი, საკმარისი იყო, ქუჩაში ერთი წუთი გაგჩერებულყავი, რომ 10 მანქანის მძღოლი მაინც შემომთავაზებდა დახმარებას. დღეს კი... სამწუხაროდ, დღევანდელი ახალგაზრდები არ არიან ისეთი ჯენტლმენები, როგორებიც ჩემი თაობის წარმომადგენლები იყვნენ.



ამბობენ – ლამაზ ქალებს ოჯახში ბედი არ წყალობთ... მე გამიმართლა. ერთადერთი, რაშიც არ გამიმართლა, ისაა, რომ ცურვა ვერ ვისწავლე (კადრი ფილმოპერიდან „დაისი“)

— როგორც ქალი, პირველ რიგში ვინ ხართ?

— პირველ რიგში, დიასახლისი ვარ. მომწონს, როცა ოჯახში სტუმარია და ვდიასახლისობ. ოჯახში, მუდმივად უნდა სუფევდეს წესრიგი და სისუფთავე. სანამ სახლს არ დავალაგებ, ქუჩაში არ ვავალ. ზოგი ფიქრობს, რომ საკუთარი თავის მოვლის გარდა არაფერს ვაკეთებ. ასე არ არის. ხანდახან, მაკიაჟს ლიფტში ან მანქანაში ვიკეთებ ხოლმე. სამაგიეროდ, მიხარია, როცა ისე გამოვიყურები, რომ ხალხი ფიქრობს – ეს ქალი 24 საათის განმავლობაში სალონში ზისო... ზოგჯერ მეკითხებიან: რა მაგარი რაღაც გაცვია, სად ან რამდენად იყიდო? ამ დროს, შეიძლება იაფფასიანი სამოსი მეცვას – უბრალოდ, გემოვნებით და ფერთა შეხამებით უნდა ჩაიცვა. ერთფეროვნებას ვერ ვიტან – შეიძლება დღეში რამდენჯერმე გამოვიცვალო ტანსამოსი. სამაგიეროდ, ოჯახთან დაკავშირებით სტაბილური ვარ!.. ამბობენ – ლამაზ ქალებს ოჯახში ბედი არ წყალობთ, ზოგს 2 ქმარი, ზოგს კი – 10 ჰყავს გამოცვლილიო. ჩემს შემთხვევაში, ასე არ არის. მე გამიმართლა. ერთადერთი, რაშიც არ გამიმართლა, ისაა, რომ ცურვა ვერ ვისწავლე.

— ყველაზე დიდ სიამოვნებას რა განიჭებთ?

— მიუხედავად იმისა, რომ ჩემი და ჩემი მეუღლის ცხოვრება ძალზე დატვირთულია, თბილისიდან 7 კილომეტრის დაშორებით, გვაქვს სოლიდური ფერმა – გვყავს ძროხები, ღორები, ქათმები, ვირი, ცხენი, კურდღელი და ა.შ. ამ ფერმისგან შემოსავალს არ ველით – უბრალოდ, ცხოველები გვიყვარს. გვაქვს ხენილის ბაღიც. თუმცა, ამ ბაღიდან ხილი სხვებს

მაიქვთ. შეიძლება, ეს ყველაფერი სასაცილოდ ჩანს, მაგრამ ჩვენ ეს გვსიამოვნებს... თბილისში გვყავს ულამაზესი კაკაისიური ნაგაზი – ბობორა, რომელსაც ძალიან ვუყვარვარ, მაგრამ ნაგაზს, რომელიც ფერმაში გვყავს, ჩემი ატანა არა აქვს. მას სიგიჟემდე უყვარს თემური, ჩემზე ეჭვიანობს და მიღრენს...

— თქვენი სილამაზით მოხიბლულებმა, თქვენი ფოტო ცნობილ ნიღნში — „მშვენიერთა სავანე“ — შეიტანეს...

— ეს ძალიან მეამაყება. მოვხვდი ისეთი ქალბატონების გვერდით, როგორებიც იყვნენ: ნატო ვანნაძე, მედეა ჯაფარიძე და სხვები. თუმცა, საკუთარ გარეგნობას ყოველთვის კრიტიკულად ვუყურებდი. არასოდეს მითქვამს – ლამაზი ვარ-მეთქი. თანაც, მიმაჩნია, რომ შეუხედავი მანდილოსანი არ არსებობს; ვთვლი,

ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ სილამაზე ჩვენს სულშია... (კადრი ფილმოპერიდან „დაისი“)



რომ ლამაზი ქალის ხვედრი ძალზე რთულია. იგი ორჯერ კვდება.

— რას ჰქვია — ორჯერ კვდება?

— პირველად – მაშინ, როცა ბერდება: მისთვის ტრაგედიაა, როცა უკვე ასაკოვანი გადის ქუჩაში და მას ყურადღებას აღარ აქცევენ...

— რა გიქმნით დისკომფორტს?


— დისკომფორტი მექმნება მაშინ, როცა ძველი ნაცნობები მხვდებიან. ისინი აუცილებლად (როგორც წესი) შეიცხადებენ ხოლმე – ვაიმე, როგორ გასუქებულხარო!.. ერთი ცნობილი პროფესორი ქალბატონი შემხვდა ქუჩაში (მესამე კლასამდე ერთად ვსწავლობდით) და მეუბნება – ვაიმე, რა გამხდარი იყავი და ახლა რა მოგივიდაო?... მე ვუთხარი: პირველ კლასში გამხდარი ვიქნებოდი, აბა, რა იქნებოდა-მეთქი... ახალი ნაცნობები კი, მხოლოდ იმას აღნიშნავენ ხოლმე, რომ ასაკი არ მეტყობა...

— რა არის სიყვარული და რას ურჩევდით ახალგაზრდებს?

— სიყვარული ძალზე ინდივიდუალურია. ის ყველას თავისებურად ესმის, მაგრამ სიყვარული მაინც აერთიანებს გარკვეულ ცნებებს: პირველ რიგში – არ არსებობს სიყვარული ერთგულების გარეშე; მეორე – თუ მეგობარი არა ხარ, ვერც მეუღლე და ვერც საყვარელი ქალი იქნები; მესამე – უნდა გქონდეს მიტევების უნარი და შენც მიგეტევება...

— დაბოლოს, გაგვიმზილეთ სილამაზის რეცეპტი, რომლითაც თავად სარგებლობთ?

— თუ გინდა, ლამაზად გამოიყურებოდე, გარეგნობაზე ნაკლებად უნდა იფიქრო, იდარდო. ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ სილამაზე ჩვენს სულშია...



ნუტრიმენტ ჰაუსი NUTRIMENT HOUSE

ყავარჯნები თუ „გლუკოზამინი მსმ“-ით

არჩევანი თქვენზეა!

როგორც წესი, ყველაფერი წვრილმანებიდან იწყება. უსიამოვნო შეგრძნებები გაღვიძებისას – მებოჭილობა და მსუბუქი ტკივილი სახსრებში, რომელიც მალევე გადის. თქვენ ამას ამინდის ცვალებადობას აბრალებთ ან წუწუნებთ, რომ წინა დღეს ძალიან დაიტვირთეთ აგარაკზე. ამავე დროს უსიამოვნო შეგრძნებები თანდათან მატულობს. მაგრამ აი უკვე ამინდიც სტაბილურია, სააგარაკე სეზონიც დიდი ხანია დამთავრდა, მაგრამ სახსრები მაინც გტეხავთ. აღმოჩნდა, რომ აგარაკიც არაფერშია. უბრალოდ კიბეებზე ასვლა გიჭირთ . . . და აი საბოლოოდ თქვენ მიმართავთ ექიმს და ისმენთ ანაჩენს: ა რ თ რ ი ბ ი.



ეს უნდა იცოდეთ ყველამ

ნატურალური ბიოვიტამინო-მინერალური და ანთების საწინააღმდეგო საშუალება „გლუკოზამინი მსმ“

- ✓ შუადარბაზი ართრიტის, ართროზის, რევმატოიდური ართრიტის და სხვა სახის სახსროვანი დაავადებების დროს
- ✓ საბრძოლველად ავსებთ ბიოვიტამინ დაავადებულ სახსრებში და აუჯობებს მათ მოქნილობას
- ✓ ავსებთ სახსრების ანთებას და ანთებითი პროცესების თანხლებს სივამბობას
- ✓ ხელს უწყობს სრულიად აღდგენას
- ✓ ავსებთ ბრადიციული ბიოვიტამინო-მინერალური პრეპარატების მოხარების აუცილებლობას
- ✓ კლინიკურად გამოკვლეულია

„გლუკოზამინი მსმ“-ის სანგრძლივი მიღებისას სახსროვანი სტრუქტურის აღდგენითი ეფექტი გაცილებით დიდია.

საქმე იმაშია, რომ მთელ რიგ შემთხვევებში მცენარეული პრეპარატები აქრობენ რა ანთებას, ვერ ასდენენ სრტილის შემდგომი დეგრადაციის შეჩერებას, რაც თავის მხრივ იწვევს ავადმყოფობის ხელახალ გამწვავებას. აღმოჩნდა, რომ სანგრძლივი მიღებისას „გლუკოზამინი მსმ“-ს ძალუქს არა მარტო ამ პროცესის შეჩერება, არამედ მისი უკუგანვითარებაც კი.

საინტერესოა, რომ ამ პრეპარატმა დაუყოვნებლივ მიიქცია სპორტული ექიმების ყურადღება და საკმაოდ ეფექტურად გამოიყენება სპორტსმენებში ტრამეების შემდგომი რეაბილიტაციისათვის.

პენსიონერებისა და იწვალღიღისათვის წარმოებს 10%-ანი ფასდაკლება

მის. დ. აღმაშენებლის 150 ☎ 95-65-03; 96-06-67 ყოველ დღე კვირის გარდა 10.00 – 18.00



(დასაწყისი
იხ. „გზა“ №26-47)

მცაცენლოს ინსცინქცი

რუსულან ბერიძე

მკვლელობაში ეჭვიმტანლი ბი-
ზნესმენს ანდრო სვანიძის დაცვას
ახალგაზრდა ადვოკატი მეგი ლალ-
იძე გადამწყვეტს. საქმის შესწავლის
პროცესში მეგი გაარკვეს, რომ ან-
დროს „ჩადირვით“ მარტო მისი ბი-
ზნესპარტნიორი შალვა ოშერელი
კი არა, წარსულში მეგის შეყვარე-
ბული კახა სუთიძეცაა დაინტერესე-
ბული.

კახას დაჟინებული თხოვნით, მეგი
ლოგინად ჩავარდნილ დედამისს —
ქალაქში ცნობილ გინეკოლოგ მარი-
კა პერტაიას მონინახულებს. მომკვ-
დავი ქალი მას მწარე სიმართლეს
გაანდობს: შენი და კახას შვილი,
რომელიც 10 წლის წინ, მკვდრად-
შობილად შეგნებულად გამოვაცხა-
დე, ცოცხალია და ანდრო სვანიძის
ოჯახში იზრდება.

ანდრო სვანიძის დაცვის გაგრ-
ძელების პარალელურად, მეგი შვი-
ლის დაბრუნებასაც მტკიცედ გადა-
წყვეტს. თუმცა, ისიც კარგად იცის,
რომ არც ანდრო და მით უმეტეს,
არც მისი ცოლყოფილი ლანა ბავშ-
ვს ადვილად არ დათმობენ.

შვილის დაბრუნების საქმეში
მეკავშირედ მეგის არც მასთან შერი-
გების მოსურნე კახა სუთიძე მოე-
ვლინება. როგორც გაირკვევა, მეგიმ-
დე, კახას, ლანა ჰყვარებია. ამიტომ,
როცა მეგისგან საბოლოო უარს

მიიღებს, მწარედ დაემუქრება:
ყველაფერს ლანას მოფუყვები,
შემდეგ, ცოლობაზეც დავიყო-
ლიებ და შვილი მხოლოდ მე
დამრჩებაო...

მოულოდნელად, მეგის შინ
მიაკითხავს ლანა სვანიძე. პატ-
არა მიშიკოს ორი „დედის“ პირ-
ისპირ შეხვედრა საკმაოდ მწვავედ
ინწყება, მაგრამ თანდათან ემოციები
დაცხრება, განსაკუთრებით მა-
შინ, როცა მეგი ლანას ეტყვის —
შვილის დასაბრუნებლად
ბრძოლას არ ვაპირებო.

ამის შემდეგ, მეგი იმ ბები-
აქალთან შესახვედრად მიდის, რომელ-
მაც მარიკა პერტაიას დავალებით,
მოატყუა — მკვდარი ბავშვი
გაგინდაო... კატო მახარობლიძე თავის
საქციელს იმით ამართლებს, რომ
დაუმორჩილებლობის შემთხვევაში,
მარიკას შეეძლო, საერთოდ გაენად-
გურებინა იგი. კითხვაზე — თუ
რატომ გაუშინლა სიმართლე ბავშ-
ვის შესახებ ანდრო სვანიძეს? —
კატო პასუხობს: შენი გულისთვისო,
— და დასძენს — ლანასა და
ანდროს ოჯახი მაინც დაინგრე-
ოდაო... მეგის მოთხოვნით, კატო
მაგიდას მიუჯდება და წლების წინ
მოშდარი ამბის ქალაქზე გადა-
ტანას იწყებს. ამ დროს, მას დაქ-
ლი ლიკა დაურეკავს და ეტყვის,
რომ მისი ქმარი ვახო ექებს. მეგი
ვახოსთან სამსახურში მივა, ის კი
მოულოდნელ ამბავს აცნობებს: თურმე,
ანდრო ვახოს დედასთან ყოფილა
დამალული და მისთვის მეგისთან
შეხვედრის მოწყობაც უთხოვია...

ვახოს ღელა ცხრასართულიანი კორპუ-
სის მეოთხე სართულზე ცხოვრობდა.
როგორც კი კიბე ათავებს, ვახო პირველ-
სავე კარს ეცა და ენერგიულად დააკაკუნა.
კარს იქით თითქოს რაღაც გახმაურდა,
მაგრამ გარეთ მაინც არავის გამოუსუნდავს.
ვახომ ცოტა შეიცადა და კიდევ ერთხელ
დააკაკუნა. კარი კვლავ არავის გაუღია.

— იქნებ, ღელაშენი შინ არ არის, ანდრო
კი... — შეთქმულივით აჩურჩულდა მეგი.
— სახლშია, — კარზე შესამედ დააკაკუ-
ნა ვახომ, — უბრალოდ, ინსტრუქტაჟს იცავს.
— რას იცავს? — ვერ გაუგო მეგი.
— ინსტრუქტაჟს, — გაუმერა ვახომ, —
შეთანხმდით, რომ კარი მხოლოდ შესამედ
დააკაკუნებაზე უნდა გააღოს.

ვახოს სიტყვა დამთავრებული არ ჰქონ-
და, რომ კარი მართლაც გაიღო და ზღურ-
ბლზე წარმოსადგეი, ჭედარა ქალი გამოჩნ-
და.

— სტუმრებს მიიღებთ, ქალბატონო ნინო?
— ჰკითხა მას ვახომ და მაშინვე გადაეხ-
ვია.

— სტუმარი ღვთისაა, შემოგველოს დედა!
— სახეზე ხელი მზრუნველად ჩამოუსვა
მას ნინომ და შემდეგ, მეგის მიუბრუნდა. —
მობრძანდი, შეილო...

ნინომ მეგი და ვახო მძიმე ფარდებჩამო-
ფარებულ სასტუმრო ოთახში შეიყვანა,
ძველებური ოვალური მაგიდის გარშემო
შემოწყობილი მაღალსაზურგიანი სკამებიდან
ერთ-ერთი ხმაურით გამოსწია და მეგის
შესთავაზა:

— დაბრძანდი, შეილო...

— ანდრო სად არის? — მეგის დაჯლო-
მაში მიეშველა და თავისთვის ძეგრი სკამი
გამოსწია ვახომ.

— თავის ოთახშია, ისვენებს, — მშვიდად
მიუგო ნინომ.

— ხოხ! — შესძახა ვახომ. — უკვე
საკუთარი ოთახიც აქვს?

— აბა, როგორ! — კვლავ მშვიდად უპა-
სუხა ნინომ. — სანამ აქ არის, ოთახიც
მისია.

— ჩვენთან გამოსვლას თუ ინებებს?

— უკვე აქ ვარ, — მოისმა უცბად მამაკა-
ცის ნაცნობი ხმა.

მეგიმ და ვახომ კარისკენ თითქმის ერთ-
დროულად მიიხედეს და ზღურბლზე მდ-
გარი ანდრო დაინახეს.

— ანდროს ვახლავარ! — ფეხზე წამოხ-
ტა ვახო, ენერგიულად ჩამოართვა ხელი
და მერე მეგიზე ანიშნა: — აი, ქალბატონი
მეგიც მოგიყვანე...

— გამარჯობა, — თავი დაუკრა მეგის
ანდრომ.

— გამარჯობა, — ხელი გაუწოდა მეგიმ.
ანდრომაც მაშინვე ხელი შეაგება და
დიდხანს აღარ გაუშვა.

— ვახო, შეილო, — ოთახში წამით ჩამო-
წოლილი უხერხული სიჩუმე დაარღვია
ნინომ, — წამომყვი ერთი საქმარეულოში,
ხორცი მაქვს დასაჭრელი.

— ა, უყურე ახლა ამას!.. — ხელები
უკმაყოფილოდ გაშალა ვახომ. — ავერ არ
იყო ანდრო, ვერ დააჭრევი?

— ხომ არ გავიწყდება, რომ ანდრო ამ
ოჯახში სტუმარია? — წარბი შეიკრა ნი-
ნომ.

— სტუმარიო? — მაინც არ დაცხრა
ვახომ. — რაის სტუმარი?... სტუმარი მე
ერთი ღლით ვიცი...

— ვახო! — მკაცრად გააწყვეტინა ნინომ
შვილს და ეს უკანასკნელიც ოთახიდან
დატოქსული ბავშვით გავიდა.

მარტო დარჩენილმა ანდრომ და მეგიმ
ცოტა ხანს ერთმანეთი გამოძვლელად ათვა-
ლიერეს.

„წვერი მოუშვია... საერთოდ, არ მიყვარს წვერიანი კაცები, მაგრამ ამას მგონი, კიდევ უნდა... ტანსაცმელი ალბათ, ვანოის აცვია, თუმცა ტანზე საკუთარივით ადგას“... – ფიქრობდა მეგი.

„ცოტა გამხდარა, დაღლილიც ჩანს, მაგრამ მაინც ძველებურად მიმიხედვითა“... – მეგის ფიქრს საკუთარი ადევნა ანდრომ და შემდეგ ხმადაღლა დასძინა:

- არ დავლები?
- ჰო, რა თქმა უნდა, – უმალ გამოერკვა მეგი და კვლავ თავის ადგილს დაუბრუნდა. ანდრომის პირდაპირ დაჯდა.
- როგორ ხარ? – ჰკითხა მან ქალს.
- არა მიშავს, შენ?
- მეც ცოტა მოვიხედე.
- ჭრილობა ძალიან გაგირთულდა?
- არა, ძალიან არა. ნინო დეიდა ხომ ექიმი და კარგად მომხარა... – ახლა რას აპირებ?
- რასაც შენ იტყვი, იმას.
- მე რაღა უნდა ვთხრა... – მხრები აიჩეჩა მეგი. – ჩემთვის მანამდე უნდა დავჯერებინა, სანამ საბოლოოდ კანონგარეშედ დაითვლებდი თავს. მეგონა, დროებით ქვეყნიდან მაინც წასვდი, შენ კი...
- წასვლას ნამდვილად ვაპირებდი, მაგრამ ბოლოს მაინც გადავიფიქრე.
- რატომ?
- იმიტომ, რომ ჩემი ქვეყნიდან გასაქცევი არაფერი დამიშვებია, ცამდე მართალი ვარ.
- ვიცე, მაგრამ შენს სიძარტულს დამტკიცება უნდა. შენ კი, ამასობაში, ერთ დანაშაულს მეორე მიამატე. გვინია, ციხიდან გაქცევას ვაპატიებენ?
- მე ამათი საპატიებელი არაფერი მჭირს.
- „ამათში“ მაინც ვის გულისხმობ?
- ყველას. მთელ დღევანდელ ხელისუფლებას, სასამართლო სისტემას, პოლიციას... ყველა ლაფშია ამოსვრილი, კორუფციის ჭაობშია ჩადირული...
- მეგის ანდრომს სიტყვებზე სევდიანად გაუღიმა.
- რა გაცინებს? – იწყინა ანდრომ.
- მაპატიე, – უმალ დასერიოზულდა მეგი, – მაგრამ რომ ვისმენდი, უცბად ჩვენი ოპოზიციონერი პოლიტიკოსები დამიდგნენ თვალწინ. ლექსიკონიც კი ზუსტად მათგან გაქვს გადმოღებული.
- მერე?.. ტყუილს ამბობენ თუ რა?
- ამას დრო გვიჩვენებს. თავის დროზე, დღევანდელი ხელისუფლებაც გულზე მჯიღს ირტყამდა – თქვენს გადასარჩენად ვარ მოსული, – მაგრამ ხომ ნახე, როგორც „გადაგვარჩინა“.
- არა უშავს, ცოტა ხანში ყველას ერთად ჩამოყრან.
- შენ რა იცი, ჩამოყრან თუ არა?

- რადგან გეუბნები, ესე იგი ვიცი.
- მაშინ, ალბათ, ისიც გეცოდინება, ამათ ადგილზე ვინ მოვა?
- ვიცი, მაგრამ ჩემთვის ახლა მთავარი, ამათი ჩამოგდებაა.
- გონიერი კაცი მგონიხარ და მიყვარს, ასე გულუბრყვილოდ რომ მსჯელობ. შეიძლება, ხელისუფლება მართლა შეიცვალოს ანდა ძალით შეცვალოს, მაგრამ კონსტიტუციას და სხვა კანონებსაც არავინ გაუქმებს. კანონის მიხედვით კი შენ ჯერჯერობით, ორგზის დანაშაულზე ხარ.
- ესენი რომ აღარ იქნებიან, მტყუნ-მართალიც მალევე გაირკვევა და მეც გამართლებენ.
- სამწუხაროდ, არც ასე მარტივად აყვავდება. შეიძლება, ახალმა ხელისუფლებამ მკვლელობის მუხლი მართლა მოიხსნას, ოღონდ – მხოლოდ სასამართლო განხილვის შემდეგ. მკვლელები რომ არა ხარ, ეს მეც ვიცი და ყველაფერს გააკეთებ, რომ შენი უდანაშაულობა დავამტკიცო, მაგრამ ციხიდან გაქცევას რაღა ვუყოთ?..
- ამ საქმეს მარტივად ეშველება: ციხეში უსამართლოდ ჩასმულ კაცს გარეთ სამართლიანად ვინ გამოუშვებდა?.. ჰოდა, ისიც ადგა და გამოიქცა. არის თუ არა ამაში ლოგიკა?
- შენი მარტივი ლოგიკა ადამიანური საზომებით ნამდვილად გასაგები და მისაღებია, მაგრამ კანონის მიხედვით, შენი სიძარტულე ციხიდან გაქცევით კი არა, სასამართლოზე უნდა დავამტკიცებინა.
- კარგი, რაც იყო, იყო!.. ამით რომ ჩამოაგდებენ, დანარჩენზე მერე ვილაპარაკოთ.
- შენ რა, მართლა გვერა, რომ ამ ხელისუფლებას ასე ადვილად ჩამოაგდებენ?
- უბრალოდ კი არ მვერა, დარწმუნებული ვარ. მაგრამ აშწუთას მე აღარც ახლანდელი ხელისუფლება მაინტერესებს და არც ის, ვინც მერე მოვა.
- აბა, რა გაინტერესებს?
- რა და ჩვენი ურთიერთობა... – ჩვენი ურთიერთობა ალბათ, საკმაოდ გართულდება, – ამოიხსრა მეგი.
- რატომ?.. აღარ მოგწონავარ?
- არა. და საერთოდ... ვინ ვითხრა, რომ ოდესმე მომიწონდი?
- შენმა თვალბეჭდმა, – თვალი თვალში გამოძვლილად გაუყარა მეგის ანდრომ.
- რა სისულელე!.. – თვალზე სწრაფად დახარა მეგი და უხერხულობის დასაფარავად, რამდენჯერმე გულმოდგინედ გადაუსვა ხელი მაგიდის პრაილა ზედაპირს. ანდრომ კი ხელში ხელი წაავლო და

- თავისკენ მიიზიდა:
- მაგიდას თავი დაანებე და თვალებში შემომხედე! – უთხრა მან ქალს. – სულსულ აღარ გინდივარ?..
- ძალიან ვთხოვ, თავი დამანებე! – ხელი თითქმის ძალით გამოჰკლავდა ანდროს მეგი.
- მეც ძალიან ვთხოვ... – ახლა უკვე ორივე ხელი დაუჭირა მას ანდრომ. – რამდენიმე თვე მცალკე, სულ რამდენიმე თვე რამე სისულელე არ ჩაიდინო!..
- რა სისულელე?
- კარგად იცი, რასაც, უფრო სწორად – ვისაც ვგულისხმობ... – არა, არ ვიცი.
- თავს ნუ ისულელე! კახაზე გელაპარაკები. შენ წარმოდგენაც კი არა გაქვს, თქვენი ამბის „გადახარშვა“ როგორ გამოჭირდა. ვინც გინდა, ის ყოფილიყო მიმიკოს ნამდვილი მამა, ოღონდ ის – არა.
- კახაც ზუსტად იმავეს ამბობს შენზე, ოღონდ, მიმიკოს მამობილს გეძახის.
- კახა რას მეძახის, ნაკლებად მაინტერესებს. ახლა მე მხოლოდ ჩვენს მომავალზე ვფიქრობ: მიმიკოს, შენსა და ჩემს მომავალზე.
- მერე ლანა?.. დაუშვით, რომ კახა მართლაც, არ არის შვილის ღირსი, იმიტომ, რომ რაც მე და ჩემს შვილს დავგვემართა, პირველ რიგში, მისი არაკაცობის ბრალია. მაგრამ ლანა?.. მას ხომ პრაქტიკულად არაფერი დაუშვებია!..
- მეტი დანაშაული რაღა გინდა: დღე-შვილი ერთმანეთს დაგაშორათ, მე კი, ლამის ყველაფერს რწმუნა დამაკარგვინა. შენ რა, ლანას გამართლებით იმის თქმა ხომ არ გინდა, რომ ქმრის მოტყუება დანაშაული არ არის?
- არ ვიცი. მე ქმარი არასოდეს მყოლია...
- მალე გეყოლება და იცოდე, არაფერი მომტყუო, თორემ... – თორემ რა? – გაღიზიანდა მეგი. – მეც ლანასავით მიმატოვებ?
- მოდი, რა, ჩემი და ლანას ურთიერთობას მე გავარკვევ, კარგი? – დაუყვავა ქალს ანდრომ.
- კარგი, – დაეთანხმა მეგი, – ჩემი და კახას ურთიერთობას კი – მე. ხოლო მიმიკოს ჯერჯერობით, ორივემ თავი დაანებოთ.
- კარგი, – მცირეოდენი ყოყმანის შემდეგ დაეთანხმა ანდრომ. – ოღონდ, ჯერ კიდევ ერთ კითხვაზე მიპასუხე.
- კი, ბატონო, მკითხე.
- ოღონდ, იცოდე, არაფერი მიმიკობ-მიმიკობო, მართლა ის მითხარი, რასაც ფიქრობ.
- მითხარი, ვისმენ!

– მიშკო რომ არა, ჩემს ცოლობაზე იფიქრებდი?

– არ მიყვარს გულუბრყვილო შეკითხვები...

– ხომ ვითხარი, პირდაპირ მიპასუხე-მეთქი!

– კარგი, პირდაპირ ვეტყვი: ღრმად ვარ ღარწმუნებული, მიშკო რომ არა, ღმერთი ერთმანეთს საერთოდ არ შეგვახვედრებდა, ამიტომაც, იქნებ, ისევ ღმერთმა გადაწყვიტოს ყველაფერი...

– შეიძლება... – დაფიქრდა ანდრო. – შენს სიტყვებში ნამდვილად არის ჭეშმარიტების მარცვალი, ისიც ჭკუასთან ახლოა, რომ...

– ჭკუასთან ყველაზე ახლოს ის იქნებოდა, რომ პირველ რიგში, შენს მდგომარეობაზე გეფიქრა, – გააწყვეტინა მეგი. – ვერ ხვდები, რომ შენი აქ ყოფნა ძალიან სასიფათოა?... ვახოს და ღელამისაც სერიოზულ საფრთხეში ავდებ. აქეთ რომ მოვლიდი, გული ხელით მეჭირა. ყველა-ყველა და, ის მინც როგორ არ გაითვალისწინე, რომ ქალბატონი ნინოს კორპუსი პირდაპირ პოლიციის სამმართველოს უყურებს...

– ეგ რომ გავითვალისწინე, აქ იმიტომაც ვარ... – მშვიდად უპასუხა ანდრომ.

– ვერ გავიგე.

– ვერ გაიგე? – უცბად, თავზე წამოადგა ვახო. – ის კინო მინც არ გინახავს, გეტოდან გამოქცეული ებრაელები გესტაპოელებს მათი სამმართველოს პირდაპირ მდგარ სახლებში რომ ემალებოდნენ?..

– მერე, ამით რისი თქმა გინდათ?

– იმის, ჩემო ლამაზო, რომ თუ გესტაპოელებიც კი ვერ „ტვიზავდნენ“, რომ ებრაელები ცხვარწინ ჰყავდათ, ჩვენი ლეჩნი პოლიციელები „მოტვიზავენ“ რაშეს?

– ვახო მართალია, – კვერი დაუკრა ანდრომ, – აბა, რომელი ჭკუათამყოფელი იფიქრებს, რომ ტყუილი პატიმარი ყოველდღე პოლიციის შენობის წინ გადი-გამოდის...

– რა თქვი?... – თვალუბად იქცა მეგი. – ქუჩაშიც გადინარ ხოლმე?

– არა, სულ ორად ორჯერ ვიყავი გასული... – შემინებული ქალის ოდნავ დამშვიდება სცადა ანდრომ.

– ქალბატონი ნინო! – ბოლო იმედადა დაიგულა ოთახში ლანგრით შემოსული ნინო მეგიმ. – თქვენ მინც აუხსენით ამ ადამიანს, რა საფრთხეში ივდებს საკუთარ თავს და თქვენ...

– დამშვიდდი, შვილო, – ლანგარი ვახოს მიაწოდა ნინომ და თავად სასადილო მაგიდაზე თეთრი ქათქათა სუფურის გადაფარება დაიწყო. – ამ უბანში ანდროს

არავინ იცნობს.

– როგორ?... – მიუბრუნდა გაკვირვებული მეგი ვახოს. – აკი, ერთ უბანში ვცხოვრობდითო...

– მართალია, – ვახოს პასუხი დაასწრო ნინომ, – ოღონდ – სოლოლაკში. აქ კი, სულ რამდენიმე წლის გადმოსული ვარ...

– ჰო, მაგრამ... – თავი მინც უკმაყოფილოდ გადააქნია მეგიმ.

– არავითარი მაგრამ! – გააწყვეტინა ვახომ. – ახლავე სუფრას მივუსხდეთ, თორემ, საცაა, შიმშილით კუჭი გამიხმება. დანარჩენზე ხვალ, ზევ, მხევ ვილაპარაკოთ. ცოტა დრო გვაქვს თუ?..

– მართალია! – გააწყვეტინა უცბად ანდრომ. – ხომ არ დავაგვიწყდა, რომ ხვალ ომშერელი უნდა ვნახოთ?

– ვინ? – საბოლოოდ გაოგნდა მეგი.

– შალვა ომშერელი-მეთქი, – მშვიდად გაუძეირა ანდრომ.

– ანდრო, შენ მართლა ხომ არ გავიჟდი?

– გავიჟდი თუ გავსულელდი, ომშერელი მინც უნდა ვნახო.

– არა, შენ ამას არ იხამ!.. – ხმას აუწია მეგიმ. – მაშინ, ბარემ, აქედან რომ გავალ, პირდაპირ პოლიციაში დავასმენ და ყველა დავისვენებ.

– ევრიკა! – იყვრა უცბად ვახომ. – მეგი მართალია, ჩვენ კი არ წავალთ შალიკოს სანახავად, მეგის ვიხოვთ და აქ ამოგვიყვანს.

– არა, ვახო, – თუარა ანდრომ, – მეგის ამ საქმეში ვეღარ გავრევ.

– გამრიე და ეგ არის... – ამოიოხრა მეგიმ. – ასე რომ, მითხარი, ომშერელს რა ვუთხრა – სად მიმყავნარ-მეთქი?

– ბეერი არაფერი, – მცირეოდენი ყოყმანის შემდეგ უპასუხა ანდრომ და ვიბიდან რაღაც ამოიღო: – აი, ეს მონეტა მიეცი და უთხარი, ამის გამოგზავნის უნდა შენი ნახვა-თქო... – მონეტა მაგიდაზე ფრთხილად დადო მან.

– ეს რა მონეტაა? – დაინტერესდა მეგი.

– შალიკოს ბებიის დანატოვარი ოქროს მონეტაა, – უპასუხა ანდრომ. – ცნობიულ ტასო ომშერელს სულ ორად ორი ასეთი მონეტა ჰქონდა. ერთი შალიკომ მოჰპარა და წამალში გაცვალა, მეორე კი მოხუცმა სიკვდილის წინ მე მომცა და შემეხვეწა – შალიკოს შვილს შეუნახეო. მართლაც, ასე მქონდა გადაწყვეტილი, მაგრამ ახლა ვფიქრობ, ეს მონეტა თავად შალიკოს უნდა დავუბრუნო და სრული სიმართლეც ვუთხრა. მომეხმარები? – მონეტა მეგისკენ გააჩოჩა მან.

– არ ვიცი, არ ვიცი... – თავისთვის ჩაილაპარაკა შეფიქრიანებულმა მეგიმ. –

თუმცა, მონეტა ხელჩანთაში მინც საგულდაგულოდ შეინახა...

– ახლა საით? – ჰკითხა მოგვიანებით უკვე მანქანაში მჯდარ მეგის ვახომ. – შინ მიგიყვანი თუ სადმე გავიაროთ?

– რაღა დროს სადმე გავალა?... – საათზე დაინხედა მეგიმ. – თერთმეტი ხდება.

– ეი, „სოფელ“! – მხარზე ხელი შინაურულად მოუტყაპუნა ქალს ვახომ. – რამდენჯერ უნდა ვითხრა, რომ გავლა-გამოვლა და სხვა რამერუმები ამ ქალაქში ახლა იწყება!.. მოდი, იცი, რა ვქნათ?

– რა? – უხალისოდ ჰკითხა მეგიმ.

– ლიკას და ანის დავურეკოთ და რომელიმე რესტორანში წავიდეთ.

– ლიკას და ანის? – კვლავ უხალისოდ ჰკითხა მეგიმ.

– ჰო, რა იყო?

– არა, არაფერი...

– ისე, თუ ჩემთან მარტო ყოფნა გინდა, ჩემი ხმალი და შენი კისერი!.. – უშნიოდ გაიკრიჭა ვახო.

– მორჩი, რა! – შეუღრინა მეგიმ. – უბრალოდ, ანი ახლა ისეთ მძიმე დღეშია, რომ...

– ასეთი მინც რა დავმართა?

– ვითომ არ იცი, რომ ქმარს გაეყარა.

– აა, მაგას გულისხმობ?... – მანქანის საჭე არხეინად დაატრიალა ვახომ. – გაეყარა, თორემ, აქამდე ხომ „მყერილი“ იყო... არ გავიგონია – ქმარი მყავს, გაღმა ქალსა ჰყავსო?

– ეგ ქმარზე კი არა, ცოლზეა ნათქვამი, – შეუსწორა მეგიმ.

– მერე?... განა შესაკრებთა გადანაცვლებით ჯამი იცვლება!.. გინდა, ქმარს ჰყოლია ცოლი „გაღმა“ და გინდა, ცოლს – ქმარი. ისე, იმ „დაქინებულს“ ანიმ კიდევ დიდხანს გაუძლო...

– ეს „დაქინებული“ რაღა უბელურებაა?

– ისე, მართლა რაღა „დაქინებული“ და არა „დაოხრახუშებული“ ან სულაც, „დანიახურებული“?..

– სხვისი არ ვიცი და პირადად მე, ანის მინც ქმართან შერიგებას ვურჩევდი, – ვახოს უკბილო ხუმრობას აღარ გამოეკიდა მეგი. – რაც არ უნდა იყოს, ამდენი წელი ერთად გაატარეს, საერთო შვილი ჰყავთ...

– მოიცა, რა!.. – უხემად გააწყვეტინა ვახომ. – ქალს და კაცს საერთო ვერ ლოგინი უნდა ჰქონდეთ და მერე – სხვა ყველაფერი!

– არა, რა... შენთან ლაპარაკი მართლა აღარ შეიძლება: რა თემსაც არ უნდა შეგვხვით, ყველაფერი ლოგინამდე როგორ დავყავს!..

– იმიტომ, ჩემო კარგო, რომ ყველაფერი



– მე ეგ არ მითქვამს, მაგრამ თუ ნაღდად სიმართლე გინდა, ცოლი რა ქალია?!
 – რა თქვი?
 – რაც გაიგონე!
 – აბა, ვინ არის?
 – ვინ და კაცის ერთგული თანამეცხედრე, მისი შვილების ღელა და კერის მფარველი...

– აბა, ქალი ვინდა?
 – ქალი – ნატამა, დამა, მამა, „ნამა“... თუმცა, ახლანდელმა ქართველმა გოგობმაც მაგრად აიშვეს, ხომ იცი! ასე რომ, ახლა „ხოდში“ უფრო სხვა სახელება...
 – მერე, შენ რა?
 – როგორ თუ რა!.. თუ მოვინდომე, ყველა ჩემი არ იქნება?... თიკაც, თაკოც, ნუკაც და ლიკაც...
 – ჰო, – ამოიხსრა ვახოს უსაგნო ლაქლქით დალილიმა მეგამ. – ლიკა ნამდვილად შენია, მაგრამ თუ ასე გააგრძელებ...
 – მართლა, ლიკასთან არაფერი წამოგცდეს, თორემ, ჩვენი „მობა“ მამინვე დამთავრდება, იცოდე!.. – ბოლოს თავი მანც დაიხრია ვახომ...

ლოგინში იწყება და ლოგინშივე მთავრდება, აბა! – საჭე ვერ აქეთ-იქით შეატრიალ-შემოატრიალა ვახომ, შემდეგ საერთოდაც უშვა ხელი და ტაში შემოაჭრა.

– გაგიჟდი?! – მამინვე საჭეს ჩააფრინდა მეგი. – რას აკეთებ?... ასე ხომ შეიძლება, რამეს შევასკდეთ!

– ნუ გეშინია, სიყვარულო! – საჭე მამინვე გაასწორა ვახომ. – შენ რომ გაგიმეტო, ჩემს ცოლ-შვილს ვერ გავიმეტებ. ხომ დაწყებენ მიმხილით უჩემოდ!.. თუმცა, ახლა სასიკვდილოდ შენც ცოლდა ხარ: ძლივს ბედი კარზე მოვდგობია. არა, ისე, ერთი ხელის დაკვრით არ იშოვე ქმარ-შვილი?! თანაც, შვილი – გაზრდილი და ქმარი – უკვე ყველაფერში გამოცდილ-გამობრძმედილი... იცი, ანდრო ლოგინშიც რა მაგარი ყოფილა?... თუმცა, რა სისულელეს გეკითხები – ეს ალბათ, უკვე უჩემოდაც კარგად იცი, ხომ, ჩემო უკარგავ?...
 – მე რა ვიცი, ეს ჩემი საქმეა, მაგრამ შენ რაღა იცი, ანდრო ლოგინში როგორია? თავად ხომ არ შეგიმოწმებია?!.. – თავდაც კი ვერ მიხვდა, ეს უსამსობა როგორ წასცდა მეგის და მამინვე ენაზე იკბინა.

– არა, – მშვიდად უპასუხა ვახომ, – ნატამამ მითხრა.
 – ნატამა ვინდა ეშმაკია?
 – იყო, რა, ერთი...
 – მანც?
 – რა ვინდა ახლა?... – აროხროხდა ვახო. – ანდროზე აქედანვე უნდა იეჭვიანო? ნატამა, მამა, დამა – ყველა შენამდე იყო... მოსკოვში, მივლინებაში თუ ბიჭებმა ცოლთა წავიცვალქეთ, ძმრად უნდა ამოგვადინო?... თუ, ცოლების შიშით, წელიწადში ერთხელ ქალებში ვეღარ გავიაროთ?..

– გამოდის, რომ ცოლი ქალი არ არის, ხომ?
 – გინდა, ვიას მე დაველაპარაკები?
 – არა, რას ამბობ!.. თურმე, ისედაც ვიყავი ჰვავს...
 – შენთან განშორებამ ხომ არ გააგიჟა?
 – ჩემთან განშორებამ კი არა, კიდევ იმან... – ხელი დანანებით ჩაიქნა ანიმ. – ექსპერიმენტი ჩაუვარდა.
 – რას მეუბნები! – შეწუხდა მეგი. – აკი, დღე-დღეზე რაღაც სენსაციური განცხადება უნდა გააკეთოსო!
 – ვინ ვითხრა? ვახომ?
 – არა, ლიკამ.
 – ჰო, მართლაც ასე იყო. მაგრამ გუშინ კოტე იყო ჩემთან, ვიას ძმაკაცი და ყველაფერი ისევ ნულიდან გვაქვს დასაწყებით, შემომჩვილა.
 – ვიას რას შერებო?
 – რაღა უნდა ქნას!.. მესამე დღეა, ტახტზე სიტყვის უთქმელად გლია და ჭერს მიშტერებიაო.
 – ტახტი ლაბორატორიაში უდგას? – თვალები ეშმაკურად მოჭრუტა მეგამ.
 – არა, დედამისთან სახლში... მაგრამ ეს რაღაში გაინტერესებს? – გულუბრყვილოდ ჰკითხა ანიმ.
 – არც არაფერში, ისე გკითხე, – დამშვიდა მეგამ. – ვიას ნახვას არ აპირებ?
 – ჰო, მაგრამ რა ვუთხრა?... მე რაღა შემიძლია!..
 – მართალი ხარ. შენ რაც შეგეძლო, უკვე გააკეთე: კაცს თავზე დაამხვე ყველაფერი!.. – ხმა გაიმკაცრა მეგამ. – ახლა კი, ვითომც აქ არაფერიაო, დაქალ-ძმაკაცებთან ერთად, რესტორნებშიც დაიარები...
 – რას გეტყვი, იცი!.. – უცბად წელში საგანგებოდ გასწორდა სახეგამეხებული ანი. – მორჩა! მომწვინდა ყველაფერი! კმარა, რაც ვუნანავ და ვეფერე: ვია, გოუმ, გოუმკი, შენ ოღონდ, დიდი მეცნიერი ვახლი და მე და ჩემი შვილი ხმელ პურზეც გადავალოთ-მეთქი... აღარ მინდა, გესმის!.. გავიდა ცხოვრება!.. სულ ვახოს და ლიკას რატომ უნდა ვყავდე ძველი სურვილით მოკიდებული?... მე კი, არ მინდა, გვერდით ქმარი მყავდეს?... ვუყვარდე, პატავს მცემდეს, ბოლოს და ბოლოს, წელიწადში ერთხელ რესტორანში ან საღმე სხვაგან, სტუმრად მანც მომყვებოდეს!
 – ამაზე მამინ უნდა გეფიქრა, როცა ვიას მიჰყვებოდი ცოლად! – მანც არ დაუთმო მეგამ. – არ ვახსოვს, ცამი როგორ დაფრინავდი?... ჩემი ქმარი ვიღაც პიჟონი კი არ არის, იმედის მომცემი მეცნიერიაო...
 – კარგი, კარგი! – თავი ხელეშში ჩარგო ანიმ. – ყველაფერი მახსოვს, მაგრამ დავიდალე, მართლა ძალიან დავიდალე...
 – მე ეგ არ მითქვამს, მაგრამ თუ ნაღდად სიმართლე გინდა, ცოლი რა ქალია?!
 – რა თქვი?
 – რაც გაიგონე!
 – აბა, ვინ არის?
 – ვინ და კაცის ერთგული თანამეცხედრე, მისი შვილების ღელა და კერის მფარველი...
 – აბა, ქალი ვინდა?
 – ქალი – ნატამა, დამა, მამა, „ნამა“... თუმცა, ახლანდელმა ქართველმა გოგობმაც მაგრად აიშვეს, ხომ იცი! ასე რომ, ახლა „ხოდში“ უფრო სხვა სახელება...
 – მერე, შენ რა?
 – როგორ თუ რა!.. თუ მოვინდომე, ყველა ჩემი არ იქნება?... თიკაც, თაკოც, ნუკაც და ლიკაც...
 – ჰო, – ამოიხსრა ვახოს უსაგნო ლაქლქით დალილიმა მეგამ. – ლიკა ნამდვილად შენია, მაგრამ თუ ასე გააგრძელებ...
 – მართლა, ლიკასთან არაფერი წამოგცდეს, თორემ, ჩვენი „მობა“ მამინვე დამთავრდება, იცოდე!.. – ბოლოს თავი მანც დაიხრია ვახომ...
 ვახო ლიკას და ანის მართლა შეეხმინა და მალე თიხივემ ქალაქის ერთ-ერთ ყველაზე ხალხმრავალ და ხმაურთან რესტორანში ამოყო თავი. ლიკა თავის ჩვეულ აბსოლუტში იყო, მაგრამ, ამჯერად ანიმ მხარი ვეღარ აუბა. უცნაურად ჩამქრალი ქალი მივლი საღამო ერთ წერტილს მიშტერებოდა და საერთო ლაპარაკშიც კი არ ერეოდა.
 – ვახო! – დარბაზში დარხეული რიბმული მუსიკის ხმაზე აცმუჯდა ლიკა. – წამო, რა, შენ მანც მეცეკვე, თორემ, ხომ ხედავ, ჩემს მუღმივ „კავალერს“ ცხვირპირი როგორ ჩამოსტირის! – ანიზე ანიშნა მან ქმარს.
 – ცხვირს ჩამოუშვებს, მა რას იზამს?!
 – უპასუხა ვახომ და თან, ეშმაკურად ჩაუკრა ანის თვალი. – ყველას შენსავით ხომ არ უმართლებს!.. როგორც ცხონებულები ბებიაჩემი იტყოდა, გამომიჭირე ეს „ანტიკა“ ბიჭი და როგორც გინდა, ისე მატრიალებ...
 – ტრიალს ახლავე გიჩვენებს!.. – სასწრაფოდ ფეხზე წამოხტა ლიკა და ქმარიც თან გაიყოლა.
 როგორც კი ვახო და ლიკა დანარჩენ მოცეკვავეებს შეუერთდნენ, მეგი ანის მიუბრუნდა:
 – ახლა რას აპირებ?
 – რაღას უნდა ვაპირებდე!.. – თვალები აუწყლიანდა ანის. – მოსახდენი უკვე მოხდა.



ალიშა 1981 წლის 25 იანვარს, ნიუ-იორკში დაიბადა. დედამისი – ტერი ოუჯელი იტალიელია, მამა – კრეიგ კუკი აფროამერიკელი. ალიშა 2 წლის იყო, როდესაც მამამ ოჯახი მიატოვა. ნიუ-იორკის იმ უბანს, სადაც გოგონა იზრდებოდა, „ემშაკის სამზარეულოს“ უწოდებდნენ; ამ დასახელების მიხედვით, ადგილი წარმოსადგენია ის გარემო, რომელშიც მომავალი ვარსკვლავი იზრდებოდა. სკოლისკენ მიმავალი გზა მეძავებითა და ნარკოტიკების გამსაღებლებით იყო მოფენილი. ქუჩის შემზარავი გაულენისგან თავის დასაღწევად, 7 წლისამ ფორტეპიანოზე დაკვირის შესწავლა დაიწყო და 16 წლამდე სპეციალურ სასწავლებელში – Professional Performing Arts School – სწავლობდა. ბეთჰოვენის, მოცარტის, შოპენის ნაწარმოებებთან ერთად, ჯაზის გენიოსების – მერიან მაკპორტლანდისა და ოსკარ პიტერსონის ნაწარმოებებსაც შესანიშნავად ასრულებდა. 14 წლისამ პირველი სიმღერა – Butterfly დაწერა, რომელიც შემდგომ, მის სადებიუტო ალბომში – Songs in A Minor – შევიდა. ალიშა



თანამედროვე სოულის 23 წლის მომღერალი განსაკუთრებული მუსიკალური ნიჭითა და საოცარი არტისტიზმითაა დაჯილდოებული. ახალგაზრდა მუსიკალურმა გენიოსმა თანამედროვე რიტმ-ენ-ბლუზსა და სოულს სულ სხვა, განსაკუთრებული ფლერადობა შესძინა და კლასიკის დონეზე აიყვანა. შესანიშნავი ვოკალური მონაცემების, კლასიკური მუსიკალური განათლებისა და თავისუფალი საშემსრულებლო მანერის წყალობით, ალიშა კეიზს „მისი თაობის რობერტა ფლეკსაც“ კი უწოდებენ.

ალიშა კეიზი

სოულის 23 წლის ჯეასიქოსი

კეიზის შთაგონების წყაროს, სტივ უანდერის, მარვინ გეის, ნინა სიმონეს შემოქმედებასთან ერთად, რეპერების – ბიგის, თუპაკისა და ჯეი-ზის მუსიკაც წარმოადგენდა. იგი სხვადასხვა მუსიკალურ ჟანრს თითქოსდა ისრუტავდა, აერთიანებდა და შემდგომ, საკუთარ, განუმეორებელ სტილს ქმნიდა.

16 წლისამ სწავლა კოლუმბიის უნივერსიტეტში განაგრძო. 1997 წელს, Columbia Records-თან პირველ კონტრაქტს მოაწერა ხელი. მაგრამ მალე მიხვდა, რომ მის შინაგან სამყაროში ზედმეტად იჭრებოდნენ და ამიტომ ლეიბლი მალევე დატოვა. „ექსპერიმენტები და საკუთარი ხმის პოვნა მინდოდაო“, – იხსენებს მომღერალი და ეს ოცნება მამინ აუსრულდა, როდესაც Arista Records-ის ხელმძღვანელს კლაივ დევისს შეხვდა. სულ მალე დევისმა საკუთარი ლეიბლი – J Records დაარსა და ალიშაც მიიწვია.

2001 წლის 26 ივნისს კეიზის პირველი ალბომი – Songs in A Minor გამოვიდა, რომელმაც ყველა ჩარტზე პირველი ადგილი დაიკავა და 29 კვირის შემდეგ

გაც კი, საუკეთესო ოცეულში შედიოდა. მისმა პირველმა სინგლმა Fallin Cartze – Billboards Hot 100 – მეორე ადგილი დაიკავა და მას შემდეგ, ალიშას ფოტოებს სხვადასხვა ჟურნალის ყდაზე გამუდმებით ბეჭდავენ და ტელეგადაცემების სშირი სტუმარიც ბრძანდება.

21 წლის ასაკში, უკვე მიღებული ჰქონდა: Video Music Awards-ის პრიზი, ორი ჯილდო ბილბორდისაგან, ორი ჯილდო – American Music Awards-ისაგან, ორიც – NAACP Image Awards-ისაგან, Soul Train Awards-ის სამი ჯილდო, ერთი ECCHO და რაც მთავარია, 2002-მა წელმა ამერიკის ყველაზე პრესტიჟული პრემია Grammy-ს ხუთი ჯილდო მოუტანა. არადა, ეს მხოლოდ დასაწყისია. თავიანთი მსმელები მისგან სულ უფრო და უფრო მეტს მოელოან.

ალიშა დღეს, თანამედროვე სოულის ცის კაბალონზე ერთ-ერთი ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავია. ჟანრის კლასიკად ჩამოყალიბების პროცესი მის შემოქმედებაში სრულად აისახა. უბრალო, ცეცხლოვანი სიმღერები სერიოზულმა, დრამატულმა ნაწარმოებებმა შეცვალა, ელექტრონული მუსიკა და სკრეტჩი ვიოლინომ და ფორტეპიანომ განდევნა, კომპიუტერთი დამუშავებული სუსტი ხმის ნაცვლად კი, პროფესიონალური ვოკალი ფლერს.

„შოუბიზნესში დარჩენას კიდევ დიდხ-





ანს ვაპირებ... ვინც რა უნდა თქვას, ყოველთვის გვეროდეთ საკუთარი თავის. ახლა 23 წლის ვარ, როდესაც 33 ან 43 წლის გავზდები, დანახავთ, რომ მაშინაც იმედ დავრჩები, რაც ახლა ვარ“ – ამბობს მომღერალი.

2003 წელს, ალიშა კეიზმა ახალი ფორფიტა – Diary of Alicia Keys გამოუშვა, რომელიც მთელ მსოფლიოში მრავალმილიონიანი ტირაჟით გაიყიდა. ცნობამ იმის შესახებ, რომ იგი თავისი დღიურების ლიტერატურულ ნაწარმოებად გადაკეთებას აპირებს, პუბლიკის დიდი ინტერესი გამოიწვია და გამოცემის უფლებას უკვე ორი სოლიდური გამომცემლობა ეცილება ერთმანეთს.

და კიდევ ერთი ფაქტი: 2002 წელს, ყურნალის – People Magazine – გამოკითხვის მიხედვით, ალიშა კეიზი შოუბიზნისა და სპორტის 50 ულამაზეს მოღვაწეთა ნუსხაში დაასახელეს.



ღვივ მუქებში ჰტლიუჯის დასაპყდტმად ემზადრემა

ინგლისის ნაკრების კაპიტანი ჰოლიუუდის ტრილოგიაში – „გოლი!“ ეპიზოდურ როლს განასახიერებს. ტრილოგიის პირველი ფილმი ლოს-ანჯელესის მკვიდრ ახალგაზრდა ლათინურამერიკელზე მოგვითხრობს, რომელიც ინგლისის კლუბ „ნიუკასლთან“ კონტრაქტის დადებაზე ოცნებობს. ტრილოგიის მეორე ნაწილი მსოფლიოს ყველაზე ტიტულოვანი კლუბის, მადრიდის „რეალის“ შესახებ იქნება გადაღებული. დევიდ ბექჰემთან ერთად კონტრაქტს ხელი მოაწერეს ზინედინ ზიდანმა და რაულ გონსალესმა. ფილმის ბიუჯეტი 100 მილიონი დოლარი იქნება.

„ვფიქრობ, დასამალი არაა, რომ მოთამაშის კარიერის დასრულების შემდეგ ვაპირებ, მწვრთნელად ვიმუშაო. ჩემი აზრით, ეს ტრილოგია საფეხბურთო სამყაროს ამ მოვლენისათვის კარგად შეამზადებს“, – განაცხადა ბექჰემმა.

2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის წინ, სპეციალურად ამ ფილმისათვის შედგება მატჩი „ნიუკასლი“-„რეალი“. კინოსურათში „ნიუკასლის“ მონაწილეობა „კოკა-კოლა“ და „ადიდასმა“ მოითხოვეს, „ნაიკი“ და „პეპსი“ კი კლუბ „მანჩესტერ იუნაიტედს“ უჭერდნენ მხარს. ფილმს გადაიღებენ ცნობილი რეჟისორები: მაიკ ჯეჯერსი, მეტ ბარელი და ლორენს ბენდერი. ამ უკანასკნელს ვიცნობთ „ოსკაროსანი“ ფილმებით „კრიმინალური საკითხავი“ და „ჭკვიანი უილ ჰანტი“.



მაიკლ მუტი „ფარენგეიცი 9/11“-ის

გაგბტულემას გადაიღემს



სკანდალურად ცნობილი ამერიკელი რეჟისორი მაიკლ მური დოკუმენტური ფილმს „ფარენგეიტი 9/11“-ის გაგრძელების გადაღებას აპირებს.

მურს სურს, რომ ახალი ფილმის „ფარენგეიტი 9/11 და 1/2“-ის პრემიერა მომდენო საპრეზიდენტო არჩევნებს დაამთხვიოს. ახალ სურათშიც იგივე

პრობლემები იქნება წამოჭრილი, რაც პირველ ფილმში იყო.

„ამ წინასაარჩევნო კამპანიის დროს ამომრჩეველთა 51% ინფორმაციულ ვაკუუმში იყო, მათ სიმართლეს არ უმხელდნენ. ჩვენ გვინდა, მათ თვალი აუხილოთ“ – განაცხადა რეჟისორმა.

ცოტა ხნის წინ ჩატარებულ საპრეზიდენტო არჩევნებში ჯორჯ ბუშმა ამომრჩეველთა ხმების 51% მიიღო, კერძო კი მხოლოდ 48%.

მაიკლ მურის დოკუმენტურმა ფილმმა – „ფარენგეიტი 9/11“ წელს, კანის კინოფესტივალის მთავარი პრიზი – „ოქროს პალმის რტო“ მიიღო. ფილმის შემოსავალმა აშშ-ში 120 მლნ დოლარს გადააჭარბა.

კატლანის სანტანას მზის ენობგია აცტცსლომს



ცნობილი ვიტარის-ტი კარლოს სანტანა გარემოს დაცვისა და შენარჩუნების პროგრამის აქტიური მონაწილეა. ცოტა ხნის წინ, მუსიკოსმა სან-რაფაელეში (კალიფორნია) მდებარე საკუთარი ოფისის სახურავზე მზის ენერგიაზე მომუშავე, ავტონომიური ენერგეტიკული დანადგარი დაამონტაჟა. შენობაში კომპანია Santana Management და სანტანას ახალგაზრდა ინვალიდთა დამხმარე საქველმოქმედო ფონდი Milagro Foundation-ია განთავსებული.

„დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი პლანეტის მომავალი თითოეული ჩვენგანის ძალისხმევაზეა დამოკიდებული. თუ გარემოს დასაცავად ძალას არ დავიშურებთ, ეს სხვებისთვის კარგი მაგალითი იქნება. მხოლოდ საერთო ძალებით შევძლებთ, რომ ეს სამყარო უკეთესობისაკენ შევცვალოთ“, – ამბობს სანტანა. ■

ტომ ჰენკსი პბბბბბბბბბბბბბბბბბბბბ

ჰოლივუდის ცნობილი ვარსკვლავი, ტომ ჰენკსი დენ ბრაუნის ბესტსელერის „და ვინჩის კოდი“ ეკრანიზაციაში პროფესორ ლენგდონის როლს ითამაშებს.

ნაწარმოების სიუჟეტი კაცობრიობის უდიდესი საიდუმლოს შესახებ – 2000-წლიან შეთქმულებაზეა აგებული. ამ საიდუმლოს გასაღები ლეონარდო და ვინჩის ნახატებში ძეგს. რომანი იმდენად საინტერესოა, რომ ფილმის ავტორების აზრით, ეკრანიზაციას წარმატება ვარსკვლავების მონაწილეობის გარეშეც ექნებოდა, მაგრამ რეჟისორმა,



ცდუნებას ვერ გაუძლო და ტომ ჰენკსს მთავარი როლი შესთავაზა.

ეს ფილმი ტომ ჰენკსის, რეჟისორ რონ ჰოვარდისა და პროდიუსერ ბრაიან გრეიზერის მესამე ერთობლივი ნამუშევარია. პირველად ისინი ერთმანეთს 1994 წელს ფილმ Splash-ის გადაღებებზე შეხვდნენ. ერთი წლის შემდეგ კი, კოსმოსური ტრილერი „აპოლო 13“ გამოუშვეს. ახალ ფილმში პოლიციელ ბეზუ ფეშს ფან რენო განასახიერებს. უცხოელ პერსონაჟებს კი უცხოელი მსახიობები ითამაშებენ. ■

დენჯელ ვაშინგტონი შაკანიანი კისაბი



ცნობილი ჰოლივუდელი მსახიობი და რეჟისორი, 2002 წლის „ოსკარის“ მფლობელი დენჯელ ვაშინგტონი უ. შექსპირის „იულიუს კეისრის“ თეატრალურ დადგმაში კეისრის როლს განასახიერებს. სპექტაკლს, ამერიკის უმაღლესი თეატრალური პრემია „ტონის“ მფლობელი, რეჟისორი დანიელ სალივანი დადგამს. პრემიერა Belasco Theatre-ის სცენაზე აპრილის თვეში შედგება. ვაშინგტონი შექსპირის პერსონაჟს უკვე მეორედ განასახიერებს. 1993 წელს ინგლისელი რეჟისორის კენეტ ბრანის ფილმში „აურზაური არაფრის გამო“ – მაიკლ კიტონთან, ემა ტომპსონთან და კიანუ რივზთან ერთად ერთ-ერთი მთავარი როლი (დონ პედრო-არაგონის ჰერცოგი) ითამაშა.

დენჯელ ვაშინგტონმა მთავარი როლი პირველად 1998 წელს განასახიერა ინგლისურ ფილმში „ქვეყნისა და დედოფლისათვის“. საყოველთაო აღიარება და პირველი „ოსკარი“ კი ელუარდ ცვინკის სურათმა „დიდებამ“ მოუტანა (1989). ამას მოჰყვა წარმატებული როლები ფილმებში: – „პელიკანთა საქმე“, „წითელი მოქცევა“, „ფილადელფია“. 2002 წელს კი ფილმში „ვარჯიშის დღე“ მეორე „ოსკარიც“ მოიპოვა. ■

ცატანტინტ ბრსკოტმი

სახელგანთქმული ამერიკელი რეჟისორი კვენტინ ტარანტინო DMB-ს ახალ რუსულ ტელესერიალში „ტარანტინოს მოტაცება“ საკუთარ თავს განასახიერებს. როგორც სერიალში აღმოჩნდა, ტარანტინოს კი არა, მხოლოდ მის ფილმს იპარავენ, რათა შემდგომ მეგობრებს საქორწინო საჩუქრად მიართვან. პროექტის პროდიუსერია არკადი ციმბლერი. ფილმში ტარანტინოსთან ერთად ლუდმილა გურჩენკო და ბოგდა სტუპკა ითამაშებენ. რეჟისორმა რომან კაჩანოვმა გადაღებები უკვე დაიწყო. ■



- ჩემი ფელერასია ფულია! - მითხრა მოგზაურმა ხანგამ ანუ რატომ ვარჩიე ტრაილოერი ჩსუპს...

წინამორბედი **წერილი** იხ.
„გზა“ № 46

აკაკი გეგენავა

მსოფლიოს 18 ქვეყანაში მიმოგზაურია. ზოგან მცირე ხნით ყველგან, ზოგან — თვეობით, ამერიკის შეერთებულ შტატებში ორ წელზე მეტი დაგყავი... ვის არ შეგხვედრივარ და რა არ მინახავს, ზოგჯერ ძალზე ბედნიერად ვთვლიდი თავს, ზოგჯერ თავებდს ვინყველიდი — ეს სად გადმოვიკარგე-მეთქი! ათასი ჯურის ადამიანს გადავფრივარ და უამრავი ახალი მეგობარიც გავიჩინე და როცა მეკითხებიან — რა მოსწონთ უცხოელებს ჩვენი? — დაუფიქრებლად ვპასუხობ — უცხოეთში მყოფი ქართველი იქაურს ბევრით ვერაფრით გააკვირვებს, მაგრამ ჩვენებური სიტუაციით, მდიდარი შინაგანი ბუნებით და მხოლოდ ჩვენთვის დამახასიათებელი მულამით ერთბაშად ვექცევით ყურადღების ქვეშ-მეთქი.



მაიაში-ბიჩი

დამეგობრება... ფრანგული შამპანურისა და ჩინური ბალიშის თანხლებით

შორეულ ფლორიდაში, მოხვეე გუჯა ლულუშაურთან შეხვედრამ, მისი ჩინელი საცოლის მიერ მოხვეულება ხინკალმა, მცირეოდენმა რუსულმა არაყმა და თბილ-მა ატმოსფერომ ისეთ ხასიათზე დამაყენა, რომ მთელი ქვეყანა მართლა ჩემი მეგონა. მე და გუჯა ხელიხელგადახვეულნი მი-

ვუყვებოდით მაიაში-ბიჩის ფართო ქუჩას. ბოუერების სასტუმროში მივლიდით, ჯასტიისთან, ამ სასტუმროს ერთ-ერთ მეპატრონესთან, რომელსაც უკვე მეგობრად ვთვლიდი...

მოკლედ, ისეთ ხალისიან განწყობაზე გახლდით, ქუჩაში ყველას ვუღიმიდი, თბილად ვესალმებოდი და მათგანაც საპასუხო რეაქციას ვიღებდი. სასტუმროს ფოიეში ისე შევედი, თითქოს აქაურობის ხშირი სტუმარი ვიყავი. მიმღებში მომუშავე გოგონებს გზად ნაყიდი ქრიზანთე-

მები მივართვი და მათი კეთილგანწყობაც დავიმსახურე... გუჯა გაცემული შემომცქეროდა, ბოლოს ვეღარ მოითმინა და ყოველივეს ასეთი „კომენტარი“ გაუკეთა:

- შენ, ვატყობ, ადრეც ყოფილხარ აქა, თორემ საიდან გიცნობენ ყველანი...

- რა გაცნობა ამით უნდა, ერთი-ორი თბილი სიტყვა უთხარი და შენს ხელში არ არიან? - გავანდღე მთელი „საიღუმლო“.

- რავი, ერთ წელ აქ ვტრიალებ, ერთი სიტყვა არ უთქვამთ ჩემთვისა, ისე ცივად შამამხედვენ, ხმას ვეღარა ვცემ...

- არა უშავს, დღეიდან გასცემ. ისე, იცოდე, ყველაფერი შენზეა დამოკიდებული... - და მოხვეე, სასტუმროს კაფესკენ წავიყოლე. ახალგაზრდა ბარმენს ვკითხე - ჯასტისთვის ხომ არ მოგიკრავს თვალი-მეთქი? თუმცა პასუხისთვის არც დამიცდია, ვინაიდან დავინახე, თუ როგორ გამოემართა კაფეს შუაგულიდან ჯასტი ბოუერი, ელგანტურად გამოწყობილ სამამაკატან ერთად. სახეზე უტყობოდა, რომ მინცდამინც კარგ გუნებაზე ვერ იყო, მაგრამ ჩვენ რომ დაგვინახა, გვანიშნა, დავლოდებოდით.

მე და გუჯამ ერთ-ერთი მაგიდა შევარჩიეთ და დაესხედით, ახალგაზრდა მიმტანი გოგონა თავაზიანად მოგვესალმა და ჩვენს მაგიდასთან პატარა ურიკა მოაგორა, ერთი ბოთლი ჩაცივებული ფრანგული შამპანურით და გვითხრა - მისტერ ჯასტიმ შეუკვეთა თქვენთვისო... ის-ის იყო, ბოკლებში ჩამოასხა შუშუნა სასმელი, რომ ჯასტიც ხმაურიანად შემოგვეერთდა:

- როგორ ხართ, ბიჭებო? შეხვდით ერთმანეთს თანამემამულეები?

- ძალიან კარგად, ბედნიერები ვართ ამ შეხვედრით... - ერთმანეთს ვასწრებდით მე და გუჯა პასუხს.

- მასსოფსფილიპინებში რომ ვმუშაობდი, რა სინარულით ვხვდებოდი ამერიკელებს... ჩემთვის სრულიად უცნობებსაც... სულ სხვა არის, როცა სახლიდან შორს ხვდები

**ნომბის ტელეფონი
ფსიქოლოგიური
ხონსუცაცეები**

822 009 005

ზარი ფასიანია, 18 წლიდან

დაკავშირება შესაძლებელია
ტელეფონ-გრაფთაშეხვედრით



შენს თანამემამულეს... — მოგონებებში ჩაიძირა ჯასტი. დააპირა, რაღაც საინტერესო ამბავიც მოეთხრო ჩვენთვის, მაგრამ გადაიფიქრა. აშკარად ეტყობოდა, რომ ხასიათზე ვერ იყო. ბოლოს, მონუსხულივით ერთ წერტილს მიაშტერდა...

— რა ხდება, ჯასტი, ცუდად ხომ არა ხარ? — ვეღარ მოვითმინე.

— არა, არა! უბრალოდ, პრობლემებზე დაფიქრდი...

— ჯასტი, აქ არა ვართ?... რითაც შეგვიძლია, დაგეხმარებით, ოღონდ შენ რამე დაგვკავალე...

ჯასტიმ ღიმილით დამკრა მხარზე ხელი.

— შენი ამბავი რომ ვიცი, ეჭვიც არ მეპარება. თანაც, ჩემი ოჯახი გაფასებს. თუმცა, ისევ ჩემი ოჯახის წევრი ურევს ყველაფერს... — ვერ მოითმინა და თავისი პრობლემა მაინც გაგვიძილა. თურმე მისი უფროსი ძმა ისევ არ ისვენებდა და სასტუმროში თავისი წილის გაყიდვას აპირებდა. ის საქმიანი მამაკაცებიც, ჩვენ რომ კაფეში შეგვხვდნენ, სწორედ მორიგი კლიენტები ყოფილან... რას ვიზამდი, მე რა უნდა მერჩია მილიონერი ჯასტისთვის, რომლის ჭკუათხელი ძმა ოჯახურ ბიზნესს საფრთხეს უქმნიდა — თავის ადგილს სრულიად უცნობ ადამიანებს უთმობდა. მაგრამ იმას ხომ მაინც შევძლებდი, რომ ჯასტი რამენაირად კარგ გუნებაზე დამეყენებინა!

— ჯასტი, იცოდე, რაც ამქვეყნად ხდება, ყველაფერი უფლის ნებაა და შენც მიენდევ ღმერთს. არა მგონია, უსამართლოდ დაიხაგრო, რაც მოსახდენია, მაინც მოხდება, ამიტომ დარდით ვერაფერს უშეგლი...

— რა მარტივად ლაპარაკობ, ცხოვრება ხომ არც ისე იოლია! — ჯასტი აშკარად შეშფოთებული ჩანდა.

— ცხოვრება რთულიც არის და მარტივიც. მთავარია, არ შეშინდე...

— შენ რა, მაგ პრინციპით ცხოვრობ?

— ჰო, ოღონდ, ხან გამოძღის და ხან — არა... თუმცა, საერთო ჯამში, მოგებული მაინც მე ვრჩები. აი, თუნდაც დღეს, მე,

ერთი ღარიბი ქართველი ემიგრანტი, რომელსაც შენი მილიონები არც დაეისიზმრება, შენ გვერდით ვზივარ და ცხოვრებისეულ პრობლემებთან დაკავშირებით „ჭკუას გარიგებ“. ხომ შეგიძლია, ადგილსა და უცერემონიოდ გამისტუმრო აქედან!.. მაგრამ არა — შენ ყურადღებით მისმენ და ახლა მინდა, მეორე ბოთლ ფრანგულ შამპანურზე მე დაგვატყუო...

ჯასტი ჯერ ინტერესით მისმენდა, მერე, როცა ჩანაფიქრი გაუმჟღავნე, გულიანად გადაიხარხარა და ოფიციალტს უხმო.

ჯასტი დალევის ხასიათზე მოვიდა. მთელი ამ ხნის განმავლობაში, გუჯა გაფაცვიცებით გვისმენდა. რა თქმა უნდა, მისი ინგლისურის პატრონმა, ბევრი ვერაფერი გაიგო. ითმინა, ითმინა და ბოლოს, შემფოთებული ჩამეკითხა:

— რა ხდება, აკაკი? ცუდ ამბავ ხომ არაფერია, გული შამილიონდ...

— ნუ ნერვიულობ, გუჯა, შენ რომ გავიხარდება, საქმე ისეა. შენ ოღონდ დასაღუჯად მოუწადე... — გააშინე მოხვევ, რომელსაც ჩემმა სიტყვებმა მაშინვე მოუხსნა დაძაბულობა.

ჩვენს სუფრაზე ისევ გაჩნდა საგულდაგულად ჩაცივებული ფრანგული შამპანური, რომელსაც მე (მოუხედავად დიდი სურვილისა) აღარ ვაკარებოვარ, რადგან მეორე დილით, შორეულ რეისს უნდა დავდგომოდი. სამაგიეროდ, უფროსმა და ქვეშევრდომმა (ჯასტიმ და გუჯამ) ერთმანეთს კარგად გაუგეს. და როგორც ჩანს, იმდენად კარგად, რომ ორი კვირის



შემდეგ, გუჯამ ნიუ-იორკში დამირეკა და დიდი მადლობა გადამიხადა: ჯასტიმ დამაწინაურა, კარგ თანამდებობაზე გადამიყვანაო. კი, მაგრამ მე რა შუაში ვარმეთქი, — რომ გავიკვირე, მოხვევ შემომწყრა, — შენ რომ არა, ჯასტი თვეში ერთხელ თუ მომესალმებოდაო... ეს მაშინ, წლების წინ იყო. ამ რამდენიმე თვის წინ კი, გუჯა ღუღუშაურმა ამერიკიდან დამირეკა და ახლანდელი წარმატების შესახებ მაუწყა...

ისევ გზა...

დილაადრიან ავდექი და გასამგზავრებლად შევედექი სამზადისს. უკვე ვიცოდი, სადაც უნდა მივსულიყავი და ტვირთი წამომელო. ვიფიქრე, ჯასტი თუ არა, გუჯა მაინც გამაცილებს-მეთქი, მაგრამ ნურას უკაცრავად. ჩინელმა საცოლემ იმდენი აჯანჯლარა მძინარე გუჯა, სანამ მკლავები არ დაეღალა და ცხარე ცრემლებით არ ატირდა. მაგრამ შეყარე კედელს ცერცვი!.. ფრანგული შამპანურით გამოთვრალს, მკვდარივით ეძინა. კიდევ კარგი, საღამოს ცვლაში მუშაობდა იმ დღეს, თორემ ალბათ გვარიან ჯარიმას აიკიდებდა... ვიწროთვალე, მაგრამ საკმაოდ მშვენიერი სუნი თავის ენაზე მეზოლიშეზოდა. დავაწყნარე, ბედნიერება ვუსურვე და კარისკენ წავედი. უეცრად სუნი ადგილიდან მოწყდა და საძინებელ ოთახში გაიქცა. პატარა ბალიში გამოარბენინა, გასაოცარ შინდისფერ აბრეშუმზე მულინის ფერადი ძაფებით უმშვენიერესი შენობები იყო ამოქარგული. ეს ჩემი მოქარგულიაო, მანიშნა „სარძლომ“ და ბალიში გამომიწოდა...

მაიამიში ერთ-ერთ სატვირთო ბაქანს მივადექი, სადაც შუახნის სიმპათიური



მ არსებობს ადამიანების **კ** ორი კატეგორია: უცოდ- **ქ** ველნი, რომელთაც ცოდ- **ვ** ვილებად მიაჩნიათ თავი და **ე** ცოდვილები, რომელთაც **ბ** უცოდველად მიაჩნიათ თავი.

ბენილუკი

ბლემ პასკალი

მამაკაცი უკვე მგლოდა. ხელი ჩამოშორდა და პირდაპირ საქმეზე გადავიდა.

- ბაღუ გაგიგონია? - მკითხა მან.
- ბაღუ დათვი როგორ არ გამოგონია, მაუგლის მეგობარი... - სხარტად ვუპასუხე და თან გამიხარდა, რომ ამ ამერიკელმა ვერ „ჩამჭრა“, რელიარდ კიპლინგის გმირების გამოცნობაში.

- რა მაუგლი! „ბაღუ“ კაზინოების ქსელია შტატებში და საკმაოდ წარმატებული. ამ აპარატურას ატლანტიკ-სიტი-ში წაიღებ, კაზინო „ბაღუში“! - ამიხსნა კლინტმა.

- ძალიან კარგი, მაშინ კონტრაქტი გავაფორმოთ...

- რა კონტრაქტი, რის კონტრაქტი!... ადგილზე როგორც კი ჩახვალ, ფულს იქ გადაგიხდიან!...

- მე ხომ ამის უფლება არა მაქვს! - არ მახსოვდა, რაც ტრაილერზე ვმუშაობ, კონტრაქტის გარეშე გადამეტანოს საქონელი.

- შენმა ბოსმა ყველაფერი იცის, პრობლემა არ იქნება!

- მოდი, სერ, მიჩვენა, ბოსს დაუკავშირდე!...

- როგორც გინებოს!... - ცინიკურად გადმომხედა და საწყობში შევიდა. მეც მაშინვე ეღმონდს დაფურეკე, სატვირთო გადაზიდვების კომპანიის უფროსს, რომელმაც მშვიდად „ამიხსნა“ - რასაც გუუბნებთან, ის გააკეთო. გზაში არა მგონია, პრობლემ შეგექმნას, მაგრამ თუ რაღაც მოხდა, პირდაპირ მე დამიკავშირდი.

აღარაფერი მთქვამს. ტრაილერს გავხედე, რომელზეც უკვე დაეწყით აპარატურის ჩატვირთვა. ეს ის აპარატურა იყო, რომელსაც ვინ იცის, რამდენი ადამიანი უნდა გაელატაკებინა და ვიბრეგაფხეკილი დაეტოვებინა, კაზინოში რომ გამდიდრების იმედით შევიდოდნენ... ჩემი კლიენტები მუშებს თვალს არ აშორებდა, ხშირად აძლევდა შენიშვნას, ახსენებდა, რომ ფრთხილად მოჰყოლოდნენ ტვირთს. ამიტომ სამ საათზე მეტხანს მუშაობდნენ...

წასვლის წინ, ტვირთის მეპატრონემ საშუალო ტანის, სპორტული აღნაგობის დაკუნთული შავკანიანი ახალგაზრდა გამაცნო და ჭითხრა, შენთან ერთად წამოვაო.

რიკოს (ასე ერქვა ჩემს თანამგზავრს) კაბინისკენ მივუთითე. მართალია, არც ამ „არაფორმალური“ ტვირთის წაღება მესაუბრებოდა გულზე და არც ამ საეჭვო ზანგის თანამგზავრობა, მაგრამ ბოსის სიტყვები - რასაც გუუბნებთან, ის გააკეთო, - ჩემთვის კანონი იყო!

როცა რიკო კაბინისკენ წავიდა, შევამ-

ჩნიე, კოჭლობდა და გზას დაგადექით თუ არა, პირველი, რაც ვკითხე, ეს იყო:

- ძალიან გტკივა ფეხი?
- დღეს კიდევ არ მიშავს რა, გამიარა. წინა დღეებში ძლიერ ვადგამდი ფეხს... - მაშინვე მიპასუხა და მივხვდი, რომ მასთან ადვილი იქნებოდა საერთო ენის გამოხატვა.

- ფეხი გადაგიბრუნდა?

- არა, ერთმა მცემს. ისე ჩამარტყა კოჭში, გონზე ვერაც ვერ მოვსულვარ...

- სად, ქუჩაში გცემეს?

- არა, რა ქუჩაში!... ქუჩაში ვის ვაცემინებ თავს! - იწყინა რიკომ. მერე, რომ მიხვდა, ვერაფერი გავიგე, მშვიდად ამიხსნა:

- მე ფულზე ვჩხუბობ ხოლმე...

- მოკრივე ხარ, არა? სპორტსმენი!...

- არა, სპორტსმენი არა ვარ. ჩვენ ჩხუბისას არანაირ წესს არ ვიცავთ. ვიბრძვით ყველანაირი ხერხით, მოწინააღმდეგის საბოლოო განადგურებამდე!...

- ?!

- არა, საქმე სიკვდილამდე არ მიდის, მაგრამ არც ბევრი უკლია!... - „დამამშვიდა“ რიკომ.

- და ბევრს ვიხდიან ამისთვის?


- გააჩნია საზოგადოებას, რამდენი შეიკრიბება და ფსონებსაც როგორს დადებენ... თუცა, იმდენს კი ვიღებ, რომ ნორმალურად ვიცხოვრო...

- და სულ დაჩეხილმა უნდა იარო?...

აღბათ, რაღაც ფედერაციის მაგვარი გაქვთ...

- ჩემი ფედერაცია ფულია. ფული რომ გაქვს, არაფრის გეშინია!... - „ამიხსნა“ რიკომ და მოულოდნელად ჩაფიქრდა. ეტყობა, თავისსავე ნათქვამისა აღარ სჯეროდა...

- ამ აპარატურის პატრონი შენი უფროსია?



- არა, უფროსი არ არის, მაგრამ კარგად ვიცნობ. ძალიან მდიდარი კაცია. თანაც, ჩხუბის ყურება უყვარს. დიდ ფსონს დებს ხოლმე. ზოგჯერ კი, შეხვედრებსაც „აწყობს“... სამაგიეროდ, მაგარ ფულსაც მოუკლებს ჩვენი ჩხუბით...

- ატლანტიკ-სიტიში რაზე მიდიხარ?

- დასახვედრად. იქაურ სიტუაციას გავცნობი. სანამ ფეხი არ მომიჩრება, მომავალ მეტოქეებს მაინც შევისწავლი...

- შენი პროფესიის კაცს პირველად ვხვდები...

- წამოდი, თუ გინდა, შენც იჩხუბე. დამიჯერე, კარგი ფული კეთდება!

- მაინც რამდენი? - დავინტერესდი.

- იმდენი, რომ ამ ტრაილერს აღარც გაეკარები!...

- მერე, დამტვრეულმა ვიარო?

- ეს უკვე შენზეა დამოკიდებული. მე კი არ გადავლებ.

- არა, მე ისევ ტრაილერი მიჩვენია. ისე, ჩხუბზე თუ დამპატიყებ, წამოვალ... ფსონსაც შენზე დავდებ... - გავუღიმიე რიკოს. თან ყურადღებით ვაკვირდებოდი. ცხოვრებაში არ შეხვედრივარ პირისპირ ადამიანს, რომელიც ნებაყოფლობით ალექსანდრეს ვიღაცას თავ-პირს...

P.S. მოკლებ, ერთობ არაორდინარულ კაცთან მგზავრობა მიწევდა. ატლანტიკ-სიტის ამბებზე კი, მორიგ წერილში („გზის“ №50-ში) მოგიხსნებო.

« დ ე ლ ტ ა »
მეტალოკლასტმასის
პარ-ფანჯრებისა და
ლაბინირებული აგეჯის
დაფხადება
ბრტყელი გაღასურვები
 მის: მ.ლადიძის ქ.№9 ტ: 92 32 08; 92 14 95.

რუნის საქსაულარი ჰეაბანი

მას შემდეგ, რაც კოლინ მაკლოჰლინმა თავისი საქმროს, უეინ რუნის სასიყვარულო თავგადასავლების შესახებ შეიტყო (რომლებიც ლივერპულის იაფფასიან საროსკიპოებთან იყო დაკავშირებული), უმაღლვე ვენერიულ დისპანსერს მიაკითხა და შიდსის გამოსავლენი ტესტიც ჩაიტარა. „მანჩესტერის“ ახალგაზრდა ვარსკვლავი კი, ამოდ ცდილობდა საცოლის დარწმუნებას იმაში, რომ მეძავებთან ურთიერთობისას ყოველთვის იყენებდა პრეზერვატივს.

სხვათა შორის, კოლინს არც თავად მეძავებისა სჯეროდა (ან რატომ უნდა დაეჯერებინა?). „ხელის ოსტატური მოძრაობით მას „დურეისის“ კონდომს ვუკეთებდი და მხოლოდ ამის შემდეგ ვიწყებდით ორალურ სექსს“, – უთქვამს მაკლოჰლინისთვის ერთ-ერთ მეძავს, თუმცა უეინის შეყვარებულს თავის დაზღვევის მიზნით მაინც გაუვლია სამედიცინო შემოწმება. რუნის პირადი



ცხოვრებით დაინტერესებულმა ჟურნალისტებმა კი, ფეხბურთელის ზოგიერთი გატაცების შესახებ მოიპოვეს ინფორმაცია. აღმოჩნდა, რომ „ვეუნდერკინდი“ თავისზე გაცილებით უფროსი ასაკის ქალებს ანიჭებდა უპირატესობას. მაგალითად, ერთ-ერთი მისი „რჩეული“, 6 შვილის დედა ყოფილა, ხოლო მეორე – 48 წლის ბებია (ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით – მას შვილიშვილები ჰყავს). როგორც ჩანს, იგი თავისი პროფესიით მუშაობას სოლიდურ ასაკშიც განაგრძობდა.

ყვითელი პრესის წარმომადგენლებმა აღმოაჩინეს ისიც, რომ უეინ რუნი გამოუსწორებელი ფეტიშიზტი ყოფილა. თითქმის ყოველთვის, როდესაც მეძავები ფეხბურთელს ემსახურებოდნენ, მისი სურვილისამებრ, როგორც წესი, რეზინის კოსტიუმებში იყვნენ გამოწყობილი. ზემოთ ნახსენები ბებიისთვისაც რუნის მას შემდეგ მოუქცევია ყურადღება, რაც იგი „შესაფერისად“ ჩაცმული უნახავს. 37 წლის ვინმე ჯინა მაკარიკი კი, ფეხბურთელის წინაშე მინიკაბითა და რეზინის ჩექმებით წარდგა. იმავე ჯინას აღიარებით, თითოეული თავბრუდამხვევი სასიყვარულო სეანსის შემდეგ, რუნი ამბობდა: „გმადლობთ, გოგონავ!“ (სწორედ ასე მიმართავდა ვარსკვლავი თავისზე უფროსი ასაკის მეძავებსაც).

„ნებისმიერი მამაკაცი გამოიგებს. ეს ხომ ჩვეულებრივი შეცდომაა, რომელსაც ადამიანი მაშინ უშვებს, როდესაც ახალგაზრდა და სულელია. მომხდარის გამო ძალიან ვნანობ, თუმცა ის პერიოდი უკვე წარსულს ჩაჰბარდა“, – განაცხადა ცოტა ხნის წინ უეინმა. მაგრამ უიტიფარმა ჯინამ რუნის „მონანიება“ მალევე გააქარწყლა: „წარსულს ჩაჰბარდაო?! ღმერთო ჩემო! მე კი ვიცოდი, რომ ეს ბიჭუნა ჯერ კიდევ რამდენიმე დღის წინ სარგებლობდა ჩვენი მომსახურებით“.

„რამ აიძულა რუნი, რომ ვნებები საროსკიპოებში დაეკმაყოფილებინა? – სვამს კითხვას ერთ-ერთი ინგლისელი ჟურნალისტი, – შეიძლება უეინი მეძავებისგან იმას იღებდა, რასაც მას ტინიჯერი შეყვარებული ვერ აძლევდა? რუნის ხომ, სრულიად მოურიდებლად შეეძლო საროსკიპოში იმ სექსუალური ფანტაზიების რეალობად ქცევა, რომლებზეც კოლინთან საუბარსაც კი ვერ გაბედავდა“...

■

ბუბარბის ფანი გაზიჰვლდა

ჩვენს მკითხველს უკვე ვაცნობთ, რომ გერმანულმა გაზეთმა Bild ოფიციალურად გამოაცხადა „მის ფანატის“ კონკურსი. „გამოვიგზავნეთ ყველაზე მხიარული, ლამაზი, პიკანტური ფოტოები, – ნათქვამა, პროექტის ავტორების მიერ გაკეთებულ



მიმართვაში, – საუკეთესო, ყველაზე წარმატებულად გადაღებული ფოტოები გამოქვეყნდება, ხოლო მათზე აღბეჭდილი პირები ფულადი პრიზებითა და საყვარელი გუნდების მატჩებზე დასასწრები აბონემენტებით დაჯილდოვდებიან. რედაქციის სახელზე უკვე პირველი ფოტოსურათებიც გაიგზავნა, თუმცა ქომაგები ჯერჯერობით გაშიშვლებისგან თავს იკავებენ. მხოლოდ 30 წლის კატრინ პენმა გაბედა წელს ზემოთ გახდა, ოღონდ, სხეულის პიკანტური ნაწილი თმით დაიფარა. პენი „მტუტგარტის“ გულშემატკივარი ყოფილა. „იმედი მაქვს, რომ ჩემს ფოტოს სათანადოდ შეაფასებენ და „მის ფანატის“ წოდებას მოვიპოვებ“, – ამბობს იგი Bild-ში გაგზავნილ წერილში.

ბექები ოზბორნს ჰბაძავენ

როგორც ჩანს, დევიდ ბექებში საფეხბურთო კარიერის დასრულების შემდეგ, კინო ან ტელევიზიაში ძალების მოსინჯვას აპირებს. „რეალის“ ვარსკვლავი და მისი მუდგულე მიინჩენენ, რომ მათთვის ე.წ. რეალითიშოუში მონაწილეობის დროც დადგა. როგორც ჩანს, მათ მოსვენებას არ აძლევს ოზი ოზბორნის პერსონა, რომლის ოჯახური ცხოვრებაც უკვე დიდი ხანია, რაც MTV-ის ეთერით საზოგადოების სამსჯავროზეა გამოტანილი. ამბობენ, რომ ბექებები ამ გადაწყვეტილებამდე პაპარაცების აქტურობამ მიიყვანა. „ვისთან დალატობდა ვიქტორიას დევილი?“ – ეს კითხვა



არცთუ ისე დიდი ხნის წინ, ჟურნალისტებისა და პიკანტური ამბებით დაინტერესებული პირებისთვის ძალზე აქტუალური გახლდათ. სწორედ ამიტომ, ცოლ-ქმარმა გადაწყვიტა, რომ რეალითიშოუს საშუალებით ყველას უჩვენოს, თუ როგორია ნამდვილი ოჯახური იდილია.

პრემიერ-ლიგაში მოქალაქეები მომრავლდნენ



გასულ საფეხბურთო სეზონში, პრემიერ-ლიგის არაერთ მოთამაშეს დასდეს ბრალი გაუპატიურებაში. ამასთან, სისხლის სამართლის საქმეები აღიძრა როგორც ცალკეული პიროვნებების მიმართ, ასევე ჯგუფური გაუპატიურების კვალიფიკაციით. გამონაკლისი არც მიმდინარე სეზონია. ამას წინათ, პოლიციამ „არსენალის“ მეკარე გრემ სტეკს (იგი ამჟამად, იჯარის წესით, პირველი დივიზიონის კლუბ „მილუოლის“ ლირსებას იცავს) 21 წლის გოგონამ გაუპატიურებაში დასდო ბრალი. ამ საქმეში ფიგურირებს ვინმე ალან სმაილის სახელიც. ცხადია, თავად სტეკი წაყენებულ ბრალდებას უარყოფს, მაგრამ უახლოეს მომავალში მას სასამართლოს წინაშე თავის მართლება მაინც მოუწევს. აღსანიშნავია ისიც, რომ იგი პერსპექტიულ ახალგაზრდა გოლკიპერად ითვლება.

გაზამ ქველმოქმედებას მიჰყო ხელი




პოლ გასკოინმა ბავშვების დასახმარებლად გამართულ საქველმოქმედო აქციაში მიიღო მონაწილეობა. გაზამ 800 გირვანქა სტერლინგის ღირებულების საკანცელარო საქონელი გადასცა პატარებს. „გაოგნებული დავრჩით, როდესაც ჩვენთან თვით გასკოინი მოვიდა, — ამბობს საქველმოქმედო აქციის ორგანიზატორი, — მაგრამ კიდევ უფრო გაგვიკვირდა, როდესაც ცნობილმა ფეხ-

ბურთელმა ბავშვებისთვის საკანცელარო ნივთები შეიძინა. მან სულ რაღაც ნახევარ საათში ერთ-ერთი მაღაზიის დახლები სრულიად დააცარიელა“. თავად გაზას ამ ფაქტზე კომენტარი არ გაუკეთებია. მაგრამ მისი ერთ-ერთი მეგობრის განცხადებით, სკანდალურმა ვარსკვლავმა საკანცელარო მაღაზიას სწორედ ბავშვებისთვის მოწყობილ საქველმოქმედო აქციაში მონაწილეობის სურვილით მიაკითხა.

საქალაქი ხანა

„ვესტ ბრომვიჩის“ ნიგერიელი ფორვარდი, ნვანკო კანუ აბერდინელი ბილ ლესლის საძულველ ადამიანად იქცა. სწორედ კანუს გამო დაუკარგავს 69 წლის შოტლანდიელს 38 ათასი გირვანქა სტერლინგი. ალბათ მიხვდით, რომ — „ბუკემპერულ ციებ-ცხელებასთან“ გვაქვს საქმე. დიახ, ლესლის, საქვეყნოდ ცნობილ „უილიამ ჰილში“ 12 შედეგის გამოცნობაზე 2 გირვანქა დაუდვია (მოგების კოეფიციენტი კი, 19000-მდე ასულა.) ბედის ირონიით, მისტერ ბილმა ყველა შედეგი ზუსტად გამოიცნო და მისი გამდიდრების საკითხი „ვესტ ბრომვიჩისა“ და „მიდლსბროს“ შეხვედრაში უნდა გადაწყვეტილიყო. აზარტულ ქომავს ამ მატჩის ფრედ დასრულება აძლევდა ხელს, რაც



საესებით რეალური იყო. ანგარიში, „მიდლსბროს“ სასარგებლოდ 2:1 გახლდათ, როდესაც ნვანკო კანუს დაახლოებით ორი მეტრის მანძილიდან ცარიელ კარში გოლის გატანის საშუალება მიეცა, მაგრამ... ნიგერიელმა ბურთი კარს ააცილა! „იმ მომენტში ხომ ბურთის აცილება უფრო რთული იყო, ვიდრე კარში გაგზავნა“. — აღმოფოთებას ვერ ფარავდა იმედგაცრუებული ლესლი, რომელსაც თვით ტოტალიზატორის მესვეურებიც კი თანაუგრძნობდნენ. „ერთი კომპარული მომენტის გამო ამხელა თანხის დაკარგვა მართლაც, ძალზე გულდასაწყვეტია, — უთქვამს „უილიამ ჰილის“ წარმომადგენელს, — ასეთი შემთხვევების შემდეგ, ქომავები ხშირად ინფარქტს იღებენ. საბედნიეროდ, ამჯერად კლიენტმა ტრაგედია შედარებით მშვიდად გადაიტანა“.

საღვთის რეზინის მოყვარული მწვრთნელები

საღვთის რეზინი დიდი პოპულარობით სარგებლობს სპორტულ საყაროში. მაგალითად, დანიელი ფეხბურთელი ფლეუნგ პოულსენი და კანადელი ჰოკეისტი სტივ ლარმერი საღვთის რეზინის გარეშე საპარეზოდ არასოდეს გასულან. ამ მხრივ გამონაკლისები არც მწვრთნელები არიან. ამ თემით ინგლისელი ჟურნალისტები იმის გამო დაინტერესდნენ, რადგან ცოტა ხნის წინ, საღვთის რეზინის გამომგონებლის, თომას ადამსის დაღუპვის დღიდან 100 წელი შესრულდა. ბრიტანულმა პრესამ კი ისიც



„ადმოჩინა“, რომ პრემიერ-ლიგაში ყველაზე „აქტიური მცონხელები“, ალექს ფერგიუსონი („მანჩესტერი“), არსენ ვენგერი („არსენალი“) და სემ ალორდაისი („ბოლტონი“) ყოფილან.

ცნობილ პარაფსიქოლოგ დალი ავაგუმაშვილს უამრავი ადამიანი ემადლიერება. მისი ყოფილი პაციენტები სმირად გვირეკავენ რედაქციაში და გვთხოვენ, მადლობა გადავუხადოთ ამ ღვთისწიერ ქალბატონს უანგარო სიკეთისა და გულისხმიერებისთვის. დალი ავაგუმაშვილის მოსაცდელში მუდამ ცოცხალი რიგი დგას. მისი ლოცვის ძალაზე საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან და უცხოეთიდან ჩამოსულები ლეგენდებს ჰყვებიან.



დალი ავაგუმაშვილი: სასწაულებრივი ხერხები ღვთის ნებით ხდება

ნანა სისაური

— ქალბატონო დალი, ჩვენი ჟურნალის მკითხველებს აინტერესებთ, ანსამბლ „ოთხი გიას“ წევრი, პოპულარული ქართველი მომღერალი გია ავაგუმაშვილი თქვენი ძმია?

— დიახ, მე ვიყავი და ვარ!.. სხვათა შორის, სანამ ჩემი ძმა თავის მომავალ მეუღლეს გაიცნობდა, პირველად მე ვნახე სარძლო. დედამისი ჩემი პაციენტი გახლდათ და ერთხელ თან ქალიშვილიც მოიყვანა. შევხვედი თუ არა უცნობ გოგონას, მაშინვე ვუთხარი, თქვენ ჩემი რძალი იქნებით-მეთქი და მართლაც, ასე მოხდა. უამრავი ყოფილი პაციენტი დამეგობრდა, ზოგიერთი დამნათესავდა კიდევ, ბავშვები მომანათლინეს. მე, საერთოდ, მეგობრებითა და მეგობრებისთვის ვცხოვრობ!

— მკითხველებს აინტერესებთ, კურნავთ თუ არა ორგანულ დაავადებებს?

— როცა პაციენტის ჩივილები ორგანოთა პათოლოგიით არ არის გამოწვეული და ბინძური ენერჯის ზემოქმედების შედეგია, პასუხისმგებლობას მხოლოდ მაშინ ვიღებ საკუთარ თავზე. ვმკურნალობ იმ შემთხვევაში, თუ ექიმის დაეგონის თანახმად, პაციენტს ორგანული დაავადება არ აღენიშნება.

— რის გამო ითარსებიან ზოგიერთები და თუ შეგიძლიათ მათი შევლა?

— არიან ადამიანები, რომლებსაც იძენდა სუსტი აურა აქვთ, რომ ადვილად იღებენ თვალს. გათვალისწინებული ლოცვის გარდა არაფერი შევლის. მე მყავდა ერთი პაციენტი, ასაკოვანი მამაკაცი, რომელსაც აღარაფერში უმართლებდა. საბრალო, ისეთ დღეში ჩავარდა, თვითმკვლელობამდე იყო მიხული. ვერ მიხვდა, რატომ შეაქცია ზურგი წარმატებამ. პირველსავე ლოცვაზე ვუთხარი, ვისგანაც იყო გათვალისწინებული. მერე და ვაიხსენა, როგორ ესესებოდა ხოლმე ის პიროვნება ფულს და ცოტა ხნის შემდეგ, ზუსტად იმავე კუბურებს უბრუნებდა, რაც წაიღო, ანდა თანხას ნაწილ-ნაწილ აძლევდა, თუქცავდა ვალის დაბ-

რუნება ერთიანდაც შეეძლო. ჩემს პაციენტს მასთან შეხვედრის დროს მუდამ ეძინებოდა, საშინლად იღლებოდა, მთელი დღე ყველაფრის კეთება ეზარებოდა, ღონეგამოცლილი საქმეს თავს ვერ ართმევდა. თანდათან ყველასთან, მათ შორის, ოჯახის წევრებთანაც ისე დაეძაბა ურთიერთობა, რომ სახლიდან გაქცევა სურდა... სხვათა შორის, ზოგიერთი ადამიანის თვალის ბუნებრივად ასნივებს უარყოფითად დაბუნებულ ენერჯის და თვითონ არც კი იცის, ისე ახდენს სხვებზე ნეგატიურ ზემოქმედებას. გარდა ამისა, ადამიანი შეიძლება წინაპართა ცოდვების გამოც დაითარსოს, ხომ გავიგიათ, ბაბუის ნაჭამმა ტყველმა შვილიშვილს მოსჭრა კბილი — ცოდვა ცხრა თაობაზე გადადის!.. დათარსვაც და გათვალისწინებული მხოლოდ ლოცვით იხსნება.

— შიშით შეპყრობილებსაც შევლით?

— რა თქმა უნდა!.. ამას წინათ, 15 წლის გოგონა მომიყვანეს მშობლებმა. ისე იყო შემინებული, დღისითაც ვერ რჩებოდა ოთახში მარტო, ღამე კი სინათლე ჰჭირდა ანთებული და სანამ არ ჩაეძინებოდა, ბუბის ოთახიდან არ უშვებდა. დედამისმა მითხრა, ამ რამდენიმე თვის წინ საბაზანიდან გამოსულს უეცრად შევხვდნენ და შიში მას შემდეგ დასრულდა, მაგრამ შევხვედი თუ არა, მივხვდი, რომ ახალი შემინებული არ იყო. როგორც საუბრიდან გაირკვა, გოგონა დედას და ბუბას უმალავდა მიზეზს, მე კი გული გადამიშალა და მიამბო, რაც ამინებდა. თურმე კარგა ხანია, ღამობით კომპარები აწვალეს — სიზმარში ხედავდა, როგორ იწვიოდა თეატრალური ფარდა და სცენაზე სადისტურ ეპიზოდებს უჩვენებდნენ... ეს საშინელი სიზმარი გოგონას ყოველ მეექვსე ღამე უჩებოდა. საბედნიეროდ, ბავშვი თავის დროზე მომიყვანეს და შიშისგან დათრგუნვილი, ღვთის ნებით, ძალევე განკურნე ლოცვებით.

— ზოგმა იცის ხოლმე თქმა, საკუთარ თავს თვითონვე ვთვალავო, ნუთუ ეს შესაძლებელია?

— როგორ არა... ამას წინათ, შესანიშნავმა ქალბატონმა მომაკითხა. არაჩვეულებრივი

გარეგნობის პატრონი ხასიათითაც მშვიდი და გაწონასწორებული ჩანდა. მიუხედავად მისი პიროვნული ღირსებებისა, ოჯახის წევრებს რაღაცით აღიზიანებდა. ამ ქალბატონის ტრავმის მიზეზი აღმოჩნდა უარყოფითად დაბუნებული ენერჯია, რომელსაც თავად ასნივებს.

— ალბათ, გულბოროტი ადამიანია...

— არა, ცდებით! შეიძლება კაცი უარყოფით ენერჯის ასნივებდეს, მაგრამ შესანიშნავი პიროვნება იყოს. ადამიანური ღირსება გამოხსენებული ენერჯის მუხტით არ განისაზღვრება... ამ სიმართურ ქალბატონს პირველი გოგო შეეძინა, არადა ბიჭი უნდა და იძენდა არ ესამოუნა მისი გარეგნობა, რომ უკმაყოფილებას ვერც კი ფარავდა. მთორე ბიჭი ყოვალ და არაბუნებრივად შეუყვარდა. ვაჟიშვილმა ყველა და ყველაფერი დაავიწყა, ისე ამოიწმინდა ბავშვი, რომ 6 წლის ასაკში მოულოდნელად ავტოკატასტროფაში დაეღუპა. ამ ტრავმის შემდეგ, სამჯერ დაეწვა სახლი.

— რა მიზეზით?

— ბინა, სადაც ცხოვრობდა, არ მოსწონდა, მაგრამ ქმრის სურვილის წინააღმდეგ ვერ წავიდა. მოგვიანებით სხვაგან გადავიდნენ საცხოვრებლად. გავიდა ხანი და მისმა ქალიშვილმა ბიჭი გააჩინა. ბუბის არანორმალურად შეუყვარდა შვილიშვილი, პირდაპირ აღმერთებდა, რის გამოც ბავშვი მუდამ ცუდად იყო. ცოტა ხნის შემდეგ მთელი შვილიშვილიც შეეძინა, ისიც ბიჭი. ბავშვს ქალის გარდაცვლილი შვილის სახელი დაარქვეს, მაგრამ ბუბა მას ყურადღებასაც არ აქცევდა, პირველი შვილიშვილისადმი ეგოისტური სიყვარული არ გაუჩნდა. ამ ქალის უბედურების მიზეზი უარყოფითი ენერჯიაა, რომელითაც ახლობლებს თვალავს. როცა ავუსხენი, რამაც იყო საქმე, შემოიძინე, მე არასოდეს ვკარგავ წონასწორობას და ყველას კარგად ვეცხვი, მაგრამ ამას რა მნიშვნელობა აქვს!

— თუ ხედავთ, რომ თქვენი პაციენტი მალე უნდა მოკვდეს, ეტყვიან?

— უფლისგან ნიშანი თუ არ მომეცა, როგორ ვეტყვი?! მასსოვს, ერთმა ახლობელმა მომიყვანა თავისი მეგობარი, რომელსაც შვილი არ უჩნდებოდა. შევხვედი თუ არა, მაშინვე მუწყა მისი უშვილობის მიზეზი — ქმარი დღლატობდა და ბოლო 23 წლის განმავლობაში საერთოდ აღარ ჰქონდათ ურთიერთობა. ქალმა შემოიძინე: კარგა ხნის გათხოვილი ვარ, ორგანული არაფერი მაწუნებს, მაგრამ შვილი არ გვიჩნდება. სიმართლე დაუფლავი, რადგანაც ნიშანი მომეცა უფლისგან, არაფერი მთქმავ. საერთოდ, თუ უზუნაესი არ მკარანახობს, ინფორმაციის გაცემა მკერძალება... ისეთი ნიშანი მომეცა, ხმა რომ ამოძლო, შესაძლოა, მაშინვე დანერგოდა ოჯახი ან რაიმე უბედურება აეტყვნა საკუთარი თავისთვის. ამიტომ აქცენტი სხვა რამეზე

გადავიტანე.

რა გაფრთხილება მიიღეთ?

— ხმა ჩამესმა: სული არ ატყინო! ამიტომაც დაუშალე სიმართლე. პირველსავე შეხვედრაზე ქალბატონს ვუთხარი, რომ მის ქმარს ერთი კენჭი თირკმელში ჰქონდა, მეორე კი — საღინარში. შემოძინე, წამალს ვერ ვასმევ, მეზინია კენჭი არ დაიძრასო. დავაშვიდე, ლოცვით შენს მეუღლესაც ვუმკურნალე-მეთქი. თანაც დავამდე, ნუ გეზინია, კენჭიც გაქრება და შვილიც გეყოლება-მეთქი.

დაგიჯერათ თუ არა?

— ნიშანი მივიღე, რომ ღვთისმშობელი დაეხმარებოდა, ამიტომ ვიყავი დარწმუნებული, მაგრამ ქალმა დაიჯერა თუ არა, ვერ გეტყვით. მე უფლის ნება-სურვილს ვერ გადავალ, სასწაულებრივი კურნება მხოლოდ უფლის ნებით ხდება.

განიკურნა უშვილო ქალბატონი?

— პირველსავე ლოცვის მერე ქმართან შეწყვეტილი ურთიერთობა გაგრძელდა. იმავე დამეს დამირეკა აღელვებულმა და მასწარა ეს ამბავი, ხოლო სამი ლოცვის შემდეგ მისი მეუღლე სასწაულებრივად განიკურნა — საღინარში განხერილი კენჭი თირკმლის ქსოვილში ავიდა და ყოველგვარი ოპერაციული ჩარევის გარეშე თავისით დაიშალა.

განა ეს შესაძლებელია?

— სასწაული მოხდა! უროლოგიის ცენტრში ამ ამბავმა დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია. წარმოდგინეთ მათი გაოცება, როცა ცხრა ლოცვის შემდეგ, მეორე კენჭიც თავისით დაიშალა.

ბავშვიც ეყოლათ?

— ცოლ-ქმრის ურთიერთობა რადიკალურად შეიცვალა. კაცმა საყვარელი მატოვა და ოჯახს დაუბრუნდა. ამ ამბიდან რამდენიმე თვეში ქალი დაფეხმძიმდა და 9 თვის თავზე ტყუპი გააჩინა.

ამბობენ, სატანურ ძალთაგან შეპყრობილი ბავშვების რიცხვმა იმატაო. საინტერესოა, რა სიმპტომები აღენიშნებათ?

— არაბუნებრივი აგრესია, საოცარი გაღიზიანება, საღინაში. არ ინდობენ ბებიას, ბაბუას, დედას, მამას, დაძმებს, მეგობრებს; შეუძლიათ ისეთი ტყვილი და შეურაცხყოფა მიაყენონ ახლობელ ადამიანებს, რომ მერე თავადვე ნანობენ საკუთარ საქციელს. როგორც წესი, უღამაზესი და უნიჭიერესი ბავშვები არიან, მდიდარი ოჯახებიდან. ერთ-ერთი მათგანის ბებიამ მითხრა, მას შემდეგ, რაც სასტიკად მცემა, ტირილი დაიწყო, ბებო მიშველე, არ ვიცი, რა შემართება.

რამდენი წლისაა ბიჭი?

— 12-ის ვახდა. ბებიის თქმით, ძილშიც კი დამცინავი გამომეტყველება აქვს. გარდა ამისა, დამდამობით უცხო ენაზე ლაპარაკობს, ვიღაცას ესაუბრება. აგრესიის დროს ისეთი საზარელი თვალები აქვს, თვითონვე ეშინია

სარკეში ჩახედვის, თუმცა პერიოდულად მშვიდად სძინავს ხოლმე და დილითაც კარგ გუნება-განწყობაზე იღვიძებს.

უშველა თქვენმა ლოცვამ?

— საგრძობლად დამშვიდა, უკეთ სძინავს, ნაკლებად აგრესიულია, ეკლესიაშიც კი წავიდა და მოძღვარს ესაუბრა.

ქალბატონო დალი, ბინძური ენერგიასთან ყოველდღიური ქიდილი არ გლლით?

— როცა უფლისგან მიღებული ძალის სხვების საკეთილდღეოდ გასცემ, ათმაგად გაბრუნდება უკან და ძალას ვმატებს.

დეპრესიას თუ კურნავთ?

— ხშირად ქრონიკული ნევროზი და ღრმა დეპრესია აურის უკიდურესი დაბინძურებითაა გამოწვეული. როცა პაციენტის ჩივილის მიზეზი ენერგეტიკულია და არა ორგანული, ექიმი და წამალი დაავადებას ვერ შევლის, მსგავს შემთხვევაში ერთადერთი სწორი გამოსავალი დაბინძურებულ აურის ლოცვებით გასუფთავებაა.

შეგიძლიათ დაადგინოთ, არის თუ არა ადამიანი მაგიური ზემოქმედების ქვეშე?

— რა თქმა უნდა, თანაც შეუცდომლად... სხვათა შორის, ბევრი მოსულა ჩემთან მკითხავებისგან შემინებული. ზოგიერთი მარჩილი რატომღაც ატყუებს ხალხს, ჯვად გაქვთ გაკეთებულიო.

ერთმა ჩემმა ნაცნობმა სახლში ჯადო იპოვა და დანვა. სწორად მოიქცა?

— ჯადოს მასალის განადგურება, მოხსნას როდი ნიშნავს. თუ რაიმე საეჭვოს იპოვით, უთუოდ სპეციალისტს მოუტანეთ, რათა განეიტრალოს მაგიური ზემოქმედება. ჯადო მანამდე იმუშავებს, სანამ ნეგატიური პროგრამა არ განადგურდება, მისი დაწვა გამოსავალი არ არის.

ჯადოს მაგიური ზემოქმედება შთამომავლობაზეც გადადის?

— თუ დროულად არ განეიტრალდება ჯადო, შესაძლოა, უარყოფითი პროგრამა მშობლების აურიდან შვილების აურაზეც გადავიდეს.

ქალბატონო დალი, ზოგს ჰგონია, რომ თქვენ ნათელმხილველი ხართ...

— მე არც ნათელმხილველი ვარ და არც მარჩილი, ძალიან ვთხოვთ, სამკითხაოდ ნურავინ მოხვალთ... დროდადრო, ჩემგან დამოუკიდებლად, ღვთის ნებით ვიღებ ინფორმაციას და თუ იმ დროს ვინმესთვის რამე მითქვამს, ასრულებულა კიდევ: უფლის ნებას წინ ვერავინ აღუდგება... ჩემი შვილის ნათლას, სამი ქალიშვილის დედას, ძალიან უნდოდა ბიჭი, მაგრამ ისეთ დროს დაფეხმძიმდა, რომ ვერ გააჩენდა და აბორტი გაიკეთა. საავადმყოფოდან დაბრუნებულს ვუთხარი, ძალე ისევ დაფეხმძიმდები, ბიჭი

იქნება, მაგრამ მუცელი თავისით მოგეშლება. ამის მერე კვლავ დაორსულდები, ბიჭი გეყოლება და გიორგის დაარქმევთ. იცოდე, აბორტი არ გაიკეთო, რადგანაც შენი უკანასკნელი ფენმძიმობა იქნება, ღმერთი სხვა შვილს აღარ მოგცემს-მეთქი. მართლაც, 4 თვის თავზე მუცელი თავისით მოეშალა. ექიმებმა უთხრეს, ბიჭი იყო... თვითნებური აბორტის მერე ისევ დაორსულდა, მაგრამ გაფრთხილების მოუხედავად, მუცლის მოშლა დააპირა. გაგვასწენე ჩემი ნათქვამი, იცოდე, შვილი აღარ გეყოლება-მეთქი. არ დამიჯერა, წარამარა ვრჩები ხოლმე ფენმძიმედ და რატომ არ გამიჩნდება, ვერ 32 წლისა ვარო.

შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვსL

— ნამდვილად ასეა! თქვენ წარმოიდგინეთ, აბორტის გასაკეთებლად მე გამიყვალა. რა უნდა მექნა, წავიფანე ექიმთან. ყველანაირად მომხადებული უკვე მაგიდაზე იწვა, როცა თავი სამინლად ამტკივდა. ისე ცუდად გავხდი, ვერც ერთ ორგანოს ვეღარ ვგრძობდი. ყურები სამინლად მიშოვდა, თვალები გამიფართოვდა, საოცრად ავფორიაქდი, საოპერაციოში შევეყვარდი, მაჯაზე ხელი ვტაცე და მაგლიდან წამოვადლე; არ გაიკეთებ აბორტს, შენ ბიჭი გეყოლება, დამიჯერე, სხვა შვილს ღმერთი აღარ მოგცემს-მეთქი. ისეთი სამინელი სანასავი ვყოფილვარ, რომ უსიტყვოდ დამთანხმდა და შინ წამომგვა. მართლაც, 9 თვის თავზე გაჩნდა ბიჭი და გიორგი დავარქვით. თქვენ წარმოიდგინეთ, მოუხედავად იმისა, რომ ახალგაზრდა ქალია, მას შემდეგ აღარ დაფეხმძიმებულა.

თქვენზე ამბობენ, მოუნათლავენს არ იღებსო, მართალია?

— დიას, ვინც ვერ არ გაქრისტიანებულა, ვერ მივიღებ. თუ მოინათლებიან, დიდი სიმოწხებით ვილოცებ მათთვის.

დამცავ თილისმებსაც აკეთებთ?

— ვაკეთებ, მაგრამ თუ ადამიანის აურა დაბინძურებულია, თილისმის ტარებას აზრი არა აქვს.

რატომ?

— ვერ ბიოველი უნდა გასუფთავდეს... თუ ადამიანი გამოლოცვილი არ არის, თილისმას ძალა ეკარგება. უპირველეს ყოვლისა, აურა უნდა გაიწმინდოს ბინძური ენერგიის ზემოქმედებისგან და მერე უნდა გაკეთდეს დამცავი თილისმა, რათა ბოროტ ძალთა გავლენისგან დაიფაროს ადამიანი და ცხოვრებაში ხელი მოემართოს. ზოგიერთი უგუნური კი პირდაპირ დამცავ თილისმას ითხოვს, ლოცვებს საჭიროდ არ მიიჩნევს.

P.S. ქალბატონი დალი წინასწარ ჩაწერის გარეშე არავის იღებს! ჩაწერა ხდება ტელეფონით. დარეკეთ ყოველდღე, კვირის გარდა, დილის 9 სათიდან 16 საათამდე. საკონტაქტო ტელეფონები: 96.79.00; 8(99) 10.73.06; 8(77) 71.97.67.



ეხი Pagani-ში ოთხ Ferrari-ს იძევია

იტალია ექსკლუზიური სპორტული ავტომობილების დაპროექტებასა და წარმოებაში საყოველთაოდ აღიარებული ლიდერია. მაგრამ ისეთი ცნობილი მარკების გვერდით, როგორებიცაა Ferrari, Maserati და Lamborghini, არსებობს კიდევ ერთი, ჩვენთვის ნაკლებად ცნობილი, მაგრამ არანაკლებ პრესტიჟული – Pagani. საავტომობილო სამყაროში პირველად ის გასული საუკუნის 90-იან წლებში გამოჩნდა. Pagani ერთ-ერთი მოდელის – Zonda S 7.3-ის წყალობით გახდა საყოველთაოდ ცნობილი. ამ მანქანამ, რომელიც 340 კმ/სთ-მდე სიჩქარეს ავითარებს, უძალ მიიპყრო სხვადასხვა კვების სპორტული ავტომობილების მოყვარულთა ყურადღება. წლებულს ამ მოდელმა საფუძვლიანი მოდერნიზაცია განიცადა.



ცოტა ხნის წინ, Zonda S-ის ბაზაზე როდსტერი დააპროექტეს. ე.წ. კომპოზიტური მასალების გამოყენების შედეგად, ელევანტური დიზაინის მქონე მანქანის წონა 1250 კგ-მდე შემცირებული. როდსტერი აღჭურვილია გერმანული წარმოების ძრავით, რომელსაც Mercedes AMG-ში იყენებენ. ის 12-ცილინდრიანი და 555 ცხ.ძ. სიმძლავრისაა. მასისა და სიმძლავრის ამ თანაფარდობის წყალობით, Pagani 100 კმ/სთ სიჩქარეს 3,7 წმ-ში ავითარებს, მისი მაქსიმალური სიჩქარე კი 300 კმ/სთ-ია.




ამ მანქანებებს საუცხოო აეროდინამიკაც უწყობს ხელს: 4,40 მ სიგრძის როდსტერის სიმაღლე სულ 1,15 მ-ია. თუმცა Pagani Zonda სისწრაფეზე ორიენტირებული, მასზე არ ითქმის, ასკეტური: მაგალითად, კარბონის სპორტული სავარძლები ძვირად ღირებული ნატურალური ტყავითაა გაწყობილი, წინა პანელი კი, იმდენად ოსტატურადაა შესრულებული, თითქოს გამოჩენილი მოქანდაკის ხელიდანაა გამოსული. სალონის გასაფორმებლად უხვადაა გამოყენებული ალუმინის დეტალი. მანქანას თანდართული აქვს მაღალხარისხიანი სტერეოსისტემა, კომპაქტდისკიანი საკრავით, კლიმატკონტროლი და თანამგზავრული ნავიგაციის ბლოკი.

Pagani მხოლოდ და მხოლოდ ცალობით, წინასწარი დაკვეთით მზადდება. მისი წლები წარმოების მოცულობა სულ 15-დან 17 ეგზემპლარამდე შეადგენს, მათ შორის 10-12 – როდსტერია. ვეროპელს Pagani-ს მფლობელობა 560 ათასი ევრო დაუჯდება, რაც ოთხ Ferrari 360 Spyder-ს გასწვდება. ■

მოხიბლავი Marcos

გასულ ზაფხულს, ბრიტანეთის ქალაქ ბირმინგემში გამართულ საერთაშორისო ავტოსალონზე ფირმა Marcos-მა თავისი სპორტული როდსტერი – Marcos TSO წარმოადგინა. მანქანა სულ 1090 კგ-ს იწონის, 100 კმ/სთ სიჩქარეს 4 წმ-ში ავითარებს, 160 კმ/სთ სიჩქარის ზღვარს კი, სულ 9 წმ-ში გადალახავს. მისი მაქსიმალური სიჩქარეა 297 კმ/სთ. ამ მანქანებებს ის Chevrolet-ის წარმოების V ტიპის 8-



ცილინდრიანი, 354 ცხ.ძ. სიმძლავრის ძრავას წყალობით უჩვენებს. საბაზო ვერსია 5-საფეხურიანი მექანი-

კური, სარბოლოსი კი – 6-საფეხურიანი გადაცემათა კოლოფით აღიჭურვება.

მანქანის დიზაინი შეიძლება დამიან მაკტაგარტმა, რომელსაც ცნობილი სპორტული მოდელების – TVR Cerbera-ს, Tuscan-ისა და T350-ის დიზაინი ეკუთვნის. ახალი Marcos-ს ხაზგასმულად ასკეტური გარეგნობა აქვს: წარმოდებულია წინა ნაწილი, რბილი სახურავი, ვიწრო ფორმის მარჯვენა. ასკეტურობით გამოირჩევა აგრეთვე მანქანის სალონი: გარეგნულად უბრალო ხელსაწყოები წინა პანელის ცენტრალურ ნაწილში, აუდიოსისტემა, სპორტული სავარძლები, ტყავადაჭიმული საჭე. საბაზო ვერსიას მომხმარებელს 59 ათას ევროდ სთავაზობენ, სარბოლოს, რომელიც სპორტული საკიდრითა და 18-ლუმიანი საბორბლე დისკებითაა აღჭურვილი 57.300 ევროდ. ■

ფიხიხიდა, ეხი იხეხება!..

იაპონური ფირმა Sivax საავტომობილო ტიუნინგის სფეროში ორიგინალური მიგნებებით არის ცნობილი. ამ ცოტა ხნის წინ, პარიზში გამართული საერთაშორისო ავტოსალონის მნახველების სამსჯავროზე ამ ფირმამ ელევანტური სპორტული კონცეპტუალური მოდელი – Xtile წარმოადგინა. მისი სიგრძე – 4 მ, სიგანე – 1,88 მ, სიმაღლე კი, სულ 1,12 მ-ია. წინ ორ-ორი ვერტიკალურად დაყენებული ქსენონის მარჯვენა აქვს. უკანა ფარნები მრგვალი ფორმისაა და ამერიკული სპორტული მანქანის – Chevrolet Corvette-ისას მოგაგონებთ. ყველაზე ორიგინალური, რითიც Xtile გამოირჩევა, კარის კონსტრუქცია გახლავთ. სპეციალური სახსრების მეშვეობით, ის მანქანის კორპუსის პარალელურად იღება; ამასთან, კარის წინა ნაწილი გვერდზე 90 გრადუსით იხსნება, რათა მგზავრი თავისუფლად ჩაჯდეს მანქანაში.

ძრავასა და საგალი ნაწილის მახასიათებლებზე მისი შემქმნელები, ჯერჯერობით, ინფორმაციას არ ამჟღავნებენ. როგორც ვარაუდობენ, Xtile ბოლომდე, როგორც კონცეპტუალური მოდელი და დიზაინერული ექსპერიმენტი დარჩება და სერიულ წარმოებაში არ ჩაეშვება. თუმცა, ექსპერტთა აზრით, მისი კარის კონსტრუქციას ალბათ, სხვა სერიული მანქანებისთვის გამოიყენებენ. ■



ცეკვასა და სიმღერაში ასახული საქართველოს ისტორია — ასე შეიძლება აღწერო სტილიზებული ფოლკლორის თეატრის „ნაბდის“ წარმოდგენა, რომელიც დასმა უკვე 50-ჯერ ითამაშა. საათისა და 40 წუთის განმავლობაში, მაცურებლის წინაშე ჩვენი ქვეყნის მატრიანე ცოცხლდება და თითოეული ისტორიული გმირის მხილველი საკუთარი თვალით ხდება. იმის გამო, რომ სპექტაკლი უცხოელ მაცურებელზეც არის გათვლილი, წარმოდგენის გმირები არ მეტყველებენ, ყველა ისტორიული ფაქტი და მოვლენა ცეკვითა და სიმღერითაა გადმოცემული. მაცურებელი იმდენად ახლოს არის სცენასთან, რომ ხშირად თურმე მოფარკავეებს შორის ჩასაგდება მანდილი მაცურებლის საგარძლის ქვეშ გარდება ან ქართველი თავადის მიერ სულთნისთვის გადაგდებული ქისა, რომელიმე მაცურებლის კალთაში აღმოჩნდება ხოლმე...



— ეს ჩანაფიქრი თეატრის შექმნის იდეასთან ერთად გაჩნდა. კიდევ უფრო მეტის გაკეთება მიხლდა ჩრდილებით, მაგრამ სცენის პარამეტრებმა ამის საშუალება არ მომცა. მაგალითად, მიხლდა, რომ მაშინ, როდესაც სცენაზე ცეკვა „სამაია“ სრულდება, უკან ჩრდილებით ფრესკები გამეცოცხლებინა.

— სპექტაკლზე დასწრება საკმაოდ ძვირი სიაშოვნებაა, რა კატეგორიის მაცურებელზეა გათვლილი თქვენი თეატრი?

— მერწმუნეთ, რომ ვერც ერთ სხვა ქვეყანაში, ამ ფასად იქსურ კულტურას ვერ გაეცნობით. თქვენ ციცი, როგორ ძალისხმევასა და შრომას მოითხოვს ქართული ქორეოგრაფია და ფოლკლორი, მით უფრო, როდესაც ეს ყველაფერი ძალიან პატარა სცენაზე ხდება. ჩვენ გვესმის, რომ ქართული საზოგადოების დიდი ნაწილი არ არის უზრუნველყოფილი მატერიალურად, ამიტომ ბილეთების დიფერენცირება მოვანდინეთ. ჩვენი თეატრის ხშირი სტუმრები არიან უცხოელი მოქალაქეები, ხოლო მათთვის ბილეთის ფასი აბსოლუტურად მისაღებია.

— სცენა მართლაც ძალიან პატარაა, ზოგჯერ მოცეკვავეს რალაც ილეთის შესასრულებლად სცენიდან ცალი ფეხის ჩამოდგმა უხდება დარბაზში. არ გიჭირთ ასეთ პირობებში მუშაობა?

— თეატრის დაარსების დღიდან ვიცოდით, თუ სად დავიდებდით ბინას და რა ფართობი იქნებოდა ჩვენს განკარგულებაში, ამიტომ სხვა გზა ფაქტობრივად, არ გვქონდა — ასეთ პატარა სცენაზე უნდა დავტეულიყავით. ზოგჯერ ამა თუ იმ ილეთის შესრულება ასეთ პირობებში მართლაც, ძალზე რთულია, რასაც ბიჭები ემოციით და ხმით გამოხატავენ, რაც ვილაციისთვის შესაძლოა, მიუღებელიც კი იყოს...

— უჩვეულო ვითარებაშია დარბაზში მყოფი მაცურებელიც, იგი მოკალათებულია სავარძელში, ხოლო მის წინ დგას ქართული ტკბილეულითა და ღვინით დამშვენებული სუფრა...

„ნაბდის“ თეატრი, სადაც მაცურებელი მსახიობებისგან თავს იცავს...

ნეა ტუხიაშვილი

ინო ტურაბაილიძე, „ნაბდის“ სამხატვრო ხელმძღვანელი:

— თეატრის შექმნის იდეა მარშან თებერვალში დაიბადა. გადავწყვიტეთ, რომ ქართული ცეკვითა და სიმღერით საქართველოს ისტორია მოგვეთხრო მაცურებლისთვის. შემიძლია ვითხრა, რომ ნამდვილად განსხვავებული ფართი შევქმენით, რადგან საქართველოში ჯერ არ ყოფილა პრეცედენტი იმისა, რომ ქართული ფოლკლორი თეატრალიზებულ სანახაობად ექციათ. მოცეკვავეები და მომღერლები პროფესიონალური ანსამბლებიდან შევკრიბეთ, ისინი არაერთხელ გამოსულან მსოფლიოს სხვადასხვა ცნობილ სცენაზე. მოვიწვიეთ რეჟისორი გიორგი სინარულიძე. კოსტუმების მხატვარი ანი ბაბილაშვილია. ჩვენი რეპერტუარის ერთ-ერთი მუსიკალური ნომერი კი ჭაბუკა ამირანაშვილს ეკუთვნის.

— რამდენად რთული იყო თავად სამუშაო პროცესი? ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით, ფაქტობრივად, ახალ პიესებს წერთ?

— საკმაოდ დიდხანს ვმუშაობდი სპექტაკლის თემატიკაზე, მხოლოდ „ამირანის“ 150-მდე ვერსია არსებობს. ვაუ-ფშაველას წარმოსახული ჰყავს იგი, როგორც

პრომეთე ბერძნულ მითოლოგიაში. ასევე ჩვენამდე მოაღწია ამირანის სვანურმა ვერსიამ, რომლის მიხედვითაც ის კილოხანში ზის და კნინტი მარილი ადევს. მაგრამ ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ მაცურებლისთვის ჩვენი მსატრეული ვარიანტი შეგვეთავაზებინა. ჩვენ არ ვაწვდით მაცურებელს მზარეცებს და ფიქრისა და განსჯის საშუალებას ვუტოვებთ. ჩვენი ქვეყნის ისტორია მრავლისმომცველია, ამიტომ შეუძლებელი იყო, საათ-ნახევარში ყველა დეტალი აგვესახა. მოგესხენებათ, რომ ეს ჩვენი პირველი სპექტაკლია და ჯერ კიდევ ბევრი გვაქვს მაცურებლისთვის სათქმელი.

— მთელი სპექტაკლის განმავლობაში, ქართულ ტრადიციულ სამოსს — ნაბადს განსაკუთრებული ადგილი უკავია, თეატრსაც „ნაბადი“ ჰქვია. რატომ შეარჩიეთ ეს სახელი?

— გარდა იმისა, რომ ნაბადი სამოსელია, ეს სიტყვა ასევე ნაშობს, დაბადებას გულისხმობს. იქიდან გამოდინარე, რომ ჩვენი სპექტაკლი კაცობრიობის დაბადებით, ადამ და ევას შექმნით იწყება... ჩვენი თეატრიც ახლა დაიბადა საქართველოში...

— საკმაოდ საინტერესოა, რომ სპექტაკლის მსვლელობას მოქმედება სცენის მიღმა, ჩრდილების მეშვეობით ვითარდება...



გადავწყვიტეთ, რომ ქართული ცეკვითა და სიმღერით საქართველოს ისტორია მოგვეთხრო მაცურებლისთვის

— ჩვენ გვინდოდა, რომ სპექტაკლზე მოსული თითოეული მაყურებელი წარმოდგენის მონაწილე გამხდარიყო, ამიტომ მივმართეთ ასეთ ორიგინალურ ფორმას. ქართული ტკბილეულით და ღვინით კი, კიდევ ერთ მინიშნებას ვაკეთებთ ქართულ კულტურაზე. ისევ და ისევ ფართის პრობლემა გვაქვს, თორემ, უფრო მეტის გაკეთება გვინდოდა. ჩვენი სცენარით, მაგალითად, პერიკაობის ეპიზოდში მაყურებელიც ხდებოდა სპექტაკლის მონაწილე. თუმცა ვფიქრობ, რომ დარბაზში თბილი ატმოსფერო მაინც შევქმენით.



ნამდვილად განსხვავებული კანრი შევქმენით...

— მაყურებელსა და მსახიობებს ერთმანეთისგან ძალიან პატარა მანძილი აშორებს, მაყურებლის ჩურჩულმაც კი შეიძლება მიაღწიოს სცენამდე. მსახიობებს ეს გარემოება დისკომფორტს ხომ არ უქმნის?

— თავდაპირველად, თითქოს იდგა ეს პრობლემა, რადგან ჩვენი დასის წევრები არ არიან პროფესიონალი მსახიობები და აქამდე ასეთი ახლო კონტაქტი არ ჰქონიათ მაყურებელთან. როდესაც პრემიერა ახლოვდებოდა, რამდენიმე რეპეტიციაზე დასასწრებად მოვიწვიე ამ სფეროში კომპეტენტური ადამიანები — მოცეკვავეები, მოძღვრელები და ისინი მაყურებლის ადგილას დაესვი. ამ ხერხმა გაამართლა და პრემიერას აბსოლუტურად მომხადებულები შევხვდით. მეტსაც გეტყვით — ჩვენი მოცეკვავეები



გვინდოდა, რომ სპექტაკლზე მოსული თითოეული მაყურებელი წარმოდგენის მონაწილე გამხდარიყო

იმდენად დაოსტატდნენ, როგორც მსახიობები, ზოგჯერ ისეთ ტრაგიკულ სახეებს ქმნიან ხოლმე, რომ თავადვე უკვირობ...

— ცეკვა „ფარიკაობის“ შესრულების დროს, მაყურებელთან ასე ახლოს ყოფნა სახიფათო არ არის?

— გეთანხმებით, ეს საკმაოდ სახიფათოა, ამიტომ მაყურებელთა წინა რიგებში ფარები გვეწყობ, რომლითაც ისინი ნაპერწკლებისგან იცავდნენ თავს. ეს ფარი იმდენად მოეწონა ერთ-ერთ ჩვენს უცხოელ სტუმარს, რომ გადავწყვიტეთ, გვეჩუქებინა მისთვის. უცხოელებს განსაკუთრებით მოსწონთ, როდესაც ფართი ხელში ადვენებენ თავალს სპექტაკლს.

— ქართულმა საზოგადოებამ როგორ მიიღო „ნაბდის“ სპექტაკლები?

— საკმაოდ ბევრი პროფესორი და აკადემიკოსი ეწვია ჩვენს წარმოდგენას, რაც განსაკუთრებულად სასიხარულოა ჩვენთვის. მასხოვს, ბატონმა თამაზ კვაჭანტირაძემ აღნიშნა: ამ სპექტაკლის ნახვის შემდეგ ვირწმუნე, რომ ქართული ჯგომი არ გადაშენებულაო. ბატონი გიგა ლორთქიფანიძე იყო ჩვენი სტუმარი, ქალბატონი სოფიკო ჭიაურელი... პოლიტიკოსებიდან ქალაქის მერი გვყავდა სტუმრად. ყველაზე სასიხარულო ჩვენთვის მაინც უწმინდესისა და უნეტარესის, საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის სტუმრობა იყო. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ საკმაოდ ხშირად ვატარებთ საქველმოქმედო წარმოდგენას, ამ ხნის განმავლობაში უკვე ათი ასეთი სპექტაკლი გვექონდა.

— როგორც ვიცო, ამჟამად ბავშვებისთვის ამზადებთ რაღაც პროექტს?

— ვაპირებთ, შევქმნათ საბავშვო თეატრი, რომელსაც ექნება ანალოგიური სახე. სპექტაკლები საქართველოს ისტორიის ამსახველ ამბებს დაეფუძნება. გვინდა, წიგნთან ერთად ბავშვებს საქართველოს კულტურა და ტრადიციები ასეთი სახითაც მივაწოდოთ. მაგრამ ამ შემთხვევაში შესაძლოა, სცენაზე ტექსტიც აუღვრდეს.

— ქართულ ტრადიციულ კოსტიუმებში ხომ არ შეგიტანიათ ცვლილებები?

— ჩვენ გამოვიყენეთ თექა, რომელიც დღემდე ქართულ ეროვნულ კოსტიუმებში არავის გამოუყენებია. ჩვენმა დიზაინერმა შექმნა თექის ნაბდები, რომლებიც შემკულია თითქმის ყველაწილი ქართული ორნამენტით.

— ხომ არ გვგმავეთ გასტროლებს უცხოეთში?

— უკვე გვაქვს შემოთავაზებები ჰოლანდიიდან, ინგლისიდან, თურქეთიდან, მოსკოვიდან. სხვათა შორის, თურქებმა ჯერ კიდევ თეატრის განხრამდე მიგვიწვიეს, რადგან საშუალება ჰქონდათ, სპექტაკლის რეპეტიციას დასწრებოდნენ. უახლოეს მომავალში ვგეგმავთ ვაჟას ან ყაზბეგის ნაწარმოების მიხედვით დავდგათ სპექტაკლი, სადაც ჩვენს მოცეკვავეებთან ერთად პანტომიმისა და ბალეტის მსახიობები მიიღებენ მონაწილეობას. ■

ვინ გაიღებს მილიონს

ფოლკლორული სენტირის ასალორქინებლად?

არტოს ბაღში, სადაც ქართული ფოლკლორის საერთაშორისო ცენტრია განთავსებული, „გარდების რევოლუციის“ წლისთავისა და გიორგობისადმი მიძღვნილი მედიააქცია გაიმართა. აქციის ორგანიზატორებმა — ხელოვანთა კავშირის, „განმანათლებლის“ დირექტორმა ზაზა ალექსიძემ და ფოლკლორის საერთაშორისო ცენტრის დირექტორმა თამაზ ანდლულაძემ დამსწრეთ წარუდგინეს პროექტი, რომელიც ამ ცენტრისა და მთლიანად არტოს ბაღის ალორქინებას ისახავს მიზნად.

ნათია ქივიძე

თამაზ ანდლულაძე:

— ჩვენ ვაპირებთ, რომ ქართული ფოლკლორის საერთაშორისო ცენტრი ალვადგინოთ. ეს იქნება მხოლოდ ალდგენა და არა ახალი მშენებლობა. ხომ ხედავთ, როგორ არის აქაურობა დანგრეული და განადგურებული!.. შეუძლებელია, ასეთ პირობებში ბავშვს ცეკვასიმიდერა ასწავლო, მაგრამ ჩვენ ამას მაინც ვახერხებთ. როდესაც ცენტრის ალდგენა და ბაღის გალამაზება გადავწყვიტეთ, ძალზე დიდ პრობლემებს წაგაწყვიტეთ, მაგრამ ჩვენი ისინი გადავჭვრით, ამიტომ სულ მალე, აქ მშენებლობა დაი-

ეს მხოლოდ გერიგორიის კი არა, სულის მშენებლობა იქნება



წყება და ხაზგასმით აღვნიშნავ, რომ ეს იქნება აბსოლუტურად კანონიერი მშენებლობა. რა თქმა უნდა, თქვენი, ყველას დახმარება გვჭირდება. ეს ზომი დიდი, ეროვნული საქმეა. ისიც უნდა აღვნიშნო, რომ ეს მშენებლობა მთლიანად ერთი მილიონი ლარი დაჯდება.

ანზორ ირაქოზიშვილი:

– ბავშვები, რომლებიც ფოლკლორის ცენტრში დადიან, ფაქტობრივად, ქუჩაში არიან და ამ პატარა მიწურებში სწავლობენ. მიუხედავად ამისა, აქ უამრავი ბავშვია, რადგან მათ იციან ქართული ფოლკლორის მადლი. ამ ჩამონგრეულ დარბაზში შალიაბინი და ვანო სარაჯიშვილი მღეროდნენ; აქ დირიჟორობდნენ ზაქარია და პეტრე ფაღიაშვილები; აქ მუშაობდა ცხონებული ომარ კელაპტრიშვილი და ახლა აქ ვმუშაობთ მეც და ფრიდონ სულაბერიძეც. რამდენი საუკუნე გავიდა, მაგრამ ეს დარბაზი, ხალხური სიმღერა ისევ არსებობს და ყოველთვის იარსებებს. ამიტომ ჩვენ ყველანაირად ხელი უნდა



ამ ცენტრს 1863 წელს, კომპოზიტორ ბალაკირევის მიერ ჩაეყარა საფუძველი. 1994 წელს კი, ორჯერ დაიწვა...

შეუწყფოთ იმას, რომ არა მხოლოდ ქართული ფოლკლორის საერთაშორისო ცენტრი, არამედ ამ ახალგაზრდების სულიც გადავარჩინოთ. აქ უამრავი არაჩვეულებრივი ბავშვი აღიზარდა; ახლა ისინი უკვე თვითონ არიან ხელმძღვანელები და მომავალ თაობას ქართულ ფოლკლორს ასწავლიან. არ შეიძლება, მუხლი არ მოვიყაროთ ქალბატონი ნათელა ჯილაურის ხსოვნის წინაშე, რომელიც ამ ცენტრის ხელმძღვანელი იყო. მან ეს ტერიტორია გადაარჩინა, რადგან აქ კაზინოებისა და სხვა გასართობი დაწესებულებების აშენებას აპირებდნენ. ქალბატონმა ნათელამ კი იბრძოლა და ეს ტერიტორია არ დათმო. დიდი მადლობა იმ მშობლებს, რომლებსაც ამ ნანგრევებში შეიღებოთ მანც დაჰყავთ, რათა ისინი ჭეშმარიტ ქართულ ფოლკლორს ეზიარონ. ეს მხოლოდ ტერიტორიის კი არა, სულის მშენებლობა იქნება.



ქართული ცეკვა და სიმღერა თუ არ იქნება, აბა, რა უნდა იყოს?

ფრიდონ სულაბერიძე:

– როცა „სუხიშვილების“ ანსამბლში გამოსვლას დავანებე თავი, მაშინვე აქ მოვედი, ქალბატონმა ნათელა ჯილაურმა მომიწვია. მაშინ აქ არ იყო „მართვე“ და კელაპტრიშვილის „ხალხური საკრავები“. მერე მე ვთხოვე და გადმოვიყვანე. მათ აქ შესანიშნავი გუნდი ჩამოაყალიბეს. მათი დამსახურებაა,

ეროვნული სული ტრიალებს. აქ მოსული ბავშვი, რომელიც ქართულ ცეკვასა და ხალხურ სიმღერას სწავლობს, შეუძლებელია, ცუდ ქართველად გაიზარდოს. ზაზა შენგელამ საქართველოს სახელმწიფო ტელევიზიაში ქართული ფოლკლორის გადაცემები საერთოდ გააუქმა. მაშინ დავებუქრე – იცოდე, თუ ქართულ ფოლკლორს პატივს არ სცემ და რაიმე გადაცემას არ გააკეთებ, ჩემზე დიდი მტერი არ გეყოლება, მთელი საქართველოდან ჩამოვიყვან ფოლკლორის ტებს და ტელევიზიას ქებებს დავუშენებ-მეთქი... ქართული ცეკვა და სიმღერა თუ არ იქნება, აბა, რა უნდა იყოს? შოუბიზნისი?! ათასგვარ უხამსობას რომ მღერიან, ის?! ჩვენ ვერავინ გადაგვაშენებს, ვერც სოროსი და ვერც „შმოროსი“, რადგან სოროსი ფულით ყიდულობს ყველაფერს, ქართულ ხალხურ სიმღერას კი ვერაფრით იყიდი... ჩვენ უნდა გავიმარჯვოთ ყველანაირ შარლატანზე!

ზაზა ალიძისკია:

– ამ ცენტრს 1863 წელს, კომპოზიტორ ბალაკირევის მიერ ჩაეყარა საფუძველი. 1994 წელს კი, ორჯერ დაიწვა... მაქსიმალური ყურადღება მინდა, ვთხოვო საქართველოს ხელისუფლებას – იქნებ, რამენაირად მოხერხდეს ამ ცენტრის რეკონსტრუქცია. მილიონი ლარი არცთუ ისე დიდი თანხაა. ეს ბავშვები, რომლებიც დღევანდელ კონცერტში მონაწილეობენ, ნამდვილად განამტკიცებენ ქართულ სულს...

კონცერტში ქართული ფოლკლორის საერთაშორისო ცენტრში აღზრდილი ბავშვები მონაწილეობდნენ, მათ შორის: მოძღვრალთა ანსამბლი „მართვე“ და მოცეკვავეთა ანსამბლი „მთიები“, ანსამბლ „კელაპტრის“ ბაზაზე შექმნილი ანსამბლი „კესანი“. როდესაც ბავშვები „მთიულურს“ ცეკვავდნენ, რამდენჯერმე მაყურებელი სერიოზულად შეშფოთდა, რადგან სცენის სიეწირვის გამო, მის კიდეზე უწევდათ ცეკვა და ძალზე იოლად შეიძლებოდა, ხიფათს გადაჰყოლოდნენ...

რომ აქ ასეთი უნიკალური ფოლკლორული გუნდი გვყავს. იმაზე უკეთესს რას გავაკეთებთ, ვიდრე ასეთი დიდი განძის ბოლომდე შენარჩუნებაა?! წარმოიდგინეთ, ქართველებს გენში როგორ გვაქვს ეროვნული ფოლკლორი გამჯდარი, რომ ასეთ სიტუაციაში მშობლებს მაინც მოჰყავთ შვილები. უნდა შევინაწინოთ ტრადიციები, უნდა აღდგეს საქართველო. ვინც ჩვენ გვიყურებს, ვინც აქ არის, ყველა მხარში უნდა ამოგვიდგეს.

ლუიზა შაპიაშვილი:

– ძალიან მიკვირს, აზრის გამოთქმას რომ მიხვოთ, რადგან აღარც პოლიტიკოსი ვარ და აღარც ტელევიზიაში ვმუშაობ. გავიგე, რომ აქ ასეთი ღონისძიება ტარდებოდა და მოვედი, რადგან მე ქართული ფოლკლორის თაყვანისმცემელი ვარ. ეს ერთ-ერთი ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი დაწესებულებაა საქართველოში, სადაც ძალიან ღრმა

კვირის

(29 ნოემბერი-5 დეკემბერი)

პეჩო - 21/II-20/IV

ქალი: კვირის დასაწყისში შექმნილი უსიამოვნო განწყობილება მალე გადავივლით და კვლავ ცხოვრების ხალისი დაგიბრუნდებათ. ამაში კი ხელს მეგობრებთან ერთად გატარებული დრო შეგიწყობთ.

მამაკაცი: წარმატებით განხორციელდება ყველა თქვენი პროექტი, ამიტომ ამ კვირაში აქტიურობისკენ მოგიწოდებთ. მაგრამ დაუკვირდით თქვენ მიერ წარმოთქმულ ყველა წინადადებას, განსაკუთრებით საქმიან პარტნიორებთან საუბრისას.

პერო - 21/IV-21/V

ქალი: ამაოდ მიიჩნევთ თქვენ თავს უიღბლოდ. ამ სიტყვების სიმართლეში მალე დარწმუნდებით. მოულოდნელად ისეთ წინადადებას მიიღებთ, რომ თავი სიზმარში გვეგონებათ. მოეშალეთ სასიამოვნო სიურპრიზისათვის.

მამაკაცი: თავი შეიკავეთ ყოველგვარი აგრესიის გამოვლინებისაგან. წინააღმდეგ შემთხვევაში, საკუთარ თავს ისეთ ზიანს მოუტანთ, რომლის გამოსწორებასაც წლების განმავლობაში ვერ შეძლებთ.

პარნაიზი - 22/V-21/VI

ქალი: პირად ცხოვრებაში ცვლილებები გელით. გამოიჩინეთ მეტი ინიციატივა მამაკაცებთან ურთიერთობისას. სამსახურშიც თამამად გამოხატეთ თქვენი აზრი - თქვენ ზომ მოახროვენ ადამიანი ხართ.

მამაკაცი: თქვენს საქმიან და პირად ცხოვრებაში ახალი ეტაპი იწყება. თქვენი ავტორიტეტი საგრძნობლად გაიზრდება, მაგრამ რის გამო, ან რის ხარჯზე, ამას ვარსკვლავები არ გვეუბნებიან.

პირნაიზი - 22/VI-22/VII

ქალი: ამ კვირაში შეიძინეთ საოჯახო ნივთები და სამკურნალო მცენარეები. ყურადღება მიაქციეთ ჯანმრთელობას. მოუწყვეთ თავს ზეიმი, ბევრი ისეთი ოცნება გაქვთ, რომლის ასრულებაც თქვენზეა დამოკიდებული.

მამაკაცი: ნუ მიიღებთ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას მხოლოდ მეგობრების რჩევით. სპეციალისტების მოსაზრებაც მოისმინეთ და ისე შეუღებთ გეგმების განხორციელებას.

ასტროლოგიური პროგნოზი

ლოპი - 23/VII-23/VIII

ქალი: ყურადღებით მოუსმინეთ თქვენს პარტნიორს. მის მდგომარეობაში წარმოიდგინეთ თავი და შეეცადეთ გაუგოთ მას. ახალი ნაცნობები ცდილობენ, ზედმეტად შემოიჭრნენ თქვენს ცხოვრებაში. ნუ მისცემთ მათ ამის უფლებას.

მამაკაცი: ნებისმიერ საქმეში ვარსკვლავები წარმატებას გიწინასწარმეტყველებენ. იაქტიურეთ და გაბეჯულად შეეჭიდეთ დიდ საქმეებს. სიფრთხილე გამოიჩინეთ ელექტროსელსაწყობთან.

ქალწული - 24/VIII-23/IX

ქალი: ამ კვირაში არ გირჩევთ საქმიან შეხვედრების დაგეგმვას. უბედურების, ოჯახის წევრებთან გაატაროთ დროის, უმეტესი ნაწილი და ყურადღება მიაქციეთ თქვენს ჯანმრთელობას.

მამაკაცი: სიმშვიდე შეინარჩუნეთ სახლში და სამსახურში. შეეცადეთ მიიღოთ სწორი გადაწყვეტილებები, რადგან ამ კვირაში შეცდომის დაშვების დიდი ალბათობაა.

სასწორი - 24/IX-23/X

ქალი: იღბლიანი კვირაა კომერციული ოპერაციების განსახორციელებლად. სამსახურში შრომისმოყვარეობა გამოიჩინეთ და წარმატებებს მიაღწევთ. პაემნებისა და მეგობრებისთვის მხოლოდ უქმე დღეები გამოიყენეთ.

მამაკაცი: თავიდან უნდა აიცილოთ კონფლიქტური სიტუაციები. წინააღმდეგ შემთხვევაში, დიდ გაუგებრობაში ამოყოფთ თავს. ვარსკვლავები გაჭრამდე ასჯერ გაზომვას გირჩევენ და კარგი იქნება თუ მათ დაუჯერებთ.

ღრინაპალი - 24/X-22/XI

ქალი: ნუ მიიღებთ ნაჩქარევ გადაწყვეტილებას. საჭიროების შემთხვევაში დახმარებისთვის მეგობრებს მიმართეთ. ზედმეტად ნუ ენდობით ახალგაცნობილ ადამიანებს. კატეგორიულად გეკრძალებათ ჭორაობა.

მამაკაცი: თუ არ გინდათ პირად ცხოვრებაში იმედგაცრუება განიცადოთ, ტყუილი დაპირებებისგან მაქსიმალურად შეიკავეთ თავი. მოუფრთხილდით საყვარელ ადამიანთან ურთიერთობას და თავს ბედნიერად იგრძნობთ.

მეზიდონა - 23/XI-21/XII

ქალი: თუ ამ კვირაში ერთდროულად რამდენიმე საქმეს მოჰკიდებთ ხელს, ვერც ერთს ვერ მიიყვანთ ბოლომდე. მაგრამ თუ ერთ საქმეზე შეძლებთ კონცენტრირებას, წარმატება გარანტირებული გეგნებათ.

მამაკაცი: ნუ გაფლანგავთ დროს უსაქმურობაში. უკუაგდეთ ამბიციები, გამოიჩინეთ თავმდაბლობა და უარს ნუ იტყვით შემოთავაზებულ საქმეზე, თუნდაც ის საქმე თქვენთვის შეუფერებლად მოგეჩვენოთ.

თხის რქა - 22/XII-20/I

ქალი: თქვენი მატერიალური მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდება. კარგი იქნება თუ შეიძინთ ავეჯს, მანქანას, ბინას, მოკლედ, ფულს კუპონების სახით ნუ შეინახავთ.

მამაკაცი: კატეგორიულად გეკრძალებათ ალკოჰოლის მიღება. შეიძლება არაფინანსურ მდგომარეობაში გამოუსწორებელი შეცდომა დაუშვათ და ეს ძალიან ძვირად დაგიჯდეთ.

მეჩხეული - 21/I-19/II

ქალი: სვედის კვირული იწყება. თუ თეატრალური ადამიანი ბრძანდებით ან მხატვრობით ხართ გატაცებული, შემოქმედებით ზენიტში აღმოჩნდებით. ასე რომ, გადაიკითხეთ შექსპირი, ან მოიმარჯვეთ ფუნჯი და ჩააქოვეთ თქვენი განწყობილება შემოქმედებაში.

მამაკაცი: რატომ ცდილობთ ყოველთვის სხვებს გადააბრალოთ თქვენი წარუმატებლობა? ჯობს მარცხის მიზეზი საკუთარ თავში ეძიოთ, ახლობლების მიმართ კი უფრო ყურადღებიანი იყოთ.

თეზენა - 20/II-20/III

ქალი: ადამიანებთან ურთიერთობისას გამჭრიახობა გამოიჩინეთ. გადაწყვეტილების მიღებისას კი ნუ აჩქარდებით. ყველაფერს, რაც თქვენ გარშემო ხდება უცხოდ დამკვირვებლის თვალში შეხედეთ და გაანალიზეთ, როგორ გამოიყურებით თქვენ ამ გარემოში?

მამაკაცი: ქალებისთვის საინტერესო სამიზნედ იქცევით. მაგრამ ფრთხილად, მათ თქვენთან დაკავშირებით კონკრეტული მიზეზები ამოდრავებთ. შეეცადეთ, მიხვდეთ მათ განზრახვებს და შესაბამისად იმოქმედოთ.

	უძველესი სასულიერო წილგა ქართულ ეკლესიაში	ი	ი	ი	თაონობა რაიმე საქმეში	მ	ლონდონის საქმიანი ნაწილი	ინდის-ხურმა	ზ	
	კ	ა	თ	ა	ნ	ი	კ	მ	ს	
	მ	ღიდი ვაჭარი, სოფლაგარი	ე	კ	ე	ნ	ს	ბ	ი	ნ
	ნ	ე	ბ	მ	ც	ი	ა	ნ	ტ	ი
სასანთლე	მ	ა	ნ	ნ	ა	ნ	ი	ა	ი	კ
ჯაშუში	მ	ა	ნ	ნ	ა	ნ	ი	ა	ი	კ
ინდიელთა ნავი	კ	ი	ჰ	მ	ბ	ა	ი	ფ	მ	ი
ს	ი	ტ	ე	ნ	ი	ს	ა	ს	...	საგაზეთო იუმორისტული მოთხრობა
სამხედრო ფორმის ქურთუკი	მ	ჰ	ნ	ი	ი	ნ	მ	ტ	ე	ნ
პარიზის აეროპორტი	ნ	ა	ჰ	ზ	ა	ნ	ი	ი	რ	ი
„ნართების სასმელი“	ი	კ	ძალიან იშვიათი ნივთი	ა	ნ	ი	ტ	ა	ვ	ა
ციებ-ცელება	მუსლიმან წმინდანთა აკლდამა	როლი ოპერაში	ჰ	ტ	ს	ჰ	საბრძოლო ნაღავლი	ა	ნ	ა
მ	ა	ზ	ა	ჰ	ი	ა	ლანგარი	ა		
ა	ი	ტ	ჰ	ა	ა	პაბრუსის ან ჰერმენტის გრაგნილი	მ			
ნ	ვახტანგ რჩეულიშვილის მეტსახელი	მ	ი	ი	ჰ	ი	ვრეუტო ღვინო მიწაზედებული კოჭელი			
ა	კ	ი	ტ	ს	ი	მ	ილუმალი რამ წინაღობის ერთეული			
ჰ	მ	შოტლანდიური ნაგაზი	ე	ი	ს	მ	ნ			
ი	ნ	მ	ტ	ი	ტ	ს	სეკარეული ან პოეტური საბატი წოდება			
ა	ი	ც	ი	ტ	ე	კ	წერილობითი კალექტიური თხზულება პრესდენტისად			

26-ე გვერდზე გამოქვეყნებული ტესტის პასუხები: 1-ა; 2-ბ; 3-ა.

გაფორმენილ ზღაპრებს მონახვევი გაფორმებული



„სასიმამრომ დამაღალატა“

გამოჩენილ მოჭადრაკეს კაპაბლანკას ერთ-ერთ პრეს-კონფერენციაზე ჰკითხეს:

– ამბობენ, რომ ფორდი-უფროსის ქალიშვილზე დაქორწინებას აპირებდით, მართალია?

გროსმაისტერმა გაიღიმა და თქვა:

– დიახ, მართლაც არ ვიტყვოდი უარს ფორდი-უფროსის სიძეობაზე. მაგრამ მან დამაღალატა: მისტერ ფორდს მხოლოდ ვაჟიშვილები ჰყავს...

ტელეეკრანზე აკრძალული სტრადივარი...

გამოჩენილ მევიოლინეს იაშა ჰეიფიცს ერთ-ერთ ბრიტანულ ტელეარხზე გამოსვლა ჰქონდა დანიშნული. მან წინასწარ სთხოვა პროდიუსერს, ეთერში გამოეცხადებინათ, რომ კონცერტს სტრადივარის ვიოლინოზე დაუკრავდა. მისდა გასაოცრად, პროდიუსერმა მიუგო:

– სამწუხაროდ, ეს შეუძლებელია: საქმე ის განსაკუთრებითაა, რომ ჩვენ არა გვაქვს დადებული კონტრაქტი მიუსიკალური საკრავების მწარმოებელ არც ერთ ფირმასთან.

„პირადად რომ მოსულიყავით...“

რელაქტობისას, მარკ ტვენმა ერთ-ერთი ავტორისგან მიიღო საშინელი ლექსების მთელი დასტა, რომელიც ასე იყო დასათარებელი: „რატომ ვარ ცოცხალი?...“ გამოჩენილმა მწერალმა უკან გაუგზავნა პოეტს მისი ნაწარმოებები და მიაწერა: „იმითომ, რომ ლექსები ფოსტით გამოგზავნეთ... აი, პირადად რომ მოსულიყავით...“

ღვეზლის ოსტატი მოყვარული მუსიკოსი

კომპოზიტორმა ლეგარმა სადილობისას მეგობრებს უთხრა, რომ მისი ბნის დიასახლისის, მომსახურების საზღაურად, ის მუსიკის გაკვეთილებს უტარებს.

– ნიჭიერება თუ გამოავლინა? – დანიტერესდა კომპოზიტორის ერთ-ერთი მეგობარი.

– ო, რასაკვირველია! – მიუგო ლეგარმა. – განსაკუთრებით კარგად ღვეზელი გამოდის.

ანექდოტები

ცოლი სასწოროზე შეხტა და ქმარს ახარა:
– ორი კილო დავიკელი!
– აბა, მაკაიუ გაიკეთე და ისე აიწონე!.. – სეკუტიკურად გასძახა ქმარმა.

საღამოა. სოფლისკენ მიმავალ გზაზე ურემი მიდის. მასში მიხო და მაროა შებმული, ზედ კი ვირები სხედან, მთელი ხმით ყრთხინებენ, გახარებულნი.
მარო – მიხოს:
– იი, მეხი კი დაგაყარე მაგ თავზედა, ჰა! ესეც შენი ექსპერიმენტი: ვირებსა არაფი დავაკლევინოთო...



– მე და ჩემი ქმარი ვაჟს საკმაოდ მკაცრად ვზრდიდით. საიდან უნდა გვცოდნოდა, რომ ფულით, რომელსაც სივარეტის, სასმლისა და ქაღებისთვის ვაძლევდით, ნარკოტიკებს ყიდულობდა?..

კვირას საღამოს, მიხო და მარო სტუმრად წასასვლელად ემზადებიან. მარო სარკესთან დგას და იპრანჭება.
– მიხო... როგორ გამაფიქურები?
– როგორც ყოველთვის, მაგრამა არა უშამს, მალე ბნელდება...

– გაფრთხილებთ: მე ვიცი კარატე, ტეკვანდო, ძიუდო და კიდევ ბევრი სხვა

საშიში... სიტყვა...

– მარო, შენმა ბიჭმა დღეს მალაზიაში მაცივარი იყიდა! – ახარეს დედას მეზობლებმა.


– მაცივარი რათ უნდა, ჯა, რასაც გავაკეთებ, ქვაბშივე ამოსჭამს ხოლმე!..

რეჟისორი მიმართავს კინოსცენარისტს:
– მას ასე, გააღრმავეთ თუ არა თქვენი სცენარი?
– დიახ, მოქმედება შასტებში გადავიტანე...

სარეკლამო განცხადება:
– ვკურნავთ ალკოჰოლიზმისგან და ნარკომანიზმისგან ერთი სენსით. მუდმივ კლიენტებზე მოქმედებს დამატებითი ფასდაკლება!..

გემი იძირება, ყველა რაღაცას ხელმოსაჭიდს ეტებს. ქალი ქმართან მიცურავს, რომელიც ჩასჭიდებია კარს წარწერით „ბარი“.
– ნაძირალავ, ყოველთვის ვიცი, სად უნდა გეძებო!..

ინსტიტუტში გამოცდაა. ლექტორი ეკითხება სტუდენტებს:



– კითხვა ხუთიანზე: რა მქვია მე?

ყველა ჩუმდაა.

– კითხვა ოთხიანზე: რა საგანს აბარებთ?

ყველა ჩუმდაა.

– კითხვა სამიანზე: რა ფერისაა სახელმძღვანელო?

უკანა რიგებიდან მოგუდული ხმა:
– ნახე, როგორ გვჭრის, ახვარი!..

შაქრო მამას ეკითხება:
– მამოი, ივაი რა არი?
– ივაი?... ესა, ბიჭო, აი, როცა ცხოველები, მაგალითად, ღორი და ვირი, ერთმანეთში ისე ლაპარაკობენ, როგორც ახლა მე და შენა...

ახალგაზრდა ქალი იარაღის მალაზიაში შედის:

– ჩემი ქმარი მანქანამ გაიტანა!
– კი, მაგრამ მე რა შუაში ვარ? – ეკითხება გამყიდველი.

– აი, ეს პისტოლეტი თქვენთან რომ ვიყიდე, დაიბრუნეთ, აღარ მჭირდება...

– მართალია, რომ შენი ქმარი გუშინ ღვინით სავსე ჭურში ჩავარდა?

– კი.

– მერე, არ დაიბრჩო?

– რას ამბობ, ორჯერ საჭმლისათვის ამოძვრა!..



თავაშობები და სათავაშობები აღამიანების ხასიათს განსაზღვრავს

გაისხენებთ, ბავშვობაში რა თამაშობებსა და სათამაშოებს უთმობდით უფრო მეტ ყურადღებას. ფსიქოლოგები მიიჩნევენ, რომ ამის მიხედვით შესაძლებელია ზრდასრული ადამიანის ხასიათის განსაზღვრა.

პლასტილინი. თქვენ სრულყოფილებსაკენ ილტვით. ამასთან, მხოლოდ ფანტაზიებით როდი შემოიფარგლებით, საკუთარი ხელით ცდილობთ ახალი რეალობის შექმნას. სამწუხაროდ, ამ თქვენს თამაშში მონაწილეობა ყველას როდი ხიბლავს. ირგვლივმოყვები საკმაოდ უხალისოდ ეგუებიან თქვენს მოთხოვნებს, უფრო სწორად, ისინი ისე თქვენგან მოელიან კომპრომისზე წასვლას. თქვენ კი სულაც არ გსურთ, რომ შეიცვალოთ, თუმცადა, სამყაროს შესაცვლელად ძაღლენეს არ იშურებთ.

კონსტრუქტორი. თუკი თქვენ ოდესღაც მშობლების გასახარად საათობით ირთობდით ხოლმე თავს ამ თამაშით, ალბათ, შეუპოვრობისა და სიკეთის გრძნობა თქვენთვის სულაც არ იქნება უცხო დიღობაში. თქვენ ხომ გადაწყვეტილებას არასოდეს იცვლით და მიზნისკენ მიმავალი გზიდანაც ვერაფერი გადაგახვევინებთ. ეჭვიანიც ბრძანდებით და ყველაფრის გადამოწმებას საკუთარი ძალით ცდილობთ. არ გიყვართ მოულოდნელობები. მიუხედავად იმისა, რომ სიახლეები გიზიდავთ, ნებისმიერ სიახლეს საკმაოდ დიდი სიფრთხილით ეკიდებით ხოლმე. სხვათა შორის, არც საკუთარ თავში რამის შეცვლა გხიბლავთ.

მინიფიგურა. გამოუსწორებელი მეოცნებე ბრძანდებით. გიყვართ სახლიდან გაუსვლელად მოგზაურობა. ცნობისმოყვარეობისა და მძიბიბელი სულის წყალობით, თქვენ ცოდნის უდიდესი სიღრმეების წვდომა ძალგიბთ. ამის გაძი ყოველდღიური საზრუნავისთვის დრო აღარ გრჩებათ და ზოგჯერ ყოფით საქმეებს საერთოდ ხელს მიუშვებთ ხოლმე.

საღებავები. საოცრად გულისხმიერი ადამიანი ბრძანდებით; შეიძლება ითქვას, რომ თქვენი ყურადღების მიღმა ჩვეულებრივი ურთიერთობის წვრილმანებიც კი არ რჩება. თუმცა, ამა თუ იმ მოვლენასთან მიმართებაში, განსხვავებული რეაქცია გაქვთ ხოლმე. თუკი თქვენი შემოქმედებითი მიდრეკილებების განვითარება ვერ მოახერხებთ, თქვენი რეაქცია ბანალური დეპრესიისა ან აგრესიის სახით ვლინდება. ხოლო თუკი გაგიმართლათ და პოტენციალის რეალიზება შეძელით, თქვენი მდიდრული პალიტრის ყველა ფერის საუცხოოდ გამოყენებას ახერხებთ. თქვენთან ახლობლების მსურველთა რიცხვი, საკმაოდ დიდია, რადგან საოცრად ფაქიზი სულის ადამიანი ბრძანდებით და ირგვლივმოყვები ძალზე

კომფორტულად გრძნობენ თავს თქვენ გვერდით.

რკინიგზა. ბავშვობაში თქვენ რკინიგზასთან დაკავშირებული სიმბოლოები უფრო გიტაცებდათ, ვიდრე თავად ამ სათამაშოთი თამაში. თქვენ გიყვართ მოგზაურობა, გსიამოვნებთ ახალ-ახალი ქვეყნებისა თუ ქალაქების მონახულება და გახარებთ ახალი ნაცნობობა. განსაკუთრებულად გიყვართ კომფორტი და მოგზაურობისას ყოველთვის იმ სასტუმროში გაჩერებას ამჯობინებთ, რომელიც ყველაზე მეტად მოგწონთ. მაგრამ ერთი რამ ფაქტია – დიდხანს ვერსად ჩერდებით, ამიტომ თქვენი ცხოვრება შეხვედრებისა და განშორებების მონაცვლეობაა.

პლუმის სათამაშოები – დათუნები, ძაღლები, კურდღლები. თუკი ბავშვობაში ამ ტიპის სათამაშოები გხიბლავდათ, მაშინ თქვენ დიღობაში ახალ-ახალი შეგრძნებები და განცდები გეყვარებათ. ინტელექტუალური აბსტრაქციები თქვენი სტიქია არ არის. თქვენ ხომ ყველაფრის უშუალოდ შეგრძნება და განცდა გჭირდებათ. გართობისა და თამაშობებისაკენ ღლტოლის გრძნობით თავად ბუნებამ დაგაჯიღდოვათ. ძაღზე მნიშვნელოვანია ამ გრძნობის სწორ კალაპოტში მოქცევა, თორემ შესაძლოა უკონტროლო ემოციებმა დაგლუპოთ. თქვენთვის აუცილებელია ახალ-ახალი შთაბეჭდილება და განცდა. როდესაც დადებითი ემოციების ნაკლებობას განიცდით, სრულიად შესაძლებელია, რომ ვინმეს პროვოცირება მოახდინოთ და უარყოფითი ემოციები გამოიწვიოთ.

თოჯინები. საოცრად გიყვართ ახალ-ახალი ადამიანების გაცნობა და მათთან დაახლოება. თქვენ ახალ პარტნიორთან ახალი თამაშის წამოწყება გჩვევიათ, მაგრამ, როგორც წესი, ეს თამაშები საკმაოდ ხანმოკლე აღმოჩნდება ხოლმე. ნაცნობების წრის გაფართოებას იმდენად ელტვით, რომ შესაძლოა ვინმემ ადამიანების „კოლექციონერობაც“ კი დაგწამოთ. გამორიცხული არ არის, რომ თქვენ განგებამ სწორედ ადამიანის ბუნების შესწავლის მისია დაგაკისრა.

ჯარისკაცები. გამოდის, რომ მანევრების დაგეგმვა და ტაქტიკური მიზნების განხორციელება ბავშვობიდანვე გიტაცებდათ. მომავალში შესაძლოა, თქვე-



ნი ყურადღება ჭადრაკმა ან კომპიუტერულმა თამაშებმა მიიპყროს. თქვენ ყოველთვის წინასწარ გეგმავთ ყველაფერს, ბევრს ფიქრობთ და მიზნის ცხოვრებაში განხორციელებას მხოლოდ ამის შემდეგ ჰკიდებთ ხელს. განსაკუთრებით გიყვართ შეჯიბრის ტიპის თამაშობები. საოცრად იოლად ითვისებთ ახალ ინფორმაციას, მაგრამ წარმატებას მხოლოდ იმ შემთხვევაში აღწევთ, როცა თამაშს ინტელექტუალური ქმედებაც უმაგრებს ზურგს.

ფოტოაპარატი. თუკი ის ბავშვობიდან თქვენი საყვარელი სათამაშო გახლდათ, მაშინ თქვენ ადამიანთა იმ ტიპს განეკუთვნებით, რომელიც ცდილობს, რომ თავისი შთაბეჭდილებები სამუდამოდ გონებაში ჩაიბეჭდოს. საკმარისია, სულ მცირე მიზეზი და ამ ტიპის ადამიანებს წარსულის შთაბეჭდილებები მაშინვე გონებაში ამოუტივტივდებათ ხოლმე. ჩვეულებრივ, მათ უჭირთ საკუთარი სულიერი მდგომარეობის გამომჟღავნება. ძაღზე დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ სხვის აზრს, მაგრამ მისთვის, რომ თუნდაც საკუთარ თავს გამოუტყდნენ ამაში, მეტისმეტად თავმოყვარენი არიან.

პურტი. ხანგრძლივი და მტანჯველი ფიქრებით თავს არასოდეს იწუხებთ, ყოველივე ამას, სწრაფ ქმედებას ამჯობინებთ. თუკი რაიმე მიზანი დაისახეთ, ყოველთვის სწრაფად და გამბედავად მოქმედებთ, თქვენი შეკავება ძნელია. შეჯიბრის ტიპის თამაშების დიდი მოყვარული ბრძანდებით, მაგრამ პასიური მათემატიკის როლს არ სჯერდებით და ყოველთვის აქტიური მონაწილის როლს ამჯობინებთ. ყოფაში საკმაოდ უპრეტენზიო ხართ, არ უფრთხილთ არაკომფორტულ გარემოს. სრული ბედნიერებისათვის კი სულიერად თქვენთან ახლოს მდგომ ადამიანებთან ურთიერთობა გჭირდებათ, რომლებიც მზად იქნებიან, რომ გაიზიარონ და სათანადოდ დააფასონ თქვენი აქტიურობა.

ბოთლების ცივზე მოცუხავე მოგზაურობა

ისრაელის სამხედრო მეზღვაურებმა ღია ზღვაში 35 წლის თანამემამულე მაშინ დააკავეს, როცა ის ქვეყნის ტერიტორიული წყლების დატოვებას ცდილობდა. სამართალდამცავები ყველაზე მეტად გამოძგონებული დამნაშავეს უცნაურმა სატრანსპორტო საშუალებამ გააოცა: ნაპირიდან



28 კმ-ის დაშორებით დააკავებული დამრღვევი, მინერალური წყლის 200 ბოთლისგან გაკეთებული ტივით მიცურავდა... დაბა ნეშერიის მცხოვრების თქმით, თვითნაკეთი ტივით ის მოლდოვის (წლების მანძილზე, სწორედ ყოფილი საბჭოთა კავში-

რის ამ რესპუბლიკიდან წავიდა ემიგრაციაში ისრაელში) ნაპირამდე მიღწევას აპირებდა. „ღიღი ხანია, არ მინახავს მშობლები, რომლებიც ძალზე მომენატრნენ. მინდოდა, მომენახულეხინა, მაგრამ თვითმფრინავის ბილეთის საყიდელი თანხა არ მქონდა“... „მოგზაურს“ ისრაელის და რუსეთის პასპორტები აღმოაჩნდა. მის ბარგს კი, მოპედი, საკვებისა და სასმელი წყლის მარაგი, პირადი ნივთები, მათ შორის, საწოლიც კი შეადგენდა.

ათნეულობით „მიძინებელი“ 5 მილიონი...

სან-ფრანცისკოს მკვიდრმა წვეილმა კარლაილიმ ნახევარი ცხოვრების მანძილზე არ უწყოდა, თუ შინ ნამდვილი განძი ჰქონდა. ეს განძი, ერთი მოზრდილი თეფში აღმოჩნდა, რომლითაც ისინი სადილობის დროს სარგებლობდნენ კიდევ. ეს თეფში თუფზე, კარლაილების ერთ-ერთ წინაპარს XX საუკუნის დასაწყისში ჩაუტანია ამერიკაში ჩინეთიდან. ამ ცოტა ხნის წინ კი, ნათესავმა ცოლ-ქმარს უთხრა, რომ მისი ვარაუდით, ეს უნიკალური თეფში იყო. კარლაილებთან მისულმა ექსპერტმა ეს ვარაუდი დაადასტურა. მან აუწყა ოჯახს, რომ აღნიშნული თეფში ჩინეთში მინის დინასტიის ეპოქაში დამზადებული, ფაიფურის ჭურჭლის ერთ-ერთი ყველაზე იშვიათი ნიმუშითაა განთავსებული. კარლაილებმა ის აუქციონზე გაიტანეს, ლოტი რეკორდულ ფასად – 5 მლნ 700 ათას დოლარად გაიყიდა.



ინდოეთში ინგლისუხს „ბოხბლებზე“ სწავლობენ



ერთ-ერთი ყოველდღიური მატარებლის მგზავრებს საშუალება მიეცათ, სანამ დანიშნულების ადგილამდე მივლენ, ინგლისური ენის შესწავლით „გაერთონ“. პროგრამაში, რომლის სახელწოდებაა – „კარიერა ბორბლებზე“ პირველი 3 დღის განმავლობაში 190 ადამიანი ჩაება. მეცადინეობა ერთ-ერთი ვაგონის კუბეში ტარდება. მასწავლებლის თქმით, მისი ჯგუფი 15-დან 45 წლამდე ასაკის სტუდენტებს აერთიანებს. „იშვიათი მაქვს, ჩვენი დახმარებით ისინი კარგად შეისწავლიან ამ რთულ ენას და უაქცენტოდ ილაპარაკებენ“, – დასძინა მან. პროექტი ერთობლივად მოამზადეს და ახორციელებენ ინდოეთის დასაქმებისა და განათლების სახელმწიფო კომისიამ და უნივერსიტეტმა – Nagarjuna. მისი ორგანიზატორების თქმით, სწავლა მატარებელში, მგზავრობისას დროის ფლანგვის – მაგალითად, კარტის თამაშის შესანიშნავი ალტერნატივაა.

ეჭვიანობა დაეჯეთით

მცირედი ეჭვიანობა ცოლქორულ ურთიერთობას არა მარტო არ სწყენს, არამედ რგებს კიდევ. ამ ჭეშმარიტებამ ერთ-ერთ ინგლისელ ქალბატონს საკუთარი ბიზნესის წამოწყების იდეა უკარნახა და პირველ წარმატებასაც მიღწია. რეიჩელ ბეილი საათში 80 დოლარად, მამაკაცებს პროფესიონალური არშიყობის სამსახურს უწევს, რაც ამგვარად ხორციელდება: მამაკაცი, რომელიც გრძნობს, რომ მის მიმართ ცოლის ან გელფრენდის გრძნობები გაცივდა, აცნობებს რეიჩელს პაენის ადგილსა და დროს; წვეილის შეხვედრის მომენტთან გარკვეულ ხანში, მის სიახლოვეს ჩნდება რეიჩელი და აქტიურად იწყებს მამაკაცის შებმას. „გაოგნებული ქალი ვერ ხვდება, თუ რა ხდება მის თვის წვეულებრივ, ქალების უმეტესობას აოცებს თავად ის ფაქტი, რომ მათი პარტნიორი, უცხო ქალის თვალში ესოდენ დიდ მოწონებას იმსახურებს... ამგვარად, ერთი წვეთი ეჭვიანობა, წვეილში ერთიმეორისადმი ახალ ენებას აღძრავს და ამით ჩემი მისია შესრულებულია!.. სულ მოკლე ხანში, არაერთი დადებითი გამოხმარება მივიღე და დავრწმუნდი, რომ ტყვილად არ გავრჯილვარ“. თავად იდეა კი ქალს თურმე, საკუთარმა მწარე გამოცდილებამ უკარნახა: „წვეულებზე, ჩემს ბოიფრენდს ვილაც ქალმა დაუწყო შებმა. ვიგრძენი, რომ ჩვენს ურთიერთობას სერიოზული საფრთხე ეუქქებოდა. თუმცა, ამავე დროს, მესამოფნა კიდევ, რომ ჩემმა კაცმა სხვა ქალის ყურადღება მიიპყრო“... როცა იდეა გაუჩნდა, თავდაპირველად, მან ადგილობრივ მცირეტირაფიან გაზეთში გამოაქვეყნა განცხადება. ბეილი გაათვა მის პასუხად მოსულმა შეკვეთების რაოდენობამ. რადგან საქმე კარგად აქწყო, რეიჩელ ბეილი ბიზნესის გაფართოებას – სხვა ქალების საშუაოდ მიღებას აპირებს.



ფოტოკუჩიონები



№24(84) 25.XI-8.XII 2004

ოჯახის

მკურნალო

სამედიცინო ჟურნალი

ფასი 70 ლარი

თაფლობის
თვის
პრობლემა

გენეტიკა და
ბავშვარაგები

6¹⁵/₄₆

თავის
ტვინის
შერყევა

ქვილიტი —
სახიფათო
დაავადება

რევმატიზმი

მთავარი თემა:
უიღსი

სტანოკარდია

თქვენი და

თქვენი ოჯახის ჯანმრთელობისთვის